

ს ა ი მ უ ტ ა რ დ ი


⊗ უ ნ გ რ ე მ ⊗

ს ა მ ე რ ი მ ე ლ მ

უ რ თ ი ე რ თ მ გ ე

⌋ X V I ⌋

ს ა უ გ უ ნ ე უ ი



ს ა ე მ - 5
გ ა მ ე რ ე მ

ნაშრომში განხილულია უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები, რომლებიც დღემდე შესწავლილი არ ყოფილა. გამოყენებულია უნგრულ-გერმანულ-ფრანგულ-იტალიურ და პორტუგალიურ ენებზე საქართველოს შესახებ არსებული ისტორიული დოკუმენტები, აგრეთვე ახალი საარქივო მასალები და წყაროები.

T _____
M 601 (08) — 80

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980

უნგრელი ისტორიკოსი ლაიოშ ტარდი

უნგრელი ისტორიკოსი ლაიოშ ტარდი ჩვენი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი. იგი უკვე რამდენიმე ათეული წელია დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა უნგრეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხების გამოკვლევა-შესწავლაში.

ლაიოშ ტარდი დაიბადა 1914 წლის 28 ივლისს ბუდაპეშტში, ტექნიკური ინტელიგენტის ოჯახში. ბუდაპეშტის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ, მან დაამთავრა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ორი ფაკულტეტი — იურიდიული და ფილოლოგიური, მაგრამ თავისი დაინტერესების საგნად უფრო ისტორია აირჩია და აგერ უკვე კარგა ხანია, ნაყოფიერად მუშაობს ამ დარგში.

1954 წელს ლაიოშ ტარდომ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1973 წელს, მაისში, თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე — სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“.

ლაიოშ ტარდომ თავის ნაშრომში გამოიყენა უნგრულ, გერმანულ, ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე არსებული დღემდე უცნობი მასალები და უნგრეთ-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობაზე შემაჯამებელი მონოგრაფია წარმოადგინა.

უნგრეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხებზე ლაიოშ ტარდის უკვე 200-მდე ნაშრომი აქვს გამოქვე-

ყნებული, მათ შორის მონოგრაფიებიც. მისი ზოგიერთი ნაშრომი უნგრეთ-რუსეთის ურთიერთობასაც ეხება. ამ ნაყოფიერი მეცნიერის ნაშრომები იბეჭდება მის სამშობლოში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე საქართველოშიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაიოშ ტარდის გამოკვლევა ქართლის მეფე სიმონ I-ზე. იგი ადრე ფრანგულად გამოქვეყნდა პარიზში. მასში თავმოყრილია ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში ავტორის მიერ მიკვლეული მთელი რიგი, დღემდე უცნობი დოკუმენტური მასალები, რომლებაც დაძაბებით ჰფენს შუქს სიმონ მეფის საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ქართულ ენაზე თარგმნილია, აგრეთვე ლაიოშ ტარდის რომანი „იაკუბ ბეი“. ეს არის ისტორიული ხასიათის მხატვრული ნაწარმოები უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, რომელშიც მოქმედება ვითარდება ერეკლე II-ის დროინდელ საქართველოში. აღწერილია მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

საქართველოსა და უნგრეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხებზე მუშაობისას ლაიოშ ტარდის მიერ მოპოვებული წარმატებანი განაპირობა მშობლიური უნგრულის გარდა რუსულისა და დასავლეთ ევროპის ენების ცოდნამ, სისტემატურმა მუშაობამ ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ლაიოშ ტარდის კონტაქტი აქვს და თანამშრომლობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებასთან.

ლაიოშ ტარდი ამჟამად ქ. სეგედის უნივერსიტეტის პროფესორია და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტიური წევრი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დიდად დააფასა ლაიოშ ტარდის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, კერძოდ მისი წვლილი უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით დააჯილდოვა შრომის ორდენით.

უნგრეთის ცენტრალურმა გაზეთმა „მადიარ ნენზიმ“ ლაიოშ

ტარდის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიუძღვნა ვრცელი სტატია, რომელშიც განსაკუთრებით ხაზგასმულია მისი ქართველოლოგიური მოღვაწეობა.

ჩვენი რესპუბლიკის გაზეთებმა „კომუნისტმა“ და „თბილის-მა“ აღნიშნეს ლაიოშ ტარდის დაბადებიდან 60 წლისთავი და მაღალი შეფასება მისცეს მის სამეცნიერო მოღვაწეობას.

ილია ტაბაღუა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჩვენს მიზანს წარმოადგენს XVI საუკუნის შუაევროპული, პირველ რიგში, უნგრული წყაროების საფუძველზე ვაჩვენოთ თუ როგორ წარმოედგინა ამ ქვეყნების საზოგადოებრიობას საქართველო, ქართველი ხალხი და მისი ბრძოლა უცხოელ დაპყრობლების წინააღმდეგ. ნაშრომში გაანალიზებულია მასალები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში იბეჭდებოდა ამ ქვეყნების პრესაში ან ხელნაწერთა სახით არსებობდა; აგრეთვე ცნობები, რომლებსაც იძლეოდნენ უშუალოდ ადგილობრივი მეთვალყურეები ან მიღებული იყო დიპლომატების, კონფიდენტების, მოგზაურების, ანდა იმ პირების მეშვეობით, რომლებსაც სხვადასხვა ვითარებაში კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან.

ნაშრომში განხილულია არქივებში შემონახული ცალკეული პირების ინფორმაციები და დღიურები, რომლებიც არც ნაბეჭდი და არც ხელნაწერის სახით არ ყოფილა გავრცელებული. ამრიგად, ნაშრომში გამოყენებულია დღემდე გამოუყენებელი მრავალი უცნობი მასალა, რომლებიც საქართველოსა და უნგრეთ-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობას შეეხება. სახელდობრ, მოგზაურთა ჩანაწერები, დღიურები, დიპლომატიური მოხსენებითი ბარათები, ცალკეული ცნობები, საგაზეთო სტატიები. გამოქვეყნებული მასალა ნაშრომში შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი. გამოვიყენეთ ისეთი ხასიათის გამოცემები, ბროშურები, რომლებშიც თავმოყრილი იყო რამდენიმე წლის ამბები. ამიტომ ზოგჯერ მასალათა სიუხვის გამო ვცილდებით თემის ჩარჩოებს.

ბუნებრივია, ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უკავია უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობას აღნიშნულ პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებს მუდმივი საშიშროება ემუქრე-

ბოლოთ საერთო მტრისაგან — ოსმანთა იმპერიისაგან. დროთა ვითარებაში, შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების შედეგად, უნგრეთის დიდი ნაწილი თურქეთის ბატონობის ქვეშ მოექცა, მაგრამ დანარჩენ ტერიტორიაზე არსებობას განაგრძობდა უნგრეთის სახელმწიფოებრიობა, რომელიც ჰაბსბურგის დინასტიის სამფლობელოში შედიოდა. მისი საერთო ცენტრი იყო ვენა. ცხადია, ასეთ ვითარებაში ინტერესს მოკლებული არ არის გავეცნოთ, თუ როგორ ცნობებს ლებულობდნენ ვენის ზელისუფლების ორგანოებში საქართველოსა და ქართველების შესახებ, კერძოდ, მათ მიერ წარმოებულ ომებსა და ამ ომების შედეგებზე. ყოველივე ეს მეტად საინტერესო იყო უნგრეთისათვისაც, რადგანაც იგი ოტომანთა იმპერიის ერთ მხარეზე მდებარეობდა, მეორეზე კი საქართველო იმყოფებოდა. ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთკავშირის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ როგორც უნგრეთში, ისე ვენის მმართველ წრეებშიც, აგრეთვე იმათაც, ვინც იხილავდა უნგრეთის საქმეებს ჰაბსბურგის იმპერიაში. თუ თურქები დიდ წარმატებას აღწევდნენ აღმოსავლეთის ფრონტზე, ეს ნიშნავდა, რომ მათთვის ხელსაყრელი ზავის დადების შედეგად, ისინი თავიანთ ძალებს მიმართავდნენ უნგრეთისაკენ. ასევე, თუ თურქები განიცდიდნენ მარცხს აღმოსავლეთის ფრონტზე, უნგრეთში უკვე იცოდნენ, რომ მათი ქვეყანა მოკლე ან ხანგრძლივი დროით თავისუფალი იყო საომარი მოქმედების ფრონტად გადაქცევისაგან.

ამიტომ იყო, რომ ელჩი თუ იმპერატორის სხვა წარმომადგენელი ამ ამბებს თვალყურს ადევნებდა კონსტანტინოპოლიდან; ელჩები თუ მათ სამსახურში მყოფი „კონფიდენტები“ განკარგულებებს ლებულობდნენ რათა ცენტრში გაეგზავნათ დასაბუთებული მოხსენებითი ბარათები აღმოსავლეთში მოხდარი ამბების, — „სპარსეთის ომების“ შესახებ.

ამ მოხსენებითი ბარათების შესწავლის დროს დავრწმუნდით, რომ „ეს სპარსული ომები“ უფრო „ქართული ომები“ იყო. სწორედ, ქართველები უმკლავდებოდნენ ორ დიდ იმპერიას. სწორედ, ამ მოხსენებითი ბარათების მეტად მდიდარი მასალა შევიტანეთ წინამდებარე ნაშრომში!

ორიოდე სიტყვა XVI საუკუნის ევროპის საზოგადოებრივ აზრზე: რენესანსის ეპოქაში გაცოცხლდა ძველი დროის ამ-

ბები, სტრაბონის, პეროდოტეს, პტოლომეოსისა და სხვათა წყალობით ევროპის ჰუმანისტურ წრეებს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ კოლხეთზე, იბერიაზე, ალბანეთზე. ევროპაში მათზე უამრავი დაბეჭდილი თუ ხელნაწერი მასალა არსებობდა.

ევროპის ჰუმანისტურ წრეებს საქართველოს გასაცნობად შეეძლოთ დაყრდნობოდნენ არა მარტო ძველი პერიოდის ავტორებს, არამედ იაკობუს ვიტრიაკუსისა და ჰაიტუნის ნაშრომებსაც. გარდა ამისა, ოსმალეთის მხრიდან საშიშროების ზრდასთან ერთად სულ უფრო მეტი ახალი მასალა გროვდებოდა საქართველოსა და ქართველების შესახებ. ტყვედ ჩავარდნილი, ან სხვა გზით ოსმალეთში მოხვედრილი უნგრელები ეცნობოდნენ უცხოელებს, მათ შორის ქართველებსაც. მათი საშუალებით ან სხვა გზით უნგრელები აგროვებდნენ ცნობებს საქართველოს შესახებ და ამ ცნობებს ან აგზავნიდნენ, ანდა პირადად ჩაჰქონდათ ისინი უნგრეთში დაბრუნებისას და ფართო საზოგადოებას აცნობდნენ.

როდესაც ოტომანის იმპერიის აგრესიამ მოიცვა საქართველო, უნგრეთი და იგი ევროპასაც დაემუქრა, ქრისტიანული სახელმწიფოები შეეცადნენ ერთიანი ძალით ემოქმედათ ოსმალეთის წინააღმდეგ.

იმ ხანაში პერიოდიკა დღევანდელი გაგებით, ცხადია, არ არსებობდა. გაზეთები იტყობინებოდნენ დიდმნიშვნელოვან ამბებს. მათ შორის ვხვდებით მასალებს საქართველოს შესახებაც.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელნაწერი გაზეთები, რომლებსაც უშვებდნენ შუა ევროპის ქვეყნების უმსხვილესი სავაჭრო სახლები, აუსბურგის დინასტიის ფიუგერები. ამ ორგანოთა მიზანი იყო ევროპისათვის ყველაზე ადრე მიეწოდებინათ ესა თუ ის მნიშვნელოვანი ამბავი. ფიუგერებს მსხვილ სავაჭრო ცენტრებში ჰყავდათ თავიანთი კორესპონდენტები, რომლებიც სისტემატურად აცნობებდნენ აუსბურგის ცენტრს ახალ-ახალ ამბებს. ფიუგერებს მოქმედ ქარებშიც ჰყავდათ კორესპონდენტები, ხელნაწერი გაზეთების ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი განკუთვნილი იყო ვიწრო წრისათვის².

ცხადია, ყველა ხელნაწერი გაზეთი არ გამოგვიყენებია, ეს შეუძლებელიც იყო. შუა ევროპის ქვეყნების არქივებსა და ბიბ-

ლიოთეკებში მუშაობის დროს უამრავი მასალის შესწავლა მომიხდა. ზოგჯერ მხოლოდ რამდენიმე ფრაზას ვპოულობდი საქართველოს შესახებ. მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ ჩემი მუშაობა არ იყო უშედეგო, ვინაიდან ზოგჯერ ცალკეულ წინადადებებსაც შეუძლია საინტერესო საკითხის გარკვევა³.

ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიპლომატების მოხსენებით ბარათებს, რომლებიც ვრცლად მაქვს გამოყენებული ნაშრომში. დიპლომატების ზურგს უკან მოქმედებდნენ „ინფორმატორები“, რომლებიც ასევე სისტემატურად აგზავნიდნენ ცნობებს თავიანთ ქვეყნებში⁴. ეს „ინფორმატორები“ იცნობდნენ საქართველოს.

დასასრულ, ჩემ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა გადავუხადო პროფესორებს ზურაბ ანჩაბაძეს, გიორგი პაიჭაძესა და ილია ტაბალუას, რომლებმაც წაიკითხეს წინამდებარე ნაშრომი და სასარგებლო შენიშვნები მომცეს.

**შუამავროკული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს
შესახებ XIII-XV საუკუნეებში**

თავისი არსებობის პირველ საუკუნეებშივე უნგრეთს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო მეზობელ, არამედ შორეულ სახელმწიფოებთანაც. სამწუხაროდ, ამ ურთიერთობის ამსახველმა მასალებმა გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ძალზე მცირე რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე. უნგრეთის შუა საუკუნეების სამეფო არქივი თურქეთის მიერ ბუდაპეშტის ოკუპაციის დროს განადგურდა 1526 წელს, მოხაჩის საბედისწერო ბრძოლების შემდეგ. ლუი XI-ის ქვრივმა სცადა უზარმაზარი არქივის გადარჩენილი ერთი ნაწილი დუნაის გაღმა გაეტანა, მაგრამ ეს განზრახვა მარცხით დამთავრდა, — საარქივო მასალით დატვირთული გემი, ესტერკომომთან ჩაიძირა და ისტორიული დოკუმენტები მდინარემ შთანთქა. რაც შეეხება არქივის მეორე ნაწილს, იგი ფერდინანდ I-სა და მეფე იანოშის ქვეშევრდომთ ჩაუვარდათ ხელთ და ისიც უკვალოდ დაიკარგა¹.

უნგრულ სიძველეთა ამგვარი უბედობის მიუხედავად, ჩვენს დასახარულოდ, მცირეოდენი მასალები მაინც გადარჩა, რომლებიც საინტერესო ცნობებს შეიცავენ საქართველოზე. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე ადრინდელი ცნობა, კერძოდ, ლაშა-გიორგის მეფობის ხანას შეეხება. აქედან ვგებულობთ, რომ უნგრეთის მეფე ანდრაშ II-ე თავისი ჯვაროსანთა ლაშქრით წმინდა ნიწისაყენ დაძრულა, მაგრამ ქვეყნის ეს ახირებული მბრძანებელი 1218 წლის ზაფხულშივე ისევ უკან გამობრუნებულა, ხოლო უნგრეთიდან ახლადმოსული მამველი ძალებით შეესებულა ლაშქრის ერთი ნაწილი იქ დაუტოვებია, რომლებსაც

წარმატებით განხორციელებულ დამიეტის გარემოცვასა და შემდგომ სამხედრო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობა მიუღია².

ჯვაროსანთა ამ ლაშქრობას პაპი ჰონორიუს III-ის წაქეზებით ლაშა-გიორგიც მიმხრობია³. ამგვარად, ორი ქვეყნის — საქართველოსა და უნგრეთის გამგებელთა შორის უშუალოდ კავშირი დამყარებულა, რომელიც პაპის დიპლომატთა მტკიცე მოთხოვნით კარდინალ პელაგიო გალვანს კიდევ უფრო განუზტკიცებია. არქივისკოპოსს პელაგიოს გარკვეული წვლილი შეუტანია არა მარტო ამ ორი ქვეყნის დიპლომატიურ ურთიერთობაში, არამედ მას უშუალო, აქტიური მონაწილეობაც მიუღია ანდრაშ II-ის ჯვაროსნულ ლაშქრობაშიც; მაგრამ მალე უნგრეთის გამგებელსა და არქივისკოპოსს შორის აშკარა უკმაყოფილება ჩამოვარდნილა. მას შემდეგ, როცა უნგრელთა ლაშქარს ბრწყინვალედ განხორციელებული საომარი მოქმედების შედეგად საბოლოო გამარჯვება უნდა ეზეიმა, ქვეყნის გამგებელს — ანდრაშ II-ს პალესტინაში ბრძოლის ველი მიუტოვებია და სამშობლოში გამობრუნებულა. ამით განრისხებულ ეპისკოპოსს პელაგიო გალვანის იგი საქვეყნოდ შეუჩვენებია და ეკლესიიდან მოკვეთით — ექსორიობით დამუქრებია⁴.

შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად პაპ ჰონორიუს III-ის დავალებით არქივისკოპოსს პელაგიო გალვანის ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია კავშირი საქართველოს მეფესთან.

პალესტინაში ანდრაშ II-ის გამგზავრებისას „ინდოეთის მეფე დავით განმათავისუფლებელი“ მრავალრიცხოვანი ჯარით აღმოსავლეთიდან დაძრულა, დაუმარცხებია სელჯუკები, დაუპყრია სპარსეთი და წმინდა მიწას მისდგომია⁵.

„განმათავისუფლებლად“ წოდებული დავითი იყო ისტორიულად საკმაოდ კარგად ცნობილი პირი — ჩინგიზ ხანი, რო-ჰელმაც დასავლეთის მაგივრად თავისი დიდძალი ჯარით ჩრდილოეთისაკენ იბრუნა პირი და საქართველოს საზღვრებს მიაღწა⁶. ქართველთა ლაშქარი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო მტრის დასახვედრად. ამის გამო ქართველ-უნგრელთა ერთობლივი საომარი ლაშქრობა პალესტინაში ჩაიშალა.

იმ დროს, როცა ივანე ათაბაგის ელჩმა საქართველოს მეფეს მოახსენა: მეზობელ სომხეთს ანადგურებს უცნაურ ენაზე მოლაპარაკე არმიოა⁷, ბრძოლები უკვე კუნანის⁸ მისადგომებთან წარმოებდა. არსებობს ცნობები, რომ დამიეტთან უნგრელების ბრძოლის დროს, აქ ქართველ მებრძოლთა მცირე ჯგუფიც ყოფილა. შესაძლებელია, რომ ეს იყო ქართველ-უნგრელთა პირველი შეხვედრა⁹.

ცნობამ მონღოლთა შემოსევის შესახებ ჰერცოგი ბელა — შემდეგში უნგრეთის მეფე ბელა IV—შეაშფოთა. მომხვდურთა ვინაობის დასადგენად და მოახლოებული საფრთხის წინასწარ განსაჭვრეტად მან დომენიკელი ბერები გაგზავნა აზიაში. ერთ-ერთი ბერთაგანი იყო ოტო, რომელიც 1232 წელს სამი თანმხლები პირით მეფის დავალების შესრულებას შეუდგა. ამავე მისიით ალანეთში გაემგზავრა, ხოლო იქიდან შემდეგ აზიაში გადმოვიდა თავისი მხლებლებით მეორე ბერი იულიანი. ასევე მოიქცა ოტოც. ამ მისიონერთა უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა მოექებნათ აზიაში დარჩენილი უნგრული ტომები და მათი შემწეობით შეეკრიბათ ცნობები მონღოლებზე. ნათი ალანეთიდან აზიაში გადმოსვლა გვაფიქრებინებს, რომ ოტო უნგრელთა ტომებს — უნგრო-სავირამებს შეხვდა არა ვოლგა-კამაზე, არამედ ალანების მეზობლად, სახელდობრ კავკასიის სამხრეთით¹⁰.

1235 წლის გაზაფხულზე ბელას დავალებით იულიანი სამი ბერის თანხლებით იმავე მიზნით ახლა კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. იქიდან უნგრეთის მეფის წარგზავნილებმა გემათ შავ ზღვაზე იმოგზაურეს ქალაქ მატრიკამდე, ღღევანდელ ტამანამდე, ხოლო შემდეგ გეზი კავკასიის ჩრდილოეთით — ჯიქეთისაკენ აიღეს, ბოლოს კი ალანეთს მიაშურეს. იულიანმა და მისმა მხლებლებმა იმდროინდელი საქართველოს მიწა-წყალი შემოიარეს, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალების შესწავლა-გაანალიზებით ირკვევა, რომ ისინი შიდა საქართველოში მაინც ვერ მოხვდნენ¹¹.

ასე ჩაეყარა საფუძველი ეპოქალური ვითარების შედეგად ქართველ-უნგრელთა ურთიერთობას მონღოლთა ბატონობის ხანაში. ამ ორი ხალხის ურთიერთობის შესწავლის მიზნით საყურადღებო ცნობებს ვხვდებით მოგზაურის რუბრუკის შემუ-

არულ ჩანაწერებში. 38-ე თავში იგი გადმოგვცემს: „ქალაქ ნაკსუაში (ნახჭევანი. — ლ. ტ.) ჩემთან სოვიდა დომინიკანელი პატრი ბერნარდ კატალანი. იგი წმინდა საფლავის ორდენის პრიორთან ყოფილიყო საქართველოში. რომელსაც იქ დიდი მამულები აქვს... შემდეგში ორივე თავრიზში მცხოვრებ პატრთან გაემგზავრა, რომელიც წარმოშობით უნგრელი იყო, რათა ეთხოვათ ნებართვა ილხან არგუნისათვის მოეძებნათ ხან ბათია სარტახის შვილი. თავრიზში მათ ვერ მოახერხეს არგუნის ნახვა და უნგრელი პატრი ჩემთან ერთად თბილისში ჩამოვიდა მსახურის თანხლებით“¹².

მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის რუბრუკი თავისი ჩანაწერების 30-ე თავში, აგრეთვე უნგრელ, ქართველ და რუსთა ურციერთობაზე, როცა იგი ამ ერების ტყვექმნილ წარმომადგენლებთან ერთად ყარაყორუმში¹³ გატარებულ აღდგომის დღესასწაულს აღწერს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართველ-უნგრელთა ნამდვილ ურთიერთობას საფუძველი უნგრელ მეფეთა და მუსლიმანური ქვეყნების მთავარ-გამგებელთა შორის დიპლომატიური კავშირის დამყარების მიზნით წარმოებულ ხანგრძლივ მოლაპარაკებათა პროცესის დროს ჩაეყარა. ამას უმთავრესად ხელი შეუწყო მონღოლთა მიერ ევროპელ მონარქებთან დიპლომატიური მისიით აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანთა, კერძოდ კი ქართველების გაგზავნამ¹⁴.

უნგრელ მეფეთა გაცხოველებულმა ურთიერთობამ ბიზანტიასთან თავის მხრივ გარკვეული კეთილსასურველი გავლენა მოახდინა კონსტანტინოპოლში მყოფ ქართველ-უნგრელთა დაახლოებაზე¹⁵. ბიზანტიელი იმპერატორები ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლისას მოკავშირეებს ქართველებსა და უნგრელებში ეძებდნენ. ამ მიზნით იონა V პალაიოლოგი (1365—1366 წწ.) კონსტანტინოპოლიდან უნგრეთში მეფე ლუდვიგ 1-თან ჩავიდა¹⁶. ამ პერიოდში, როგორც ნ. იორგი გენუელების წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებს, ქალაქ აფასს მცხოვრებთა ნაწილს, იტალიელებისა და ბერძნების გარდა, ქართველები და უნგრელები შეადგენდნენ.¹⁷

ფართო პოლიტიკური მიზნები აკავშირებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან უნგრეთსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა უნგრეთის მეფის, შემდგომში გერმანიის იმპერატორის

ეიგმონდის (1387—1437 წწ.) მმართველობის ხანა, რომლის დროსაც დიპლომატიურმა ურთიერთობამ აღმოსავლეთის ქვეყნებთან განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია, ეიგმონდის მეფობის დროს დიპლომატიური მისიით უმოგზაურია აზიაში არაერთ ცნობილ უნგრელ მოღვაწეს, კერძოდ მიკლოშ სერეჩენს, იოჟ ტერეკსა და ფრანკ სუჩენს¹⁸. მოგვეპოვება ცნობები, რომლებიც ექვმიუტანლად ადასტურებენ უნგრელთა ელჩობას ყირიმსა და მესოპოტამიაში. ეს კი რეალურ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ უნგრეთის მეფის წარგზავნილები საქართველოში თუ ხანგრძლივად არა, გავლით მაინც უნდა ყოფილიყვნენ.

როგორც ცნობილია, 1396 წელს ეიგმონდის ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს თურქებმა ნიკოპოლთან. ამ დროს უნგრელთა კამერ-იუნკერი იოჰან შილტბერგერი ტყვედ ჩაეარდა. თურქებთან მან რამდენიმე ათეული წელი დაჰყო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იოჰანმა დაწერა ნაშრომი, რომლის შენიშვნებშიც დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს. მართალია, ნაშრომში ბევრი რამ სადავო და მიუღებელია, მაგრამ მას მაინც გარკვეული ღირებულება აქვს როგორც ისტორიულ წყაროს¹⁹.

უნგრეთის მეფის ეიგმონდის კარის პოეტმა ოსვალდ ფონ ვოლკენ-შტაინმა, რომელიც წარმოშობით ტიროლელი იყო და უნგრეთის ისტორიაში საკმაოდ ცნობილ ფერენც რაკოცი II-ეს არცთუ ისე შორეულ წინაპრად მოხვდებოდა, ახალგაზრდობისას მოგზაურობის დროს კავკასიაშიც მიაღწია, მართალია, მას მოგზაურობით გამოწვეული შთაბეჭდილებანი არ აღუწერია, მაგრამ სამაგიეროდ შექმნა ლექსები, რომლებშიც საყურადღებო ცნობებს ვხვდებით საკუთარი თვალით ნახული ქვეყნების შესახებ²⁰.

დაახლოებით ამვე ხანას ეკუთვნის ქართველების პირველი მოგზაურობა ევროპაში. ამ ფაქტმა დიდი ინტერესი გამოიწვია 1438—1439 წლებში ფერარასა და ფლორენციის სინოდში. შეიქმნა უაღრესად ხელსაყრელი პირობები ქართველთა და უნგრელთა შორის კეთილსასურველი ურთიერთობის დასამყარებლად.

უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1436 წლიდან ევროპა გარკვეულ

დაინტერესებას იჩენს იმ აზიური ქრისტიანული ქვეყნებისადმი, რომლებიც აღმოსავლურ ორთოდოქსალურ საეკლესიო წესს აღიარებდნენ. ლათინურ ენაზე შექმნილ თხზულებაში — „ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად ბერძენთა სამოქალაქო თუ საეკლესიო გამგებლობაში იმყოფება“²¹ სხვა ქვეყნებს შორის მოხსენებულია იბერიაც. იგი აქ დახასიათებულია, როგორც უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც თავისი ენა და მწერლობა გააჩნია, მიმდევარია ბერძნული ეკლესიისა, მაგრამ ამავე დროს აღმასრულებელია საკუთარი ჩვეულებისა და ჰყავს ეროვნული სამღვდლოება²².

1971 წელს დაიბეჭდა ო. ჟუჟუნაძის უაღრესად საყურადღებო ნაშრომი „ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ისტორიის საკითხები“, რომელშიც შესწავლილ-დამუშავებულია ფლორენციის სინოდალური კრების მონაწილე ქართველთა შესახებ არსებული მასალები²³.

სამწუხაროდ, ამ ნაშრომში არაფერია ნათქვამი სილვესტრო სიროპულისის ახალი, ვ. ლორანის რედაქციით გამოსული მემუარების შესახებ, რომლის სამეცნიერო აპარატურაში ვხვდებით აქამდე უცნობ, საყურადღებო ცნობებს საეკლესიო კრებაზე მიღწეულ ქართველ სასულიერო პირებზე, ეს გარემოება, ცხადია, ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს ო. ჟუჟუნაძის ნაშრომს, რადგანაც სილვესტრო სიროპულისის „მემუარებში“ ლორანისეული რედაქცია 1971 წელს გამოიცა და მას მისი გაცნობის საშუალება არ ექნებოდა.

საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ სასულიერო პირთ ფლორენციის გარდა იტალიის სხვა ქალაქებშიც უმოგზაურიათ²⁴.

1438 წლის 10 თებერვლით დათარიღებულ ერთ-ერთ საისტორიო წყაროდან ირკვევა, რომ ვენეციის ნავსადგურში შევოსულან რომის პაპის გალერები (კატარღები). ერთ მათგანს ჩამოტყვანია საბერძნეთის იმპერატორი თავისი ამალით, მეორეს კი ამავე ქვეყნის პატრიარქი და მრავალი წარჩინებული პირი... სომხეთიდან, საქართველოდან და რუსეთიდან²⁵. მოიპოვება, აგრეთვე ვენეციის დოკუმენტები, რომლებშიც ვხვდებით ცნობებს საქართველოზე, კერძოდ კი მის სახელმწიფოებრივ მმართველობასა და უძველეს საეკლესიო ჩვევებზე²⁶ არა-

2. ლ. ტარდი.

ნაკლებ საინტერესოა ნიკოლა იორგას მიერ შეკრებილი²⁷ ვატიკანის საანგარიშო მოხსენებები. მათში დაცულია ცნობები ფლორენციის საეკლესიო კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული ქართველ და უნგრელ სასულიერო პირთა შესანახად გადახდილი თანხების შესახებ. ექვს გარეშეა, რომ საეკლესიო კრების მუშაობის პერიოდში ამ ორი ერის წარგზავნილთა შორის გარკვეული ურთიერთობა დამყარდებოდა²⁸. აღსანიშნავია, რომ სინოდის გახსნისას ფერერასა და ფლორენციაში თურქებს ტყვედ ჩაუგდიათ ერთ-ერთი უშესანიშნავესი ეპოქალური ლიტერატურული ნაწარმოების „თურქების ზნე-ჩვეულებათა ტრაქტატის“²⁹, ავტორი, რომელიც ეროვნებით უნგრელი იყო. მასში მოტანილია მოკლე ცნობები საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სასშებმეული ანონიმ ავტორზე მრავალი შემოვლითი ცნობა მოგვეპოვება, მისი ვინაობა, სამწუხაროდ, დღემდე დაუდგენელ-შეუსწავლელია³⁰. 1438 წელს, როცა იგი ჯერ კიდევ 16 წლისაც არ იყო, მონობაში ჩავარდა. ეს მოხდა თურქეთის სულთნის მურად II აურაცხელი ლაშქრის ტრანსილვანიაში შეჭრისა და მის მიერ ქალაქ სასშებმის აღების შემდეგ. ბორკილებდადებული ყმაწვილი თურქებს ანდრიაპოლში წაუყვანიათ და მონათა ბაზარზე გაუყიდიათ. თავისი თხზულების წინასიტყვაობაში იგი წერს, რომ 1488 წლის დამდეგიდან 1458 წლამდე ყველაზე მძიმე განსაცდელი და ენით აუწერელი ტანჯვა-წამება გადაუტანია. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ რომში დასახლებულა და იქ დაუწერია ზემოაღნიშნული თხზულება, რომელიც მრავალჯერ გამოიცა ლათინურად და შენგე კი გერმანულად.

ამ ანონიმი ავტორის შრომიდან თვალნათლივ ჩანს ისლამის ტყვეობაში გამოვლილ-გამოწრთობილი კაცის დიდგანსწავლულობა და სამხედრო საქმის ღრმა ცოდნა. სამაგიეროდ, ამოუცნობი რჩება თურქეთის იმპერიის რომელ რაიონებში შოუხდა მას მოგზაურობა ტყვეობის პერიოდში, ერთი რამ კი ცხადი ხდება, რომ მონობის დიდი ნაწილი მცირე აზიაში გაუტარებია.

„თურქების ზნე-ჩვეულებათა ტრაქტატი“ ლათინურად დაახლოებით 1500 წელს გამოიცა. გერმანულად იგი ნიურნბერგში

გამოვიდა. მას დართული აქვს მარტინ ლიუთერის წინასიტყვაობა³¹. თხზულების XXX თავში³² დაწვრილებითაა აღწერილი თურქეთის მეზობლად მცხოვრები ხალხები, მათ შორის, განსაკუთრებით დადებითად არიან დახასიათებული ქართველები. «ქართველებმა (გეორგიანელებმა), — ნათქვამია მასში, — ეროვნული სახელწოდება წმინდა გიორგისაგან მიიღეს, რომელიც ომის დროს თავიანთ შემწედ და მფარველად მიაჩნიათ. მეტად ბრძენნი არიან. მოსაზღვრე სპარსელებისაგან, მიდიელებისა და სირიელებისაგან სისასტიკითა და სიმკაცრით გამოირჩევიან. ეკლესიებში ბერძნულ ენაზე სწირავენ, საღვთო საიდუმლოებასაც ბერძნული წესით ასრულებენ. მათი მღვდლები მრგვალ ტონსურას ატარებენ, ერისკაცნი კი — ოთხკუთხედს. წმინდა მიწაზე ფეხის დადგმისას გადასახადს არ იხდიან, არც სარჩო-საბადებელზე, ხარკს არ აძლევენ არაბებს; იერუსალიმში გაშლილი დროშით შედიან, ყელზე სამხედრო ემბლემებს ატარებენ. ამიტომაც არის, რომ არაბებს (სარაციანელებს, სარკინოზებს) მათი ძალზე დიდი შიში და რიდი აქვთ. ქართველი ქალები მამაკაცებივით მონაწილეობენ ომებში. ისინი წოწოლა ქუდებს ატარებენ. სულთანი უმაღლე უსრულებს ქართველებს ყოველგვარ თხოვნას. დარბაისლური ჩვევების გამო მათ ღირსეული ადგილი უკავიათ ყველგან»³³.

საქართველო, როგორც გეოგრაფიული სახელი ხშირად გვხვდება ევროპის ქვეყნების საკანცელარიო დოკუმენტებში, სხვადასხვა სახის საარქივო-სააღრიცხვო წყაროებში, ცალკეულ ჰუმანისტთა თხზულებებში. საქართველოს შესახებ ცნობებია შემონახული, მაგალითად, ქალაქ გენუის მთავრის პეტრუს ფრეგოსკუსის მიერ არაგონის მეფე ალფონსისადმი გაგზავნილ წერილში. მასში იგი ითხოვს მიღებულ იქნეს რაიმე ღონისძიება კავკასიისა და მათ შორის, ცხადია, საქართველოს მიმართაც³⁴. 1461 წელს ანგელუს ვაღპუსი თავის მეგობარ ჰუმანისტ რობერტო ვალტურიოს კონსტანტინოპოლიდან ატყობინებს ოსმალ-ქართველთა ბრძოლაზე და აღნიშნავს სულთნის რაზმების გამარჯვებას კოლხეთის რაიონებში³⁵.

ევროპელთა ყურადღება საქართველოს და ქართველების მიმართ თანდათანობით სულ უფრო მეტად იზრდება. ქართველ წარჩინებულ პირთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია პაპ პიო

II-ის³⁶ წაქეზებით ევროპაში ჩადის ლუდოვიკო ბოლონიელის თანხლებით, რომელსაც განზრახული აქვთ გამოთქვას ახლად-ჩამოყალიბებულ ლიგაში შესვლის სურვილი და მოუწოდოს ურთიერთმოწინააღმდეგე გავლენიანი წრის წარმომადგენლებს ერთიანი ძალით შეებრძოლონ ოსმალებს.

ქართველთა ამ დელეგაციის საქმიანობა დღეს უკვე კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. რამდენიმე წლის წინათ მოკლე საცნობარო ნაშრომი გამოაქვეყნა ამ დიპლომატიური დემარშის შესახებ ე. ბრაიერმა³⁷.

ესოდენ დიდი დაინტერესება მკვლევართაგან ზემოაღნიშნული დელეგაციის ევროპაში ჩამოსვლისადმი გასაგებია, რადგან მან უაღრესად დადებითი როლი შეასრულა ვენეციასა, საქართველოსა, სპარსეთსა და უნგრეთს შორის ურთიერთ დაკავშირება-გაცნობაში ჯერ კიდევ უზუნ-ჰასანის გამგებლობის პერიოდში.

ქვეყნის ძალა-უფლების ხელში აღებიდან ათი წლის შემდეგ უზუნ-ჰასანი ოსმალეთის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე ხდება. 1458 წელს ტრაპიზონის უკანასკნელმა იმპერატორმა დავით კომნენმა უზუნ-ჰასანს გულის მოგების მიზნით ცოლად ღიათხოვა თავისი ღვიძლი ძმის ასული, რის შედეგადაც ამიერიდან მკიდრო კავშირი დაამყარა სპარსეთსა და პატარა ქრისტიანულ სახელმწიფოს ტრაპიზონს შორის, რომელსაც თავის პხრივ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ვენეციასთან.

რომის პაპ პიო II-ის სახელით ცნობილი ქ. სიენას ეპისკოპოსი ენეას სილვიუს პიკოლიმონი, 1454 წლის ზაფხულში თავის უკანასკნელ მეგობარს, ეპისკოპოს ნადვარადეში იანოზ ვიტეზს ატყობინებდა, რომ დადგა დრო მთელი მსოფლიო გაერთიანებულიყო თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მხრივ, — წერდა იგი, — „უნგრეთთან, რუსეთთან, გერმანიასთან ერთად შეიძლება იმედი ვიქონიოთ პაპის, ვენეციის, გენუის, ტრაპიზონის იმპერატორისა და ქართველთა მეფესი“³⁸. 1458 წელს პაპ პიო II-ის მიერ წარგზავნილი ლუდოვიკო და ბოლონია საქართველოში თურქეთის საწინააღმდეგო ერთობლივ გამოსვლას ამზადებს.

1459 წელს პაპი პიო II იწვევს მანტუას კონგრესს, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა გამოენახა საქართველოსთან

ახლო ურთიერთობის გზები. XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ცნობილი უნგრელი ისტორიკოსი იგნაც აურელ-ფესლერი რაისნერის³⁹ მიერ შეკრებილ მასალებით ქართული სახელმწიფოების უნგრეთთან, ვენეციასთან და ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების მიზნით შემდეგნაირ სავარაუდო წარმოდგენას გვთავაზობს: „აზიაში შექმნა მაჰმადის წინააღმდეგ მიმართული უზარმაზარი კავშირი, — წერს იგი, — რომლის წევრებაც მზად არიან ევროპელ მონარქებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულებმა იმოქმედონ. ამ კავშირში შედის: ტრაპიზონის იმპერატორი დავითი 30 კატარლით 50.000 კაცი, სპარსეთის მეფის გიორგის (უნდა ვიგულისხმობთ ქართლის -- ლ. ტ.) 40.000 კაცი, სამეგრელოს მეფე ბედია 60.000 კაცი, აფხაზეთის მმართველი რაბია 30.000 კაცი. ამის შესახებ გამოაცხადეს მანტუს კონგრესზე.

ამით აღფრთოვანებულმა უნგრელმა ელჩებმა თავიანთ მხრივ კავშირის მონაწილეებს 40.000 კაცის გამოყვანა შესთავაზეს⁴⁰.

დრო გავიდა. ქართველი ელჩები ევროპისაკენ მიისწრაფვიან ლუდოვიკო და ბოლონიას თანხლებით. მათ საკმაოდ დიდი გზა განვლეს ზღვით და ბოლოს დუნაით შევიდნენ უნგრეთში⁴¹. ქართველმა ელჩებმა შედარებით დიდხანს დაყვეს აქ. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: ლუდოვიკო და ბოლონიას იმდენი დროც კი ჰქონია, რომ საეკლესიო-სალეთისმსახურო ცერემონიალთა შესრულებაც მოასწრო, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. ამიტომ პაპს მისთვის პასუხი უგებიანება⁴². იგნაც აურელ ფესლერი ქართველ ელჩების მიერ უნგრეთში გამართული მოლაპარაკების შესახებ წერს: „უნგრეთში მეფემ გულითადი მიღება მოუწყო და მოლაპარაკების შემდეგ ერთდროულად წამოწყებული საქმის სასურველ წარმატებაში ოპტიმისტურმა იმედმა შეიპყრო ყველა“⁴³. ოპტიმისტურმა განწყობილებამ გავრცელება ჰპოვა მთელ შუა ევროპაშიც. მაგალითად, ქ. ულმის ბურგომისტრმა 1458 წელს მიიღო წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო საქართველოს მონაწილეობა თურქეთის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციებში მნიშვნელოვანი ძალებით⁴⁴.

მართალია, მანტუს კონგრესს არავითარი კონკრეტული შე-

დეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ამით ევროპასა და აზიაში გავრცელებულ ურთიერთკავშირის განმტკიცების იდეას არსებობა მაინც არ შეუწყვეტია. უზუნ-ჰასანი აღმოსავლეთის კავშირის სელმძღვანელი გახდა, ხოლო ქართველ დიპლომატთა ინიციატივით ახალი პერიოდი დაიწყო სპარსელების, ქართველების, ვენეციელებისა და უნგრელების ურთიერთობაში.

1471 წლის 12 აპრილს უნგრეთის მეფეს მათიაშს ვენეციიდან თავისი ელჩი ატყობინებდა: საქართველოს მეფის კონსტანტინეს ელჩები ჩამოვიდნენ და განგვიცხადეს, მას შემდეგ რაც მათი ქვეყნის განმგებელმა უზუნ-ჰასანთან შეთანხმებას დადგინა, გადაწყვიტა თურქეთის მოწინააღმდეგე ბანაკის დაქვემდებარებაში შეიყვანოს 30.000 ცხენოსანიო. ამასთანავე თვით უზუნ-ჰასანსაც ჰყავდა დიდძალი ჯარი⁴⁵. ამ დროიდან ეყრება საფუძველი ქართველთა და პოლონელთა თანამშრომლობას⁴⁶.

1471 წლის 22 აპრილით დათარიღებულ ვენეციის სინიორიის მიერ სიცილიის მეფის კარზე მყოფ ელჩებისადმი გაგზავნილ წერილიდან ვგებულობთ, რომ ვენეციაში ჩამოსულა ახალი დელეგაცია პოლონელი, ქართველი და უზუნ-ჰასანის ელჩების შემადგენლობით⁴⁷. ყურადღებას იქცევს, აგრეთვე ვენეციის სახელმწიფო საბჭოს მეორე წერილი⁴⁸, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოდან გამოუგზავნიათ კიდევ მეორე დელეგაცია, მაგრამ ამჯერად უკვე არა „ზორზანის“ მეფის კონსტანტინეს განკარგულებით, არამედ „იბერიის“ მეფის ალექსანდრესი. აღსანიშნავია ის ერთგვარი სხვაობა, რომელიც უზუნ-ჰასანისა და ქართველ მეფეების ტიტულატურაში შეინიშნება. ზემოხსენებულ წერილებში პირველად იხსენიება უზუნ-ჰასანი და იწოდება იგი „ილუსტრისიმუსის“, ე. ი. „უბრწყინვალესის“, ანუ „უწარჩინებულესის“ ტიტულით, ხოლო შემდეგ უკვე ფიგურირებული არიან ქართველი მეფეები „სერენისიმუსის“, ანუ „უდიდებულესობის“ წოდებით. მეორე წერილიდან ჩანს აგრეთვე, რომ ვენეციის სახელმწიფო მოღვაწენი აღმოსავლეთელ მოკავშირეებზე დიდ იმედს ამყარებდნენ, რადგანაც მათ თოფებით შეიარაღებული დიდძალი სამხედრო ლაშქარი და ცხენოსანი არმია ჰყავდათ. ამასთანავე, ვენეციის გამგებელთ კარგად სცოდნიათ თურქების სამხედრო

ხერხები და „შეურიგებელი სიძულვილით ყოფილან აღვსილნი თურქეთის ბოროტი და სასტიკი იმპერატორის მიმართ“. წერილი პაპს აცნობებდა აგრეთვე, რომ დეპუტაცია მიემგზავრებოდა ორი უდიდესი მბრძანებლის, თურქეთის სულთნის რიერ აღიარებული მაჰმადის მოსისხლე მტრების უზუნ-პასანი-სა და საქართველოს მეფის ალექსანდრეს მოსანახულებლად. აქვე ვგებულობთ, რომ პაპსაც კავშირი დაუმყარებია ამ ორ უკანასკნელ გამგებელთან.

ქართველების, ვენეციელებისა და უნგრელების ურთიერთობის დამყარების შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით ცნობილი მოგზაურების ექიმ ისაკ-ბეკის, კატერინო ძენოსა და პაოლო ონიბენეს ჩანაწერებში⁴⁹. 1471 წლის 10 სექტემბერს ვენეციის საბჭოს სათანადო ინსტრუქცია მიუცია თავისი ელჩის კატერინო ძენოსათვის, რომელიც სპარსეთსა და საქართველოში მიემგზავრებოდა არაოფიციალური დიპლომატიური მისიით. ინსტრუქციის თანახმად მას დავალებული ჰქონია: რამდენადაც დრო და გზაში მგზავრობა საშუალებას მისცემდა, პირადად მოენახულებინა ქართველთა მეფე, აეხსნა მისთვის მოგზაურობის დანიშნულება და გადაეცა ქვეყნის გამგებელთა რეკომენდაცია და პატივისცემა. „ალაფრთოვანე და გაამხნევე ქართველთა მეფე ისეთი სიტყვებით, რომელსაც შენი სიბრძნე შესაბამისად მიიჩნევს“, — ავალბდა ინსტრუქცია კატერინო ძენოს⁵⁰.

პოლონელი კანცლერის, იტალიელ ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ფილიპო ბუონაკორსის, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა უნგრეთში და როგორც ჰუმანისტი კალიმან ფილიპ ექსპერიენსის გვარსახელს ატარებდა (1437—1496), შრომიდან ვგებულობთ, რომ პოლონეთში ჩასულმა ძენომ აქედან კაფამდე პოლონეთის მეფის მცველთა რაზმით იმგზავრა, კაფაში გემში ჩაჯდა და სებასტოპოლში (სოხუმში) ჩავიდა.

ბევრ საინტერესო ცნობას ვხვდებით კალიმანის თხზულებაში, როგორც ძენოს მოგზაურობის შემდგომ ამბებზე, ასევე ქართველი მეფის ძლიერებაზე⁵¹. ეს უკანასკნელი სარწმუნოებით ქრისტიანი ყოფილა და უზუნ-პასანთან ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა. მას შესაძლებლობა ჰქონია გამოეყო თანმხლები პირები ძენოსთვის დანიშნულების ადგი-

ლამდე მისაცილებლად სომხეთისა და მიდიის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც საქართველოსა და სპარსეთს ეკუთვნოდა, რომლებიც პოლონეთისა და საქართველოს შედეგებმა უზრუნველყვეს თანმხლებ პირთა შემწევობით ძენის სპარსეთის შაჰამდე უვნებლად მიცილება. ძენომ იგი დაიწყო შიდა შიგნით და ზემოაღნიშნულ კავშირს. ამასთან, სთხოვა შაჰს გაეგზავნა ელჩი ვენეციის სენატთან მოსალაპარაკებლად, რათა გაერკვია როდის, სად და როგორი ლაშქრით უნდა მიეტანათ ორმხრივი იერიში მტერზე⁵². ძენოს ელჩობის ცნობებიდან ჩანს, რომ უზუნ-ჰასანი ევროპულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის მომხრე ყოფილა. მერყევი ხასიათის უზუნ-ჰასანი, თავის ცოლმა, ტრაპიზონის იმპერატორის ასულმა ამხედრა თურქების წინააღმდეგ. ძენოს ჩანაწერებიდან ირკვევა რომ ომი სპარსელებმა კი არ დაიწყეს, არამედ ყვარყვარე ათაბაგმა გააჩაღა, უზუნ-ჰასანის პირადი თხოვნით⁵³.

აზიელი მოკავშირენი უზუნ-ჰასანი და ქართველთა მეფე ნდობით უყურებდნენ არა მარტო ვენეციას, არამედ უნგრეთსაც, რასაც მოწმობს 1472 წლის 27 ოქტომბერს სტამბოლში შედგენილი წერილი. ამ საბუთის თანახმად 13 სექტემბერს სულთანთან მიუყვანიათ უზუნ-ჰასანის ელჩი, რომლებსაც წერილი მიჰქონდათ უნგრეთის მეფესთან. სულთანი მათ სიცოცხლის შენარჩუნებას შეჰპირდა, თუკი ისინი გაანდობდნენ უნგრეთის მეფისა და უზუნ-ჰასანის დამოკიდებულებას თურქეთისადმი. ელჩებმა სულთანს აუწყეს, რომ უზუნ-ჰასანი მზად იყო ყოველ წუთს მხარში ამოსდგომოდა უნგრეთის მეფეს თურქეთის წინააღმდეგ. გადაწყვეტილი იყო აგრეთვე ამ ორ მოკავშირეს იერიში მიეტანა სულთნის სამფლობელოზე წინააღმდეგ დათქმულ დროს⁵⁴. ამავე წერილში შემონახულია ცნობები უზუნ-ჰასანისა და ქართველების თანამშრომლობაზე⁵⁵.

მას შემდეგ, რაც თურქებმა სასტიკად დაამარცხეს უზუნ-ჰასანის ლაშქარი ერზინჯანის მისადგომებთან, სულთანმა, რომელსაც არ სურდა ევროპელი მოკავშირეების თვალში ნდობა დაეკარგა, საკუთარი ელჩის უფლებებით აახლა კატერინო ძენო უნგრეთისა და პოლონეთის მეფეებს, აგრეთვე ვენეციის სინიორიას. ძენო სპარსეთის სულთნის კარზე მყოფი უნგრეთ-

პოლონეთის ელჩებთან ერთად თურქეთიდან ევროპაში გამოემგზავრა საქართველოზე გავლით.

ძენოს შენიშვნებმა ჩვენამდე სრულყოფილი სახით ვერ წაადწია. ამიტომ, იქიდან ძალზე ცოტას ვგებულობთ მისი საქართველოში ყოფნის შესახებ. XVIII საუკუნეში ვენეციელმა ვინჩენცო ფორმალეონიმ ძენოს საარქივო მემკვიდრეობა დაამუშავა, მაგრამ მისი ზემოაღნიშნული მოგზაურობის სრული სურათი მაინც ვერ აღადგინა⁵⁶. ამ საქმის მოგვარება ვერც ვენეციელ მოგზაურთა ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა პლახიდო ზურლამ შეძლო⁵⁷.

პოლონეთში ჩასული ძენო იქ, ვენეციის ახალ ელჩს პაოლო ოგნიბენეს შეხვედრია. ოგნიბენე საქართველოსა და სპარსეთში მიემგზავრებოდა. შეხვედრისას ძენოს ოგნიბენესათვის გადაუცია უზუნ-ჰასანის, ყვარყვარე ათაბაგისა და სამეგრელოს მთავრისათვის განკუთვნილი წერილები, რომლებშიც აღნუსხული იყო პოლონეთის მეფესთან მისი მოლაპარაკების შედეგები⁵⁸. პაოლო ოგნიბენესთან შეხვედრის შემდეგ ძენო პოლონეთში დიდხანს აღარ დარჩენილა. ახლა მას გეზი უნგრეთის დედაქალაქისაკენ აუღია. აქ მას ანგარიში წარუდგენია მეფე მათიაშისათვის სპარსეთსა და საქართველოში გაწეული საქმიანობის შესახებ, რისთვისაც მას მეფემ ჯილდოდ რაინდის წოდება უბოძა⁵⁹.

ძენოს შენიშვნების პირველ წიგნში⁶⁰, ე. ი. ჩვენამდე მოღწეული შენიშვნების ნაწყვეტებში⁶¹, მოცემულია სპარსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობის ანაღაზი, რომელშიაც 1473 წლამდე ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას⁶². მეორეში კი მოთხრობილია უზუნ-ჰასანის სიკვდილის შემდგომი ამბები⁶³.

ვენეციელი დიპლომატი პაოლო ოგნიბენე, რომელიც წარმოშობით ალბანელი იყო, ორჯერ შეხვდა საქართველოსა და სპარსეთის გამგებელთ. საქართველოსაკენ პირველად იგი 1474 წელს გაემგზავრა. ამ დროს შეხვდა იგი პოლონეთში კატერინო ძენოს, რომლისგანაც მიიღო ყვარყვარე ათაბაგისა და სამეგრელოს მთავრისათვის გადასაცემა წერილები⁶⁴. მეორედ საქართველოში იგი 1480 წელს გაემგზავრა. მისი დღეუ-

რი ამ მოგზაურობის შესახებ დაცულია ვენეციის არქივში და დღემდე გამოუქვეყნებელია.

1474 წელს ვენეციაში ჩადიან კახეთის მეფის გიორგი VIII ელჩები, რომლებიც იმავე წლის 16 ივნისს დიდის ზარ-ზეამით მიიღო რესპუბლიკის მმართველობამ. აქედან ქართველი წარგზავნილება რომსა და ნეაპოლში მიემგზავრებიან⁶⁵. სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული საქართველოს მმართველნი ევროპის სახელმწიფოებთან კავშირის დამყარებას ცდილობდნენ, მაგრამ მათ მიერ ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები საბოლოოდ უშედეგოდ რჩებოდა. ეგოიზმით აღსავსე, ერთმანეთის მოქიშპე ქრისტიანულ სახელმწიფოთა მმართველ წრეებს ერთმანეთში გაჩაღებული სისხლისმსმელი ომების შედეგად, ანტიოსმალური, ერთიანი ფრონტის შესაქმნელად აღარ ეცალათ. მათა დანებარება მეზობელ მაკმადიანურ სახელმწიფოსთან მეზობელ საქართველოსადმი მარტოოდენ სიტყვიერი დაპირებითა და უმნიშვნელო რაოდენობის იარაღის მიწოდებით (გენუისა და ესპანეთის მეფეთა მხრივ) განისაზღვრებოდა⁶⁶.

მეფე მატააშის გამგებლობის დროს პირველად იბეჭდება უნგრელი ავტორების შრომები სტამბის დაარსებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ.

საქართველოსა და ქართველთა ხსენებას ვხვდებით იმდროის შესანიშნავი უნგრელი ისტორიკოსის იანოშ ტუროცის ქრონიკაში, რომელიც 1488 წელს დაიბეჭდა⁶⁷. ავტორს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აღორძინებას პერიოდში უნგრეთის მეფის კარზე. იგი მსაჯულად იყო ვიცე-კანცლერ ტამაშ დრაგისთან. როგორც ტუროცი აღნიშნავს, ტამაშ დრაგი დაინტერესებულია ყოფილა უნგრეთის წარსულით, უმეტესად კი უნგრელების წარმოშობითა და მათი პირველი სამშობლოთი. დარწმუნებულია თუ არა, რომ ისტორიული წყაროები სდუმან უნგრელთა პირველი სამშობლოს შესახებ, ტამაშ დრაგის შეგულიანებათ, ტუროცს ხელი მოუყიდა უფრო ადრინდელი წყაროების შესწავლისათვის. ამ მიზნით მას უსარგებელია ისეთი შრომებით, რომლებიც მისი წინამორბედებისთვის უცნობი ყოფილა. ტუროცი თავის შრომაში⁶⁸ აშკარად ხაზს უსვამს სკვითებისა და ჰუნების ერთაანობას. აქ მისთვის მთავარი წყარო იყო ენეა, სილვია, ე. ი. პაპ პიო II-ის

ისტორიულ-გეოგრაფიული ენციკლოპედია⁶⁹. ეს ნაშრომა ძირითადად პტოლომეოსს, სტრაბონს, პლინიუსს და სხვა კლასიკოსს, აგრეთვე შუა საუკუნეების ზოგიერთ მწერალს ეყრდნობა.

როგორც კლემერ მაიუსმა დაადგინა⁷⁰, ტუროცმა, როცა იგი ენეა სალივიაზე მუშაობდა, თავს ნება მისცა მკითხველის ყურადღება მიექცია უნგრელთა პირველი სამშობლოსათვის, მისი ლოკალიზაციისა და უნგრეთის მეზობელ-ნათესავთა ბედის პრობლემებისათვის. ანაოშ ტუროცი ასეთ ნათესავებად და მეზობლებად მიიჩნევს ქართველებს, რომლებსაც უნგრელთა ძველი კულტურის ძეგლების თანახმად მიწისადმი სიყვარულის, ნიადაგის კარგი დამუშავებას უნარით ახასიათებს⁷¹. იგი სწავლობს კავკასიის მთის მასივებს, რიონს⁷² სკვითების მთავარ მდინარედ მიიჩნევს და აქვე დასძენს: არავის ეჭვი არ უნდა დაებადოს იმაში, რომ უნგრელების წინაპართა სამშობლო სკვითეთიაო⁷³.

ტუროცის სამეცნიერო შრომას სწავლობდნენ და სწავლობენ უნგრელ ისტორიკოსთა თაობები. წინამდებარე ნაშრომში მას ვეხება იმდენად, რამდენადაც 1488 წელს დაბეჭდილი მისი წიგნი წარმოადგენს პირველ უნგრულ გამოცემას, რომელშიც ქართველები, როგორც უნგრელების ნათესავები ისე იხსენიებიან. ტუროცის ცნობები ქართველებს შესახებ შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს. ამიტომ, მას ქვევით კვლავ შევეხებით, როცა იოჰან შენერის მიერ 1515 წელს შედგენილ ატლასს განვიხილავთ. აღნიშნული წიგნის ღირებულებაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი ხელმეორედ დაიბეჭდა.

საბედნიეროდ, ტუროცი პირველი არ არის, რომელიც უნგრელების სკვითებისაგან წარმოშობას საკითხის კვლევით ყოფილა დაინტერესებული. ამაზე ნათქვამია ყველაზე ადრეულ „ტექსტიმც“. უნგრელი ისტორიკოსის დერდი დერფის⁷⁴ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში სასტემამშია მოყვანილი აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული მთელი მასალა. აქ იგი დაწვრილებით ეხება უფრო ძველი პერიოდისა და ამ ეპოქის ლიტერატურას, რომელშიაც ლაპარაკი XIII საუკუნის საქარ-

თველოში მცხოვრები უნგრელი ხალხის შთამომავალთა ბედ-
იღბალზეა⁷⁵.

მეფე მათიაშის სამეფო კარის მოძღვარი იანოშ ლაზოი (1448—1523) საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ პალესტინასა და ეგვიპტეში სალოცავად და დიპლომატიური მისიით მოგზაურობისას ქართულ კულტურასა და ქართველებსაც გასცნობია⁷⁶. ლაზოი გზას გაუდგა 1483 წლის ენისის დამდეგს. ვენეციაში აგი გემში ჩაჯდა, ჩაუარა კვიპროსს, როდოსს და იაფაში ჩავიდა. მან თავის თანამგზავრებთან — ულმელი დომინიკელ ბერთან ფელიქს ფაბერთან ერთად მოინახულა არა მარტო იერუსალიმისა და ბეთლემის ჩვეულებრივი სალოცავი ადგილები, იყო აგრეთვე წმინდა ეკატერინეს საფლავზე, შემდეგ დიდხანს დარჩა კვიპროსსა და სხვა ქალაქებში, სადაც დიდად საინტერესო დაკვირვება მოახდინა უნგრული და ჩერქეზული წარმოშობის მამლუქებზე.

იანოშ ლაზოის მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს თავის შრომაში ფაბერი⁷⁷. მასში ბევრ საინტერესო ცნობას ვხვდებით ქართველებზე. ფაბერის ზოგადა ხასიათის გამოკვლევები ქართველებზე უმთავრესად ეყრდნობა იაკობ დე ვიტრიაკის თხზულებას, რომელსაც არ ასახელებს და თანაც, თავის მხრივ რამდენიმე უხეშ შეცდომას უშვებს. იგი აღწერს თუ როგორი მორწმუნე ქრისტიანები არიან ქართველები და რა წმინდა ადგილები გააჩნიათ იერუსალიმის მემორიალურ ტაძარში. ფაბერის გადმოცემით ქართველები ქრისტიანები არიან, მაგრამ თავიანთი შეცდომების გამო ბერძნებივით გაყოფილი არიან. უფლის საფლავის ეკლესიაში მათ ეკუთვნით გოლგოთის მთა, მუდმივად ჰყავთ წმინდა კლდის მცველი. ეს წმინდა ადგილი 15 წელიწადია, რაც ქართველებს ეკუთვნით, მათივეა აგრეთვე წმინდა ჯვრის მღვიმე. იქ დგას სამი შანდალი, რომელსაც ძალზე იშვიათად ანთებენ. ქართველთა საკუთრებას წარმოადგენს გოლგოთის მთის ძარას მდგარი კაპელაც, რომელშიც განისვენებს იერუსალიმის ლათინელ მეფეთა: ბუილონ გოდეფრედის, ბალდიუნ II, III-ის, ფულო IV-ისა და სხვათა ნეშთნი⁷⁸.

ცნობილმა ჩეხმა პოეტმა და ფილოსოფოს-ჰუმანისტმა ბოგუსლავ ლობკოვიც-ჰასენშტაინმა ფერარის უნივერსიტეტი

დაამთავრა, რის შემდეგაც დიდხანს იმოგზაურა; შემოიარა ეგვიპტე, მცირე აზია და შესაძლებელია მოახსულა საქართველოს ზოგიერთი კუთხეც⁷⁹. ამ მოგზაურობიდან იგი 1492 წელს⁸⁰ ბუდაში დაბრუნდა. თავის ერთადერთ თხზულებაში, რომელიც მისსავე სიცოცხლეში დააბეჭდა⁸¹, იგი აღწერს ხე-მოაღნიშნულ მოგზაურობას. აქ სოგუსლავი საქართველოს ნაცვლად იხსენიებს გირკანიას⁸². შემდეგ თხზულებაში ჩართულია რამდენიმე ეპიკური ლექსი, რომლებშიც მოუწოდებს მწერალი ევროპის ქვეყნის მმართველთ მონაწილეობა მიიღონ ოსმალეთის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში. ამასთან, აქვე იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პოლონეთის მეფეზე და სთხოვს მას დახმარება აღმოუჩინოს კავკასიის ქვეყნებს. ამ ლექსებში მოხსენიებულია „სომხეთი“⁸³, კოლხიდა, ქალაქი ფასისი (ფოთი). ერთ-ერთ ლექსში ნათქვამია: „შენ როგუცემა კოლხეთის ქალაქი ფასისი; მტრისაგან ცეცხლწაკიდებული შენი კედლები ბრწყინავენ... გარემომცველი მანქანები შემუსრავენ შენ მაღალ კედლებს და ტყვედ გარეკავენ საცადავ ხალხს, ბავშვებს და მოხუცებს“⁸⁴. ერთ-ერთმა ბიოგრაფმა სახობრო ლექსი უძღვნა ბოგუსლავს, როგორც შესანიშნავ ჰუმანისტს, პოეტსა და მოგზაურს. აღსანიშნავია, რომ მასში ვხვდებით აგრეთვე ცნობებს ქართველებზე⁸⁵.

უნგრეთის მეფის მატიაშის სასახლის კართან მრავალწლის მანძილზე ახლო ურთიერთობა აკავშირებდა რენესანსის ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეს, თვალსაჩინო იტალიელ ფილოსოფოსსა და ისტორიკოსს მაფეო მაფეის (1445—1532), რომელიც დაბადების ადგილის მიხედვით ვოლატერანად იწოდებოდა. იგი იყო რომის პაპის ლეგატის და კარდინალ იოანე არაგონელის მდივანი. ვოლატერანს ბავშვობიდანვე ბევრი რამ სმენოდა კავკასიის ქვეყნების შესახებ. ამას იგი უმადლოდა თავის მამას, რომელიც პაპის კარზე მოხელედ მუშაობდა და როგორც უცხო ენების მცოდნე 1438—1439 წლებში ფლორენციის სინოდში მთარგმნელობითი სამსახურის ხელმძღვანელად ითვლებოდა. გარკვეულ პერიოდში იგი კავკასიის ქვეყნებიდან ჩამოსულ დეპუტაციაზე ყოფილა მიმავრებული⁸⁶.

მამის გარდა ვოლატერანისათვის კავკასიის ცნობები მიუწოდება აგრეთვე თავის მასწავლებელს გიორგი ტრაპიზონელს⁸⁷. 1477—1480 წლებში იგი უნგრეთის დედაქალაქში ცხოვრობდა⁸⁸. აქ მოხვდა იგი ჰუმანისტების წრეში, რომელსაც პირადად მეფე მფარველობდა.

ოჯახში დაბრუნებისთანავე ვოლატერანი იწყებს მწერლობას. იგი წერს თავის ყველაზე უფრო მეტად განმავრუბულ შრომას „კომენტარიას“, რომლის XIII თავში ვხვდებით შემდეგ სათაურებს: „კოლხეთი“, „იბერია“, „ალბანია“⁸⁹. ავტორი პეროდოტეს, დიონისის, პლინიუსსა და სტრაბონზე დაყრდნობით მოგვითხრობს საქართველოს უძველეს ისტორიასა და გეოგრაფიას. ცალკეული საკითხების ფართოდ გაშუქების მიზნით იშველიებს პტოლემეოსსაც⁹⁰. იგი აღწერს რომაელთა ბატონობას, გადმოგვცემს თუ როგორ მიიღეს ქართველებმა ქრისტიანობა კონსტანტინე დიდის მეფობაში⁹¹, ქართველთა როლს ქრისტიანულ ომებში, მოკლედ ეხება რომის პაპ პიო II-თან⁹² ქართველთა დელეგაციის ჩამოსვლის ამბავს. შემდეგ ჩერდება კავკასიის ალბანიაზე. ტროგუსის მიხედვით მასი მოსახლეობა მას იტალიიდან გადმოსახლებულად მიაჩნია⁹³.

მატიაშის გარდაცვალების შემდეგ უნგრეთის სამეფო ტახტზე აღის რბილი ხასიათის ულასლო II. მერყევი გამგებლის მიუხედავად უნგრეთი⁹⁴ ოსმალთა მოწინააღმდეგე კოალიციის ცენტრად მაინც დიდხანს დარჩა. მატიაშის საგარეო პოლიტიკა კვლავ ძალაში დარჩა და მან მთელი კონტინენტები მოაჯავა. ამ პერიოდში უნგრელი ელჩი სპარსეთში იმყოფებოდა. რომის პაპი სარგებლობს ამ მომენტით და უნგრეთის მეფის შუამდგომლობით ურთიერთობას ამყარებს სპარსეთის შაჰთან⁹⁵. შესაძლებელია, ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის დესპანი, ბერი კორნელი, რომელიც 1495 წელს ესპანეთში იყო და უკან დაბრუნებისას უნგრეთზე გამოიარა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ანტიოსმალურა კოალიციის შექმნაში. ამაზე ლაპარაკია იასე ცინცაძისა და ვ. ა. ანასტასევიჩის ნაშრომებში⁹⁶.

1495 წლის 30 ივნისს ქალაქ ბურგოსის კანცელარიის მდივანმა ლუის გონსალესსმა შეადგინა ესპანეთის მეფის ფერდინანდისა და დედოფალ იზაბელას პასუხი იმ წერალებზე,

რომელიც მათ „საქართველოს იმპერატორმა“ („იმპერატორ დე ხეორხია“) თავისი ელჩების ნილისა და ზაქარიშის ხელთ გამოუგზავნა. წერილში ფერდინანდი და იზაბელა გულითად მადლობას უძღვნიან საქართველოს მეფეს, რომელსაც კონსტანტინე პანკრატიას უწოდებენ, სიხარულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მეფე ერთგულებასა და პატივისცემას ავლენს კათოლიკური სარწმუნოებისადმი. ამასთან თანაგრძნობას უცხადებენ იმ რბევა-აწიოკებისათვის, რომელიც მისმა ქვეყანამ გადაიტანა და ნუგეშს სცემენ, რომ ქრისტიანი მორწმუნე ხალხება საბოლოოდ გაიმარჯვებენ ურწმუნოებზე. ამის შემდეგ ესპანეთის მმართველები აუწყებენ კონსტანტინეს თუ რაოდენ დაკავებულნი არიან არაბებთან ომითა და ებრაელების განდევნით. გამოთქვამენ მზადყოფნას თავიანთი შეიარაღებული ძალებით გადალახონ ზღვა და თავად აფრიკაშიც კი გაანადგურონ კათოლიკურა სარწმუნოების მტრები. ისინი მალალ შეფასებას აძლევენ კონსტანტინეს წინადადებებს ესპანეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. თავიანთი მხრივ ფერდინანდი და იზაბელა მატერიალურ დახმარებას ჰპირდებიან საქართველოს მეფეს და დასასრულ, წარმატებას უსურვებენ მტრებთან ბრძოლაში⁹⁷.

ამგვარად, მოვედით XVI საუკუნის კარიბჭემდე, რომლის გარიჟრაჟზე საქართველოსაც და უნგრეთსაც ახალი უბედურება დაატყდა თავს: დაეცა ბიზანტია, ტრაპიზონი, სერბია და სხვა ქრისტიანული სახელმწიფოები. ყველგან ბატონობენ მუსულმანები. საქართველო მარტო დარჩა სპარსეთ-თურქეთის გარემოცვაში. ჩვენმა მტრებმა, — ჩაოდა კონსტანტინე, — ბევრი უბედურება მოგვიტანეს. ისინი სამ ძირითად მოთხოვნას გვიყენებდნენ: გადავიხადოთ აუტანელი ხარკი, მათთან ერთად ვიომოთ და მივაღოთ ისლამი⁹⁸.

ასეთსავე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა უნგრეთიც. მატიაშის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ქვეყნის შინაგანი დაშლა, სამხედრო ძალების დაქსაქსვა. ვალახია თურქეთის ხელში ჩავარდა, ქვეყნის შიგნით ფეხი მოიკიდა ოსმალურმა მმართველობამ. ყოველივე ამის შედეგად უნგრეთში თავი იჩინა გლეხთა უკმაყოფილებამ, შინაომებმა. სოფლის მშრომელთა მოძრაობის ჩახშობამ დააუძლურა ქვეყნის ეკონომიკა⁹⁹.

აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნეში შექმნილი საქართველოს მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ შუა ევროპას ქვეყნებს. ამას მოწმობს მთელი რიგი საარქივო მასალები, გამოუქვეყნებელი ხელნაწერები და პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული დოკუმენტები, ცალკეულ დიპლომატთა ჩანაწერები, კონფიდენტთა ცნობები და სხვა, რომელთაც მომდევნო თავში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილავთ.

უნგრეთი და საქართველო XVI საუკუნის
პირველ ნახევარში

ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII თავისი მმართველობის უკანასკნელ პერიოდში, 1466—1476 წლებში, ფაქტიურად მარტო კახეთს განაგებდა. ქვეყანა ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებად დანაწილდა. მაშინ როცა ევროპაში, რუსეთში, ინგლისსა და საფრანგეთში ცენტრალიზებული ხელისუფლება მტკიცე ხასიათს ღებულობდა, საქართველოში სრულადად საწინააღმდეგო პროცესი მიმდინარეობდა.

ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაყოფილ საქართველოში ძმათა სისხლისმღვრელმა შინაომებმა (ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა კახეთი, რომელიც გიორგი VIII-სა და მისი შვილის ალექსანდრის I-ის მეფობის დროს შინაურ აღრევებში არ მონაწილეობდა. კახეთის მეფე საკმაოდ კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდა სპარსეთის შაჰ ისმაილ სეფისთან, რომელმაც 1522 წელს თბილისი და მთელი ქართლი ააოხრა), ქვეყნის შიგნით ჩამოვარდნილმა განხეთქილებებმა დააძაბუნა საქართველოს ძლიერება და ორი დიდი მაჰმადიანური სახელმწიფოს — სპარსეთ-ოსმალეთის სათარეშოდ გახადა.

ამრიგად, XVI საუკუნის დამდეგიდან ცალკეული ქართული ადმინისტრაციული ერთეულები დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდნენ, თავიანთი ორიენტაციით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ და როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას ადგილობრივი პირობების, გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ანხორციელებდნენ. ცხადია, ცნობები საქართველოს შესახებ ევროპაში მოგვიანებით აღწევდა. ამიტომ, იმდროინდელ

უცხოურ წყაროებში მსჯელობას იბერიასა და კოლხეთზე ძველ კლასიკოს მსოფლიო მოაზროვნეთა ცნობებზე დაყრდნობით ვხვდებით. ნიშანდობლივია, აგრეთვე ისიც, რომ იმდროინდელ დიპლომატთა მიმოწერებშიც მხოლოდ ერთიანი საქართველო იხსენიება ძირითადად სამეგრელოს სახელწოდებით. ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების შესწავლის საქმეს ხელს კიდებენ შედარებით გვიანდელი პერიოდის ევროპელი მოღვაწენი.

სამხრეთ უნგრეთში თურქეთთან ომმა მუდმივი ხასიათი მიიღო. 1514 წლის გლეხთა ომებმა, რომლებმაც თანდათანობით მთელი ქვეყანა მოიცვა, ოსმალეთს დაპყრობითი გეგმების განხორციელება გაუადვილა. 1526 წელს, მოხაჩთან უნგრეთის ჯარებმა მომაკვდინებელი დამარცხება განიცადეს. ქვეყნის შიგნით განხეთქილებამ იფეთქა. 1541 წელს თურქებმა უნგრეთის დედაქალაქი დაიკავეს და ქვეყანა საქართველოს მსგავსად ცალკეულ ერთეულებად დანაწილებული აღმოჩნდა¹.

რთული პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდება აღნიშნული პერიოდი ევროპაშიც. ვენეცია ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებას დებს თურქეთთან, ფრანგება დაპყრობით ომს აწარმოებენ იტალიაში. ომის ხანძარმა იფეთქა სხვა ქვეყნებშიც. ცოტა მოგვიანებით საფუძველი ჩაეყარა თურქეთ-საფრანგეთის თანამშრომლობას. იმპერატორ კარლოს V-სა და საფრანგეთის მეფის ფრანსისკ I თაოსნობით ახალმა ომმა იჩინა თავი. ლიუტერანულმა რეფორმაციამ მთელი ევროპა ააფორიაქა. 1524 წელს მთელი გერმანია გლეხთა ბრძოლებმა მოიცვა.

ამ დროს ევროპაში ცნობილი ხდება, რომ სპარსეთის შაჰმა ისმაილ სეფიმ მოახდინა ირანის შეიარაღებული ძალების რეორგანიზაცია, რომელიც გავლენიან პირთა შორის ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის გამართული შინაომების შედეგად დაქუცმაცდა და თურქეთის სულთნის მიმართ მტრულად განეწყო. დასავლეთ ევროპა იმედოვნებდა, რომ მაჰმადიანთა ბატონობას საქართველოს შემწეობით დაამხოებდნენ.

გამოჩენილმა გერმანელმა აუტრისტმა, დიპლომატმა და ისტორიკოსმა ნიკოლაუს რაიზნერმა (1545—1602), რომელიც

იმპერატორ მაქსიმილიანეს კარის პოეტად იყო ნამყოფი, 1598 წელს გამოაქვეყნა დოკუმენტების კრებული². რაიზნერი ვენას ჰუმანისტთა წრის წევრი იყო, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა სამეფო კარის მკურნალი, უნგრელი ისტორიკოსი იანოშ უამბოკი (1513—1584). ამ წრის წევრები იყვნენ, აგრეთვე იმხანად კონსტანტინოპოლში მოღვაწე ცნობილი პარები, რომელთა შემწეობითაც ნიკოლაუსს შეეძლო მოეპოვებინა არა მარტო იქ დაცული ბიზანტიური კოდექსები და სხვადასხვა ხელნაწერები, არამედ სულთნის მნიშვნელოვანი დოკუმენტებიც, რომლებიდანაც ამოეკრიფა მრავალი საყურადღებო მასალა, როგორც სამეფო კარის მოხელეს და წიგნების შეკრეფით გატაცებულ პირს.

რაიზნერს არასოდეს არ უმოგზაურია ოსმალეთში. მაგრამ თუ დაუფიქრებთ, რომ მის მიერ გამოქვეყნებული სულთან ბაიაზეთისა და მისი შვილის სელამის მიმოწერა სინამდვილეს შეეფერება, უნდა ვიფიქროთ, რომ მას ამ მასალების ასლების მიღება შეეძლო სამბუკის, ან ჰუმანისტთა წრის წევრთა მეშვეობით. საერთოდ, კი რაიზნერის ცნობები სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს³.

კრებულში შეტანილი წერილის პირველი ნაწილის მიხედვით მოხუცი სულთანი ბაიაზეთი არ ეთანხმება თავის შვილს, რომ თურქეთმა მახვილი სპარსეთის ნაცვლად მეომარი უნგრელებას წინააღმდეგ მიმართოს. იგი მას სწერდა: „იქნებ დაგავიწყდა თუ რაოდენ წარუმატებლობა განვიცადეთ უნგრელებთან ომში? არ გახსოვს პაპაშენის საბედისწერო ლაშქრობა უნგრეთში? სხვა ქვეყნებთან უფრო შეგიძლია დაიწყო ომი წარმატების მიღწევის დიდი იმედით“⁴.

საპასუხო წერილში სელიმი უხსნის მამას თუ რატომ არ მიიყვანა ბოლომდის აზიური სამხედრო ლაშქრობა და რატომ სურს შეებას დასავლეთს. როგორც წერილშია განმარტებულა სელიმს არ აინტერესებდა უნაყოფო უდაბნო ადგილები, რომლებიც იბერიისა და კოლხეთის მთების მწვერვალებს უყურებდნენ, მას უფრო ფართო ველები იტაცებდა⁵.

რაიზნერის კრებულში შეტანილია აგრეთვე შაჰ ისმაილ სეფის წერილი ვენეციის დოჯისადმი. მასში შაჰი გამოსთქვამს სურვილს აღადგინოს ის კავშირი, რომელიც არსებობდა ვენე-

ციასა და დედამისის მხრივ თავის წინაპარ უზუნ-ჰასანს შო-რის. იგი სთხოვს ვენეციელებს გაუზზავნონ არტილერია და არტილერისტები. ამასთან ატყობინებს, რომ მოკლე ხანში იერიშს მიიტანს თურქებზე მცირე აზააში⁹.

1502 წელს ვენეციიდან შაჰთან ელჩად ჩადის კონსტანტინო ლასკარი. იგი თავის საანგარიშო მოხსენებებში¹⁰ ირწმუნება, რომ სპარსეთის შეიარაღებული რაზმები დაამარცხებდნენ თურქებს. ამგვარი ცნობების არსებობის მიუხედავად ვენეცია დროულად დებს საზღვაო ხელშეკრულებას სულთანთან, რადგანაც აღნიშნულ პერიოდში სპარსეთიდან საგანგაშო ახალმა ამბებმა იწყეს მოსვლა⁸.

ქვეყნების საშინაო მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ 1508 წელს, შაჰმა ისმაილმა ვენეციაში თავისი დეპუტაცია გაგზავნა⁹. ამ დროს კი სპარსეთში იმყოფებოდა უნგრეთის დელეგაცია¹⁰. პაპსაც რწმუნებული უნდა გაეგზავნა შაჰთან¹¹.

ჰუმანისტთა წრის წევრად ითვლებოდა აგრეთვე მშობლათური ქალაქის სახელის თანახმად კამერსად, ანუ კამერინოდ ცნობილი იტალიელი მეცნიერი ჯოვანი რიკუძი (1448—1540). 1512 წელს მან ვენეციაში გამოსცა დიონისი აფერის უძველესი გეოგრაფია, რომელიც ლათინურ ენაზე გალექსა და ვრცელი კომენტარები დაურთო პრისციანიმ¹². ვაზოცემაში ჯოვანის დახმარებას უწევდა ცნობილი უნგრელი ჰუმანისტი ადრიან ვოლფარდი (1491—1544). საქართველოს „გეოგრაფიაში“ 12 სტრიქონა აქვს დათმობილი¹³. კლასიკოსთა მონაცემების საფუძველზე აქ ნათქვამია, რომ კავკასიისა და ესპანეთის იბერები ერთი წარმოშობისანი არიან¹⁴.

ვენის ეროვნული ბაბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია საქმე № 3505. იგი შედგენილია ორა პიროვნების მიერ და დაწერილია გერმანულ-ლათინურ ენებზე. მასში შესული წერილების გარკვეული ნაწილი დათარიღებულია XV საუკუნის მიწურულით¹⁵. ერთ მათგანში შესწავლილია აღმოსავლეთის ქრისტიანული ხალხები. ქართველებზე ნათქვამია, რომ მათი ერთი ნაწილა ბერძნული აღსარებისაა და ემორჩილება წმინდა მთის იგუმენს ეკატერინეს. ამით ავტორს უნდა თქვას, რომ ქართველების ეს ნაწილი თურქული ორიენტაციისაა, ხოლო მეორე — სპარსელების¹⁶.

საყურადღებოა ფრანგი ფილოსოფოსის, ასტრონომისა და გეოგრაფის პეტრუს დე ალიაკოს (1350—1425) ნაშრომი, რომელიც შეიცავს ციფრობრივ¹⁷ და აღწერილობით ცნობებს აბერიაზე, ფაზისზე, კოლხეთსა და ალბანეთზე¹⁸. ამის შემდეგ მოთხრობილია აზიის სახელმწიფოებზე. კავკასიის მთებში მცხოვრებ ხალხზე, მასში ნათქვამია: „კავკასიის ხალხებს გლახური ჩვეულებები აქვთ. ტაურუსის მთის ჯაჭვას ზოგიერთი მწვერვალი ცეცხლის მფრქვეველია. მრავალი მათგანი ცას სწვდება და უკაცრიელია. ნამდვილ კავკასიას ეკუთვნის ალბანეთი, იბერია და კოლხეთი, რომელთა ტერიტორიებზეც ცხოვრობენ სხვადასხვა ზნე-ჩვეულებების მქონე ხალხები. უმრავლესობა იკვებება პურით, ხორციით, რძითა და მიწათმოქმედების პროდუქტებით. ზამთრობით მთის მწვერვალები მიუვალაია, თოვლი და ყინული ზაფხულობითაც აძნელებს მთაზე ასვლას. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მცხოვრებნი მთებზე მოხერხებულად აღიან. დანაშაულისათვის არავის არ სჯიან, ბრალდებულს ოჯახიანად აძევებენ სოფლებიდან“¹⁹.

ნაშრომში მოიხროება ცნობები, აგრეთვე კოლხეთის შესახებ. „კოლხეთი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, — ვკითხულობთ მასში, — აქაური ხილი სასიამოვნოა, თაფლს კი სიმწარე დაჰკრავს. მთის პატარა მდინარეებს უხვათ ჩამოაქვთ ოქრო, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები მოხერხებულად აგროვებენ: ქვიშას ჩელტებზე ყრიან და ბეწვიან ტყავში გაწურვის შემდეგ ღებულობენ ძვირფას ლითონს“²⁰.

ამის შემდეგ პეტრუს დე ალიაკო კოლხებს ალბანელებში ურევს და დასძენს: „ალბანეთში უმეტესად მეცნვარეობას მისდევენ. ზომიერი ჰავას გამო აქ თითქმის ყველა სახის ნაყოფი მოუხნავ-დაუთესავად მოდის. ხის კავით დამუშავებული მიწა წელიწადში სამჯერ თუ ოთხჯერ იძლევა მოსავალს. ალბანელები ვაზზე არ ზრუნავენ, რადგანაც გათოხვნა არ სჭირდება. იგი ყოველ ორ წელაწადში იძლევა მოსავალს და ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ისხვლება. აქ უხვადაა გარეული და შინაური ცხოველები. ხალხი ქერა და ლამაზია, თვალ-ტანადობით ყველა სხვას სჯობიან. ფულის სიყვარული თითქმის არა აქვთ. ვაჭრობისა არაფერი ესმით, ზომის ერთე-

ული არ იციან. ძალიან ცოტანი ერკვევიან ომასა და სოფლის წეურნეობის საკითხებში. მშვენივრად ცხოვრობენ“²¹.

ალიაკო აქვე ყურადღებას ამახვილებს მდინარე რიონზე, რომელზედაც მისი ცნობით 120-ზე მეტი ხიდია გადებული და მიუთითებს მე-7 წიგნის მე-16 თავზე, როგორც დამატებაზე, მაგრამ იგი შრომაში დაცული არ არის.

შრომის 32-ე გვერდის ვერსოსა და 33-ე რექტოს გვერდზე ვხვდებით ხელით დახატულ 435×202 მმ ზომის გაფერადებულ მსოფლიო რუკას²². იგი წარმოდგენას გვაძლევს მსოფლიოს ქვეყნებზე, მათ განლაგებაზე, მაგრამ ფიზიკური დახასიათებისას კი მოცემულია ცნობები მარტო მთაგრეხილებსა და მდინარეებზე²³. რუკაზე ევროპის ქვეყნები გამოსახულია პროპორციულად და სინამდვილის შესაბამისად, ოკეანეები და სხვა კონტინენტები კი წარმოდგენილია გახუნებულიად, რაც იმდროინდელი კარტოგრაფიის დონით უნდა აიხსნას²⁴.

რუკაზე საქართველო მოთავსებულია შავ და კასპიის ზღვებს შორის „კუმანიის თათრების“ სახელწოდებით. აქვე ვკითხულობთ: „საქართველო, ანუ ძველი ჰუნგრეთი“²⁵. ამ ლაკონიურ განსაზღვრას შეიძლება მრავალი ახსნა მოუვნახოთ. გამორიცხული არის, რომ ამ წარწერების თანახმად ავტორი საქართველოს უნგრელების პირველ სამშობლოდ თვლის. მას ალბათ ჰგონია, რომ როცა უნგრელებმა კავკასიაზე გაიარეს, ქ დააარსეს თავიანთი სამშობლო, რომელიც შემდეგ გაურკვეველი რაღაც მაზეზით მიატოვეს.

იბადება კითხვა: როგორ მოხვდა XVI საუკუნის დამდეგს შედგენილ რუკაზე „საქართველო, ანუ ჰუნგრეთი“, ვინ არის ამ რუკის ავტორი, იქნება ეს წარწერა ანონიმმა ავტორმა ამოიღო ევროპელების მიერ შედგენილ რომელიმე ძველ ქართულ რუკიდან, ანდა მისთვის ხელმისაწვდომ რომელიმე წყაროდან?

უნგრელი ისტორიკოსი დერდ დერფი, რომელმაც სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით გააანალიზა სხვა უნგრელ ავტორთა შრომები, წერს, რომ უნგრელთა ერთი ნაწილი (საგირები), რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში უნგრელთა ტომების გადასახლების დროს, კავკასიას შეეფარნენ, კავ-

შარში იყვნენ დასავლეთში ახალ სამშობლოში მცხოვრებ უნგრელებთან. 950 წელს სავირთა წარმომადგენლები ეწვივნენ უნგრეთს. ამ ორ მხარეს შორის ურთიერთ კავშირი XI საუკუნეშიც ჩანს. XIII საუკუნეს კი უნგრელმა მისიონერებმა საქართველოში შეაღწიეს²⁶.

1253 წელს სამშობლოსაკენ მიმავალი რუმბუჯი ნაკსუაში (ნახჭევანი) თბილისისაკენ მიმავალ უნგრელ დომინიკანელს შეხვდა²⁷. ნახჭევანიდან თბილისისაკენ მიმავალი გზა უნგრელებას (ანუ სავირების) საცხოვრებელ ადგილზე გადიოდა²⁸.

არსებული ცნობების მიხედვით, ჯერ კიდევ XIV საუკუნის დასაწყისში ევროპასა და საქართველოში მცხოვრებ უნგრელებს შორის კავშირი არაა გაწყვეტილი. პაპმა იოანე XXII-მ შეიტყო, რომ კავკასიაში დარჩენილი უნგრელები ქრისტიანობას ინარჩუნებენ. 1329 წელს პაპი საქართველოში მცხოვრებ უნგრელებთან და ალბანელებთან აგზავნის სამარყანდის ეპისკოპოსს თომას სპეციალური წერილით²⁹, ეპისკოპოსს თომამ პაპის დავალება შეასრულა და წერილობით მოახსენა მისი მოგზაურობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საკითხი მაინც რჩება გაურკვეველი: როგორ აღინიშნა XVI საუკუნის დასაწყისის რუკაზე „საქართველო, ანუ ძველი ჰუნგრეთი“? მით უფრო, რომ 1515 წლის საგანგებო ქრონიკებში კავკასიელი უნგრელები არ იხსენიებან, მაშინ როდესაც მათში საუბარია უნგრელების სკვითებისაგან წარმოშობაზე.

ევროპაში შედგენილი საქართველოს ძველი რუკების შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდის მივედით, რომ XVI საუკუნის რუკაზე არსებული წარწერა „საქართველო, ანუ ძველი ჰუნგრეთი“ უნდა მომდინარეობდეს ინგლისელი მოგზაურისა და კარტოგრაფის რობერტ ტორნის მიერ უცნობი ავტორის მონაცემების საფუძველზე 1527 წელს შედგენილი რუკიდან, რომელიც 1582 წელს დაიბეჭდა³⁰.

ვინ არის ეს უცნობი ავტორი?

ვენის ბიბლიოთეკის კოდექსში 3505 ნომრით აღნიშნულია ნიურნბერგის უნივერსიტეტის პროფესორის, ასტრონომისა და გეოგრაფის იოჰან შენერის (1477-1547)³¹ 1515 წ. დათარიღებული გლობუსის ორიგინალი. დავინტერესდით თუ

საადან აილო მან ცნობები გლობუსის შესადგენად და გამოვარკვეთ შემდეგი: შენერი ეროვნებით გერმანელი იყო. იგი არც უნგრეთში და არც საქართველოში არასოდეს არ ყოფილა. უფრო მეტიც, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა³², მას საერთოდ არასოდეს არ უმოგზაურია უცხოეთში. საქმე იმაშია, რომ ვერც შენერის პუბლიკაციებში ვხვდებით რაიმეს საქართველოსა და უნგრეთის შესახებ. ყოველივე ამის გამო ვფიქრობთ, რომ მას აღნიშნული ქვეყნებისათვის გლობუსზე გაკეთებული წარწერებისათვის ცნობები მიღებული უნდა ჰქონდეს ზეპირსაუბრით რომელიმე მკვლევარისაგან, მაგრამ სახელდობრ რომლისაგან?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ყურადღებას იქცევს ერთი მეტად საგულისხმო გარემოება: შენერის სიცოცხლის ბოლო წლებში ნიურნბერგში ცხოვრობდა ერთი გერმანელი ჰუმანისტი, ასტრონომი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი იოჰან რეგიომონტანი (1436-1476)³³, რომელიც წარმოშობით კენისბერგიდან იყო. უნგრეთის მეფემ მათიამა გადაწყვიტა თავისავე თანამემამულე ჰუმანისტებისა და გამოჩენილ საზღვარგარეთელ მეცნიერთა შეკრება. ამ მიზნით მან 1468 წელს მოიწვია რეგიომონტანი, რომელიც უშუალო კავშირს ამყარებს მათიამის ისტორიკოსებთან, რომლებიც იდეოლოგიურად გაბატონებულ პოლიტიკურ მიზნებსა და უნგრეთის ცენტრალიზებულ მონარქიას ემსახურებოდნენ. ამ პერიოდში მათიამის სამეფო კარზე დავას ჰუნგრელთა სკვითებიდან წარმომავლობაზე ცხარე ხასიათი ჰქონდა მიღებული³⁴.

რეგიომონტანი უნგრეთიდან ნიურნბერგში გაემგზავრა, სადაც იგი უთუოდ შეხვდებოდა შენერს. პროფესორ შენერს დაევალა სისტემაში მოყვანა თავისი ურიცხვი დაუმუშავებელი ხელნაწერები და ნაწილი გამოექვეყნებინა კიდევ. შენერმა ეს დავალება კეთალსინდისიერად შეასრულა³⁵.

მაინც გადაჭრით იმის თქმა, რომ შენერმა რეგიომონტანი-საგან შეიტყო ვერსია უნგრელების პირვანდელ სამშობლოდ საქართველოს მიჩნევის შესახებ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის, რომ თავად ეს ვერსია საფუძვლიანია, ეჭვი არ გვეპარება. უნგრეთის კულტურის შესანიშნავი ისტორიკოსები ტიბორი კარდოშის მოთავეობით აღიარებენ უნგრელების სკვითურ

წარმოშობას. ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ტუროცი ქართველებსაც სკვითებად მიიჩნევდა. ამრიგად, გასაგებია თუ როგორ მოხვდა შენერის გლობუსზე, რომელზედაც საქართველოა გამოხატული, წარწერა: „საქართველო, ანუ ძველი ჰუნგრეთი“.

როცა პატივმოყვარე სელიმს მოსწყინდა ბაიაზეთ II შედარებით „მშვედობიანი“ ბატონობა, 1512 წელს თავისი მამისა და ძმის მოკვლის შემდეგ ოსმალეთის ტახტზე თავად ავიდა. მან უმაღლვე ხელი მიჰყო დაპყრობით ომებს, რის გამოც ჯერ სპარსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა. ცხადია ეს ლაშქრობა უშუალოდ საქართველოსაც შეეხებოდა³⁶.

სელიმის მიერ სპარსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში ქართველების მონაწილეობის შესახებ ცნობები მოეპოვება დაუცხრომელი ბუნების მსოფლიო მოგზაურს, ენათმეცნიერსა და აღმოსავლეთმცოდნეს აოპანეს ლეუნკლავიუსს, ანუ ჰანს ლევენკლაუსს (1533-1593). იგი ამ ლაშქრობის თანამედროვე არ იყო. ამის მიუხედავად, ჰანსის შრომების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მან იცოდა თურქული ენა და საფუძვლიანად სწავლობდა ოსმალურ ქრონიკებს. ასევე ხელი მიუწვდებოდა ევროპულ წყაროებზედაც. ყოველივე ამის გამო მას შეეძლო მოეცა მოვლენათა რეალური სურათი.

იმდროინდელ მეცნიერ ჰუმანისტთა მსგავსად, რომლებიც საქართველოს საკითხს მეტნაკლები ინტენსივობით სწავლობდნენ, გაერთიანებული იყვნენ სამბუქსურის წრეში³⁷. მისი წევრი იყო ლეუნკლავიუსიც. ამ წრის წევრებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, ხშირად აცნობდნენ ხოლმე წერილობით ერთმანეთს კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობებსა და დოკუმენტებს.

ლეუნკლავიუსი³⁸ თავის შრომაში ჯერ აღწერს საქართველოს მდებარეობას³⁹, შემდეგ კი ზუსტად მიყვება სელიმის მთავარი თარჯიმანის მურად ტერჯუმანის მასალებს.

მ. ტერჯუმანი ეროვნებით უნგრელი იყო. მას მიღებული ჰქონდა ბერძნული განათლება. მოხაჩთან გამართულ ომში ტერჯუმანი ტყვედ ჩავარდა, რას შედეგადაც მაჰმადიანობა მიუღია და სულთანის კარზე მთავარ თარჯიმნად დაწინაურებულა⁴⁰.

ლეუნკლავიუსი გვაცნობებს სელიმის ლაშქრობას საქართვე-

ველოში⁴¹. მას ეს იდეა მაშინ დაებადა, როცა იანიჩარების მღვლევარების ჩახშობის შემდეგ თავრიზიდან შინ ბრუნდებოდა. მის მთავარსარდლებს ეს იდეა არ მოეწონათ, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა მაინც ვერ გაბედეს. სელიმმა 3 000 რჩეული მებრძოლი გაგზავნა „ქარინდლების ქვეყანაში“, რათა გაეხსნათ საქართველოსაკენ მიმავალი გზა. მან მკაცრად გააფრთხილა მებრძოლები შეჯახებისას ყველა და ყველაფერი გაენადგურებინათ. ქართველებმა მათ მდგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ორივე მხარემ თავგამოდებით შეუტია. მრავალი დაეცა ბრძოლის ველზე. როცა ქართველთა მეფე დარწმუნდა, რომ მისი ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, სელიმს ელჩები აახლა და ზავის დადება სთხოვა. სულთანმა ყურადილო მეფის თხოვნა და თავისი ლაშქრის სურსათით უზრუნველყოფა მოითხოვა. მეფემ ბრძანა დაეკლათ 800 ხარი და 4000 ცხვარი, ამასთანავე დიდი რაოდენობით გაეგზავნათ თურქებისათვის ფქვილი და ქერი. ყოველივე ამის შემდეგ სელიმმა გაათავისუფლა ტყვეები და გზა კონსტანტინოპოლისაკენ განაგრძო⁴².

თურქ-ქართველთა ამ სისხლასმღვრელი ომის მსვლელობასა და შემდგომ მოვლენებს სულ სხვანაირად გადმოგვცემს XVI საუკუნის პირველი ნახევრის გერმანელი მწერალი, ერაზმ როტენდამელის მეგობარი ჰენრიხ ეპენდორფი⁴³. მისი გადმოცემით, როცა სელამის ლაშქარი მდინარე ევფრატთან მივიდა და დაიბანაკა, ისმაილ სეფის მორჩილმა ქართველებმა თურქებს ზურგიდან შემოუარეს, მზაკვრული თავდასხმის შედეგად მრავალ მათგანს ყელი გამოჭრეს, ხოლო როცა სელიმი მდინარეზე გადავიდა, ახლა უფლისწულა ალაღდევლეთი დასხმია თავს თურქების რაზმებს მთიან გადასასვლელებში და დიდი ზარალი მიუყენებია მათთვის⁴⁴.

ასევე განსხვავებულად წარმოგვიდგენს ქართველთა მონაწილეობას პაპის კარი. რეინალდის ცნობით, შაჰ ისმაილის მხარეზე ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ქართველ ცხენოსანთა რაზმები და თავის გადარჩენის მიზნით სელიმი იძულებული გამხდარა იმხანად აღებული თავრიზი მტრისათვის დაებრუნებინა⁴⁵.

სელიმისა და ისმაილის ომის ამბები აღწერილია ყველაზე

ადრეულ ევროპულ ლიტერატურაში, რომლებიც შეიცავენ მთელ რიგ უზუსტობებს⁴⁶. ისინი აშკარად სპარსულ ტენდენციას ატარებენ. მათში შაჰი დედის მხრიდან ქრისტიანად არის წარმოდგენილი. აღწერილია სპარსელების საგულდაგულო მზადება ლაშქრობისათვის, თურქების წინააღმდეგობა⁴⁷. ეს ბროშურები ყურადღებას იქცევენ თავიანთი კურიოზულობით. ცნობები ჩილდირის ბრძოლებზე სრულიად უსაფუძვლო ფანტაზიის ნაყოფია. მნიშვნელოვანია მხოლოდ იტიტომ, რომ მათში „პიბერიაა“ მოხსენიებული. ის იყო ჩილდირთან გამართული სისხლანი ბრძოლა დასრულდა, რომ ისმაილ სეფი უკვე შეუდგა რეორგანიზაციას. ოქტომბერში იგი აზზაზის ელჩებს ეგვიპტის სულთანთან⁴⁸, ქართველ⁴⁹ და უნგრელ⁵⁰ მეფეებთან ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირის შესაქმნელად. ე. ა. კვლავ იქმნება ანტიოსმალური წრე სპარსეთის, საქართველოსა და უნგრეთის შემადგენლობით.

1515 წელს ალექსანდრიაში მოღვაწე ვენეციის საკონსულოს ექიმი ჯოვანი როტა, რომელიც კარგად იცნობდა აღმოსავლეთს, შემდეგ ცნობებს აწვდის ვენეციის დოქს ლეონარდო ლორენდანს: „ჯერ თვეც არ არაა გასული რაც მოვიდა ახალი ცნობები ადგილზე მომხდარი ამბების შესახებ. ერთ მათგანში მოთხრობილია, რომ სპარსეთის შაჰმა ელჩი გაუგზავნა მის უდიდებულესობას უნგრეთის მეფეს თურქების წინააღმდეგ ომის დაწყების თაობაზე, და, რომ იგი მალე დიდი სამხედრო ძალებით გავა მეორე მხარეზე. მაგრამ ელჩი ანკარის მიდამოებში დააპატიმრეს, კონსტანტინოპოლში ჩაიყვანეს და ასო-ასო აკუწეს“⁵¹.

სპარსეთ-საქართველოს (კახეთის) კავშირი სინამდვილეში, მართლაც, შეიქმნა და ევროპაში მყოფი ისმაილ სეფის ელჩები უკვე ამ ორი სახელმწიფოს საერთო მიზნებს ემსახურებოდნენ. 1519 წლის 12 მაისს კვიპროსის მთავრობას აცნობეს ალექსოდან, რომ სპარსეთის შაჰი სამხედრო ბანაკში გაემგზავრა და მას თან ახლდნენ ქართველებიც⁵².

უნგრელმა ფრანცისკანელმა გაბარ პეჩვარდამაც, რომელიც ზოგიერთი ცნობების შესაყრებად მლოცავის მიზნით წმინდა მიწამდე მივიდა⁵³, მამლუქებისაგან მიღებული მასალების თანახმად ზუსტად ასევე იცის, რომ ეგვიპტეში ლაშქ-

რობის შემდეგ სელიმს 300 000 მეომრისაგან დარჩა მხოლოდ 60 000 კაცი, რომ არსებობს კავშირი სპარსეთის შაჰთან და მალე უკანასკნელ დარტყმას მიაყენებენ თურქებს. „ახლავე მოკიდეთ ხელი იარაღს თურქების წინააღმდეგ, თორემ ასეთი მოსახერხებელი მომენტა აღარასოდეს შეიქმნება!“ — ასე სწერდა უნგრეთის მეფეს⁵⁴ ერთ-ერთი მრჩეველი. ისე, რომ თურქების დაპყრობის ეინი იგრძნობოდა საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც. ეს იცოდნენ უნგრეთშიც. უნგრეთის წარმომადგენელი ლასლო მაცედონიაი 1522 წლის 22 დეკემბერს საიმპერიო მოხელეთა კრებაზე მამობილიზებული, შთამავგონებული სიტყვით გამოვიდა და განაცხადა: „თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ რაოდენ ძლიერია მოწინააღმდეგე. მას შესწევს უნარი ერთი ხელით სასომხეთს მისწვდეს, მეორეთი — უნგრეთს“⁵⁵.

ფაქტიურად სპარსეთ-კახეთის კავშირის მთავარსარდალი ისმაილ სეფი ტყუილად ცდლობდა ლაშქრობის მოწყობას ოსმალეთის წინააღმდეგ თავისი ელჩის ბერ პეტრე მარონიტის დახმარებით, რადგანაც ევროპელთა მერყევე ურთიერთდამოკიდებულებისა და უნგრეთის მეფისა და იმპერატორის ყოყმანის გამო მის საომარ მოწოდებას განხორციელება არ ეწყურა⁵⁶. პეტრე ბერი მრავალგზის ჩავიდა უნგრეთის მეფის კარზე შაჰის წერილებით, მაგრა? დაგეგმილი ანტიოსმალური კავშირი მაინც ვერ შეიკრა.

1526 წელს, ანუ ირანის შაჰის ისმაილ სეფის მიერ მძიმე ბრძოლების შედეგად თბილისის აღებიდან ოთხი წლის შემდეგ, უნგრეთი მოხაზთან დამარცხდა და ქვეყნის უმეტესი ნაწილი თურქეთის გამგებლობაში მოექცა. ვიდრე ქართლის მეფე დავითი დედაქალაქის დაბრუნებას შეძლებდა, მანამდე შინაური წინააღმდეგობის შედეგად თურქეთს ხელსაყრელი პირობები შეექმნა ქვეყნის დაუპყრობელი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად.

უნგრეთის ცნობილი მეფე იანოშ საპოლიაი კარგა ხნის მანძილზე თურქეთის სულთანის მფარველობაში იმყოფებოდა. სამაგიეროდ მეორე მეფე ჰაბსბურგების დინასტიის წარმომადგენელი ფერდინანდ I თავასი გავლენიანი ნათესავების, პირველ რიგში კი იმპერატორ კარლოს I-ის იმედით ანტითურქულ

პოლიტიკას ანხორციელებდა და სპარსელებთან და ქართველებთან ერთად ანტიოსმალური კოალიციის შექმნას ცდილობდა.

ქვეყნის მმართველ წრეებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ აღედგინათ წონასწორობა მოხაჩთან დამარცხების გამო, იმედი არ ჰქონდათ დაკარგული. 1527 წელს ორი უნგრელი სასულიერო პირი — არქიეპისკოპოსი კალოჩა ფერენც ფრანკეპანი და ეპისკოპოსი სერემა იშტვან ბროდარიჩი ოლომოუცის კონგრესის შემდეგ პოლონეთში ჩავიდა დიპლომატიური მისიით. 27 ნოემბერს ისინი ლვოვიდან მეფე ფერდინანდის წერილით ატყობინებდნენ, რომ ამხანად მოლდავეთიდან ახლად დაბრუნებული პოლონეთის გვირგვინის მარშლის ცნობით თურქეთის სულთანის უზარმაზარი არმია სპარსელებმა და ქართველებმა საბოლოოდ დაამარცხეს⁵⁷.

ვენაში დაცულა საარქივო დოკუმენტებითა და რუდოლფ ნეკის მიერ გამოქვეყნებული მასალებით⁵⁸ შესაძლებელი ხდება გავარკვიოთ უნგრეთის მეფის ფერდინანდის მიერ სპარსეთსა და საქართველოში დიპლომატიურა მისიით გაგზავნილი ორი ელჩის პეტრო დე ნეგროსა და სიმონ დე ლილისის საქმიანობა. მეფის დავალებით ისინი პარდაპირ სპარსეთის შაჰ თამაზთან გამგზავრებულან და ორი თვის შემდეგ უკვე თავრიზში ჩასულან, მაგრამ იგი იმ დროს ბაღდადის ალყით ყოფილა დაკავებული და ელჩებს დედაქალაქში არ დახვედრია. აუდენცაა შაჰთან მხოლოდ ბაღდადის აღების შემდეგ მოხდა. ელჩებმა ერთ-ერთი პორტუგალიელის მიერ ლათინურიდან სპარსულად თარგმნილი რწმუნების სიგელი გადასცეს. თავიდან ყველაფერი კარგად წარამართა, მაგრამ სპარსელები შემდეგ მაინც ნაწყენი დარჩნენ შაჰთან უსაჩუქროდ მოსვლის გამო. აღნიშნულის მიუხედავად თამაზმა ელჩებს აცნობა, რომ მამამისის — ისმაილ სეფის მსგავსად ადრინდელ წერილებში გამოთქმული მოსაზრების თანახმად აქტიურად დაუჭერდა მხარს უნგრეთის მეფეს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სიმონ დე ლილისი თავის დოკუმენტებში იხსენიებს კახეთის მეფეს ლევანს. ელჩის გადმოცემის თანახმად, უნგრეთის მეფას ფერდინანდის წარგზავნილები ლევანს კარგად მიუღია. როცა ელჩებისაგან შეუტყვია, რომ ფერდინანდი ემზადებოდა

თურქებთან საომრად, „ახეთის მეფეს თავის მხრივ აღუთქვამს მთელი ტრაპეზუნდის ოსმალთა წინააღმდეგ ფეხზე დაყენება. აღსანიშნავია, რომ უნგრელი ელჩების მოხსენებებში კახეთის მეფე ლევანი ფიგურირებულია როგორც „გეორგიის მეფე“ ანუ „იმპერატორი გეორგიანი“⁵⁹.

XVI საუკუნის 30-იან წლებში დაიბეჭდა ერთი მეტად საინტერესო ნაშრომი „ავიზი“⁶⁰. მისი ავტორი კონსტანტინოპოლში მყოფი უცნობი ქრისტიანი ყოფილა. იგი გადმოგვცემს ყველა იმ ღონისძიებასა და საშუალებას, რომელთა განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდებოდა თურქეთზე თავდასხმა ზღვიდან და ხმელეთიდან.

ნაშრომის ავტორი ეროვნებით უნგრელი უნდა იყოს. ჩანს, მას შაჰრიყის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, რის გამოც ხშირად უხდებოდა მოგზაურობა კონსტანტინოპოლიდან უნგრეთში. „აქამდეც ხშირად ვწერდი თქვენს აღმატებულებას, უმეტესად უნაგირზე მჯდომი, ცხენიდან ჩამოუსვლელად“. — ატყობინებს იგი ვილაც უცნობ ადრესატს.

ნაშრომის ყოველი სტრიქონიდან ვგებულობთ, რომ მისი ავტორი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებულ-განსწავლული პიროვნება უნდა ყოფილიყო. მართალია, დაბალი თანამდებობა სკერია, მაგრამ სრული უფლება გვაქვს ვაფიქროთ, რომ იგი გამოცდილი დიპლომატი იყო. ისე, რომ ნაშრომის ავტორი უბრალო შიკრიკი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ პოლიტიკურ საკითხებში სათანადოდ გარკვეული რომელიმე ელჩის მდივან-თანაშემწე, რადგანაც იმ ხანებში კორესპონდენციებას ადრესატისათვის ჩაბარებას სწორედ ისინი აწარმოებდნენ, რადგანაც ამ საქმისათვის საჭირო იყო ენების ცოდნა, გონებაგამჭრიახობა და მოხერხებულობა.

ნაშრომის ავტორის მიზანს წარმოადგენს რჩევა-დარიგებებით დააჩქაროს თურქეთის სახელმწიფოს დანგრევა. იგი იძლევა საყურადღებო ცნობებს სტამბულში, სულთნის კარზე შექმნილი ვითარების შესახებ, განმარტავს საღ შეიძლება მოლაშქრეთა წარმატებით გამოსვლა ზღვიდან ხმელეთზე ვენეციელთა მხარდაჭერით. ასეთად იგი ასახელებს ხორვატიის, ალბანეთის სანაპიროებს და სხვა ადგილებს. ავტორი ხაზს

უსვამს თურქეთის იმპერიის ტერიტორიის სიღიადეს და მასი დაცვის სირთულეს.

ნაშრომში აღნიშნულია თურქეთში მყოფი რენეგატების სიმრავლესა და მათს მოხერხებულობაზე, აღწერილია ანტიოსმალური კოალიციის შესაძლებლობანი და გამოთქმულია მოსაზრება თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისა და საქართველოს ჩაბმას თურქეთის წინააღმდეგ ომში.

თურქეთის იმპერია დიდია, — ნათქვამია ნაშრომში, — მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ სულთნის სატახტო ქალაქი გარშემორტყმულია ბერძენი მოსახლეობით, ხოლო მათ მეზობლად ცხოვრობენ თურქეთის მიერ დაპყრობილი ხალხები. ეს და სხვა როგორც ქრისტიანული, ისე არაქრისტიანული ხალხები სასტიკად აჩაგრებიან ოსმალთაგან. ადვილი შესაძლებელია მათი თურქეთის წინააღმდეგ განწყობა.

რადგანაც ერთ ქვეყანას ყოველთვის აქვს მეორე ქვეყნის იმედი, ამიტომ მოსახერხებელია თურქეთის წინააღმდეგ შეიქმნეს ფართო კოალიცია. უნგრელებს, მაგალითად, შეუძლიათ მიიმხრონ მოლდავეთი და პროტესტანტული ქვეყნები; რუსეთის მეფეს შესწევს ძალა ისე შეიყვანოს თავისი არმია და ფლოტი აზოვის ზღვის ზონაში, რომ ოსმალებმა ხელა ვერ შეუშალონ მათ. არ გააჩნიათ ისეთი გამაგრებული ციხე-ქალაქები, რომლებიც შეათფერხებდნენ რუსების სამხედრო ოპერაციებს. სულთნის მოწინააღმდეგე ხალხებს შეუძლიათ წაიწიონ წინ თავად კონსტანტინოპოლამდე, რადგანაც თურქებს არ ჰყავთ იმდენი ჯარი, რომ ყველა მიმართულებით ჩაებნენ ბრძოლაში. ამ ხალხებს შორის არიან ისეთები, — ვკათხულობთ ნაშრომში, — რომლებიც ემორჩილებიან სულთანს: აფხაზები და ლაზები, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც არ ემორჩილებიან. ესენი არიან: ჩერქეზები, მეგრელები და ქართველები. ქართველებსა და სომხებს, რომლებიც ასევე ქრისტიანები არიან, თურქები გამუდმებით ავიწროვებენ. თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივ გამოსვლას დიდად შეუძლია შეუწყოს ხელი, აგრეთვე რუსეთას მოქმედებამ აზოვის ზღვაში.

ქართველებისა და მათი მოძმე ხალხების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩაბმაში გარკვეული როლის შესრულება შეუძლიათ იმ მღვდლებს, რომლებიც სინას მთაზე წმინდა ეკატე-

რინეს მონასტერში ცხოვრობენ. ისინი თავისუფლად დადიან თურქეთსა და სპარსეთში. თუ ამ მღვდლებს დაავალებენ ანტი-თურქული აგიტაციის გაწევას, უკან არ დაიხევენ ამ საქმის შესასრულებლად⁶¹.

მრავალი ათწლეულით გვიან, ტრანსილვანიას მფლობელის იშტვან ბატორის პოლონეთის სამეფო ტახტზე ასვლის პერიოდში საყურადღებო ცნობებს ვხვდებით საქართველოზე კონსტანტინოპოლში მყოფი ევროპელა დიპლომატების მასალებში. ისინი ქართველების მოძმე ხალხებად თვლიან ლაზებს, აფხაზებს, ჩერქეზებს, რომლებიც თურქეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებიან. რაიმე ცნობებს უშუალოდ სპარსეთიდან ან საქართველოდან ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

აღნიშნულ პერიოდში თურქეთის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში შემთხვევით ჩასული დიპლომატიურა დელეგაციების ნაცვლად დაარსდა უნგრეთის, ვენეციისა და საფრანგეთის მუდმივი საელჩოები, რომელთა თანამშრომლებსაც მოეპოვებოდათ ცნობები საქართველოს შესახებ. საინფორმაციო ხასიათის მასალები საქართველოს შესახებ თუ წინათ მხოლოდ ჰუმანისტების წრემდე აღწევდა, კონსტანტინოპოლში აკრედიტებული მუდმივი საელჩოების წყალობათ ფართო მასებისათვისაც ხელმისაწვდომი ხდება.

1526 წელს მოხაზთან გამართული ბრძოლის შემდეგ კონსტანტინოპოლში უნგრეთის ორი საელჩო არსებობდა, რომელთა თანამშრომლების მოხსენებებშიც ძალზე ხშირადაა მოტანილი ცნობები საქართველოზე. ამ საელჩოებში მნიშვნელოვანი სამსახურებრივი თანამდებობები ეკავათ დე ანდრეის ფრანჩესკოს, რომელიც ჰუმანისტთა წრეში ანდრონიკუს ტრანკვილუსის სახელით იყო ცნობილი და იერიჩიმ ლასკის. ორივე მათგანს აკლდა მტკიცე ნებისყოფა. სამაგიეროდ, იმ დროისათვის დიდად განათლებულ, გონებაგამჭრიან პიროვნებად ითვლებოდნენ.

ანდრონიკუსი წარმოშობით დალმაციელი იყო, ლასკი კა— პოლონელი. ორივე მეფე იანოშს ემსახურებოდა, მაგრამ როცა მისი გამგებლობის ვარსკვლავი ჩაესვენა, ისინი მმართველ კლასის სხვა წარმომადგენლების მსგავსად ახალი მეფის—ფერდინანდის მხარეზე უყოყმანოდ გადავიდნენ. ჩვენთვის საინ-

ტერესოა მათი მეორე პერიოდში — მეფე ფერდინანდის კარზე მოღვაწეობის პერიოდის ნაშრომებში შემონახული ცნობები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ანდრონიკუს ტრანკვილუსი, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული აღმოსავლეთით. იგი იყო ცნობილი პოეტი, ისტორიკოსი, მღვდელი, პირველ რიგში კი შესანიშნავი დიპლომატი. მის ნაშრომებს კარგად იცნობდა იმდროინდელი შუა ევროპა.

ანდრონიკუსი დაიბადა XV საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს დალმაციაში, ქალაქ ტრიგორში, განათლებული პატრიციის ოჯახში. მის სამშობლოს მკვიდრო ურთიერთობა აკავშირებდა უნგრეთთან. ანდრონიკუსს დამთავრებული ჰქონდა რამდენიმე უნივერსიტეტი. XVI საუკუნის პირველ ათწლეულში იგი იმყოფებოდა რომში, შემდეგ პოლონეთში ძლიერი ლასკის დინასტიის კარზე. სწორედ ამ დროს უმეგობრდება იერონიმ ლასკის⁶². არსებობს ცნობა, თითქოს ცოდნის გამდიდრების მიზნით სწავლა გაეგრძელებინოს ლაიფციგის უნივერსიტეტში.

დიპლომატიურ მოღვაწეობას ანდრონიკუსი იწყებს საფრანგეთში. შემდეგ მას ვხედავთ დესპანად იანოშ საპოლიაისთან, მოგვიანებით ამავე თანამდებობას ასრულებდა თურქეთში როგორც ფერდინანდ I-ის წარმომადგენელი. უნგრეთის კულტურის ისტორიაში ანდრონიკუსი აღიარებულია უნგრული პოლიტიკური სატირის ფუძემდებლად⁶³.

1518 წელს ანდრონიკუს ტრანკვილუსის სამი ნაშრომი უნგრეთის საზღვრებს გარეთ, სხვადასხვა ქალაქებში დაიბეჭდა. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ბროშურა, რომელშიაც ავტორი მოუწოდებს ყველანაირი ქვეყნის ხალხებს თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად⁶⁴. იგი აღნიშნავს, რომ ისეთმა ძლიერმა ერებმა, როგორებიც იყვნენ ბერძნები, არაბები და უნგრელები, მათაც კი განიცადეს თურქეთთან წარუმატებლობა. თავისი მზაკვრობით, სისასტიკითა და ლაშქრის სიმრავლით სულთანმა შეძლო არა მარტო მტრის მოგერიება, არამედ მთელი რიგი ქვეყნების დაპყრობაც, მათ შორის კონსტანტინოპოლი.

ამის შემდეგ, ანდრონიკუსი აღწერს თავის თანადროულ

პოლიტიკურ ვითარებას და თურქეთთან წარუმატებლობას ვეროპის ქვეყნების გამგებელთა ურთიერთ უთანხმოებით ხსნის⁶⁵.

1536 წელს ანდრონიკუს ტრანკვილუსი მეფე ფერდინანდის წარმომადგენლად ითვლებოდა კონსტანტინოპოლში⁶⁶. იმავე წლის 4 ოქტომბრითაა დათარიღებული ნაწილობრივ დაშიჯრული ცნობა, რომელიც „კონტე დე ელას“ ფსევდონიმით არის დაწერილი. იგი შეიცავს საყურადღებო მასალებს ქართველების შესახებ. ამ ცნობის თანახმად კონსტანტინოპოლში ჩასულან ქართველი დიდებულები თურქეთთან კავშირის დასამყარებლად⁶⁷.

1539 წელს ანდრონიკუსი მეფე ფერდინანდის დავალებით მოლდავეთში მიემგზავრება დიპლომატიური მისიით, შემდეგ კი ელჩ იერონიმ ლასკისთან ერთად კვლავ კონსტანტინოპოლში ბრუნდება. მათი ცხოვრება აღსავსეა მღელვარე, ხიფათით აღსავსე მომენტებით. სულთანი მათ ხან დაპატიმრებით ემუქრება, ხან ცხვირის მოჭრით. ამგვარი შევიწროების მიუხედავად ორივე დიპლომატმა წარმატებით გაართვა თავი რთულ ვითარებას.

კონსტანტინოპოლში ყოფნისას დაწერილი ანდრონიკუსისა და იერონიმ ლასკის მოხსენებები საიდუმლო შრიფტით იყო შედგენილი, რომელთა დიდ ნაწილსაც ვენის კანცელარია მაშინვე შიფრავდა. როგორც 1540 წლის 5 დეკემბერს კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი ლასკის წერილებიდან⁶⁸ ირკვევა, ისინი თურქეთში დიდ სიძნელებს განიცდიდნენ. ერთ-ერთი აუდენციის დროს სულთანი ამდენად განრისხებული ყოფილა, რომ ლასკი კინალამ მიღებიდან გაუგდია, მისთვის ცხვირისა და ტუჩის მოჭრა დაუპირებია.

ლასკი წერილში საყვედურობს მეფე ფერდინანდს იმის გამო, რომ მან არ მიიღო მისი რჩევა ქალაქ პეშტის ოკუპაციაზე. იგი აუწყებს მეფეს, რომ ახლა უკვე ბალდადის გარეუბნებში ცხარე ბრძოლები სწარმოებს თურქებსა და სპარსელებს შორის, რომ სპარსელები სჯაბნიან თურქებს. ლასკისავე ცნობით კონსტანტინოპოლში მრავალი უნგრელი ჩადის, მოლაპარაკებას აწარმოებენ გავლენიან პირებთან და უმოწყალოდ ჰყიდიან სამშობლოს. წერილში შემონახულია, აგრეთვე

ცნობა პეტერ პერენის შვილის საზეიმოდ მონათელისა და გამაჰმადიანების შესახებ. წერილი თავიდან ბოლომდე უალრესად საინტერესოა. მასში მოთხრობილია თურქი ფაშების, ფრანგი ელჩის მოლაპარაკების, მოლდაველი „პოსპოდარის“ სტამბულში ყოფნის შესახებ, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცნობას თურქეთში ქართველი მეფის ჩასვლაზე. „ჩამოვიდა სარწმუნოებით ქრისტიანი ქართველი მეფე, რათა დახმარება სთხოვოს თურქეთს სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მისი ერთგულებისა აქ არ სჯერათ“, — ნათქვამია ცნობაში⁶⁹.

ასევე საყურადღებოა ლასკის 1541 წლის 12 იანვრით დათარიღებული მეორე წერილი. მასში აღნიშნულია, რომ პორტუგალიელებმა დააკავეს მდინარე ევფრატზე მდებარე ქალაქი ბასრა, ხოლო შაჰი ელვისებური სისწრაფით იპყრობს სხვადასხვა ქვეყნებს⁷⁰.

1541 წლის 22 იანვრის ლასკისავე წერილადან ჩანს, რომ თურქები შეშფოთებულები არიან პორტუგალიელების წარმატებებით სპარსეთის ყურეში, რომლებაც აქ აგებენ სიმაგრეებს. წერილის თანახმად სულთანს განუზრახავს დაძრას ჯარები პორტუგალიელებისა და სპარსელების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთ „ბელხის“ სამეფოზე გამარჯვების შემდეგ იარაღი მიუმართავთ „ქიორტსტანის“ წინააღმდეგ, რომლის გამგებელიც დახმარებას ითხოვდა თურქებისაგან. წერილიდან ირკვევა, რომ „ქიორტსტანი“ ნიშნავს არა „გურჯისტანს“, როგორც ეს მიღებული იყო იმ დროისათვის, არამედ ქურთების პროვინციას⁷¹.

1541 წლის 5 თებერვალს კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილ წერალში ლასკი ფერდინანდს ატყობინებდა: „სპარსეთის შაჰი ორი არმიით გააფთრებით უტევს თურქეთს შირვანიდან. ერთმა არმიამ სძლია ქართველები, რომლებიც ქრისტიანები არიან“⁷². მეორე წერილიდან, რომელიც რამდენიმე დღით გვიან, კერძოდ 11 თებერვლითაა დათარიღებული⁷³, ვგებულობთ, რომ იმ არმიას, რომელიც იბრძოდა ქურთების წინააღმდეგ, მეთაურობდა თავად შაჰი, ხოლო მეორეს, რომელიც უტევდა ქართველებს — შაჰის მამა⁷⁴. აქვე აღნიშნულია, რომ ტრაპაზონის მოსაზღვრე საქართველოს ტერიტორიის უდიდეს-

სი ნაწილი იმ დროისათვის უკვე დაკავებული ჰქონია მტერს.. 1541 წელს 25 აპრილს ლასკა უკვე აცნობებდა ფერდინანდს სპარსელების ომის დამთავრებას ქართველების წინააღმდეგ. აღნიშნავდა ისმაილ სეფის ჯარების შეჭრას საქართველოში, მის მიერ ქვეყნას აოხრებას, ციხესიმაგრეების დაკავებასა და თავრიზის დაბრუნებას⁷⁵.

ამით მთავრდება ლასკის წერილები.

ზემოაღნიშნული ომის დამთავრების შემდეგ თურქეთას არმია დაიძრა უნგრეთისაკენ სულთნის მეთაურობით. უნგრეთის დედაქალაქი ლალატის შედეგად გადადის თურქებს ხელში. ფერდინანდის დიპლომატიური ურთიერთობა კონსტანტინოპოლთან დროებით შეწყდა. ლასკიმ ვერ შეძლო საქმობლოში დაბრუნება, სულთანმა იგი ბელგრადის ციხეში დააპატიმრა, სადაც დიდხანს იმყოფებოდა. განთავისუფლების შემდეგ ლასკა მალე გარდაიცვალა. რაც შეეხება მეორე დიპლომატს, ანდრონიკუსს, მან კონსტანტინოპოლიდან დაბრუნების შემდეგ კარგა ხანს იცხოვრა უნგრეთში. გაპირვებაში მყოფს ეკონომიურ დახმარებას უწყევდნენ ჰუმანისტები.

ამრიგად, ჩვენამდე არ მოაღწია არც ერთმა ნაშრომმა, რომელშიც კარბად იქნებოდა ცნობები საქართველოზე. მაკრამ, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ცალკეული წინადადებიდან და გამონათქვამიდან მაინც შეიძლება გარკვეული წარმოდგენის შექმნა შუაეუროპასა და საქართველოზე.

1534 წელს ტიუბანგენში გამოვიდა გერმანელი მწერლის, ისტორიკოსისა და კოსმოგრაფის სებასტიან ფრანკის (1499-1542) დედამიწის საყოველთაო აღწერა, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა იმდროინდელი საზოგადოებრიობას ზოგად განათლების საქმეში⁷⁶. ფრანკის აზრით, იმ დროისათვის საქართველოს ტერიტორია გადაჭამული იყო კასპიის ზღვამდე. მისი განმარტებით ქართველები არიან მებრძოლნი, საომარ საქმეებში გამოწვრთობილნი, რომლებსაც მეზობელ ხალხებს — სარაცილებს, მიდიელებს, სპარსელებსა და ასურელებს — ძალიან ეშინიათ.

ფრანკის განმარტებით ქართველებს მათი მფარველის წმინდა გიორგის სახელის თანახმად გიორგიელებს უწოდებენ. მათ აერუსალიმში ბევრი წმინდა ადგილი აქვთ, რომლებსაც თავ-

გამოდებით იცავენ. ხშირ შემთხვევაში ისინი ბერძნების ყალბ მოძღვრებას მისდევენ. სასულიერო პირები ატარებენ მრგვალ, ხოლო დიდებულები ოთხკუთხედ ტონსურებს. აერუსალამში სალოცავად ჩასული ქართველები არავითარ ხარკს არ იხდიან, რადგანაც სარაცინებს ეშინიათ, რომ მცირეოდენი შეურაცხყოფის შემთხვევაში მათ შეიძლება სამაგიერო მიუზღონ მუსულმანურ მეზობლებს.

საყურადღებოა ფრანკის ცნობა აგრეთვე მაღალი წრის ქართველი ქალების შესახებ. მისი გადმოცემით ისინი აქტიურ მონაწილეობას აღებენ თავიანთ ქმრებთან ერთად საქმედრო ლაშქრობებში. გერმანელი მეცნიერის განმარტებით ქართველი მამაკაცები ხაზარების წესის თანახმად არასოდეს არ იკრეკენ თმებსა და წვერს. ღვთისმსახურება მიმდინარეობს ბერძნულ ენაზე, მაუხედავად იმისა, რომ ისინი არაბულად და ქალღეუ-რად ლაპარაკობენ⁷⁷.

ფრანკი განსაკუთრებით ჩერდება კოლხეთზე. იგი ოხრობას იწყებს მითოლოგიურ ისტორიიდან ოქროს ვერძის შესახებ. ეყრდნობა რა დიოდორე სიკულას, ფრანკი ლაპარაკობს იმ ქვეყნის ნაყოფიერ ნიადაგზე, ხალხზე და სხვა, მათ შორის ფაზისზე. რომელიც ესოდენ საჭაროა გემთმშენებლობისათვის. „ფაზისი (რიონი) დიდი მდინარეა. მის ნაპირებზე ბევრი ხობობა“, — გვატყობინებს ფრანკი⁷⁸.

არ შევეცდებით, თუ ვიტყვი, რომ სებასტიან ფრანკის ნაშრომის ის თავი, რომელიც საქართველოს შეეხება, ზემო-განხილული ვიტრიაკისა და ეპერის ცნობების კომპილაციას წარმოადგენს. ვიტრიაკას ჩანაწერების შემდეგ საუკუნეები იყო გასული, ამ ხნის განმავლობაში სისტემატურად მოდიოდა მეტ-ნაკლებად სრული ცნობები ამიერკავკასიის შესახებ, ფრანკის ნაშრომში კი მათ ასახვა ვერ ჰპოვეს⁷⁹. იგი არ ეხება დაწვრილებით ქართველი ხალხის ბრძოლას თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ, საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ორგანიზმის დაშლა-დანაწევრებაზე. ფრანკის ღარსება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ნაშრომის ფართოდ გავრცელების შედეგად განმტკიცდა აზრი, რომ აზიის საზღვარზე, ევროპის ახლოს ნამდვილად ცხოვრობდა მებრძოლა, გულადი, ქრისტიანი ქართველი ერი, რომელსაც ყოველივე ამის გამო

მისი მეზობელი მუსულმანი სახელმწიფოები პატივს სცემდნენ⁸⁰.

შედარებით მეტ ორიგინალურ ცნობებს ვხვდებით 1536 წელს გერმანულ ენაზე გამოცემული ფრანკის მეორე ნაშრომში, რომელიც, სამწუხაროდ, დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან. „ფეთიკური სექტების“ ჩამოთვლისას ავტორი წერს, რომ საქართველო მდებარეობს მუჰამედის საფლავის ახლოს — მექასთან, რომ ყველა ქართველი ქრისტიანია, მათ აქვთ თავიანთი ეკლესია სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს სახელწოდებით, რომლის ეპისკოპოსსაც მიიჩნევენ, როგორც პაპს და პატივს სცემენ მას შესაბამისად.

შემდგომში ფრანკი კვლავ უბრუნდება ქართველების ვინაობას და დასძენს, რომ დაახლოებით ორასი წლის წინათ ასინი ხარკს უხდიდნენ თათრებს. მისი ცნობით ქართველი მეფის ძალაუფლება ვრცელდება პალესტინიდან სპარსეთის საზღვრამდე, ანუ კასპიის მთებამდე. ავტორის განცხადებით ქართველებს თვრამეტი ეპისკოპოსი ჰყავთ. სამღვდელოებას სათავეში უდგას კათალიკოსი, რომელიც წარმოადგენს მათ პაპს. სარწმუნოებრივად ქართველები თავდაპირველად ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ. ქართველი ქალები მოხერხებულად დააქენებენ ცხენებს. ბრძოლაში გასვლის წინ ქართველები ღვინოს სვამენ, რათა უფრო მამაცურად იბრძოლონ⁸¹.

1585 წელს ანტვერპენში დაიბეჭდა იოაჰიმ ვატაინის საკმაოდ მოზრდილი გეოგრაფიული ნაშრომი⁸². მისი ავტორის ნამდვილი გვარი და სახელია იოაჰიმ ვატი (1486-1551). იგი იყო დიდი ჰუმანისტი და ხელმძღვანელი ვენის ჰუმანისტების წრისა.

ვატი დაიბადა შვეიცარიაში. მას ცხოვრება მოუხდა ვენა-სა და უნგრეთში. იგი თავის ნაშრომში უფრო მეტ ცნობებს გვაწვდის, ვიდრე სათაურით გვპირდება. მასში მოტანილია არა მარტო ძველი ავტორებას ცნობები, არამედ ისინი დალაგებულია გარკვეული სისტემის მიხედვით. ამასთან ვხვდებით ზოგიერთ ახალ ინფორმაციასაც.

ვატი თავისი ნაშრომის ერთ თავში „ინდოეთი და სკვითები“ დაწვრილებით გადმოაგვცემს სკვითების ისტორიას, იძლე-

ვა მათს სამხედრო მამაცობასა და ენას. ჩანს, იგი კარგად იცნობს ძველ უნგრელ ქრონიკებს, რადგანაც ნაშრომში ლაპარაკია უნგრელების სკვითურ წარმოშობაზე, მათ დასავლეთეუროპულ ლაშქრობებზე⁸³.

ვატი საქართველოს ეხება ცალკე გამოყოფილ თავში: „აღბანეთი, იბერია, კოლხეთი, ბოსფორი“⁸⁴. პტოლომეოსის დედამიწის აღწერილობას საფუძველზე ვატი დაწვრილებით აღწერს იმ ტერიტორიების გეოგრაფიულ მდებარეობას და ძველ ისტორიას, რომლებიც ჩამოთვლილია სარჩევში. მდინარეებსა და მთების სახელწოდებათა ჩამოთვლის გარდა საუბარია ქალაქებისა და მიწის ნაყოფიერებაზე. მიწების მოსავლიანობა შედარებულია უნგრეთის სახნავ-სათესთან. ანტიკური ხანის ისტორიკოსების ცნობებზე დაყრდნობით ნაშრომში ხაზგასმულია ზოგიერთი ტერიტორიის სამხედრო თვალსაზრისით გამოყენება, კოლხების ეგვიპტური წარმოშობა, დახასიათებულია მათი ზნე-ჩვეულებები.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ვატის ნაშრომის იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს ეხება, ახალი თითქმის არაფერია. ავტორი მოხერხებულად იყენებს ანტიკური ხანის ცნობებს და კომენტარებს ურთავს მათ. მაგრამ მაინც ყურადღებას იქცევს დასახელებული ნაწილის ბოლო აბზაცი, რომელშიც ერთგვარი სიახლე შეინიშნება. მასში საუბარია იმდროისათვის აქტუალურ, თანადროულ საკითხებზე — დაპყრობით ომებსა და ერთი სახელმწიფოს ხარჯზე მეორის გაძლიერებაზე⁸⁵.

სებასტიან ფრანკისა და სხვა დიპლომატთაგან განსხვავებით ეხვდებით ისეთებსაც, რომლებიც შედარებით კარგად არიან ინფორმირებულნი საქართველოს შესახებ. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს პაპი პავლე III ნუნციუსი და სხვები. ისინი აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის, რომლებიც თურქების წინააღმდეგ იბრძოდნენ, პირველ რიგში ასახელებენ ქართველებს, ხოლო შემდეგ — სპარსელებს⁸⁶. ზოგიერთები, მაგალითად, აღნიშნულ ომს თურქეთ-სპარსეთის ომად კი არ იხსენიებენ, არამედ თურქეთ-საქართველოსად, ხაზს უსვამენ, რომ საქართველო იმ დროს წარმოადგენდა არა ორი დიდი მაჰმადიანური სახელმწიფოს—თურქეთ-სპარსეთის საომარი მოქმედების

ასპარეზს, არამედ მას ახასიათებენ, როგორც დამოუკიდებელ მეომარ სახელმწიფოს⁸⁷. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ყველა როდი იღგა ერთნაირ თვალსაზრისზე. მაგალითად, მიკლაიმ ზირინი (1508—1566) ომის საკითხთა დაკავშირებით ყურადღებას მართო სპარსელებზე ამახვილებს, ქართველებს კი ცალკე სულ არ ასახელებს⁸⁸. თუმცა მისი ნაშრომიდან მაინც ჩანს, რომ ცნობები ომის შესახებ საქართველოს ფრონტიდან საქ-მაო რაოდენობით მოდიოდა უნგრეთში.

იმ პირთა შორას, რომელთა ნაშრომებმაც შემოგვინახეს ცნობები საქართველოზე, საყურადღებოა თავისი დროისათვის გამოჩენილი ტრანსილვანელი ფილოლოგი და კოსმოგრაფი იოჰან ჰონტერა (1493-1549). იგი ავტორია ოცდაათამდე ორიგინალური და თარგმნილი ნაშრომისა, რომლებიც პოპულარობით სარგებლობდნენ ტრანსილვანიისა და უნგრეთის საზღვრებს გარეთაც, სახელდობრ კი გერმანიაში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მის ნაშრომს „ცდები კოსმოგრაფიის სფეროში“⁸⁹. მცირე მოცულობის მიუხედავად მასში ვხვდებით საკმაოდ ვრცელ ცნობებს საქართველოზე.

ჰონტერის, როგორც გეოგრაფის მეცნიერულ შემოქმედებას აშკარად ეტყობა პტოლომეოსის გავლენა. მის მიერ შედგენალ აზიის რუკაზე საქართველო მეტ-ნაკლებად გამოსახულია ისე, როგორსაც ვხვდებით იმ დროის სხვა მკვლევართა რუკებზე. ჰონტერის მიერ კოლხეთის კარტოგრაფიულ ასახვაში შედარებით კარგადაა გადმოცემული ტრანსკავკასიის ტიპოგრაფია. მასზე ქალაქებიდაა აღნიშნულია მხოლოდ დიოსკურია (სოხუმი), მდინარეებიდან კი ცირუსი (მტკვარი). მდინარე რიონი, რომელსაც ყველა სხვა რუკებსა და ატლასებზე ვხვდებით, ჰონტერს გამორჩენილი აქვს.

ტრანსილვანელ მეცნიერს გათვალისწინებული აქვს ცნობილი მოგზაურების ბარბაროსა და კონტარინის ჩანაწერები, მაგრამ ძირითადად მაინც განიცდის ადრინდელ მკვლევართა მოძველებულ შეხედულებათა გავლენას. მიუხედავად ამისა, ჰონტერის ნაშრომი 1552, 1560, 1576 და 1595 წლებში რამდენჯერმე დაიბეჭდა პრესაში და საზოგადოებრიობის ფართო აღიარებაც მოიპოვა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მოღვაწეთა

ის ნაწილი, რომელიც ჰქმნადა საზოგადოებრივ აზრს, გაურბოდა თანადროული სინამდვილის ამსახველ ნაწარმოებებს და უფრო მეტ პატივს ანტიკური მითოლოგიური ზღაპრებით აღსავსე ანტიკური ხანის კლასიკოსთა ნაშრომებს აძლევდა.

ანტიკური ტირადას მიხედვით ჰონტერს თავის ნაშრომში ტექსტი გალექსილი აქვს ლათინური სტილის მიხედვით. იქვეა რუკაც, რომელზედაც გამოსახულია კოლხეთის, აბერიისა და ალბანეთის მთები, მდინარეები, მინდვრები და ა. შ.⁹⁰.

შედარებით თანამედროვე, მაგრამ მცირე რაოდენობით ცნობებს საქართველოზე ვხვდებით საიმპერატორო დიპლომატის სიგაზმუნდ ჰერბერგიტიანის (1486-1566) შრომაში, რომელზეც აქ ჩვენ საგანგებოდ ყურადღებას არ გვაქმნავი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მასშიც ხშირად შეინიშნება ანტიკური ხანის მეცნიერთაგან ნასესხები მითოლოგიური შეხედულებები, მცდარი დასკვნები⁹¹.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბართლომეი გეორგევიჩის (1510-1557) ნაშრომები⁹². მან სრულიად ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა თურქეთის ომში, როგორც უნგრეთის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრის, ესტერგომის არქიეპისკოპოსის კამერიუნკერმა. მართალია, ბართლომეის საგანგებო სწავლა-განათლება ჯერ კიდევ არ ჰქონდა იმ დროს მიღებული, მაგრამ ნაშრომები მოწმობენ, მათი ავტორის საკმაო განსწავლულობას. მან უნგრულის გარდა იცოდა ხორვატული, ბერძნული, ლათინური, თურქული, არაბული და ებრაული ენები.

ბართლომეი გეორგევიჩი 1526 წელს ტყვედ ჩაუვარდა თურქებს მოჰაჩის ბრძოლაში⁹³. იქ გადატანილი მძიმე განსაცდელი მას მოთხრობილი აქვს თავის შრომებში. ბართლომეის უკანასკნელი პატრონი იყო ანატოლიის გადასახადების მთავარი ამკრეფი, რომელმაც თან წაიყვანა იგი ევროპასა და აზიაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დახმარებას გასაწევად. ბართლომეი თან ახლდა თავის პატრონს აგრეთვე სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროსაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაშრომებიდან არ ჩანს ჰქონდა თუ არა მას კონტაქტი ქართველებთან. ბრძოლების დროს მას მიეცა გაქცევის საშუალება. როგორც თავად წერს იგი 37 დღის განმავლობაში იმალებოდა სომხეთის მთებში, იკვებებოდა ბალახით და

ლამე ხეზე ეძინა. კარგა ხნის შემდეგ ბართლომეი მთებიდან ჩამოდის ბარში. თურქები ცდილობენ მის შეპყრობას, მაგრამ მან შეძლო დაერწმუნებინა ისინი, რომ იგი იყო თავისუფალი მდგომარეობის ბერძენი.

თურქებისაგან განთავისუფლების შემდეგ ბართლომეი ასრულებს მიცემულ ფიცს და წმინდა საფლავზე სალოცავად მიემგზავრება. შემდეგ იგი ჩადის ანტეკრაპენში, ლუვენში, ხოლო 1544 წელს კი — ვიტენბერგში, სადაც ლებულობს მარტინ ლუთერისა და მელანქტონის სარეკომენდაციო წერილს თავისი ნაშრომების პუბლიკაციის შესახებ.

1544 წელსვე გამოდის ბართლომეის ნაშრომი თურქულ წეს-ჩვეულებებზე⁹⁴, ქრისტიანი მონების ბედზე⁹⁵, ტრაქტატი სომხურ-ბერძნული რელიგიების შესახებ⁹⁶. იგი ერთ-ერთ მოკლე ნაშრომში მოუწოდებს ხალხებს გაერთიანდნენ თურქების წინააღმდეგ⁹⁷. ბართლომეი გამოთქვამს რწმენას, რომ ევროპელებს არ ძალუძთ თურქებზე გამარჯვება, რადგანაც ისინი ეგოისტები არიან და როგორც მოხელეები, ისე თავადაზნაურები, ჯარისკაცები, მღვდლებაც კი, მარტო თავიანთ კეთილდღეობაზე და ეკლესიის ფუფუნებაზე ოცნებობენ. არ არის ერთიანობა ევროპის ხალხებს შორის, ჯარისკაცებიც მხოლოდ ხელფასის ინტერესის გამო იბრძვიან. ევროპელებმა უნდა გააერთიანონ თავიანთი ძალები თურქეთის წინააღმდეგ, მხოლოდ მაშინ შეუძლიათ იქონიონ წარმატების ამედი.

თურქეთის წინააღმდეგ საყოველთაო გაერთიანების იდეას ბართლომეი უფრო მკვეთრად გამოსთქვამს თავის მეორე ნაშრომში. აქ იგი უკვე აღარ კმაყოფილდება მარტო ევროპული ქვეყნების შეკავშირებით და აყენებს მთელი ხალხების გაერთიანების იდეას⁹⁸. მისი აზრით, პირველი წარმატება თურქებზე გზას გაუხსნიდა უნგრეთს განთავისუფლებისათვის. „გაცილებით ადვილია კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალი სამხედრო მანქანების დუნაიზე გატარება, — წერს ბართლომეი, — ვიდრე ამ მდინარის დინების საპირისპიროდ, როგორც ეს თურქებმა გააკეთეს ვენის ალყის დროს. მაგრამ თუ ამას შეიტყობენ სპარსელები, მაშინ ისინი მეორე მხრიდან მოვლენ კონსტანტინოპოლამდე. ამ ომის გარეშე არ დარჩება არც რუსეთი

და არც საქართველო, რომელთა მეფენიც ისეთივე ძლიერნი არაან, როგორი სიძლიერითაც სძულთ თურქები“⁹⁹.

ბართლომეიმ თურქეთში, უმეტესად კი მის აზიურ ნაწილში, აღმოსავლეთის საზღვრისპირა ოლქებში 13 წელიწადი გაატარა. ამიტომ მას გააჩნდა ზუსტი ცნობები ოტომანის იმპერიის საშინაო მდგომარეობაზე და მის მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაზე, სამხედრო ძლიერებასა და პოლიტიკურ მიზნებზე. ისე, რომ ბართლომეის მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება ქართველი და რუსი მეფეების შესახებ დამყარებულა პირად დაკვირვებებზე.

ურიგო არ იქნება, აგრეთვე გავიხსენოთ ბართლომეის კიდევ ერთი ცნობა, რომელიც საქართველოსთანაა დაკავშირებული. იგი მასში ეხება იმ ლოცვებსა და წეს-ჩვეულებებს, რომლებსაც ასრულებენ მლოცველები იერუსალიმში. მისი გადმოცემით დიდმარხვის დღეებში მლოცველები აქ ჩამოდან სხვადასხვა ქვეყნებიდან. მათ შორის არიან ქართველები და სომხებიც. ისინი ჩვეულებრივ ერთ წელიწადს რჩებაან იერუსალიმში.

მიუხედავად იმისა, რომ სპარსელები აღნიშნულ პერიოდში რამდენჯერმე დაესხნენ თავს ქართლს, რას შესახებაც ცნობებმა ევროპამდე ვერ მიაღწია, აქ საქართველოს საბერძნეთის მოკავშირედ აღიარებდნენ. ნიკოლას ნიკოლაი (1517-1583), რომელიც ფრანგ დიპლომატებთან დ'არამონ დე კოდინიაკთან ერთად თან ახლდა სულთანს სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობაში, ქართველების შესახებ წერს: „სპარსეთის შაჰის მოკავშირეებს წარმოადგენენ იბერები და ალბანელები, რომლებიც კავკასიის მთებში ცხოვრობენ, მათი ქვეყნები ესაზღვრება მიდიასა და სომხეთს, საჭიროების შემთხვევაში ისინი დიდ დახმარებას უწევენ სპარსელებს“¹⁰⁰. იქვე ნიკოლაის დასძენს, რომ იბერები და ალბანელები ქრისტიანები არაან და მტრულად არიან განწყობილნი როგორც თურქების, ისე სპარსელების მიმართ¹⁰¹.

ამასთანავე საინტერესოა გეორგიევაჩის სხვა ცნობაც, სადაც საქართველოზეა ლაპარაკი¹⁰². იგი მიუთითებს, რომ სხვა მლოცველებთან ერთად იერუსალიმში ხშირად ჩამოდიან ქართველები და იქ საკმაო ხანს რჩებიან¹⁰³.

ერონიმ ლასკისა და ანდრონიკ ტრანკვილუსის სტამბოლის ელჩობის შემდეგ, თურქების მიერ ბუდას აღების შემდგომ პერიოდში, დიპლომატიური კავშირი სულთანსა და ფერდინანდს შორის რამდენიმე ხნით შეწყდა, მაგრამ მალე ისევ— 1547 წელს აღსდგა. ამ აქციაში ფერდინანდის მხრივ აქტიური როლი შეასრულა ცნობილმა იტალიელმა დიპლომატმა მარაზაღვეცმა, რომელიც თურქეთ-უნგრეთის 1547 წლის საზავო ხელშეკრულების შემდეგ რჩება კონსტანტინოპოლში, როგორც ფერდინანდის მუდმივი რეზიდენტი. მაგრამ, 1551 წელს მასაც ლასკის ბედი ეწია — სულთანმა იგი ციხეში ჩასვა.

მოგვიანებით, როცა მალვეცს ანთავისუფლებენ პატიმრობიდან, მას კვლავ აგზავნიან არახელსაყრელი მოლაპარაკების გასაგრძელებლად. აქ მას მთელი რიგი სიძნელების გადატანა მოუხდა, რამაც შეარყია მისი ჯანმრთელობა და კონსტანტინოპოლში გამგზავრებამდე უნგრეთში გარდაიცვალა.

მარია მალვეცის მიერ კონსტანტინოპოლიდან ფერდინანდისათვის გამოგზავნილ მოხსენებებში ცნობებს საქართველოზე ჭერ ვერ მივაკვლავთ. მაგრამ, როგორც მისი მოხსენებიდან ჩანს, უნგრეთისა და ტრანსილვანიის ყურადღება ამ პერიოდშიც მიპყრობილი ყოფილა თურქეთის სამხედრო მოქმედებისაკენ აზიაში. მასი გადმოცემით საზოგადოებრივი აზრი მოელოდა თურქების დამარცხებას ანდა ამ ქვეყნის სამხედრო დაწოლის შესუსტებას სპარსელებისა და ქართველების წინააღმდეგ.

ტრანსილვანიის მეფისნაცვალ იოვანი ბატისტა კასტადო, რომელიც დროებით ფერდინანდის გავლენის ქვეშ მოექცა, 1554 წლის 5 დეკემბერს წერილს სწერს ვენაში პაპ ნუნციუსს ჯიროლამო მერტანენგოს, რომელშიც ეხება რუსტან ფაშას დამარცხებას და აქედან გამომდინარე ხელსაყრელ შედეგებს. კასტადოს აზრით დადგა დრო, როცა ქრისტიანი ქვეყნების განმგებლებმა თავიანთი იარაღი თურქეთის წინააღმდეგ უნდა მამართონ. მისი განცხადებით საჭიროა ქრისტიანობისათვის კარგი მეგობრის, სპარსეთის შაჰისათვის მხარდაჭერა, რადგანაც იგი არაერთხელ დაეხმარა ქრისტიან მეფეებს¹⁰⁴.

1554 წლის 22 აგვისტოს მალვეცი ღუნაისპარა ქალაქ კომარობიდან იმპერატორ ფერდინანდს სწერს, რომ თურქეთი

თავისი არმიით დაიძრა შირვანისაკენ, რომელიც წაართვა სპარსეთმა ორი წლის წინათ. შირვანი, როგორც იგი წერს, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ქართველებსა და ჩერქეზებს. მისივე ცნობით თურქებს ძალიან უჭირთ საკვები პროდუქტები, განსაკუთრებით კი პური. რუსტან ფაშას მიუღია მაწვევა დივანში, მაგრამ პასუხის გაცემაზე თავი შეუკავებია¹⁰⁵.

იმავე ხანებში კონსტანტინოპოლში მისულა საიდუმლო წერილი, რომელიც ცნობილი გამხდარა ფერდინანდისათვის. წერილის საშუალებით ცხადა ხდება ის მძიმე ტრაგიული მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდნენ ქართველები. მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც იძულებული აყვნენ დახმარებოდნენ თურქებს საკვებით, შემდეგ სპარსელების უპირატესობის მსხვერპლი გამხდარა, სხვები კი სპარსელების მხარეზე გადასულან და თურქების წინააღმდეგ ომში ჩაბმულან.

წერილი აწყება სპარსეთის საზღვარზე გაჩაღებული ომის აღწერით, ადგილობრივ მკვიდრთა შეუპოვარი თავდაცვითი ბრძოლების გადმოცემით; მოთხრობილია იმ კონტრშეტევების შესახებ, რომლებითაც სპარსელები ზარალს აყენებდნენ თურქებს. წერილში დაწვრილებითაა აღწერილი ის ბრძოლები, რომლებიც ურთიერთ დაპირისპირებული მხარეების გარდამავალა უპირატესობით მიმდინარეობდა და საბოლოოდ არახელსაყრელი გამოდგა თურქებისათვის. მათ იგრძნეს, რომ თავიანთი ჯარების რიგები დაიშალა და უწესრიგოდ იხევდნენ უკან მდინარის იმ მხარეს, რომლის სახელწოდებაც, ჩანს, წერიალის ავტორმა არ იცის. ერთ-ერთ გამაგრებულ ქალაქში თურქებს ჰყოლიათ ძლიერი საარტილერიო შენაერთი, რომლებსაც ალყაში მოხვედრის შედეგად სურსათ-სანოვაგით აპარაგებდნენ ქართველები. ამის გამო განრისხებული სულთანის ბრძანებით თურქეთის ჯარა დაძრულა „გეორგიელებს“, ანუ იბერიელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

წერილას ანონიმი ავტორის ცნობით იბერია მდებარეობდა კოლხეთის იქით, სომხებისა და მიდიელების მეზობლად. ქართველები, რომლებიც მოუშზადებელი აღმოჩნდნენ ამ თავდასხმისათვის, სულთანს სასტიკად დაუსჯა, ქვეყანა ცეცხლითა და მახვილით გადაუბუგავს, ამოუწყვეტია ადგილობრივი მო-

სახლეობა, თვით ჩვილი ბავშვებიც კი არ დაუნდვია. ქართველებზე ჯავრის ამოყრის შემდეგ სპარსელების ჯარი უკანდახეულ თურქებს დასდევნებია და ერზერუმამდე სულის ამოთქმის საშუალება არ მიუცია¹⁰⁶. — წერილში აღნიშნულია აგრეთვე, რომ შაჰის მემკვიდრე ქართველების შეიარაღებულ რაზმებთან ერთად იბრძოდა თურქეთის წინააღმდეგ.

ეს წერილი, რომელიც 1555 წლითაა დათარიღებული და დაწერილია უნგრულ ენაზე, უნდა ეკუთვნოდეს კონსტანტინოპოლში მყოფ უნგრელ დიპლომატს. გულუბრყვილობისა და ფაქტების აღრევათა მიუხედავად. ეს წერილი ადეკვატურად გამოხატავს იმდროინდელი შუაევროპიელების საზოგადოებრივ აზრს, რომლებიც აღმოსავლეთზე ამყარებდნენ თავიანთი უკეთესობისაკენ შემობრუნების იმედს — თურქეთის სახელმწიფოს დაჩოქებას და მისი ჯარების განდევნას ევროპიდან. წერილში ნათქვამია: „თქვენს უდიდებულესობას მოვახსენებ, რომ მოსკოვის დიდი მთავარი, კაზაკების მეთაურები, რომლებიც ერთმანეთის მეზობლები და ნათესავეები არიან, წინ გაუძღვნენ თავიანთ ჯარებს თათრების წინააღმდეგ. რუსებისა და კაზაკების მოსაზღვრე მეგრელები უფრო ადრე ჩაებნენ ლაშქრობაში. მათი რიცხვი ორას ათასზე მეტს აღწევს. მეთაურებად მეგრელები და ჩერქეზები ჰყავთ, რომლებიც დარწმუნებულნი არიან თურქეთის აღებაში. ასრულებენ რა თავიანთ პირობას, მათ გადაწვეს და გაანადგურეს ქვეყნის დიდი ნაწილი. შინ დაბრუნებას არ აპირებენ მახაძდის, სანაჲ თავიანთ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანენ. ამბობენ, რომ მეგრელ-ჩერქეზთა ჯარები შორს არ არიან იმ სანჯაყიდან, სადაც ღუჩნაი ზღვას უერთდება. მათ უკვე დაიპყრეს დონის მთელი პროვინცია. ყველანი ბერძნული სარწმუნოებას არიან: რუსებიც, ჩერქეზებიც და მეგრელებიც. როცა იქ თათრებს გაუსწორდებიან, შეუძლიათ გაემართონ მოლდავეთისაკენ, შემდეგ დუნაიზე გასვლით — თურქეთისაკენ.

ეს ერთმანეთთან დაუკავშირებელი ინფორმაციები ნათელს ფენენ იმ დროისათვის მეტად საინტერესო ვითარებას, თუ როგორ აფასებენ შუაევროპელი მეთვალყურეები ქართველების მონაწილეობას მე-16 საუკუნის 50-იან წლებში თურქეთ-სპარსეთის ომში.

თ ა ვ ი III

ანთალ ვერანჩიჩი და სხვა უნგრელი ავტორები საქართველოს შესახებ

უნგრეთის ჰუმანიტარული ისტორიოგრაფიის გამოჩენილი წარმომადგენელი ანთალ ვერანჩიჩი (1504—1573) შესანიშნავი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე და პოეტი იყო. იგი პირველი უნგრელი ისტორიოგრაფია, რომელიც ამიერკავკასიას ქვეყნებით დაინტერესდა და საქართველოსაც მიაქცია ყურადღება. ანთალ ვერანჩიჩი ორჯერ (1553—1557 და 1567—1568 წლებში) იყო უნგრეთის მეფის ელჩად კონსტანტინოპოლში, სადაც გაეცნო ოსმანთა პოლიტიკას საქართველოს მიმართ და, ორ მაჰმადიანურ ექსპანსიურ სახელმწიფოს შორის სოლავით შეჭრილ ქართულ სამეფო-სამთავროების მდგომარეობას. თავისი სუბიექტური ცოდნა საქართველოზე მან შეავსო არა მარტო წიგნებიდან, როგორც ეს მისი ვრცელი მოხსენებიდან და სხვა მიმოწერებიდან ჩანს, არამედ კონსტანტინოპოლელ ყველა ფენის მცხოვრებთაგან. ამიტომ მასი ჩანაწერები მეტად სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს.

იმ დროს კონსტანტინოპოლში თავმოყრილი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ანაც ვერანჩიჩი სერალადან მიღებული ცნობების გარდა ლებულობდა საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას. მას აწლო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე ფაშებთან, სასახლის კარის თარჯიმან-მთარგმნელებთან, შიკრიკებთან. მასალებს აგროვებდა აგრეთვე ვაჭრებისაგან, ჯარისკაცებისა და ნიჩბოსან-მონებებისაგან.

ვერანჩიჩის მშობლების ოჯახი ბოსნიიდან იყო. მან დაწყებითი განათლება უნგრეთში მიიღო. ახალგაზრდობაშივე დაამყარა პირადი კონტაქტები იმდროინდელ გამოჩენილ ჰუმ-

ნისტებთან. მის მეგობართა რიცხვს ეკუთვნოდნენ ერაზმ როტერდამელი, პაოლო ჯოვიო!.

ანთალ ვერანჩიჩმა დიპლომატიური კარიერა 1530 წელს დაიწყო. იგი ერთხანს უნგრეთის მეფის წარმომადგენელია პაპის სასახლეში, შემდეგ პოლონეთის, ჩეხიის, საფრანგეთის მეფეთა კარზე და ვენეციის რესპუბლიკაში². ამ მისიათა წარმატებით დამთავრების შემდეგ მის წინაშე გადაიშალა ბრწყინვალე კარიერა, თუმცა, ქვეყნის მდგომარეობის სწრაფმა გაუარესებამ დროებით შეაფერხა ვერანჩიჩის წინსვლა. 1541 წელს თურქებმა ვერაგულად დაიპყრეს უნგრეთის დედაქალაქი — ბუდა. ვერანჩიჩი თან ახლდა უნგრეთის დედოფალ იზაბელას, რომელიც იძულებული გახდა გადასულიყო ტრანსილვანიაში, რომელმაც სწორედ იმ დროიდან დაიწყო თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა.

ვერანჩიჩს ვენაში დიდი პატივით შეხვდნენ. როცა სულთანმა ტრანსილვანიის ამბებზე გამო ახალი შეტევა წამოიწყო და ზედიზედ აიღო უნგრეთის სიმაგრეები, მეფე ფერდინანდმა დახმარებისათვის მიმართა ვერანჩიჩს. ფერდინანდი მას პირველად საზავო მოლაპარაკებისათვის³ აგზავნის ბუდას ფაშასთან. მან ეს დავალება წარმატებით შეასრულა, თუმცა უნგრეთის მეფე დროებით შეთანხმებაზე უფრო მეტს ელოდა. იმას უნდოდა რაოდენ დიდი მსხვერპლის ფასადაც არ უნდა დასჯდომოდა, პირველ რიგში შეენარჩუნებინა ტრანსილვანია. ამ მიზნით ფერდინანდმა სტამბოლში გაგზავნა ელჩები ანთალ ვერანჩიჩისა და უნგრელი მაგნატის, დუნაის ფლოტილიის მეთაურის ფერენც ზაის ხელმძღვანელობით.

ვერანჩიჩი და ზაი 52-კაციანი ამალით 1553 წლის 3 ივლისს შეუდგნენ თავიანთ ხანგრძლივ და ძნელ მოგზაურობას. 25 აგვისტოს მათ კონსტანტინოპოლს მიაღწიეს. აქ ვერანჩიჩმა მრავალი წელი დაჰყო და უმეტესი ნაწილი უშედეგო მოლაპარაკებას მოახმარა, რომლის დროსაც თან სერიოზული სიძნელებები გადაიტანა. ერთხელ სულთანი ისე გამძვინვარდა, რომ უნგრელი ელჩები კიდევაც დააპატიმრა⁴. მაგრამ იყო მშვიდობიანი პერიოდიც, როდესაც ლათო თვალთახედვის და საზრიანი ვერანჩიჩი აღწევდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობების მოპოვებას ოტომანთა იმპერიის მდგომარეობაზე, მის საგარეო და საშინაო საქმეებზე.

საყურადღებო დოკუმენტური მასალა — პორტასი უმთავრესად ვერანჩიჩის მოხსენებებისა და ჩანაწერებისაგან დგება. მათი უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია საქართველოსთან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე მისი ჩანაწერები, რომლებიც სახელდობრ სპარსეთსა და თურქეთ-სპარსეთის ომებს ეხება. საქმე იმაშია, რომ ვერანჩიჩის თავის წინამორბედთან მსგავსად კარგად ესმოდა, რომ ოსმანთა იმპერიას, სამხედრო ძალების მიუხედავად, ექსპანსიურ პოლიტიკაში სამოქმედო საზღვრები შეზღუდული ჰქონდა. მას უკვე აღარ შეეძლო ერთდროულად ეწარმოებინა ომი დასავლეთსა და აღმოსავლეთში. უნგრელი დიპლომატი ყოველთვის ყურადღებით ადევნებდა თვალს თურქეთ-სპარსეთის ომებთან დაკავშირებულ მოვლენებს, რომლებიც 50 წლის განმავლობაში სწარმოებდა, სწავლობდა და აანალიზებდა მათ, უკავშირებდა უნგრეთის მდგომარეობას, იმ შესაძლებლობებს, რომლებაც შეიძლებოდა წარმოშობილიყო მომავალში მისი სამშობლოსათვის. ვერანჩიჩის მიერ აღწერილი თურქეთ-სპარსეთის ომებში ფიგურირებს უნგრეთი და ტრანსილვანია, ქართული სამეფოები, შირვან-ჩერქეზეთი.

1857—1875 წლებში უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ 12 ტომად გამოსცა ვერანჩიჩის ნაშრომები. აქედან საქართველოს შესახებ საუბარია III და IV ტომებში — მეფისა და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებისადმი წარდგენალ მოხსენებებსა და ანგარიშებში.

ანთალ ვერანჩიჩის კონსტანტინოპოლში ყოფნის პერიოდში უნგრეთი კვლავ ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს ზოგიერთი საკითხების გადაწყვეტაში. ტრანსილვანიას, რომელსაც საუკუნენახევრის განმავლობაში ერთგვარი დამოუკიდებლობა გააჩნდა, ამ პერიოდში ჰამსბურგები და თურქები ემუქრებოდნენ ხელში ჩასაგდებად. გააფთრებული თურქების დაოკება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ სულთანნი წლიური ხარკისა და დიდი ძღვენის სამადლოდ უარს იტყოდა ტრანსილვანიაზე და მთელ თავის ძალებს დასძრავდა აზიისაკენ, ე. ი. გაუსწორდებოდა სპარსეთს და მის მოკავშირე ქართულ სამთავროებს.

ამ დროისათვის საქართველოში რთული ვითარება იყო შექმნილი. აქ ქვეყნის ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაწვევება უკვე დამთავრებული იყო. დაქუცმაცებული ქვეყნის მმართველ-გამგებლები რომ გაერთიანებულყვენ მტრის წინააღმდეგ, შეიძლება მათი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრებულიყო. მომხდურნი განსაკუთრებით მოხერხებულად იყენებდნენ სამცხე-საათაბაგოს გეოგრაფიულ მდებარეობას. ათაბაგთა ღალატის შედეგად იგი ორი ოსმალური სახელმწიფოს მუდმივ პლაცდარმად გადაიქცა. სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიიდან მაჰმადიან დამპყრობლებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ თავს დასხმოდნენ მეზობელ ქართულ სამეფო-სათავადოებს. როდესაც ვერანჩიჩას მოხსენებებში ვკითხულობთ ქართველები თურქეთს სურსათ-სანოვავით ამარაგებდნენო, აქ, როგორც წესი, ათაბაგის ქვეშევრდომი ქართველები იგულისხმებიან⁷.

იმერეთის ენერგიულმა და სახელოვანმა მეფემ სოლომონ I-მა მოიგერია სპარსელებს ოთხი შეტევა და შეინარჩუნა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა. შემდეგ მას თავს დაესხნენ თურქები და მხოლოდ ამის მერე განიცადა სერიოზული მარცხი სპარსეთის შაჰისაგან.

კახეთის მეფე ლევანი სულ სხვა პოლიტიკას ატარებდა. იგი იყო ჭკვიანი, წინდახედული მმართველი. ერთი მხრივ თავდაცვით ბრძოლებში ქართლისათვის ფარული დახმარების გაწევისას, ხოლო ფორმალურად სპარსეთის შაჰისადმი მორჩილების შედეგად, მან შეძლო სიმშვიდე შეენარჩუნებინა კახეთში საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების მიუხედავად. უფრო მეტიც, ლევანი ზოგჯერ ეხმარებოდა კიდეც შაჰს შირვანის ამირის წინააღმდეგ⁸.

მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, აგრეთვე იმერეთის მეფე ბაგრათი. მიუხედავად იმისა, რომ ვასალთა დაუმორჩილებლობა თავიდანვე აძნელებდა თავდაცვის შესაძლებლობას, მან შეაჩერა თურქეთს ურიცხვი ლაშქრის მოულოდნელი შემოსევა. ამის შემდეგ მან წარმატებით მოიგერია თურქეთის პირველი შემოტევები, მაგრამ მტრის შემდგომ ძლიერ მოწოლას უკვე ვეღარ გაუძლო. 1555 წლიდან იმერეთი იძულებული გახდა სულთანსადმი მორჩილება ელიარებინა.

საქართველოში სამეფო-სამთავროთაგან შედარებით უფრო უკეთეს მდგომარეობაში ზღვისპირას მდებარე სამეგრელო იყო, რომელმაც, საომარი მოქმედების ადგილებიდან სიშორის გამო, შეძლო თავისი სახელმწიფოებრივი ხელშეუხებლობის შენარჩუნება.

საქართველოსთან დაკავშირებით ვერანჩიჩი იხსენიებს ხან „გეორგიას“, ხან „გეორგიანებს“, თანაც ისე წერს, რომ ძნელია გაარკვიოს მკითხველმა ქართველები თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ თუ პირიქით.

ვერანჩიჩის ცნობების გასაგებად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს წინა თავში აღწერილ ვითარებებს. მასში საუბარია სხვადასხვა ქართულ მიწებზე, სამეფო-სამთავროებზე. ამასთანავე გასაგები ხდება ისიც, თუ რატომ იყვნენ ასე ძალიან დაინტერესებული ქართული სამეფო-სამთავროები თურქეთ-სპარსეთის ომით. მათი მაზნები შეესაბამებოდა უნგრეთის მეფის ელჩის ვერანჩიჩის მიზნებს. ქართველებიცა და უნგრელებიც ცდილობდნენ ყოველი ღონე ეხმარათ ამ ორ დიდ ისლამურ სახელმწიფოს შორის არსებული დაძაბულობის შესანარჩუნებლად, რათა არ მისცემოდათ მათ მოსაზღვრე ქვეყანაზე გალაშქრების საშუალება.

თუ რატომ დათანხმდნენ თურქები უნგრეთის მეფესთან ზავის დადებაზე, ანთალ ვერანჩიჩი ამის შესახებ თავის უმცროს ძმას მისპი ვერანჩიჩის ასეთ ახსნა-განმარტებას აძლევს: „თურქეთის ამპერატორს განზრახული ჰქონდა ომი დაეწყო სპარსელებთან და ამიტომ უნდოდა უნგრეთში მშვიდობა შეენარჩუნებინა. იგი თავისი არმიით აზიაში გასალაშქრებლად ემზადებოდა და სურდა სხვა საზრუნავისაგან დაზღვეული ყოფალიყო“⁹. ეს აზრი თავიდან ბოლომდე გასდევს ვერანჩიჩის მსჯელობას უნგრეთისა და საქართველოს შესახებ. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათი მდგომარეობა განისაზღვრებოდა ამ ორი მუსულმანური სახელმწიფოს ურთიერთობის შედეგით.

1553 წლის 5 ოქტომბერს უნგრეთის მეფესადმი გაგზავნილ მიმართვაში¹⁰, რომლითაც ვეცნობით თურქეთ-სპარსეთის ომის პროცესს, პირველად იხსენიება საქართველო. სხვათა შორის, აქ ყურადღებას იქცევს ცნობა, რომლის თანახმა-

დაც სპარსელებსა ქართველებს თავიანთ მოკავშირეებაუ თვლიდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ვერანჩიჩმა არ იცის, რომ საქართველო ერთ მთლიან სახელმწიფოს კი არ წარმოადგენდა, არამედ დანაწევრებული იყო ცალკეულ სამეფოებად. რომელთა ერთი ნაწილი გარკვეული პოლიტიკური მოსაზრების გამო სპარსეთს უჭერდა მხარს, ხოლო მეორე — თურქეთს¹¹. მოგვიანებით ეს გარემოება ვერანჩიჩისათვის ცნობილი ხდება¹².

ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა ვერანჩიჩის 1553 წლის 1 ნოემბრით¹³ დათარიღებული წერილი. მასში ნათქვამია, რომ სპარსეთზე ლაშქრობის დამთავრებისთანავე თურქეთი მთელი თავისა ძალებით კვლავ შეუტევს უნგრეთს. ამავე წერილში¹⁴ პირველად ვხვდებით თურქეთ-სპარსეთს შორის შირვანის თაობაზე ჩამოვარდნილ უთანხმოებას¹⁵. ამ საკითხს ვერანჩიჩი 1553 წლის 8 ნოემბრის¹⁶ წერილში უკავშირებს ტრანსილვანურ პრობლემას.

თურქეთ-სპარსეთის ომში ტრანსილვანიისა და უნგრეთის ბედის შესახებ 1553 წლის 3 დეკემბრის წერილში ვერანჩიჩი მიუთითებს თურქეთის ხრიკებზე, რომლებიც მიმართული იყო უნგრეთისაგან ტრანსილვანიის ჩამოცილებისაკენ¹⁷. ერთადერთი, რასაც ტრანსილვანიის გადარჩენა შეეძლო, ვერანჩიჩის აზრით, იყო თურქეთ-სპარსეთის ომი, რადგანაც „თურქეთის სულთანს არ გააჩნდა საკმაო ძალები ეწარმოებინა ომი ერთდროულად ორ ფრონტზე“. შემდეგ ვერანჩიჩი კმაყოფილებით აღუწყებს თავის მეფეს პირველ შეტაკებებს და სპარსელების მიერ თურქებისათვის მიყენებულ ზარალს¹⁸.

1554 წლის 17 იანვარს ვერანჩიჩი უნგრეთის მეფეს ატყობინებს, რომ სულთანს განზრახული ჰქონდა ზამთარი იერუსალიმში გაეტარებინა, მაგრამ მან იქ მისვლა ვერც კი მოასწრო, რომ მიიღო ცნობა სპარსელებას წინსვლასა და ვანის ციხესიმაგრის საფრთხეში ჩავარდნაზე¹⁹.

1554 წლის 30 მარტით დათარიღებული წერილიდან ვგებულობთ, რომ თურქებს განზრახული ჰქონიათ სპარსეთის საზღვარზე, შირვანის პროვინციაში აეგოთ სამი სიმაგრე, საიდანაც თავს დაესხმოდნენ სპარსეთის მეზობელ ოლქებს და გაანადგურებდნენ. აქვე აღნიშნულია თურქეთის მიერ აზიაში

დიდძალი არმიის გაგზავნის შესახებ. სპარსეთის შაჰს ძალზე ოსტატურა ზერხისათვის მიუმართავს, რათა შეეტყო თავის მრჩეველთა ნამდვილი აზრი თურქეთთან ომის საკითხზე. მას მოუწვევია დიდი მეჯლისი და საჯაროდ განუცხადებია თურქეთა ძლიერებაზე, რასაც კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს აძლევდა ქართველებისა და ქურთების დახმარება, მაშინ, როდესაც მათ პირიქით სპარსეთისათვის უნდა დაეჭირათ მხარი²⁰.

მეჯლისზე შაჰას გამოსვლის შემდეგ სიტყვა აუღია სპარსეთის ტახტის მემკვიდრეს. მას სასტიკად გაუკრიტიკებია თურქეთისადმი ნდობის საკითხი და უთქვამს: „რას უნდა ელოდე ისეთა ხალხისაგან, რომელსაც სურს წაართვას სპარსელებს წინასწარმეტყველისაგან ბოძებული წითელი ჩაღმა და თავს მოახვიოს საკუთარი თეთრი ჩაღმა“. ვერანჩიჩის ცნობით თურქებს გადაუწვავთ შირვანის პროვინცია და შესდგომიან მთელი სპარსეთის განადგურებას. ამის გამო მეჯლისის მონაწილეებს ერთხმად მოუთხოვიათ ანგარიში გაესწორებინათ თურქეთასა და მათი მოკავშირე ქართველებისათვის.

რამდენიმე კვირის შემდეგ, 1554 წლის 3 მაისს, ვერანჩიჩი ფერდინანდს ატყობინებს, რომ სულთანი აპირებდა უახლოეს ხანაში ეგეოსის ზღვისაკენ გაეგზავნა 50 გალერი. აქვე ელჩი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ ცნობის საფუძვლიანობას და განმარტავს: „თუ ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სულთანი შავი ზღვისაკენაც გაგზავნის 10 გალერს, რათა მათი საშუალებით ყირიმელი თათრები გადმოიყვანოს კაპადოკიაში ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელთა რიცხვიც, როგორც ამბობენ, 50.000 ძლივს აღწევს“²¹.

1555 წლის აგვისტოს დამდეგს გაგზავნილი ვერანჩიჩის მეორე წერილიდან ირკვევა, რომ მისი ვარაუდი გაზვიადებული აღმოჩნდა. სულთანს შავ ზღვაში ფაქტიურად გაუგზავნია თავისი ფლოტი, რომელსაც მეგრელები წარმატებით გამკლავებია. „ის სამი წყება ნიჩბიანი გალერები, რომლებიც შავ ზღვაში გაიგზავნა თათრების გადასაყვანად, კოლხეთის ჩრდილოეთით მცხოვრებმა მეგრელებმა მოიწყვიდნენ მდინარეში და ნაოსნობის საშუალება მოუსპეს. ამ ალყაშემორტყმული გალერების გასანთავისუფლებლად თურქები ახლა კიდევ სა-

მას გალერს ამზადებენ და სხვა სასწრაფო ღონისძიებების განხორციელებასაც ფიქრობენ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შექმნილი, რომ გალერების გაგზავნა ნელი ტემპით მიმდინარეობს“, აცნობებდა ვერანჩიჩი ფერდინანდს.²²

1554 წლის 4 სექტემბრის²³ და I ოქტომბრის²⁴ ვერანჩიჩის ანგარიშებში ქართველები ისევ თურქეთის მოკავშირეებად არიან წარმოდგენილი²⁵. თუ 4 სექტემბრის ანგარიშში შეტანილი ცნობის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელიც საქმის შინაარსით ანონიმი ავტორის 17 სექტემბრის მოხსენებას ესადაგება, სპარსელები თურქების ზურგში აღმოჩენილან ნახქევანის მთებთან. გადარჩენილ თურქეთის ჯარს თავი შეუფარებია ერთ-ერთ სიმაგრეში, რომლის სახელიც ზემოდასახელებულ წყაროებში არ იხსენება. ამ სიმაგრის მთავარი ამოცანა ყოფილა „თურქეთის ჯარის სურსათ-სანოვაგეზე მზრუნველი საქართველოს უშიშროება“. სიმაგრის მცველებს დავალებული ჰქონიათ შეეფერხებინათ სპარსელები იმ დრომდე, სანამ თურქების დალილ-დაქანცული არმია ერზერუმში არ მივიდოდა. მაგრამ სპარსელების მიზანს როდი შეადგენდა ამ სიმაგრეზე თავდასხმა. განრისხებული სპარსელები სწრაფად დაძრულან ქართველების წინააღმდეგ. მათ მიზანს წარმოადგენდა სამაგიერო მიეზღოთ ქართველებისათვის, რომლებიც ადრე მათი მოკავშირეები იყვნენ, მაგრამ შემდეგში სიტყვა გატეხეს, ღალატის გზას დაადგნენ და უზრუნველყვეს თურქეთი სურსათ-სანოვაგით. სპარსელებმა ამჯერადაც სისხლის მორევეები დააყენეს მოღალატეთა მიწა-წყალზე, არ დაინდეს ჩივილი ბავშვებიც კი. მათ ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს მთელი რიგი პროვინციები და შემდეგ კი უკან დაედევნენ გაქცეულ თურქებს ერზერუმამდე.

ამავე მოხსენებაში ვერანჩიჩი ახალ ცნობებს გვაწვდის თურქებზე, რომლებსაც სულთანისაგან შირვანზე თავდასხმის ბრძანება მიუღიათ. „სპარსელებმა, — ნათქვამია მოხსენებაში, — წინააღმდეგობის გაუწევლად გულგრილი დაუდევრობის შედეგად შეუშვეს თურქები და როდესაც ყოველი ტერიტორიის გაჩანაგება დაიწყეს, ამ დროს გარს შემოერთყნენ მათ და უმეტესობა გაუღიტეს, ხოლო ვინც გადარჩენის მიზნით გაქცევით დააპირა თავისათვის ეშველა, ისინი ჩერქეზების

ტყვიის მსხვერპლი გახდნენ. ამგვარად, 30.000 კაციდან მხოლოდ მცირე ჯგუფი დაბრუნდა სამშობლოში“.

1554 წლის 27 სექტემბრის მოხსენებაში ვერანჩიჩი უბრუნდება თავის 1554 წლის 3 მაისისა და აგვისტოს პირველი რიცხვებით დათარიღებულ ცნობებს, ასწორებს მათ და სამხედრო ხასიათის ბევრ მნიშვნელოვან ფაქტს გადმოგვცემს საქართველოზე²⁶. „შარშან, ზაფხულში, — წერს ვერანჩიჩი, — სულთანის ბრძანებით სამწყებად შავ ზღვაში შევიდნენ ნიჩბიანი გალერები — პირველად ხუთი, ხოლო მოგვიანებით კიდევ სამი. პირველი ხუთი გალერი, ვითომ იგზავნებოდა ყირიმელი თათრების აზიაში გადასაყვანად, დანარჩენი სამი კი აღრე გაგზავნილი იმ ხუთი გალერის დასახმარებლად, რომლებიც მდინარე რიონზე საფრთხეში ჩავარდნენ. სინამდვილეში ისინი არავითარი საშიშროების წინაშე არ მდგარან. გალერების გაგზავნის ნამდვილი მიზანი ყოფილა სამეგრელოსა და კოლხეთში მცხოვრებ ქართველებისაგან გადასახადის აკრეფა და სასაზღვრო მდინარეებზე საბაჟო კონტროლის დაწესება, რათა არ მისცემოდათ ევროპელებს სპარსელებისათვის ზარბაზნების გადაცემის საშუალება, ასეთი განზრახვა კი მართლაც ჰქონიათ კაფაში მცხოვრებ კომერსანტებს. ეს იყო პირველი ხუთი გალერის გაგზავნის ნამდვილი მიზეზი.“

შემდეგი სამი გალერი აზოვის ზღვაში გაიგზავნა კაზაკებისა და რუსების წინააღმდეგ, რათა დახმარებოდნენ ყირიმელ თათრებს. საქმე ისაა, რომ რუსებმა და კაზაკებმა კავშირი შეკრეს თათართა ხანის წინააღმდეგ, გაამზადეს დიდი არმია და გაგზავნეს ფლოტი ქვემო დონზე. ისარგებლეს რა იმით, რომ თათრები სპარსეთში იბრძოდნენ თურქეთის მხარეზე, არმია და ფლოტი ყირიმელი თათრების ტერიტორიაზე შეიჭრნენ, მაგრამ რუსთა და კაზაკთა არმია საზღვარზე გაჩერდა, სათარეშოდ კი მხოლოდ 30. 000 კაცი გაგზავნეს ფლოტით. კაზაკ-რუსებმა ჯერ კიდევ თურქების გალერების მისვლამდე ითარეშეს აზოვის ზღვიდან მდ. დონამდე და მოწინააღმდეგისათვის ზარალის მიყენების შემდეგ საკუთარ ტერიტორიაზე დაბრუნდნენ. როდესაც თურქები კაფაში მივიდნენ, ყირიმელმა თათრებმა მათ აცნობეს, რომ დახმარებას უკვე აღარ ვსაქიროებთო“.

ამავე ანგარიშში ვერანჩიჩი მეფეს ატყობინებს, რომ თურქები ფიქრობენ გალერები დასახმარებლად გაუგზავნონ იმდროისათვის მრისხანე მეკობრეს—ტურგტს (დრაგუტს). „ვისწრაფი თქვენს უდიდებულესობას ვაცნობო, რათა დროულად შეატყობინოთ ანდრეა ღორიას დამშვიდებით განაგრძოს ალყის შემორტყმა, რადგაჲსაც ყაჩაღები ვერავითარ დახმარებას ვერ მიიღებენ აქედან... თურქების გალერებზე ჩემი კარგი ნაცნობი უნგრელი მონებიც იყვნენ, რომლებისგანაც მიიღეს ეს ცნობები. საჭმე იმაშია, რომ თათრებმა შირვანში მარცხი განიცადეს... ისინი ამბობენ, რომ სპარსელებმა მოსპეს მათი 40.000-იანი არმიის თითქმის ნახევარი, შემდეგ კი მათგან ბევრს ბოლო მოუღეს ჩერქეზებმა (ყირიმის პირდაპირ მცხოვრებმა ხალხმა, რომლებსაც ძველად, სტრაბონის მიხედვით, ზოგოს უწოდებდნენ)“. დასასრულს ვერანჩიჩი წერს, რომ სამშობლოში დაბრუნებულ დამარცხებულ თათრებს ჩერქეზებთან და სპარსელებთან „სილაჩრის“ გამოჩენისათვის ცხვირებს და ყურებს აჭრიდნენ.

ვერანჩიჩი ავსებს 1554 წლის 1 ოქტომბრის წერილს ახალი ცნობებით, საიდანაც ვგებულობთ, რომ იგი და მისი თანამშრომლები არაფერს არ ერიდებოდნენ, ოღონდაც კი სულთნის ქეშმარიტი განზრახვები შეეტყოთ. „28 და 29 სექტემბერს, — იტყობინება ვერანჩიჩი, — არმიიდან ორი შიკრიკი მოვიდა... და მათგან ახალი ცნობების ასლები შევიძინეთ“. წერილიდან ირკვევა აგრეთვე, რომ სპარსელების მიმართულებით მიმავალ თურქებს მთელი თავიანთი ზარბაზნები იმ ქალაქში დაუტოვებიათ, რომელშიაც თურქეთის სურსათ-სანოვავით მომმარაგებელი ქართველთა გარნიზონი იდგა. თურქეთის არმიას თან წაუღია მხოლოდ საველე ზარბაზნები, მაგრამ სპარსეთის სიძლიერეში დარწმუნებულ თურქებს გადაუწყვეტიათ ათიათასიანი კავალერია და დიდი რაოდენობით იანიჩარების გაგზავნა ქვემეხების გამოსახსნელად და ჯარისკაცთა ბადრაგებით მათი ერზერუმში ჩაყვანა. მაგრამ ეს შეუტყვია სპარსეთის შაჰის ვაჟს, თავს დასხმია იგი თურქთა ჯარს, აუღია ქალაქი, მოუსპია გარნიზონი და დატყვევებულ მოსახლეობის ნაწილთან ერთად ზარბაზნებიც თან წაუღია.

1554 წლის 17 ნოემბრის ანგარიშში ვერანჩიჩი იტყობინე-

ბა, რომ თურქეთ-სპარსეთის ზავის საკითხის ირგვლივ ახალი არაფერია, სტამბოლში თითქოს იმედოვნებენ ამ ორ ქვეყანას შორის მშვიდობის ჩამოგდებაზე, რადგანაც გავრცელებული ხმების მიხედვით სპარსელებს საქართველოს საზღვარზე ხელში ჩაუგდიათ თურქული იარაღისა და სხვათა სამხედრო ნადავლის დიდი რაოდენობა.²⁷

1554 წლის 27 ნოემბრის ანგარიშში ვერანჩიჩი ანალიზებს შექმნილ ვითარებას და გამოთქვამს რწმენას, რომ თურქეთის სულთანსა და უნგრეთის მეფეს შეეძლოთ ადრევე დაედოთ ზავი, ე. ი. — სულთან მუსტაფას უფროსი ვაჟის დასჯამდე. იგი აღნიშნავს, რომ დაზავებისათვის ხელსაყრელი ორაი საკმაოდ კარგი შესაძლებლობა ჩაიშალა, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, რიგით მესამე შანსი, რომელმაც დადებითი შედეგი უნდა გამოიღოს. „ეს არის, — წერს ვერანჩიჩი, — თუ ჩვენს მოლაპარაკებას მშვიდობაზე წარმატებით დავამთავრებთ მანამ, სანამ თურქები სპარსელებს ზავზე დაიყოლიებენ. ამის მიღწევას თურქები მთელის ძალით ცდილობენ. საქმე იმაშია, რომ თურქები იმედოვნებენ, როგორც კი ცხადი გახდება მათთვის ჩვენი იარაღის უვნებლობა, ისინი შეეცდებიან თავზარი დასცენ სპარსეთის შაჰსა და ქართველობას“.²⁸

ვერანჩიჩის მთელი ეს მოხსენებითი ბარათი, ისევე როგორც მისივე სხვა დანარჩენი წერილები ავსებენ ჰამერის,²⁹ ცინკეიზენისა³⁰ და იორგას³¹ იმ შრომებს, რომლებიც ასახავენ სტამბოლის იმდროინდელ პოლიტიკას.

1554 წლის 1 დეკემბერს ვერანჩიჩი უნგრეთის მეფეს ატყობინებს თურქეთის სავარაუდო გეგმების შესახებ.³² „რამდენადაც სტამბოლში მომწიფდა მოსაზრება, — წერს იგი, — რომ სპარსელებთან და უნგრეთთან ზავის დადება არ ხერხდება, ბრწყინვალე პორტას განზრახული აქვს გაგზავნოს უნგრეთში საბერძნეთისა და თრაკიის ბეგლარბეგი ჯარით, მეორე არმია კი სულთნის უშუალო ხელმძღვანელობით გაიგზავნება საქართველოს წინააღმდეგ, რადგანაც იგი სპარსეთის მხარეზეა და, როგორც ამბობენ, დიდ დაბრკოლებას უქმნის სულთანს სპარსეთის დაპყრობის გეგმების განხორციელებაში“. ამგვარად, ვერანჩიჩის წერილის თანახმად თურქე-

თის აზრით ქართველები კვლავ წარმოდგენდნენ სპარსეთის ყველაზე ძლიერ მოკავშირეს.

ოსმალთა საქართველოზე გალაშქრებისათვის მზადების ამბებია გადმოცემული ვერანჩიჩის 1554 წლის 13 დეკემბრის³³ წერილშიც, რომლითაც იგი უნგრეთის მეფეს ატყობინებს: „თურქები მერმისისათვის ქართველებთან ომს გეგმავენ, რადგანაც ქართველების სამხედრო ძალებმა მათ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც ვერ შეძლეს შაჰის დამორჩილება“. ამის შემდეგ ვერანჩიჩი უნგრეთის მეფეს აცნობებს აგრეთვე თურქეთის სხვა მუხანათური გეგმების შესახებ.

19 დეკემბრის ანგარიშში ვერანჩიჩი იტყობინება, რომ „ქართველი დიდებულები სპარსეთის მხარეზე გადავიდნენ და ყოველნაირად ცდილობენ ჩაფუშონ საზავო მოლაპარაკება. ამიტომ სულთანმა გადაწყვიტა ომი გამოუცხადოს ქართველებს, თუ ისინი ხელს არ აიღებენ ვერაგულ განზრახვაზე და თურქეთის მხარეზე არ გადავლენ“³⁴.

აჰმედ ფაშას სიცოცხლე კარგა ხანს ბეწვზე ეკიდა. ამის გამო ვერანჩიჩი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სპარსეთ-თურქეთის ზავის დადების პრაქტიკულად განხორციელება შორეული მომავლის საქმეა.³⁵ „ჩემამდე მოაღწია ხმამ, — სწერს იგი უნგრეთის მეფეს, — რომ სულთანს განუზრახავს შავ ზღვაში გაგზავნოს სამხედრო ფლოტი 100 სამწყება ნიჩბიანი გალერის შემადგენლობით, რათა ამ ფლოტმა მდ. რიონის საშუალებით მიაღწიოს ქართველების მამულების იმ საზღვრებამდე, რომლებსაც ძველი ხალხი იბერიას უწოდებდა“³⁶. თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ ცხადია, სულთანი ომს დაიწყებს ქართველებთან, მეგრელებთან და ჩერქეზებთან. აქედან უკანასკნელთ კოლხებსა და ჯიქებს უწოდებენ. ისინი ქართველების მეზობლები და მოკავშირეები არიან“³⁷.

ანთალ ვერანჩიჩისა და ფერენც ზეისის დელეგაციას 1555 წლის 20 იანვარს შეუერთდა აუჰერიუს ბუსბეკიც.³⁸ სწორედ ამ ერთობლივ მოგზაურობისა და მის შედეგებზეა მოთხრობილი ლათინურ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე დაწერილი სქელტანიანი შრომების მე-7 თავში.³⁹

საჩუქრებით გულუხვად დატვირთული შაჰის ელჩი 1555 წლის 10 მაისს ამასიაში ჩავიდა და 29 მაისს უკვე დაიღო

თურქეთ-სპარსეთის ზავი. ვერანჩიჩი თავის კოლეგებთან ერთად ამ დროს იქ იმყოფებოდა და უკანასკნელ წუთამდე ცდილობდა ხელი შეეშალა დაზავებისათვის.

1554 წლის 29 დეკემბრის მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, რომ სპარსეთის ელჩის წარმომადგენლის მიერ პორტასადში გაგზავნილი ცნობის თანახმად შაჰს დიდი სურვილი ჰქონია მშვიდობის ჩამოსაგდებად, მაგრამ გაზაფხულამდე ელჩი ვერ გაუგზავნია მოსალაპარაკებლად. ამიტომ თურქებს ზავის სწრაფად დადების დიდი იმედი არ ჰქონიათ, რის გამოც ომისათვის მზადება მერმისისთვის გადაუწყვეტიათ. ამ დროს სპარსეთის შაჰის ვაჟი ძლიერი ცენოსანი არმიით შეჭრილა იმ ქართველთა მამულებში, რომლებიც თურქეთის მხარეზე იყვნენ. შეტაკებას დიდი ხოცვა-ყლეტა მოჰყოლია. მას დაუტყვევებია ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქართველი თავადი.⁴⁰ ამ ძალადობას თურქები გაუმძვინვარებია. მათ სასწრაფოდ გაუგზავნიათ სპარსეთის შაჰის ვაჟის წინააღმდეგ საბრძოლველად ვანის სიმაგრის ციხისთავი, რათა შური ეძია ქართველებისადმი მიყენებული ზარალის გამო. მაგრამ ამ ექსპედიციას სამარცხვინო მარცხი განუცდია, სპარსელებს თავრიზთან გაუნადგურებიათ თურქეთის ლაშქარი.

ჩვენამდე არ შემონახულა ვერანჩიჩის დაწვრილებითი ანგარიში ამასიის ზავზე. ამის თაობაზე რამდენიმე საინტერესო ცნობას გვაწვდის საფრანგეთის მეფის ანრი IV ელჩი დე კოდინაკი 1555 წლის 10 და 29 მაისით დათარიღებულ წერილებში⁴¹. აქ საქართველოს ეხება მხოლოდ ერთი ფრაზა. ვერანჩიჩი აღნიშნავს შაჰის მიერ სულთნის ქორწილზე მიწვევას შეილთან ერთად და ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ქართველი მთავრის ქალიშვილზე დაქორწინებას.⁴²

1555 წლის 1 ნოემბრის წერილში ვერანჩიჩი წერს: „სპარსეთის ის ხრიკები, რომლებზედაც უკვე ვიუწყებოდით წინა ორ წერილში, უბრალო ქორები როდი გამოდგა. სპარსეთში მდებარეობს ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელსაც ვრცელი და ნაყოფიერი მიწები გააჩნია. ამ ქალაქს ზალმანაზი ჰქვია.“⁴³ იქვე იგი დასძენს, რომ აღნიშნულ ქალაქში აწარმოებენ ყველაზე გემრიელი მარილის მოპოვებას, უხვი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანას. მისივე ცნობით ამ

ქალაქში დაბანაკებული ყოფილა თურქების გარნიზონი, რომელიც განუწყვეტლივ აწიოკებდა მთელ რაიონს.

როგორც ჩანს, სპარსელები გვიან მიხვდნენ, რომ დადებული ზავი მათთვის არახელსაყრელ მუხლებს შეიცავდა⁴⁴, რადგანაც ხელშეკრულებაში მითითებული არ ყოფილა ამ ქალაქის კუთვნილებაზე. ვერანჩიჩის განმარტებით არც თურქეთსა და არც სპარსელებს იოლად არ შეუძლიათ ამ ქალაქის საზღვრების გარღვევა. თუ, მაგალითად, თურქებს სურდათ უზრუნველყოთ თავიანთი ძალაუფლება ქართველებზე, ბაღდადის პროვინციასა და ვანის სიმაგრეზე, მათ უთუოდ უნდა დაეპყროთ ეს ქალაქი; სპარსელები კი ვერ მოითმენდნენ, რომ მათსავე ტრიტორიაზე თურქეთის გარნიზონი ჩრდილო-უზღრული სიმაგრის ფულეკის მსგავსად, სოლივით შეჭრილი დარჩენილიყო. სპარსეთი ომით იმუქრებოდა თუ თურქები არ დატოვებდნენ ამ ქალაქს. ვერანჩიჩის ცნობით სპარსეთის შაჰის ვაჟს ისმაილს სურდა სხვადასხვა მაქინაციებით ხელში ჩაეგდო იგი, მაგრამ მამამისმა ჩაშალა მისი გეგმები.⁴⁵

ვერანჩიჩის 1556 წლის ელჩობის ანგარიშები, როგორც ეს უნგრეთის გამოჩენილმა ისტორიკოსმა, ვერანჩიჩის დოკუმენტური მასალების გამოცემულმა ლასლო სალაიმ⁴⁶ დაადგინა, უკვალოდ დაიკარგა. უნგრეთში ბუდაპეშტის სახელმწიფო არქივში ჩვენ ვიპოვეთ მისი 1556 წლის 1 ივლისის კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნილი ანგარიში, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი ადგილი.⁴⁷

1557 წლის 8 იანვრის ანგარიშში ვერანჩიჩი თურქეთის საზღვრებს შემდეგნაირად განსაზღვრავს. „ცხადია, იმპერიის საშინაო მღელვარებათა დასაოკებლად საჭიროა დიდი სამხედრო ძალა და სპარსელების დამორჩილება. შეუძლებელია საზღვაო ომის მზადებისა და მოკავშირე თათრების დახმარების იგნორირებაც, რადგანაც არა მგონია, რომ ეს უკანასკნელი უნგრელების წინააღმდეგ ომში მათ მხარს დაუჭერენ“.⁴⁸

ამავე ანგარიშში ვერანჩიჩი წერს, რომ სპარსეთში შფოთი და არეულობა კი არა დამცხრალა, პირიქით სულ უფრო მწვავედება მას შემდეგ, რაც რომელიღაც ახალმა „მუსტაფამ“ შეტევა დაიწყო. მისივე ცნობით ეს „მუსტაფა“ წარმოშობით ჩერქეზი ყოფილა, მისი თანამემამულენი ჯიქებად იწოდებიან

და შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ კოლხებითა და ქართველებით დასახლებული იბერიის მეზობლად.⁴⁹

1557 წლის 16 თებერვალს ვერანჩიჩი და მისი კოლეგა კვლავ იუწყებიან სპარსელების გააქტიურებაზე. „ამ ფაქტს დასტურებენ, — ვკითხულობთ, — მათ ანგარიშში, — აზიიდან სტამბოლში ჩამოსული ის მთავრები, რომლებიც ჩივიან „მუსტაფასა“ და სპარსელთა ძალადობაზე. ქართველთა, ქურთთა და ბაბილონელთა გარდა აქ ელიან სამეგრელოს მთავარსაც. იგი 300-კაციანი ამალით ჩამოდის იმისათვის, რომ ურჩიოს რაიმე თავის მეზობელ ჩერქეზებს, რომლებიც „მუსტაფას მოკავშირეები არიან და გამუდმებით თავს ესხმიან მის ქვეყანას“.⁵⁰

1557 წლის 1 მარტის ანგარიშში ვერანჩიჩი უკვე აღნიშნავს სამეგრელოს მთავრის ჩასვლას. „უკვე გვაქვს ზუსტი ცნობები სამეგრელოს მთავრის ჩამოსვლაზე. იგი ჩამობრძანდა ზღვით, ჩვენი 16 თებერვლის ანგარიშის გამოგზავნის მეორე დღეს. მის ჩამოსვლაზე და მდგომარეობაზე იმიტომ გატყობინებთ, რომ ჩვენმა ხალხმა მთავრის ავტორიტეტულობაზე იმაზე მეტი წარმოდგენა არ იქონიოს, ვიდრე სინამდვილეში თავად არის. იგი ჩამოვიდა, როგორც „მეფე სრულიად სამეგრელოსი“. მან ეს ტიტული სულ ახლახან მიიღო, მაგრამ ამის მიუხედავად ამ ჩვენს მტერს დიდ მნიშვნელობას ნურავინ ნუ მიანიჭებს. დაე, თქვენმა უდიდებულესობამ იცოდეს, რომ ამ პირზე ვერ იტყვივით ეგვიპტის რომელიმე ნებისმიერ პატარა მეფეზე მეტს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ვრცელ მამულებს ფლობს და სათავეში უდგას საკმაოდ მრავალრიცხოვან ხალხს, დიდი სიმდიდრის პატრონი მაინც არ არის. ისე იქცევა, როგორც ჩვეულებრივი ხალხის წრიდან გამოსული უბრალო ადამიანი. ტიტული რომ არ ჰქონდეს, არავინ იფიქრებს მის მეფობას. არ იცავს სასახლის ცერემონიალებს და წესებს. თავისი ქცევით იფუჭებს ავტორიტეტს, არავითარ ყურადღებას არ აქცევს საკუთარი ღირსების წარმოჩენას. შევეცადეთ მოეყვანათ ჩვენთან მისი ამაღლის რომელიმე წევრი, რათა შეგვეტყო რაიმე სამეგრელოს შესახებ. როდესაც ამის შესახებ აცნობეს, მან განაცხადა, რომ მზად იყო არამცთუ სხვა ვინმე, არამედ თავად მოსულიყო, თუკი ქალაქის გუბერნატორის ნე-

ზართვა იქნებოდა. საქმე ისაა, რომ იგი ჩვენსავით მკაცრი დაცვის ქვეშ იმყოფება.

ალსანიშნავია, რომ სამეგრელოს მთავარი თვითონ ჩამოვიდა ელჩის სახით, თუმცა მან ეს გააკეთა მეზობელ ჩერქეზებზე შურისძიების მიზნით, რადგანაც მათ მოუკლავთ მამამისი. ამ მიზნით მეფეს მათ წინააღმდეგ გაუგზავნია ჯარი, მაგრამ მიგვახვედრა, რომ მისი სახმელეთო სამხედრო ნაწილები ვერ გაუძლებდნენ ჩერქეზების ძლიერ ლაშქარს. იგი დარწმუნებულა, რომ საზღვაო ფლოტის გარეშე ვერაფერს გახდებოდა მტრის წინააღმდეგ. მან სულთანს საჩუქრად ჩამოუტანა ძვირფასი ქვებით მოჭედული თასი, რათა სთხოვოს მას ნიჩბიანი გალერები. ამ თხოვნის შესრულების შემთხვევაში მეფემ გადასახადებიც კი იკისრა, რომლისგანაც იგი აქამდე თავისუფალი იყო⁵¹.

ამის შემდეგ ვერანჩიჩი სამეგრელოს ახასიათებს, როგორც მოუსავლიან, მწირმიწიან ქვეყანას, აუფასურებს სამეგრელოს მთავრის მიერ თან ჩამოტანილ საქონელს—ტილოს, აბრეშუმს და დასძენს: „ალბათ ეს არის ამ ქვეყნის ძირითადი ნაწარმი. მან ამით უნდა დაასაჩუქროს არა მარტო ფაშა, არამედ უნდა გადაფაროს კიდევაც სამგზავრო ხარჯები. საერთოდ, მეგრელები არ სარგებლობენ ფულით, არ გააჩნიათ არც ოქრო, არც ვერცხლი, როგორც ერთმანეთში, ისე უცხოელებთან ვაჭრობას აწარმოებენ გაცვლითი წესით. ჩვენ მხოლოდ მოგვიანებით შეგვეძლება შევიტყოთ რა საჩუქარს ან რა ძღვენს წაიღებს აქედან სამეგრელოს მთავარი, რომელსაც დადიანს უწოდებენ, ზემოალნიშნული ძვირფასი თასისა და მასზე უფრო გაცილებით ძვირფასი პირადი თავისუფლების დაკარგვის ნაცვლად. აქ გავრცელებული მოსაზრების შედეგად თურქეთის ფლოტის ზღვაში გასვლის შედეგად სამეგრელოს მთავარი დაუყოვნებლივ ჯერ ვერც თავის მიერ მოთხოვნილ გალერებს მიიღებს. საქმე ისაა, რომ ეს ფლოტი სულთანს სჭირდება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი თავისი მიზნების განსახორციელებლად. შესაძლებელია, რომ მან სამეგრელოს მთავარს მისცეს პატარა ხომალდები, რომლებიც საკმაოდ კარგი გამოსაყენებელია სამხედრო-საზღვაო ოპერაციებში“⁵².

ვერანჩიჩი თავის ანგარიშში დადიანს „მტერს“ უწოდებს. ეს გასაკვირი არ არის, რადგანაც თურქეთის მოკავშირე ყველა ქვეყანა სარწმუნოებრივი მრწამსის მიუხედავად, უნგრელების თვალსაზრისით, ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ამავე დროს, ვერანჩიჩის თვალში ასეთივე იყო ყველა მაჰმადიანიური ქვეყანა, პირველ რიგში კი სპარსეთი, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა. უდავოა აგრეთვე ისიც, რომ პარიზის, ლონდონისა და ვეროპის სხვა სამეფოთა სასახლის კარზე ნამყოფ ვერანჩიჩს მალალი წარმოდგენა ჰქონდა ქვეყნის მმართველზე და ამან განაპირობა ის, რომ იგი სამეგრელოს მთავარს, რომელიც მოკლებული იყო სადარბაზო ცერემონიებს და არ ზრუნავდა თავისი კეთილშობილების წარმოსაჩენად, სხვა სახელმწიფოთა გამგებლებთან შედარებით არ თვლიდა ნამდვილ მმართველად.

1559 წლის 9 აპრილს ვერანჩიჩი წერს, რომ უნგრელ შეძლებულ პირთაგან ეკონომიურად ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ფერენც ბებეკი 1557 წლის 24 მარტს ანდრიანოპოლში ჩავიდა, რათა ეთხოვა თურქეთისათვის ფერდინანდის სამეფო ტახტიდან ჩამოგდებაში დახმარების გაწევა. ამ საქმეში ჩარევისათვის სულთანს ძალიან ბევრი მიზეზი ელოებოდა წინ. ყველაზე მთავარს ის წარმოადგენდა, რომ იმ დროს მას მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდა სპარსეთში დაწყებულ მღელვარებასა და აზიაში გალაშქრებისათვის სამზადისზე. „ცხადია, — წერს ვერანჩიჩი, — რომ სპარსეთში არსებული მღელვარების მიზეზების აღმოფხვრისთანავე თურქეთი უწინარეს ყოვლისა ომს დაიწყებს არა უნგრეთში, არამედ აზიაში. ეს მღელვარება ყოველ დღე ფართო გაქანებას ღებულობს და ძლიერდება. 28 მარტსა და 8 აპრილს სასახლვრო რაიონებიდან 10 შიკრიკი მოვიდა. მათ მოიტანეს სრულიად სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, რომ სპარსეთის ჯარმა უკვე დაიკავა თავრიზი. შაჰის ერთი ვაჟი უკან დაბრუნებულა ახლადდამორჩილებული პროვინციიდან, მეორეს კი დაუპყრია შირვანი და დიდი ძალებით შესდგომია ქართველების მუსრის გავლებას. ამგვარად დაიწყო რა აშკარა საომარი მოქმედება სამი ძირითადი მიმართულებით, შაჰი თურქეთის სულთანისაგან მოითხოვს 5 სასახლვრო პუნქტის უკან დაბრუ-

ნებას, უარის შემთხვევაში იგი ომის გაგრძელებით იმუქრება“.⁵³

აქვე ვერანჩიჩი შემდეგნაირად ახასიათებს თურქეთის საზღვრებს: „ფრანგებს სურთ ფლოტის ჩარევა, იტალია ძალზე ღელავს, რუსები, კაზაკები და ჩერქეზები საბრძოლველად არიან განწყობილნი შავი ზღვის სანაპიროზე, თათრები და მეგრელები ითხოვენ დახმარებას. პორტას უჭირს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო საკითხების გადაწყვეტა. მან არ იცის ვისთან დაიწყოს ომი, ჩვენთან თუ სპარსეთის წინააღმდეგ. ანგარიშს უწევს რა იტალიის საიმპერატორო კარის ცვალებადობას, მის მერყევ პოლიტიკასა და საფრანგეთის მუქარას, ყოყმანობს გაგზავნოს თუ არა ფლოტი იტალიის წყლებში. ფრანგები არ წყვეტენ ლანძღვა-გინებას ზავის დაუკითხავად დადებისა და სამშვიდობო ხელშეკრულების დაუფიქრებლად დარღვევის გამო“⁵⁴.

ამ წერილის გაგზავნიდან რამდენიმე თვის შემდეგ ვერანჩიჩი ფერენც ზაისთან ერთად ჩამოდის უნგრეთში, საიდანაც 1567 წელს, ანუ 10 წლის შემდეგ კვლავ ბრუნდება სტამბოლში ახალი დიპლომატიური მისიით. მეორედ ჩასვლის შემდგომ შექმნილ წერილობით დოკუმენტებში⁵⁵ ვერანჩიჩი საქართველოს სულ არ იხსენიებს. მათში ძირითადად აღწერილია სპარსეთ-თურქეთის ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ დოკუმენტებს მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ საქართველოსათვის, რადგანაც ორი მეზობელი მუსულმანური სახელმწიფოს ურთიერთობის განვითარების შედეგით იგი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული.

1567 წლის 7 ოქტომბრით დათარიღებულ საკმაოდ ვრცელ დოკუმენტში⁵⁶ სპარსეთის საკითხს მხოლოდ ერთი აბზაცი აქვს დათმობილი. სამაგიეროდ, უფრო ფართოდაა ნათქვამი ამის შესახებ იმავე წლის 7 დეკემბერს იმპერატორის ვენეციელი ელჩის ვიდუ დორნბერგისათვის გაგზავნილ წერილში.⁵⁷ 1567 წლის 21 დეკემბერს იმპერატორისათვის დაწერილ ანგარიშში ვერანჩიჩი უკვე დაწვრილებით განიხილავს სპარსელებთან კავშირს⁵⁸ და ვანთან დაკავშირებულ საომარ საკითხებს.⁵⁹

ქართველები მოხსენიებულია იმპერატორ მაქსიმილიანეს ვიცე კანცლერ მარკ სინგმოზერისადმი გაგზავნილ წერილში,

რომელშიც შეფასებულია სპარსეთის დიპლომატიური ორიენტაცია. „სპარსეთის შაჰზე, — ვკითხულობთ მასში, — ბევრ რამეს თხზავენ და ავრცელებენ. მისი ადგილსამყოფელი დღემდე საიდუმლოებითაა მოცული. მაგრამ აქ განაგრძობენ ყბედობას მისი ელჩის ჩამოსვლაზე, ის კი ჯერ არსად ჩანს. სპარსეთის მეზობელი ხალხები კი, როგორც არიან ბაღდადეგები, ყარამანები, ქართველები და სხვები თხოულობენ რჩევა-დარიგებას“⁶⁰.

ხანგრძლივი, მომქანცველი მოლაპარაკების შემდეგ ვერანჩიჩის დიპლომატიური მისია 1568 წელს დიდი წარმატებით დამთავრდა. ხელმოწერილ იქნა 8-წლიანი საზავო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა უნგრეთის არაოკუპირებული რაიონების თურქებისგან ხელშეუხებლობას. გადაწყდა აგრეთვე, რომ უთანხმოებანი, რომლებიც მომავალში წარმოიშვებოდა, მოგვარებულიყო იარაღის საშუალებით. შეიქმნა შერეული კომისია ბუდაელი ფაშისა და უნგრეთის უმაღლესი წოდების კაპიტნის თავმჯდომარეობით.

ვერანჩიჩის ბიოგრაფის⁶¹ აზრით უნგრელი დიპლომატის წარმატებას ხელი შეუწყო თურქეთის მძიმე საშინაო პოლიტიკურმა ვითარებამ—შიდა მღელვარებამ და აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი საქართველოში, დაწყებულმა აჯანყებებმა.

ის ფაქტი, რომ საქართველოში მომხდარი ამბოხება-მღელვარებანი აიძულებდა თურქეთის სამხედრო ძალებს მუდამ მზადყოფნაში ყოფილიყვნენ, კეთილსასურველ გავლენას ახდენდა უნგრეთის არაოკუპირებული რაიონების მომავალ უშიშროებაზე, უნგრეთის დამოუკიდებლობის შემდგომ შენარჩუნებაზე.

1568 წლის 20 მარტს ვერანჩიჩი სამშობლოში ბრუნდება. 29 აპრილს იგი უნგრეთის იმდროინდელ დედაქალაქ ბუდაში ჩავიდა, შემდეგ ვენაში და პირადად მოახსენა იმპერატორ მაქსიმილიანეს თავისი დიპლომატიური მისიის შედეგები. 1569 წელს იმპერატორი ვერანჩიჩს ნიშნავს ესტერგომის არქიეპისკოპოსად, ანუ უნგრეთის კათოლიკური ეკლესიის მეთაურად და მასვე აკისრებს კანცლერის მოვალეობის შესრულებას. თავის ერთ-ერთ მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში

6. ლ. ტარდი

იგი ჩივის, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა საქმეებმა ისტორიოგრაფიაში მუშაობის საშუალებაც კი წამართვა⁶².

1571 წელს პაპი ვერანჩიჩის არქიეპისკოპოსის წოდებას ანიჭებს, ხოლო 1572 წლის 24 ივნისს იმპერატორი მაქსიმილიანე მას ნიშნავს თავის ნაცვლად, რის შედეგადაც ვერანჩიჩი პირველი კაცი ხდება უნგრეთში არა მარტო როგორც საეკლესიო მოღვაწე, არამედ როგორც დიდი საერო პირიც. იმავე წლის 22 სექტემბერს მან მეფედ აკურთხა რუდოლფი, რომელიც თავისი მმართველობის შემდგომ წლებში ცდილობდა შეექმნა ანტითურქული კავშირი არა მარტო სპარსეთის შაჰთან, არამედ საქართველოს მეფეებთან—სიმონთან და ალექსანდრესთან ერთად⁶³. 1572 წლის ბოლოს მაქსიმილიანემ და რუდოლფმა სთხოვა პაპ გრიგორ XIII ვერანჩიჩის კარდინალად დანიშვნა, მაგრამ სანამ პაპი ამ თხოვნას შეასრულებდა, 1573 წლის 15 ივნისს ჩრდილოეთ უნგრეთში, ქ. ეპერიეში, გარდაიცვალა. მისი ნეშტი განისვენებს ქ. ნაღსომბატში, ახლანდელ ტრნავაში.

ჩვენ ძირითადად ვერანჩიჩის იმ მასალებს შევხებით, რომლებშიაც მოიპოვება ცნობები საქართველოზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელთ არ გვქონდა მისი ყველა ნაშრომი. მაგრამ, როგორც დავინახეთ, შორით განჭკერეტის შედეგად ვერანჩიჩმა მიგვანიშნა თუ რაოდენ კარგად ერკვეოდნენ ქართველები მაშინდელ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ქართველებმა არ ცნეს 1555 წლის ამასიის მზაკვრული ზავი და უმაღლვე დაიწყეს შეუპოვარი ბრძოლა თავიანთი მოსისხლე მტრების — მაჰმადიანური სახელმწიფოების წინააღმდეგ. 1555 წლის ამ ზავმა ერთ-ერთი სახელმწიფოების წინააღმდეგ — დაპატრონებოდნენ საქართველოს. ეს ასეც მოხდა: შეთანხმების თანახმად ქართლ-კახეთი და სამცხე-საათაბაგო ირანმა ჩაიგდო ხელში, ხოლო იმერეთი, გურია და ოდიში — ოსმალეთმა. ვერანჩიჩის დოკუმენტური მემკვიდრეობა მწირ ცნობებს შეიცავს ქართველთა ანტიმაჰმადიანურ ბრძოლებზე, რაც ამასიის ზავის დადებას მოჰყვა წილად, შეგვეძლო გაცილებით მეტი შეგვეტყუა

მის 1556 წლის მოხსენებიდან, მაგრამ ეს საბუთები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის მთლიანად დაკარგულია.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვერანჩიჩი იყო პირველი უნგრელი სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი, რომელმაც დაგვიტოვა შედარებით მდიდარი მასალა საქართველოზე. მისი ღვაწლი ამ მხრივ იმდროინდელი ფრანგი და ვენეციელი დიპლომატების დამსახურების ტოლფარდოვანია. მართალია, იგი საქართველოში არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ მოღვაწეობდა რა სულთანის კარზე, დიდხანს დაჰყო ამასიისა და ქართველებით დასახლებულ იმ რაიონებში, რომლებიც განლაგებულია ლახეთის მეზობლად და ადრე საქართველოს ეკუთვნოდნენ. იქ შეეძლო მას გასცნობოდა მეგრულ-ქართველებს, ყოველ შემთხვევაში, მათზე საინტერესო ცნობები მაინც მიეღო. დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ვერანჩიჩი შესანიშნავად იცნობდა სტრაბონს და საჭიროების შემთხვევაში იმოწმებდა კიდევაც მას. ექვს გარეშეა, რომ მას წაკითხული ჰქონდა აგრეთვე ამიან მარცლელინისა და სხვა ავტორების ნაშრომები. არა გვგონია არ სცოდნოდა ენეა სილვიო, პიკოლომინის გეოგრაფიული თხზულება. საქართველოს ტერიტორიული ერთეულების, მდინარეებისა და ა. შ. სახელების დამოწმება ადასტურებს, რომ ვერანჩიჩს კარგად სცოდნია ალორძინების ეპოქის კლასიკური ლიტერატურა. იგი გატაცებით წერს ქართველებზე. არ მალავს თურქეთის წინააღმდეგ მათი შეუპოვარი ბრძოლით გამოწვეულ ალტაცებას, რადგან იცოდა, რომ ეს ემსახურებოდა მის სამშობლოს — უნგრეთის ინტერესებს. ამიტომ იგი ქართველებში ხედავდა თავისი ხალხის მოკავშირეს. ექვს გარეშეა იგი გაცილებით დიდი პატივისცემით მოიხსენებდა სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს, რომ ეს უკანესკნელი 1557 წელს იარაღით ხელში გამოსულიყო ორივე ქვეყნის — საქართველოსა და უნგრეთის საერთო მტრის თურქეთის წინააღმდეგ.

აუგერიუს ბუსბეკმა და იოჰან დერნშვანმა კონსტანტინოპოლიდან ქალაქ ამასიიამდე ვერანჩიჩთან ერთად იმოგზაურეს, მაგრამ მათს ჩანაწერებში საქართველოზე იმდენ მასალას ვერ ვხვდებით, რამდენიც ეს ვერანჩიჩს აქვს მოცემული თავის

ანგარიშებსა და წერილებში. ამის მიუხედავად მათი ნაშრომები ყურადღებას მაინც იმსახურებენ.

ავგერი გისლენი ბუსბეკი (1522—1592) წარმოშობით ფლანდრიელი იყო. იგი თავის დროზე გამოჩენილ დიპლომატად ითვლებოდა,⁶⁴ მაგრამ ამ შესანიშნავი მოღვაწის სახელი უფრო განაღიდა მისმა მეცნიერულმა ნაშრომებმა.

ბუსბეკი სწავლობდა ლუვენის, პარიზის, ბოლონიისა და პადოვის უნივერსიტეტებში, რომელთა დამთავრების შემდეგ ზეფე ფერდინანდის კარზე მოეწყო სამუშაოდ. მეფემ იგი დიპლომატიური მისიით ჯერ ინგლისში გაგზავნა, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლის საელჩოში მიაგვლინა, რომელსაც იმ დროს სათავეში ა. ვერანჩიჩი იდგა. ბუსბეკი 7 წლის განმავლობაში იმყოფებოდა თურქეთის დედაქალაქში ელჩად, სადაც თავის ძირითადი საქმიანობის გარდა ეწეოდა ფართო მეცნიერულ მოღვაწეობას: აგროვებდა ძველ ხელნაწერებს, წიგნებს, რომლებიც შემდეგ იანოშ სამბუკუსისა და მისი ვენელი მეგობრის ხელში აღმოჩნდა. ამ მასალებში მოიპოვება ზოგიერთი ცნობები საქართველოზე⁶⁵.

ბუსბეკი, როგორც თავად აღნიშნავს, სამეგრელოში არასოდეს არ ყოფილა. მის მიერ ამ კუთხის შესახებ შედგენილ ცნობებს საფუძვლად ზეპირი გადმოცემები ედო.⁶⁶ ეს გარემოება ბუსბეკის სამეცნიერო შემკვიდრეობას ფასს ოდნავადაც არ უკარგავს, რადგანაც მასში სრულყოფილი ასახვა პოვა იმდროინდელმა საზოგადოებრივმა აზრმა სამეგრელოზე.

ბუსბეკის ნაშრომების რასდენიმე გამოცემა არსებობს. ჩვენ ყურადღებას მხოლოდ ფრანგულზე შევაჩერებთ, რადგანაც იგი სხვებთან შედარებით ტექსტობრივი ვარიანტების მხრივ უფრო მდიდარია. მას ქვემოთ გავეცნობით, ზოგიერთ ადგილს სიტყვა-სიტყვით დავიმოწმებთ, ზოგს გაკვრით შევუხებთ.

ინტერესი სამეგრელოსადმი ბუსბეკს, როგორც თავად გადმოგვცემს, კოლხეთის მთავრის ლევან დადიანის მოღვაწეობის დროიდან გაელვია. იგი ლევანს გვიხასიათებს როგორც მეტად ლამაზ, წარმოსადგე, ტანად მამაკაცს, ამასთანავე გვაწვდის ცნობებს მისი სამფლობელოს გეოგრაფიულ მდებარე-

ობაზე და განმარტავს, რომ სამეგრელო გადაჭიმულია მდინარე რიონიდან კავკასიის მთებამდეო. იქვე ბუსბეკი ამბობს: „იტალიელები კოლხეთის ხალხებს დღეს მეგრელებს ან ჯორჯიანებს უწოდებენ. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ შესაძლებელია ეს სახელი (მეგრელი—ლ. ტ.), წარმოშობილია ამ ხალხის რელიგიური მრწამსიდან, არც ისაა გამორიცხული, რომ იგი მათ ქრისტიანობის მიღებამდეც ერქვათ. უფრო მისაღებად მეორე მოსაზრება შეიძლება ჩაითვალოს. დროთა განმავლობაში მათში ალბანელებიც აირივნენ და დღეს ისინი ერთ ერს წარმოადგენენ“. ამ შემთხვევაში ბუსბეკი იმ მკვლევართაგან განსხვავებით, რომლებიც უძველეს მწერლებს ეყრდნობიან. აბსოლუტურად სულ სხვა მოსაზრებას გვთავაზობს. ჩანს, იგი თავის მოსაზრებას ადგილობრივ, იმხანად კონსტანტინოპოლში გავრცელებულ ცნობებზე აგებს.

ბუსბეკი ლევან დადიანის კონსტანტინოპოლში ჩასვლის მიზეზს გაურკვეველად თვლის. „ერთნი ამტკიცებენ, — წერს იგი, — რომ სამეგრელოს მთავარი კონსტანტინოპოლში სულეიმანის მოპატივებით ჩამოვიდა თურქეთთან სამხედრო კავშირის დასადებათ. ეს აწყობთ ამ უკანასკნელთ სპარსეთის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. მეორენი ირწმუნებიან, რომ იგი აქ ჩამოვიდა სულეიმანისათვის რამდენიმე ხომალდის სათხოვნელად, მეზობლებთან ომის დაწყების შემთხვევაში გამოსაყენებლად. იმასაც ამბობენ, რომ მან სულეიმანს ხარკის გადახდაც კი აღუთქვა, თუკი იგი თხოვნას შეუსრულებდა“.

ბუსბეკის გადმოცემით, განუწყვეტელი მტრობა არსებობდა კოლხეთსა და იმერეთს შორის. მათი ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავებულა იბერების მიერ კოლხეთის ახლანდელი მეფის მამის მოკვლის შემდეგ. ომი ამ ორ მხარეს შორის დროთა განმავლობაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, რამაც დაასუსტა ორივე მხარე. ამან გადააწყვეტინა მათ საზავო ხელშეკრულების დადება, რის შემდეგაც გამართულა დიდი ნადიმი. ლვინის სმაში გამარჯვებულ კოლხებს მაგიდაზე ჩასძინებიათ, ამით უსარგებლიათ იმერლებს და კოლხების მეფე გაუტაციათ და ოავიანთ ციხესიმაგრეში ჩაუკეტიათ. მომხდარ ამბავს მთელი კოლხეთი აღუშფოთებია.

დედოფალს აბჯარი გადაუცვამს, ჯარი შეუტყობია და დაძრულა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნაჩქარევად შეკრებილ ჯარისთვის, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღიც კი არ ჰქონია, არტილერიით უზრუნველყოფილ მოწინააღმდეგეს ყუმბარები დაუშენია. დედოფალი იძულებული გამხდარა თავისი ლაშქრით უკან დაეხია.

მომხდარი ამბავი კოლხეთის მეფეს ტყვედყოფნის პერიოდში შეუტყვია. რადგანაც იარაღის საშუალებით თავის გამოხსნის იმედი დაკარგული ჰქონია, ამიტომ ზეწრების ნახევები ერთმანეთისათვის გადაუბამს, მისი საშუალებით ღამით ციხესიმაგრის საკანიდან ჩუმად ჩამოშვებულა და გაქცეულა. „ალექსანდრე მაკედონელს იმდენი ქება-დიდება არ მიუღია, — წერს ბუსბეკი, — რამდენიც წილად ხვდა თანამემამულეთაგან ლევან დადიანს ციხიდან გაქცევის გამო. მისი ვაჟკაცობის ამბავს დღესაც აღფრთოვანებით იხსენიებენ“.

ყოველივე ამის შემდეგ ბუსბეკი ახლა თვით დადიანის სამფლობელოზე იძლევა ცნობებს. „სამეგრელოს, ანუ კოლხეთს პეტად ნაყოფიერი მიწები აქვს, — გადმოგვცემს იგი, — ქერი და ხორბალი აქ ყოველგვარი დამუშავების გარეშე, თავისთავად მოდის. ხალხმა რომ მუყაითად იშრომოს, დიდ მოსავალს მოიმკის... ვაზს ისინი ქლიავის ხის ძირში რგავენ და ყველაზე მაღალ ტოტებზე აბამენ. ღვინოს ყოველ წლიურად დიდი ოდენობით აყენებენ. მათი ტყეები ფუტკრებით არის სავსე, რითაც თაფლისა და ცვილის მნიშვნელოვანი მარაგი იქმნება. ადგილობრივ მცხოვრებთა მთავარ საზრუნავს იმ ხეების პოვნა წარმოადგენს, რომლებშიც ფუტკრები საკვებს აკეთებენ. ტყეები სავსეა გარეული ფრინველებით — ხოხობითა და კაკებით. კარგ კლიმატურ პირობებსა და მიწის სინოციერეზე მეტყველებს ნესვი და საზამთრო, რომლებიც დიდი რაოდენობით მოდის აქ. ნესვი ზოგჯერ 3 ფუნტამდე იზრდება და მშვენიერი გემოთი გამოირჩევა.

ფულის მონეტებს სამეგრელოში იშვიათად თუ შეხვდებით. ვერცხლისა და განსაკუთრებით კი ოქროს ფულის არსებობა აქ ყველამ არც კი იცის. მოსახლეობის უმეტესს ნაწილს ფული სულ არ გააჩნია. ამიტომ ხალხს სიხარბე არ ამოძრავებთ, მშვიდად, ბედნიერად ცხოვრობენ. კეთილშობილი ლითონებისაგან,

რომლებსაც ისინი გამვლელი მოგზაურებისაგან იძენენ, ამზადებენ ჭვრებს, ფიალებსა და სხვადასხვა რელიკვიებს თავიანთი ეკლესიებისათვის. ზოგჯერ მეფე საერთო ინტერესების მიზნით ამ წმინდა ჭურჭელს ადნობს და მისგან ფულს ჭრის. ეს ხალხი მხოლოდ გაცვლითი ვაჭრობის წესს ცნობს. ბაზარში გააქვთ ის საქონელი, რომელიც ჭარბად აქვთ და სცვლიან ისეთზე, რომელიც ესაჭიროებათ, ეს ფულს ძალას უქარგავს. მეფეს ხალხი გადასახადს ნატურით უხდის. ზოგჯერ ძღვენის სახით გადასახადს დაწესებულ ნორმაზე მეტსაც იხდიან. თავის მხრივ მეფეც გულუხვობას იჩენს ხალხისადმი. მისი სასახლე საერთო საწყობს წარმოადგენს. მეფესთან რაიმეს სათხოვნელად მისული კაცი გაწბილებული არ ბრუნდება“.

ბუსბეკის მიერ სამეგრელოს ამგვარი აღწერა საქმეში ღრმად ჩაუხედავი, ევროპელი დიპლომატიისათვის დამახასიათებელ ზოგად ხასიათს ატარებს. უხვმოსავლიანი ნიადაგი, გარეული ფრინველებით მდიდარი ტყე, მოსახლეობის უზრუნველი ყოფა-ცხოვრება, მათი დიდსულოვნება და გადაქარბებული სტუმართმოყვარეობა, საერთო წარმოდგენას აძლევს მკითხველს კოლხეთის შესახებ. ყოველივე ამას, ევროპელ დიპლომატთა და სტამბოლის გავლენიან პირთაგან მიღებული ცნობები ქართველ მეფეთა ურთიერთ მტრობის შესახებ ბუსბეკის შრომებს გარკვეულ მნიშვნელობას მატებს.

გაცილებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბუსბეკი ქართველების ყოფა-ცხოვრებაზე. მისი გადმოცემით საზეიმო ცერემონიალის დროს სასახლის დარბაზში ადგილს პირველად მეფე იკავებდა, ხოლო მის გვერდით, გარკვეული მანძილის დაშორებით, აქეთ-იქით სტუმრები სხდებოდნენ. ყველაზე უბრალო კერძად გარეული ფრინველს შემწვარი ხორცი ითვლებოდა. პიროვნება, რომელიც ბევრ ღვინოს სვამდა, მეფის პატივისცემით სარგებლობდა.

დედოფლის მაგიდაც იმავე დარბაზში იდგა, მის ირგვლივ მხოლოდ დედოფალთან დაახლოებული პირნი სხდებოდნენ. ეს სუფრა ლხინისა და ლაღობის ცენტრს წარმოადგენდა. შუა ქეიფის დროს დედოფლის მაგიდის წევრები თანდათან მეფის სუფრაზე გადადიოდნენ.

ნადიმის შემდეგ მეფე სტუმრებთან ერთად სანადიროდ გა-

დიოდა. ეს გართობა განსაკუთრებით მიმზიდველი სანახაობის ელფერს სტოვებდა, თუ იგი რომელიმე საზეიმო დღეს ემთხვეოდა. ბუსბეკის განმარტებით ასეთ შემთხვევაში მინდვრად გასული ხალხი იკრიბებოდა ხის ჩრდილ-ქვეშ. ზოგი გემრიელი კერძების დამზადებით იყო გართული, ზოგი ცეკვა-თამაშით, ზოგი სიმღერით. მათი ჰანგები ტყის იდილიას კარგად ერწყმოდა. იმდროინდელი ქართული საკრავის შესახებ ბუსბეკი წერს; „ძლიერად დაჭიმული პატარა სიმები ფიცარზეა დამაგრებული. მასზე ბეჭედით უკრავენ. იგი ვიოლინოს მსგავს ბგერებს გამოსცემს. ამ ინსტრუმენტის თანხლებით სრულდება სატრფიალო და საგმირო სიმღერები“.

მას შემდეგ, რაც ბუსბეკმა დასავლეთელ მოგზაურთათვის დამახასიათებელი ქედმალლობით ქებით მოიხსენია კოლხელთა თავმდაბლობა და პატიოსნება, გულწრფელი კმაყოფილება გამოხატა მათი სამეფო კარის წეს-ჩვეულებების, ნადირობისა და მუსიკისადმი, მაგრამ მოულოდნელად ტონს ცვლის და თავის ადრე გამოთქმულ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ გვაწვდის ცნობებს ამ ხალხის უზნეობაზე. მაგალითად, იგი აღწერს ქართულ ნადიმს და უზნეობად თვლის, რომ მაგიდასთან კაცებთან ერთად ქალებიც სხდებიან და მათთან ისე თავისუფლად საუბრობენ, როგორც თანატოლებთან. ამის უზნეობად მიჩნევა, ცხადია, ბუსბეკს ნაკარნახევი უნდა ჰქონოდა კონსტანტინოპოლელ მაჰმადიანთაგან, რადგან თვით განათლებული თურქიც კი ქალისა და კაცის გათანაბრებას ეთიკური ნორმების ფეხქვეშ გათელვად თვლის. ბუსბეკმა თურქებისაგან მიღებული ეს ინფორმაცია ქართველ ქალებზე ყოველგვარი კრიტიკის გარეშე შეიტანა თავის ნაშრომში.

თურქების შეხედულება მამაკაცებთან ერთად ქალების კამასმის დანაშაულად მიჩნევის შესახებ ეწინააღმდეგება არა მარტო ქართველი, არამედ ეტრუსკელი ქალების თავისუფლად მოქცევის უფლება-მოვალეობის წესს. ძველი ბერძნების ცნობით ეტრუსკელი ქალები, რომლებიც სუფრასთან მამაკაცებთან ერთად ისხდნენ, უზნეოდ ითვლებოდნენ, მაშინ, როდესაც ჩვენამდე მოღწეული სინამდვილის ამსახველი ძეგლები მათ მაღალი მორალისა და სამაგალითო მეოჯახეებად ახასიათებენ⁶⁷.

თუ ბუსბეკის ნაშრომს კრიტიკული თვალით შევაფასებთ,

დავრწმუნდებით, რომ მას ცნობები საქართველოზე მიღებული აქვს ქართველებისადმი მტრულად განწყობილი სერალის თურქი დიდებულებისაგან.

ვერანჩიჩის მეორე თანამგზავრი, ჩეხეთის ქალაქ ბრიუკსის (ახლანდელი მოსტის) მკვიდრი იოჰან დერნშვანი (1494-1568) განათლებითა და მეგობარ-ახლობლების⁶⁸ მიხედვით თავის დროზე ცნობილ ჰუმანისტად ითვლებოდა. მას მკვიდრო ურთიერთობა აკავშირებდა აგრეთვე ჟამბოკის ვენის წრეებთან.

ი. დერნშვანმა ვერანჩიჩთან და ბესბეკთან ერთად თავისი ხარჯით იმოგზაურა ამასიაში. ფიუგერის დინასტიის ექსპანსიური ეკონომიკური პოლიტიკის გაცნობის შედეგად დავრწმუნდით, რომ ამ მოგზაურობას თურქეთის მალარობის შესწავლა ედო საფუძვლად.⁶⁹ ამას ზედმეტად ის ფაქტიც მოწმობს, რომ დერნშვანის დღიურიც სწორედ ფიუგერების დინასტიის არქივში იქნა მიკვლეული⁷⁰.

ეს დღიური მნიშვნელოვან ჩანაწერებს შეიცავს აღმოსავლეთის შესახებ. ჩვენთვის იგი იმდენადაა საინტერესო, რომ მასში ვხვდებით ცნობებს საქართველოზე.

ი. დერნშვანი ქართველებს ქრისტიან ერებს შორის იხსენიებს და აღნიშნავს, რომ ისინი ღმერთს „მსხვერპლს ორი სახით სწირავენ, ისე როგორც ამას ადრე პთელი ქრისტიანური სამყარო აკეთებდა“. აქვე იგი ჩერქეზებზე, აფხაზებსა და მეგრელებზე წერს: „შავი ზღვის პირას, მცირე აზიის პირდაპირ, ერთმანეთის მახლობლად სამი ქვეყანა მდებარეობს: ჩერქეზეთი, აფხაზეთი და სამეგრელო. ამბობენ, რომ ამ ქვეყნების ხალხებს თავიანთი ენა გააჩნიათ. ტყვე ჩერქეზებს, აფხაზებსა და მეგრელებს შეიძლება შეხვდეთ კონსტანტინოპოლში. აქ ისინი ნიჩბოსნებად მუშაობენ იმ გემებზე, რომლებიც ქალაქსა და გალატას შორის დაიარებინან. კრაკოვში მცხოვრები თათრებისა და ბულგარელების მსგავსად მათ თმები ნაწნავების სახით აქეთ მოშვებული. ეს იმის მაუწყებელია, რომ ისინი ჯერ კიდევ უცოლშვილონი არიან“.

ი. დერნშვანის განმარტებით როგორც ჩერქეზები, ისე აფხაზები და მეგრელები მეტად ღარიბად ცხოვრობენ. ბულგარელების, სერბიელებისა და რუმინელების მსგავსად მათ ტანზე ნაირფერად მოქარგული მიტკლის პერანგები და გრძელცხვი-

რა მაღალყელიანი ფეხსაცმელები აცვიათ. ისევე როგორც მეფე უალოს დროინდელი უნგრელი დიდებულები და ქალაი წრის სამღვდლოება, ისინიც გარეული ფრინველების ფრთებით გაწყობილ ქუდებს ატარებენ. ამნაირი სამკაული დღესაც უცხო არ არის მისიეხელი და საქსონელი მეომრებისათვის.

ამით ამთავრებს დერწშვანი თხრობას ჩერქეზებზე, აფხაზებსა და მეგრელებზე. ამასთანავე, იგი იქვე მიუთითებს ერთ კუთხეზე, რომელიც მისი გადმოცემით ჩერქეზების, აფხაზეთისა და სამეგრელოს მახლობლად, ოლონდ უფრო ღრმად შეჭრილ ტერიტორიაზე მდებარეობს. „მისი მცხოვრებლები, — განმარტავს დერწშვანი, — ტუმები არიან. სიტყვა ტუმი, როგორც აქ ამბობენ, ოჯახის უფროსს, ანუ სახლის პატრონს ნიშნავს. ეს ალბათ იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ისინი მოსულები კი არ არიან, არამედ დასაბამიდანვე აქ ცხოვრობენ. სხვა ქვეყნიდან მოსულ სტუმარს დიდი პატივით ღებულობენ და შეძლებისდაგვარ მასპინძლობას უწევენ. წასვლისას ცხენს უცვლიან და სახმელეთო თუ საზღვაო გზის განსაზღვრულ მონაკვეთამდე გააცილებენ“⁷¹.

„ტუმი“, როგორც ჩანს, იბერიულ-კავკასიური მთიელი ტომის არასწორად ნაწარმოებ სახელს ნიშნავს, რასაც თვალნათლივ მოწმობს დერწშვანის მიერ ნახსენები ერისათვის დამახასიათებელი სტუმარ-მასპინძლობის წესი, თავიანთ ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრება, ცხენების დიდი რაოდენობით ყოლა და სხვა⁷².

ამის შემდეგ დერწშვანი ეხება თურქების ზნე-ჩვეულებებს, მათ მორალს და მეგრულ წეს-ჩვეულებებს ბუსბეკის მსგავსად თურქულ უპასუხისმგებლო მონაჭორებიდან გამომდინარე მცდარ შეფასებას აძლევს. ამდენად გასაგებია თუ რამდენად სარწმუნოდ შეიძლება ჩაითვალოს მისი ცნობები⁷³.

ვერანჩიჩისა და ბუსბეკის დიპლომატიურ მისიას დერწშვანის გარდა მეღხიორ ლორიხიცი (1527-1583 წწ.) შეუერთდა. იგი წარმოშობით ქალაქ ფლუნსბურგიდან იყო⁷⁴. მან დანიის ხელმწიფის კრისტიან 111 ხარჯით მთელი დასავლეთ ევროპა შემოიარა, შემდეგ კი მეფე კარლოს V კარზე მხატვრად მუშაობდა. 1551 წელს იგი რომში მოღვაწეობს. აქ, როგორც თვითონ

წერს, საბერძნეთი ევროპის ხელოვნების აკვნად იწამა⁷⁵ და გადაწყვიტა ძველი სამყაროს ხელოვნების ძეგლების გაცნობა. რომიდან ლორიხი ვენაში მიდის, საიდანაც იქაურ ელჩებთან ერთად კონსტანტინოპოლში მიემგზავრება დიპლომატიური მისიით. ოსმალთა იმპერიაში მან 4 წელიწადი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში შეჰქმნა პორტრეტები, პეიზაჟები, ქალაქის ხედები. მისი ფერწერითი მემკვიდრეობიდან დღემდე შემორჩენილია მეფე ფერდინანდის კონსტანტინოპოლელი ელჩების ა. ვერანჩიჩის, ფ. ზაისა და ა. ბუსბეკის საკმაოდ კარგი პორტრეტები⁷⁶.

გერმანელ მწერალს ებერგარდ ვერნერ გაპელს (1647-1690) თავის ნაშრომში „ეგზოტიკოსთა საგანძურში“⁷⁷ აღწერილი აქვს ქართველი მეომრის გარეგნობა. წინასიტყვაობაში იგი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში საილუსტრაციოდ გამოყენებული აქვს ლორიხის გრაფიკა.

როგორც აღვნიშნეთ⁷⁸, ვერანჩიჩის 1556 წლის საელჩო ანგარიშები დღეისათვის დაკარგულია. იბადება კითხვა: მას საიდან და როგორ მოდიოდა ვენის სამეფო კარზე თურქეთის იმპერიიდან ცნობები საქართველოზე. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1556 წლის 4 ოქტომბერს „ექსპლოატორ სეკრეტუსის“ („საიდუმლო მზვერავის“) ფსევდონიმით ანონიმი ავტორის მიერ მეფე ფერდინანდისათვის გამოგზავნილი დაშიფრული წერილი იტალიურ ენაზე. მასში ვკითხულობთ: „თავრიზიდან მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსეთის შაჰი გამალებით ემზადება ქართველების წინააღმდეგ საომრად, რომლებიც თურქების მხარეზე იმყოფებიან. 18 სექტემბერს სულთანს შეატყობინეს, რომ სპარსეთის შაჰსა და მის ვაჟს თავრიზში უკვე მხად ყავს 70.000 მეომარი. ამ ცნობებით შემფოთებულმა ქართველებმა დახმარებისათვის თურქებს მიმართეს. 21 ოქტომბერს სულთანმა უბრძანა ყველა სანჯაყ-ბეგებს, დაუყოვნებლივ დაძრულიყვნენ ქართველების მისამველებლად“⁷⁹.

1556 წლის 3 დეკემბერს იგივე ანონიმი „საიდუმლო მზვერავი“ ფერდინანდს აუწყებდა დიდი ვეზირის რუსთან-ფაშას მიერ ვენეციის წარმომადგენლის მიღებას, რომელთა საუბარიც უმთავრესად უნგრეთის საკითხებს შეეხებოდა. ამის შემდეგ კონფედენციალური ინფორმატორი წერდა: „ორი მაღალი

წოდების ქართველი ადრიანოპოლში ჩამოვიდა. მათი განცხადებით სპარსეთის შაჰი გამუდმებით ავიწროებს ქართველობას. მას საბრძოლველად მომზადებული ჰყავს მრავალრიცხოვანი არმია. ექვს გარეშეა, რომ საქართველოზე თავდასხმა აქვს გადაწყვეტილი“⁸⁰. მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოზე აგრეთვე „საიღუმლო მზვერავის“ 19 ოქტომბრის ანგარიში⁸¹. მასში ნათქვამია, რომ 10 დეკემბერს ერთმა ქართველმა დიდებულმა ვეზირი რუსთან-ფაშა ინახულა და სთხოვა განემარტა დანამდვილებით აპირებდა თუ არა სულთანის უნგრეთში წასვლას. როდესაც რუსთან-ფაშას უკითხავს დიდებულისთვის ამ საკითხით დაინტერესების მიზეზი, მას უპასუხნია, რომ სულთანის უნგრეთში გამგზავრებით ისარგებლებდა სპარსეთი და როგორც თურქეთის მოკავშირეს თავს დაესხმოდა. გაშინ რუსთანს დაუმშვიდებია და უპასუხნია, რომ სულთანის უნგრეთში წასვლას არ ვარაუდობდა, რადგანაც მეფე იანოშის ვაჟს უკვე თავისი ელჩი გაეგზავნა იქ და იმედი ჰქონდა უნგრეთის საქმეები წესრიგში იქნებოდა მოყვანილი. მაგრამ საქმე სხვანაირად რომ წარმართულიყო და ფერდინანდს ისეთი ლაშქრობა მოეწყო, რომ თურქეთის ხონთქრის უნგრეთში გამგზავრება აუცილებელი შეიქნებოდა, იგი წასვლამდე, უპირველეს ყოვლისა ისე მოახერხებდა, რომ არც მათ და არც თურქეთის მხარეზე მყოფ სხვა ქართველებს სპარსელებისაგან ზარალი არ ენახათ.

ანონიმი ავტორის ანგარიშში კიდევ ერთი ცნობაა შემონახული ქართველებზე. მასში კერძოდ აღნიშნულია, რომ ბაღდადიდან 30 დღეში რამოდენიმე მოციქული ჩამოსულა ანდრიანოპოლში და ჩაუტანია ამბავი თურქეთიდან მოწინააღმდეგის მხარეზე გადასული ერთი დიდგვაროვანი ქართველის ისევ უკან დაბრუნებაზე. მათვე ჩაუტანიათ აგრეთვე შაჰის ექვსი ათასი მხედრის შეჭრის ამბავი თურქეთის მომხრე ქართველების ტერიტორიაზე⁸².

1557 წლის 2 სექტემბრის საიღუმლო ანგარიშში ნათქვამია, რომ 28 აგვისტოს კონსტანტინოპოლიდან გამგზავრებული სპარსეთის ელჩი დიდი პატივისცემით გააცილეს სამშობლოში. ხონთქარსა და რუსთან-ფაშას იგი ძვირფასი ტანსაცმლით, ოქროს ნივთებითა და 2000 სკულით დაუსაჩუქრებიათ. ამგვარი

ყურადღების მიუხედავად ელჩი მაინც უკმაყოფილო დარჩენი-
ლა, რადგანაც სულთანს მხოლოდ ამასიის ზავის დადებაზე
დათანხმებულა. ელჩის მოთხოვნაზე რომ თურქეთს სპარსე-
თის მოსაზღვრე ქართველებისათვის მხარი არ დაეჭირა და მათ
შაჰისათვის კვლავ გადასახადი ეძლიათ, სულთანს უარი განუც-
ხადებია. მას გამოუთქვამს აგრეთვე იმის სურვილი, რომ ქართ-
ველებსაც თავიანთ მხრივ სპარსეთის დასახლებული პუნქტები
თავდასხმებით არ შეევიწროვებინათ. სულთანის ასეთ პასუხს
სპარსეთის ელჩი არ დაუკმაყოფილებია⁸³.

ფერდინანდის მიერ დაღმაციაში მეთვალყურედ დანიშნუ-
ლი ჯოვანი ტორკვატო იმ ქართველებზე, რომლებიც თურქებ-
თან ერთად იბრძოდნენ, 1558 წლის 28 მარტს წერს: „კონსტან-
ტინოპოლიდან მიღებული ცნობების თანახმად სპარსეთის შაჰი
იმ ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა, რომლებმაც სულთანს
დახმარების სათხოვნელად ელჩები გაუგზავნეს“⁸⁴.

თურქეთის ტახტის ორი მემკვიდრის — სელიმისა და ბა-
დაზეთის მეტოქეობასთან დაკავშირებით ბუსბეკი 1559 წელს
21 თებერვლის წერილში ქართველებზე ახალ ცნობას იძლევა.
აქამდე ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ბაიაზეთს პირველ რიგ-
ში ქურთები უჭერდნენ მხარს⁸⁵. ბუსბეკის წერილში კი აღნი-
შნულია, რომ ბაიაზეთს მომხრეები ქართველებშიც ჰყოლია.
მასში ნათქვამია, რომ გაცემულ იქნა სულთანის ბრძანება სამ-
ხედრო აქციების მიზნით, ერთ თვეში ჯარების საბრძოლო მზად-
ყოფნაში მოყვანაზე. ზოგიერთი ვერსიის მიხედვით ეს ბრძა-
ნება, თითქოს ქართველების წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგ-
რამ პოლიტიკაში ჩახედულ პირთა მოსაზრებით, მის მიზანს
ბაიაზეთის დაშინება წარმოადგენდა⁸⁶.

ბაიაზეთისა და ქართველების კავშირს ანონიმის სახელს
ამოფარებული „საიდუმლო მწვერავი“ გაკვრით იხსენიებს
1559 წლის 1 მარტს კონსტანტინოპოლის ანგარიშში. იგი წერს
აზიური ლაშქრობების მომზადებასა და თურქეთის ფლოტის,
აგრეთვე ბაიაზეთისა და სელიმის მეტოქეობის უახლოეს აშ-
უბებზე, მათ სამხედრო მოქმედებებზე. ანგარიშში აღნიშნულია
სულთანის მტრულად განწყობა ბაიაზეთის მიმართ და საბრძოლ-
ველად განლაგებული არმიის სათავეში თავად მისი ჩადგომა.
ყოველივე ეს საიდუმლოებით ყოფილა მოცული. ოფიციალუ-

რად ყალბი ხმა გაუვრცელებიათ, თითქოს სულთანი თავდასხმას აპირებდა საქართველოზე. მაგრამ საქმე გაურთულებია იმას, რომ ბაიაზეთს კავშირი დაუმყარებია სპარსეთის შაჰთან⁸⁷. მარტო ბუსბეგის 1559 წლის 13 აგვისტოს კონსტანტინოპოლის ანგარიშშია ნათქვამი, რომ ბაიაზეთს მხარს ქართველები და ქურთები უჭერდნენ, რაც სურსათ-სანოვავის მიწოდებაში გამოიხატებოდა⁸⁸.

ბაიაზეთი გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა და სპარსეთის შაჰს შეაფარა თავი. ამ უკანასკნელმა პატივისცემით მიიღო იგი, მაგრამ შემდეგში სულთანთან გარიგების დროს სავაჭრო ნივთივით გამოიყენა. 1560 წლის 17 ივლისს „საიდუმლო მწვერავი“ შაჰის მეგობრის, რომელიღაც დიდგვაროვანი ქართველისაგან მიღებული ცნობის თანახმად იუწყება, რომ ბაიაზეთი იმ დროისათვის ისევ შაჰის კარზე იმყოფებოდა⁸⁹. სულთანთან შეთანხმების საფუძველზე შაჰს ნება დაურთავს ჯალათისათვის 1561 წლის სექტემბერში ბაიაზეთი სიკვდილით დაესაჯა. უთანხმოება ქართველებსა და სპარსელებს შორის კიდევ დიდხანს გაგრძელდებულა.

ბუსბეგის მიმდევარი ელჩი ალბერტ დე ვისი 1562 წლის 28 ნოემბერს იტყობინებოდა სპარსეთის ახალი ელჩის 5 ნოემბრისათვის კონსტანტინოპოლში ჩასვლის შესახებ. მისი ვიზიტის მიზანი ოფიციალურად სულთანისადმი ბაიაზეთის იარაღისა და პირადი ნივთების გადაცემა ყოფილა, მაგრამ ამასთან ერთად მას აქედან ზარბაზნების დამზადებაში დიდი გამოცდილების მქონე პირთა წაყვანაც ჰქონია დავალებული. ამ თხოვნაზე სულთანს მისთვის უარი უთქვამს იმის შიშით, რომ მისი სპეციალისტების მიერ დამზადებული იარაღი შაჰს თურქეთის წინააღმდეგვე არ გამოეყენებინა. კონსტანტინოპოლში ყოფნისას ელჩს განუცხადებია, რომ ქართველები და იმ პროვინციების მცხოვრებნი, რომლებიც მესოპოტამიას ესაზღვრებოდნენ, განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს სპარსელებს და დიდ ზიანს აყენებდნენ⁹⁰.

1563 წლის 24 აპრილს სპარსეთის ელჩები კვლავ ძვირფასი საჩუქრებით სწვევიან სულთანს ქართველებზე საჩივრულად⁹¹. 29 ივნისს ელჩ ალბერტ დე ვისის ცნობით იმ დღეებში ხონთქარი მოუხანჯლებია დაახლოებით 60 წლის ქართველს,

რომელიც თავის სამშობლოში მიღებულ პირად ითვლებოდა. იგი იმდენად ყოფილა სპარსელების წინააღმდეგ შურისძიების გრძნობით აღსავსე, რომ გადაწყვეტილი ჰქონია გათურქება. ხონთქარს ქართველი დიდებული პატივისცემით მიუღია. 17 ივლისს მას საზეიმო ვითარებაში ისლამის სარწმუნოება მიუღია. ალბერტის ცნობითვე ამ დიდებულს თურქეთის საზღვარზე სანჯაყი მიუღია⁹².

1555 წელს ამასიაში დაღებული ზავის შემდეგ თურქეთსა და სპარსეთს შორის დიდ საომარ მოქმედებას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მცირეოდენ შეჯახებებს კი ბოლო არ უჩანდა. ეს დაკავშირებული იყო საქართველოს სამეფო-სამთავროებთან. ამგვარ შეხლა-შემოხლებს ყურადღებას აქცევდნენ ევროპის სახელმწიფოები. მალე თავი იჩინა ანტითურქული კოალიციის გეგმის შექმნის იდეამ. აღნიშნულ ვითარებაში, წერს 1566 წლის 9 თებერვლის წერილში ალბერტ დე ვისი, სპარსეთთან ურთიერთობა შესაძლებელია სასარგებლოც კი ყოფილიყო ქრისტიანებისათვის. იმ დროს, როდესაც თურქეთის სულთანი ომს აწარმოებდა ევროპაში, სპარსეთმა ხელში ჩაიგდო სირია, მესოპოტამია და ყველა ის აზიური პროვინცია, რომლებიც წინათ მას ეკუთვნოდა. სპარსეთის შაჰთან მეგობრობა განამტკიცებდა ქრისტიანული სამყაროს ძლიერებას და უფრო მეტად გაზრდიდა ქედმაღალი მტრის განდევნა-განადგურების შესაძლებლობის შანსს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ რუსეთისა და პოლონეთის მეფეები ერთმანეთში შეთანხმების შედეგად დონსა და შავ ზღვაში ხელს მოჰკიდებდნენ იარაღს. მათ საქმეში ჩარევას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში⁹³.

1566 წლის 17 ივნისს ალბერტ დე ვისი იუწყებოდა, რომ სპარსეთის შაჰის ვაჟი შეჭრილა სირიაში და სულთანი იძულებული გამხდარა მის წინააღმდეგ მთელი აზიური არმია დაეძრა. „ამგვარი მოვლენები სასარგებლო იყო მხოლოდ ქრისტიანობისათვის“, — დასძენს ცნობის ბოლოს ვისი⁹⁴.

სპარსეთის შაჰის ვაჟი თავისი 12-ათასიანი ლაშქრით, რომელიც უმეტესად ლტოლვილი ქართველებისაგან შედგებოდა, ბაღდადის მახლობელ ხეობაში დაბანაკდა. მოლაშქრეთა ერთი ნაწილი მან მოხეტიალე ვაჭრების ტანსაცმელში გამოაწყო და

ფარულად ქალაქში შეგზავნა, რათა ბრძანების მიღებისთანავე ადგილობრივი მმართველობა ხელში ჩაეგდოთ. მოლაშქრენი წინასწარდასახული გეგმის განხორციელებას შეუდგნენ, მაგრამ მალე განზრახვას მიუხვდნენ, რის გამოც სამი ათასი მეზობლი დაკარგეს⁹⁵.

ამასთანავე 12 ოქტომბერს კონსტანტინოპოლში შედგენილ ანგარიშში აღნიშნულია შაჰის ვაჟის ბრძოლები იმ ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც თურქეთის მხარეზე იმყოფებოდნენ⁹⁶. აქ ერთგვარ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ჩანს, უნგრელი ელჩები კარგად ვერ ერკვეოდნენ საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკაში. კერძოდ მათთვის გაუგებარი იყო რომელი ქართული სამეფო-სამთავრო დროის რომელ მონაკვეთში თურქეთის მხარეზე იდგა და რომელი კიდევ — სპარსეთისა.

26 ოქტომბერს ალბერტ დე ვისი იმპერატორს აცნობებდა ახალი სულთანის — სელიმის ქვეყნის გამგებლად აღზევებას. სპარსეთის შეიარაღებული ძალების საომარ მზადყოფნასა და თურქეთზე თავდასხმებს⁹⁷. იმავე წლის 29 ოქტომბრით დათარიღებული ვენეციაში შედგენილი ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ სპარსეთის მთელი აქციები მიმართული იყო არა თურქების, არამედ ქართველების წინააღმდეგ⁹⁸.

16 ნოემბერს კონსტანტინოპოლიდან ვენაში ჩაულწევია ცნობას სპარსელ-ქართველთა ცხარე ბრძოლებზე, მაგრამ იქვე განმარტებულია, რომ ამ ფაქტს კონსტანტინოპოლში უმრავლესობა განიხილავდა, როგორც მაცდურ სამხედრო მანევრს⁹⁹.

ალბერტ დე ვისის 1566 წლის 9 თებერვლის ცნობაში ნათქვამია, რომ თურქეთ-სპარსეთს შორის ზავის დადების საკითხმა კვლავ აქტუალური ხასიათი მიიღო, რომ ამ მხრივ ქართულ სახელმწიფოებს არავითარი ანგარიში არ გაეწევათ, თუმცა, სათანადო გეგმების შედგენა-განხილვისას მათ საკითხს მაინც გარკვეულ ყურადღებას უთმობენ.

საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებაზე თვით იმპერატორიც რომ კარგად ყოფილა ინფორმირებული, ნათლად მოწმობს მის მიერ 1567 წლის 15 იანვარს ქალაქ ბრუნიდან ლეორანდ ფონ ჰარაპისადმი გაგზავნილი წერილი. მასში აღნიშნულია შაჰისა და იმ ქართველთა სისხლის-

მღვრელი ბრძოლები, რომლებიც თურქეთის მხარეზე იმყოფებოდნენ¹⁰⁰. ეს უკანასკნელნი მოხსენიებულნი არიან აგრეთვე კონსტანტინოპოლის საელჩოს ანგარიშში¹⁰¹.

უფრო ვრცელ ცნობებს საქართველოსა და ქართველებზე ვხვდებით 1567 წლის 3 ნოემბრით დათარიღებულ ადამ დე ფრანკის წერილში. მასში ნათქვამია, რომ ახლადგარდაცვლილი შაჰის მაგივრად ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, რომელიც თურქეთისა და მისი მომხრე ქართველების დაუძინებელ მტრად ითვლება.¹⁰² იქვე აღნიშნულია სამეგრელოს მთავრის ვაჟის ჩასვლა კონსტანტინოპოლში თურქეთის მიწვევით, მისი შეუძლოდ გახდომა და გამოჯანმრთელების შემდეგ ამ საპატიო სტუმრის ფაშასთან მოლაპარაკების მიზნით ანდრიანოპოლში გამგზავრების ვარაუდი. „იმ დროისათვის მეც იქ ვიქნები და რაზედაც იქნება ლაპარაკი ყველაფერს დაწვრილებით აღვწერ“, — დასძენს წერილის ბოლოს დე ფრანკი¹⁰³.

ანტითურქული კოალიციის შექმნა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. პაპმა სპეციალური კომისიაც კი შექმნა, რომელშიც შეიყვანა კარდინალები: ამულიო, შარლეტო, კრიველი და კარაფა. პაპმა მათ დაავალა დაემყარებინათ კონტაქტი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ პირებთან.¹⁰⁴

1568 წლის 30 ოქტომბერს ადამ დე ფრანკი იმპერატორს ატყობინებდა, რომ სპარსეთის შაჰმა საქართველოს პატარა პროვინცია და მისი მთავარი ქალაქი იერიშით აიღო.¹⁰⁵ რამოდენიმე თვის შემდეგ — 1569 წლის 28 მაისს კი ალბერტ დე ვისი კონსტანტინოპოლიდან იწერებოდა აღმოსავლეთში სრული სიმშვიდის ჩამოვარდნაზე,¹⁰⁶ რომელსაც შედარებით უფრო გარეგნული ელფერი დაჰკრავდა.

1568 წლის 17 თებერვალს იმპერატორმა და სულთანმა ზელი მოაწერეს ანდრიანოპოლის ზავს, რომელიც დროებითი აღმოჩნდა. ამ დროისათვის ალბერტ დე ვისი გარდაიცვალა და უნგრეთის ელჩის ადგილი მის მაგივრად კონსტანტინოპოლში ანზელა შტეკლმა დაიკავა.¹⁰⁷ იგი 1570 წლის 6 აგვისტოს ანგარიშში¹⁰⁸ თურქეთ-სპარსეთის ომის განახლებას იმ წინააღმდეგობით ხსნიდა, რომელიც ამ ორ ქვეყანასა და ქართველებს შორის წლების მანძილზე არსებობდა. დოკუმენტური მასალებიდან ირკვევა, რომ შტეკლს ახლო ურთიერთობა ჰქონია კონს-
7. ლ. ტარღო

ტანტინოპოლში მყოფ ქართველთა ფართო წრეებთან. იგი წერს: „გასული წლის 10 დეკემბრის წერილში ავლნიშნავდი... თუ როგორ ემზადება თურქეთი ომისათვის, ვის წინააღმდეგ აპირებს იგი გალაშქრებას... ადამ დე ფრანკი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოების მდგომარეობა, სისტემატურად მაწვდიდა ცნობებს მათ შესახებ, მაგრამ ბევრი რამ თავად შევიტყვე ერთი ებრაელისაგან ზეპირი საიდუმლო მასალების მიღებით.“¹⁰⁹

„როგორც 10 დეკემბრის წერილში ვწერდი, — განაგრძობს შტეტლი, — თურქეთის საზღვარზე, ერზერუმის ახლოს მოვიდა ელჩი.¹¹⁰ ერზერუმში ცნობილია თავისი საკმაოდ ძლიერი სიმაგრეებით, რომლებიც ააგეს თურქებმა ევფრატის აღიდებისა და სპარსეთის შემოსევებისაგან თავდასაცავად. ელჩმა ითხოვა დაცვითი სიგელი, რათა უვნებლად მიეღწია სელიმის სასახლემდე და იქ მასთან ერთად განეხილა შაჰის დავალებით სადავო საკითხები. ელჩს განზრახული აქვს აღძრას საქმე სპარსეთის ვეზირის განზრახ მკვლელობაზე, რომელსაც მოუწერა ფეს სიცოცხლე სამშობლოში დაბრუნებისას. მექაში სალოცავად ყოფნის შემდეგ. ამასთან ელჩს დავალებული აქვს იმ სპარსელი ჯარისკაცების გამართლება, რომლებმაც დახოცეს საზღვარზე გადასული თურქი მოლაშქრენი. იგი აპირებს მოახსენოს სელიმს ვოლგა-დონის შეერთების მიზნით დაწყებული სამუშაოებით გამოწვეული სპარსეთის შაჰის ეჭვი. საქმე ისაა: რომ თურქები უკვე შეუდგნენ ამ ორი მდინარის შეერთებისათვის ზრუნვას. სპარსეთის შაჰი ამაში ხედავს სელიმის შორეულ გეგმებს. იგი ფიქრობს, რომ როგორც კი დამთავრდება ვოლგა-დონის სანაოსნო გზის მშენებლობა, სულთანს საშუალება მიეცემა შეაღწიოს ჯერ კასპიის ზღვის რაიონში, შემდეგ კი თავად სპარსეთის პროვინციებში. ისე რომ, შაჰის აზრით სელიმს შეეძლება თავს დაესხას სპარსეთს ახალი, დღემდე უცნობი გზით. რადგანაც თურქეთი ასეთ მზაკვრულ გეგმებს ისახავს მიზნად სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთისა და კასპიისპირეთში მცხოვრები ხალხების თავდასხმებისაგან თავიდან აცილების მომიზეზებით; ცხადია, შაჰიც იძულებულია ფხიზლად ადევნოს თვალი მოვლენების განვითარებას და როგორც კი შენიშნავს, რომ ვოლგა-დონის შესაერთებლად დაწყებული

სამუშაოები საფრთხეს შეუქმნის მის ქვეყანას, უთუოდ მიიღებს გადამქრელ ზომებს. იგი ცდილობს არ მოატყუოს სელიმმა...

გწერდით აგრეთვე სპარსეთის ელჩისათვის დაცვითი სიგელის მიცემას, მისი ამაღლის განსაზღვრას 25 კაცის შემადგენლობით და იმ მიზეზებზე, რამაც განაპირობეს აღნიშნული ელჩის უფლებრივი შეზღუდვები, ამიტომ მათზე აქ სიტყვას აღარ გავგრძელებ.

თქვენს უდიდებულესობისადმი ვენის გავლით გამოგზავნილ წერილში ვწერდი თუ როგორ გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს აქ დიდი სამხედრო ფლოტის შესაქმნელად. ვიტყობინებოდი ამ ფლოტის გაგზავნის მიმართულებაზე. დარწმუნებული ვარ აღნიშნული წერილის წაკითხვა სიამოვნებას მოკვრიდა თქვენს უდიდებულესობას, ალბათ მომიწონებთ იმასაც, რომ წერილების გამოგზავნა ალბერტ დე ვისის გარდაცვალების დღიდანვე არ შემიწყვეტია.

1569 წლის 24 დეკემბრითა და მიმდინარე წლის 7 იანვრით დათარიღებულ ჩემს ახალ წერილებში გატყობინებდით სპარსეთის ელჩის აქეთ გამომგზავრებას საფოსტო ცხენებით. გწერდით იმასაც, რომ იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ბალდადის სასაზღვრო რაიონებიდან მოდის, სპარსეთის შაჰი გაცხოველებულ საიდუმლო მზადებას აწარმოებს ომისათვის, რომ სპარსელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც საზღვარს იცავენ, წარმატებით მოიგერიეს თურქების რამდენიმე შემოტევა და თავიანთ მხრივ მტერს სერიოზული დარტყმა მიაყენეს. ხმა დაიბნა, რომ სულთანი სელიმი კილიკიაში აპირებს გამგზავრებას, რათა აღაფრთოვანოს ფულს დახარბებული თავის არმია კუნძულ კვიპროსის დასაპყრობად და ამით გზა გადაუღობოს სპარსეთს თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებაში.

1570 წლის 20 თებერვლის წერილით შტეკლი აცნობებდა იმპერატორს სპარსეთის ელჩის დაბრუნებას კონსტანტინოპოლში, აუწყებდა იმ განხეთქილებაზე, რომელმაც თავი იჩინა სპარსელებსა და ქართველებს შორის. „საქმე ისაა, — წერს შტეკლი, — რომ სპარსელები ქართველებისაგან მოითხოვენ ისეთი ხარკის გადახდას, როგორსაც ისინი თურქებს უხდიდნენ. ეს განხეთქილება შეიარაღებულ შეტაკებამდე კი მივიდა“.

შემდეგი წერილი ანზელ შტეკლიმ საიდუმლოდ ბამბუკის ჯოხში ჩადო და გარდაცვლილი უნგრელი ელჩის ალბერტ დე ვისის ბერძენ მსახურს — დიმას გადასცა. „მან გაბედულად მიიღო ერთობ სახიფათო დავალება, წამოეღო ეს წერილი თქვენს უდიდებულესობასთან, — ვკითხულობთ წერილში, — როდესაც შესაძლებლობა მიეცემა, იგი გადმოგცემთ ამ ჯოხს და როცა მასში მოთავსებული საბუთები გაშიფვრის შემდეგ დღის სინათლეს იხილავენ, ცხადი გახდება თქვენთვის სპარსეთის მიერ შევიწროებული ქართველების საჩივრები. ეს საჩივრები და დახმარების აღმოჩენის თხოვნა აქ, პორტაში ქართველმა ელჩებმა ჩამოიტანეს. მიღებული აქვთ განკარგულება აქედან ბოსფორის ვიწრო სრუტის მოპირდაპირე ნაპირზე მდებარე სკუტარაში გაემგზავრონ და იქ დაელოდონ პასუხს“.

ერზერუმიდან ახლადდაბრუნებულ ერთ-ერთ თურქს (წარმოშობით გერმანელს) ანზელ შტეკლისათვის უცნობებია, რომ „ქართველებს შორის ბევრია ისეთი დიდგვაროვანი, რომლებსაც თურქებისათვის გადასახადის გაღების მიუხედავად, ნათესაური კავშირი აქვთ მოსაზღვრე სპარსელ წარჩინებულ პირებთან. ეს გაპირობებულია შემდეგით: ქართველები სპარსელებს ცოლად ატანენ თავიანთ ქალიშვილებს, ხოლო ისინი თავიანთ ქალიშვილებსა და დიბს ცოლად რთავენ ქართველებს. ყოველივე ეს ფორმდება საქორწინო კონტრაქტებით: ის პირნი, რომლებიც ქორწინდებიან, იცავენ თავიანთ მამაპაპისეულ წეს-ჩვეულებებსა და ღვთისმსახურებას, ხოლო ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები მისდევენ დედების ზნე-ჩვეულებებსა და რელიგიურ სარწმუნოებას. ქართველები ამგვარი ქორწინებით მიზნად ისახავდნენ თავიანთი ოჯახების დაცვას სპარსული ასიმილაციისაგან, სპარსნი კი ფიქრობდნენ ამგვარი გზით განემტკიცებინათ საქართველოსთან მშვიდობიანი მეზობლობა... მათ შორეულ განზრახვას კი წარმოადგენდა საქორწინო კავშირის გაფართოების შედეგად თანდათან დაპატრონებოდნენ საქართველოს ტერიტორიას“.

ქორწინების ამგვარი წესი არსებობდა თურქებსა და სპარსელებს შორისაც, გადმოგვცემს შტეკლი და კვლავ ქართველ-სპარსელთა ქორწინების საკითხს უბრუნდება. „თუ ქართველი მოისურვებდა თავისივე თანამემამულის ქალიშვილი შეერთო

ოლად, — წერს იგი, — ხოლო ქალის პატრონები უარს ეტყობდნენ ქორწინებაზე სპარსელზე გათხოვების მიზნით, მაშინ ქართველი სასიძო თავს დამცირებულად თვლიდა და იარაღით ხელში თავს ესხმოდა უარისმთქმელის ოჯახს ამოსაწყვეტად.

1569 წლის ნოემბერში ამგვარმა უარმა ერთმანეთს გადაჰკიდა ორი მაღალი წრის ქართული ოჯახი. ერთმა მათგანმა მოისურვა მეორეს ქალიშვილის ოლად შერთვა, ეს უკანასკნელი კი დანიშნული ყოფილა გავლენიან სპარსელ დიდებულზე. ამის გამო ქართველი სასიძო განაწყენდა. მან ჯერ შეურაცხმყოფელი, მუქარით აღსავსე წერილი მისწერა სპარსელ მეტოქეს, ხოლო შემდეგ კი ბრალი დასდო სასიძამროს, რომ იგი თავის ქალიშვილს აძლევდა მაჰმადიანს, რითაც ლალატობდა ქრისტიანულ სარწმუნოებრივ მრწამს. როცა ამგვარი გზით ვერაფერს გახდა, თავს დაესხა სასიძამროს, მოკლა იგი და მისი სარჩო-საბადებელი მიითვისა. სპარსელმა სასიძომ გადაწყვიტა შური ეძია. იგი შეიარაღებული სპარსელების თანხლებით მიუხტა მკვლელს, განდევნა თავის ადგილ-სამყოფელიდან და სიძამრისეული ქონება ისევ უკან დაიბრუნა: გარდა იმისა, რომ სპარსელი სიძის სახელით კანონიერი მფლობელი გახდა სიძამრის სარჩო-საბადებლისა, რომელსაც ერთადერთი ქალიშვილის გარდა სხვა არავინ ჰყავდა მემკვიდრე, იგი დაეპატრონა მკვლელის სახლ-კარსაც. ხელმოცარულმა ქართველმა სასიძომ დანმარება სთხოვა ერზერუმის ბეგლარ-ბეგს და სპარსელი მეტოქის წინააღმდეგ არასახარბიელო ბრძოლა წამოიწყო. ეს სისხლისმღვრელი ისტორია სპარსელის გამარჯვებით დამთავრდა. ქართველი თავადი ძლივს გადაარჩა სიკვდილს“.

ერზერუმის ბეგლარ-ბეგი მომხდარი ამბით შეშფოთებულა. იმის შიშით, რომ აღნიშნულის გამო ურთიერთობა სპარსეთსა და თურქეთს შორის არ გართულებულიყო და თავს არ დასტეხნოდა სულთან სელიმის რისხვა, მას წერილი გაუგზავნია შაჰ-სათვის, ამ უკანასკნელს კი გაუმართლებია თავისი ქვეშევრდომი, როგორც უკანონობის წინააღმდეგ მებრძოლი. მაგრამ იმისათვის, რომ დაედასტურებინა თავისი ერთგულება მშვიდობის შენარჩუნებისათვის, სპარსელი სიძე გამოუძახია და უბრძანებია დაებრუნებინა ქართველი თავადისათვის ძალით წარ-

თმეული სახლ-კარი. სპარსელს სულთანის ბრძანება უმაღლვე შეუსრულებია.

ანზელ შტეკლის ზემოთ დამოწმებულ მოხსენებით ბარათში შემდეგი საუბარია თურქეთ-სპარსეთის ურთიერთობაზე, სპარსეთის ელჩზე, რომელიც ერზერუმში იყო და იქ ელოდებოდა დაცვითი სიგელის მიღებას კონსტანტინოპოლში გასამგზავრებლად. აქვე შტეკლი ეხება მეჰმედ ფაშასთან¹¹¹ შეხვედრისა და ვარფოლომეი ორნეს მისიის საკითხს¹¹². უნგრელი ელჩის ეს მოხსენებითი ბარათი დათარიღებულია 1570 წლის 19 მაისით¹¹³.

შტეკლის ცნობები საინტერესოა როგორც საქართველოს, ისე უნგრეთის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ძალზე საყურადღებოა, კერძოდ ქართველ ქრისტიანებსა და სპარს მაჰმადიანებს შორის ძველად არსებული ქორწინების საკითხი. ასეთი ნათესაური კავშირის დამყარება თურქებსა და ქართველებს შორის შეუძლებელი იყო. შტეკლი ხაზს უსვამს, რომ ქართველისა და სპარსის ქორწინებამ კინალამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოიწვია სპარსეთსა და თურქეთს შორის, რომ არა ამ ორ მაჰმადიანურ სახელმწიფოს გამგებელთაგან „საქორწინო ამბის კერძო ხასიათის შემთხვევად“. კვალიფიციერება, ომი გარდაუვალი იქნებოდა.¹¹⁴

უნგრეთის დაუძინებელმა მტერმა მეჰმედ ფაშამ სპარსეთის შაჰის მოქმედება იმპერატორ მაქსიმილიანეს დაუხასიათა, როგორც გონივრული, სამაგალითო პოლიტიკური ნაბიჯი. ამით მეჰმედ ფაშა იმპერატორსა და უნგრეთის მეფეს მაქსიმილიანეს ურჩევდა მათაც „კერძო ხასიათის შემთხვევით“ ჩაეთვალათ თუკი თურქები, პირადი ინტერესების გამო დაიკავებდნენ უნგრელ კერძო მფლობელთა ციხესიმაგრეებს.¹¹⁵ აღნიშნულ საკითხში იმპერატორისა და მეფის დაყოლიების მიზნით ფაშას არგუმენტად მოყავდა შაჰის მიერ „კერძო ხასიათის შემთხვევად“ მიჩნეული თავისი ვეზირის ფარული მკვლელობა თურქების მიერ, სულთნისაგან სპარსელი სიძის მიერ ქართველი თავადის სახლ-კარის დაპატრონებისათვის მიცემულ ამგვარივე კვალიფიკაცია.¹¹⁶ მეჰმედ ფაშას აღნიშნულ „რჩევა-დარიგებებს“ მზაკვრული მიზნები ედო საფუძვლად. მას უნდოდა ქრისტიანული ქვეყნების გამგებელთა მხრივ აშკარა პოლიტი-

კური კონფლიქტებისადმი წაყრუების შედეგად თურქეთს თანდათანობით, უსისხლოდ მიეტაცებინა უნგრელ-ქართველთა მიწები. ეს მაშინ, როცა თურქებსა და სპარსელებს შორის გაუთავებელი ბრძოლები წარმოებდა საქართველოს ტერიტორიაზე. ასეთ ვითარებაში „კერძო ხასიათის შემთხვევის“ მსხვერპლნი ფაქტიურად ხდებოდნენ ქართველები და უნგრელები. მათ რომ ხელსაყრელი მომენტების შექმნისთანავე შური არ ეძიათ ამ „კერძო ხასიათის შემთხვევებისათვის“, უნგრეთ-საქართველო უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ.

საქართველო XVI საუკუნის მეორე ნახევარში და
უნგრეთ-საქართველოს კონტაქტები

XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველოლოგიური კვლევის თვალსაზრისით ახალი ხანა იწყება ევროპაში. ამ ხანისათვის ნაშრომთაგან ყურადღებას იმსახურებს გიიომ პოსტელის (1510-1581) გამოკვლევები. უცხო ენების (ლათინური, ბერძნული, ებრაული, არაბული) ცოდნის გამო იგი ორჯერ ახლდა საფრანგეთის ელჩის კონსტანტინოპოლში. შემდეგ პოსტელი აღმოსავლურ ენებს ასწავლიდა პარიზისა და ვენის უნივერსიტეტებში. ბოლოს იგი რომში დასახლდა, ხოლო იქიდან ვენეციაში გადავიდა საცხოვრებლად. იქ მას მწვალებლობა დასწამეს და დააპატიმრეს.

პოსტელის ნაშრომში თურქეთის სახელმწიფოზე¹ ძუნწად, მაგრამ მაინც ვხვდებით საინტერესო ცნობებს სამეგრელოზე.² სამწუხაროდ, საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებზე მასში არაფერია ნათქვამი, თუმცა პოსტელის შემდგომდროინდელ ნაშრომში ეს ხარვეზი ნაწილობრივ გამოსწორებულია.³ მისი გადმოცემით თურქებისათვის ტყვეების ხელში ჩაგდების წყაროდ ჩერქეზეთი, სამეგრელო, ბალკანეთის ქვეყნები, ტრანსილვანია, უნგრეთი და იტალიის ცალკეული რაიონები წარმოადგენდა.⁴

ჩერქეზებზე პოსტელი წერს: „ისინი ნახევრად მაჰმადიანები და ნახევრად ქრისტიანები არიან. წარმოადგენენ დიდი სომხეთის მოსახლეობის ნაწილს. სიტყვა ჩერქეზი სიმამაცის გამომხატველია“. შემდეგ პოსტელი მოგვითხრობს ეგვიპტელ ჩერქეზ მამულეებსა და შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ მათ თანამემამულეებზე, რომლებსაც შენარჩუნებული ჰქონდათ ორთოდოქსალური სარწმუნოება.⁵

ფილიპ ჰანივალდ ფონ ეკერსტორფისა⁷ და იოჰან ლეუნკლავიუსის⁷ კამათიდან ჩანს, რომ იმ პერიოდში ორიენტალისტები დიდად ყოფილან დაინტერესებულნი ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხით. მათი მსჯელობა ამ მხრივ მცდარ გზაზე იდგა.

აღნიშნულის მიუხედავად, ღირს მოკლედ მაინც შეეჩერდეთ უნგრელებისა და ქართველების ურთიერთობაზე.

ვერანჩიჩის მდიენის პანივალდის აზრით თურქები ტუბალი იაფეტის შთამომავალნი არიან. მისი განმარტებით, ზოგიერთი ცნობით კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარე ტერიტორია ტუბალების სამკვიდროდ ითვლებოდა. თურქები აქედან მიიწვედნენ სპარსეთისა და მცირე აზიისაკენ. ამ ჰიპოთეზის ავტორთა მოსაზრებით ერთ დროს მათ მეზობლად ცხოვრობდნენ „ალიბესად“ წოდებული ხალხი და რომ თითქოს ძველმა თურქებმა „ალის“ სახელწოდება მათგან მიიღეს.

ლეუნკლავიუსის მტკიცებით ტუბალის შთამომავლები არიან აგრეთვე იბერები, რომლებსაც შემდეგ „გურკები“ ანუ „გეორგიანელები“ უწოდეს. ისინი ახლაც ცხოვრობენ თავიანთ უძველეს, თავდაპირველ მიწაზე კასპიისა და შავ ზღვებს შორის. ლეუნკლავიუსი არ უარყოფს თურქების შექრას სპარსეთსა და მცირე აზიაში. „მაგრამ, — განმარტავს იგი, — აქედან არ გამომდინარეობს თითქოს თურქები იყვნენ ამ ტერიტორიის თავდაპირველი მოსახლენი. ისინი იქ დასახლდნენ თანდათანობით. და თუ ვინმე მკითხავს საიდან მოვიდნენ თურქები ამ მიწაზე, ვუპასუხებ, რომ მდ. დონის იქით არის ქვეყანა, რომელსაც იუგრა, ანუ იუგრე ეწოდება, ხოლო მის მცხოვრებთ — იუგრები. მას შემდეგ რაც მათ თავიანთი სამშობლო დატოვეს, ჯერ მეოტისის კაობებთან დასახლდნენ, შემდეგ კი შავ ზღვამდე ნილწიეს და ხაზარების მიწაზე დასახლდნენ, აქ ისინი ერთხანს დარჩნენ, ბოლოს მათი ერთი ნაწილი ღუნაისკენ წავიდა პანონიაში, რომელსაც დღეს უნგრეთი ეწოდება, ხოლო მეორე ნაწილი იბერიასა და სომხეთში დასახლდა, საიდანაც შემდეგ სპარსეთში გადავიდა. იმასაც ამბობენ, რომ იუგრიის მცხოვრებლები ახლაც ლაპარაკობენ უნგრულის მსგავს ენაზე. ისინი ყოველწლიურ ხარკს უხდიან მოსკოვის დიდ მთავარს. სახელწოდება იუგრია იგივეა, რაც იურკია“⁸.

ლუენკლავიუსის თეორია ქართველებისა და უნგრელების საერთო წარმოშობაზე იანოშ ტუროცის ჰუნო-სკვითური ვერსიის გამეორებას წარმოადგენს.⁹

საყურადღებო შოსაზრებები აქვს გამოთქმული, აგრეთვე პაოლო ჯოვიოს ანუ იგივე პაულუს იოვიუსს (1483-1552). იგი ჯერ ექიმი იყო, შემდეგ მღვდელი, ბოლოს ეპისკოპოსი, პირველ რიგში კი — ისტორიკოსი. სამწუხაროდ, იოვიუსის ნაშრომები მეტად ტენდენციურ და ზერელე ხასიათს ატარებს. მისი განცხადებით, „იბერიელები და ალბანელები ოსმანებისადმი მტრული დამოკიდებულების გამო, ხშირად ეხმარებოდნენ სპარსელებს მეზობლი რაზმებით.¹⁰ ალბანია, რომელსაც ახლა შირვანი ეწოდება, მდებარეობდა მედიასა და კასპიის ზღვასთან აღმართული კლდოვანი მთების ციცაბო დაბლობებთან. ეს უკანასკნელი ეკუთვნით გეორგიელებს, რომლებიც იგივე იბერიელები არიან. იგი ეკუთვნით აგრეთვე მეგრელებს, რომლებიც მდ. რიონამდე გადაჭიმულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ... რამოდენიმე წლის წინათ კოლხეთში ბენდიანი მეფობდა, ხოლო საქართველოში — პანკრატიუსი.¹¹ ამ მეფეებს აქვთ თავიანთი სატახტო ქალაქები: მდინარე რიონის ნაპირზე ფოთი, ტყეებსა და მთებს შუა გაშენებული ქუთაისი და გორგორა. ეს მეფენი ქრისტიანები არიან და მისდევენ ბერძნულ წესს. ისინი მცირე ხარკს უხდიან სპარსეთის შაჰს. მათ შორის ყველაზე ნაცადი მეზობლები ალბანელები არიან, შემდეგ კი იბერიელები. მეგრელები გამოირჩევიან თავიანთი უბრალოებით. მათ უყვართ სმა, დიდ ყურადღებას არ აქცევენ ქონებას. ისინი კასპიის ზღვიდან დაახლოებით ხუთასი ათასი რომაული ნაბიჯის* დაშორებით ცხოვრობენ და ამრიგად უფრო ახლოს ტრაპიზონელ ოსმანებთან არიან. ბუნებრივი სიმაგრეებისა და მიუვალობის გამო მეგრელებს არ აშინებთ მტრების თავდასხმები, მათ საიმედოდ იცავს მკაცრი ბუნება“.

პაოლოს განმარტებით კოლხელების შემდეგ, შავი ზღვის სანაპიროზე, ცხოვრობდნენ ჩერქეზები. მათი ქვეყანა, რომელსაც ნახევარმთვარის ფორმა აქვს, მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე და ყირიმის ნახევარკუნძულამდე აღწევს. მკვლე-

* ნაბიჯი დაახლოებით 1 მ., ე. ი. 500 ათასი მ. ან 500 კმ.

ვარის აზრით ჩერქეზები ღარიბები არიან. მიუხედავად ამისა მათ შესწევთ უნარი იბატონონ ეგვიპტეზე. უფლით ნაყიდი ჩერქეზი ბავშვები კაიროში მიყავთ, სადაც ისინი შემდგომში წინაურდებიან მაღალ თანამდებობებზე. სწორედ ამ გზით ბატონობენ ეგვიპტელებზე.¹²

ბალოო ჯოვიო უფრო ვრცელ ცნობებს გვაწვდის ჩერქეზებზე მის მიერ დაწერილ მამლუქ სულთან კაიტ-ბაის ბიოგრაფიაში.¹³

ქართველებზე საუბრისას ჯოვიო ძირითადად ძველი მწერლების მასალებს იყენებს. იგი თვალნათლივ იხსენებს XV საუკუნეში იტალიაში მყოფ ქართველ ელჩებს. ცხადია, მისი ცნობები საქართველოსა და ქართველებზე ვერ შეედრება იმ დიპლომატების მასალებს, რომლებსაც ისინი კონსტანტინოპოლიდან უნგრეთში აგზავნიდნენ.

XVI საუკუნის 60-იან წლებში თურქეთში იმოგზაურა ფრანგმა ანტუან გეფრმა, ანუ იაკე ანტონიუს გეოფრიუსმა.¹⁴ ფრანგულ-ლათინურ ენებზე დაწერილი მისი შრომები¹⁵ თურქეთის იმპერიის საშინაო მდგომარეობას ეხება. იგი საქართველოს მხოლოდ მაშინ იხსენებს, როცა თურქეთის მოსახლეობაზე ჰქვამდა განიხილავს¹⁶, შემდეგ ჩერქეზებზედაც ჩერდება.

ანტუან გეოფრიუსი აღნიშნავს, რომ ყველა მამლუქი ქრისტიანი იყო. მათ მკიდრო კავშირი ჰქონიათ ერთმანეთთან და ახლო არ იკარებდნენ თურქებს, მაგრებსა და ებრაელებს. მამლუქების უმრავლესობა იბერიელები, ჩერქეზები, კოლხები, გეორგიელები, ალბანელები და სხვა იაკობინელი თუ ნესტორიანელი ქრისტიანები ყოფილან, რომლებსაც მდინარე რიონის სანაპიროზე უცხოვრიათ. გეოფრიუსის ცნობები დაზღვეული არ არის უხეში შეცდომებისაგან. მიუხედავად ამისა, მის მიერ შეკრებილი მასალები მამლუქებზე უდავოდ იმსახურებს ყურადღებას.¹⁷

ზემოაღნიშნული ფრანგი ისტორიკოსის ნაშრომში, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1574 წელს, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი თავი: „ქართველების ზნე-ჩვეულებისა და სამართლის შესახებ“.¹⁸ აქ გეოფრიუსს ქართველებზე ძველი, უმთავრესად ჯვაროსნული ომების დროინდელი ცნობები აქვს მოტანილი. მისი განცხადებით ამიერკავკასიაში თურ-

ქები და სპარსელები თითქოს არასდროს არ გამოჩენილან. იგი სიტყვა-სიტყვით იმეორებს ვიტრიაკუსის შრომის ტექსტს. ასევე უხვად სარგებლობს მკვლევარი ფაბერისა და ბრეიდენბახის „წმინდა მიწის“ აღწერილობიდან.

გეოფრიუსის გადმოცემით ერთხანს ბევრ ქართველს უცხოვრია იერუსალიმში. იგი გვაცნობს იმ ადგილებს, რომლებიც მათ საკუთრებას წარმოადგენდნენ. ქვეთავში „ქართველების შესახებ“, აღწერილია, რომ „ქართველი მამაკაცები თმებს იღებავდნენ“. უფრო საინტერესოა მესამე ქვეთავი „სამი ჩუქურთმა“. მასში აღწერილია დასახელებული რაოდენობის ჩუქურთმა. ერთი მათგანი გამოხატავს ქართველ თავადს საკუთრებით ხელში, მეორე ქართველების ეკლესიას გოლგოთას მთაზე, მესამე — ბატალურ სცენას, რომელშიც მამაკაცების გვერდით იბრძვიან ქართველი ქალებიც.

საქართველოს შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე სტეფანე გერლახი (1546-1612). იგი მღვდელი იყო და მონაწილეობას იღებდა კონსტანტინოპოლის დიპლომატიურ მისიაში. რომელსაც დავით უნგრელი ხელმძღვანელობდა. გერლახი დიდხანს იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში. მას დარჩა იქაური ჩანაწერები, რომლებშიც ვხვდებით ცნობებს ქართველებსა და ჩერქეზებზე. იგი ქართველებს იხსენიებს სპარსელების ომებთან დაკავშირებით.¹⁹ მისი განცხადებით იმ დროისათვის ქართველების ნაწილი თურქების ქვეშევრდომად ითვლებოდნენ, ხოლო მეორე ნაწილი კი — დამოუკიდებლად.²⁰ ჩერქეზებზე კი ამბობს: მათი ერთი ნაწილი წარმართები არიან, ხოლო მეორე — ქრისტიანი ქართველებიო.²¹

გერლახის 1576 წლის 17 სექტემბრის ჩანაწერში ვკითხულობთ: „დღეს ჩემი სახლის წინ ჩაიარეს ქართველებმა. ყველანი ქრისტიანები იყვნენ, მიმზიდველნი, ფიზიკურად ძლიერი აგებულების. მათ საჩუქრები მიართვეს სულთანს. თურქულ ტანსაცმლიანი ერთ-ერთი მათგანი სახედარზე იჯდა, ორი თათრების წესის თანახმად წინ მიდიოდა. ერთს ბეწვის ქუდი ეხურა, მეორეს — ფერადი სამკაულებით შემკული თავსაბურავი. დანარჩენები თურქულ და აზიურ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. ისინი თავიანთ ენაზე ლაპარაკობდნენ. მათ გვერდით

ცხოვრობენ მიგრულებად (ე. ი. მეგრელებად) წოდებულ ქრისტიანები“²².

1577 წელს 31 იანვრით დათარიღებულ გერლახის მეორე ჩანაწერში ნათქვამია: „თვის ბოლოს აქ ჩამოვიდნენ საჩუქრებით დატვირთული ქართველი ელჩები. ისინი ადრე სპარსეთის შაჰის ქვეშევრდომები იყვნენ, მაგრამ რადგანაც დიდძალი ხარკი შეაწერეს, ახლა თურქების მხარეზე არიან გადასული“.²³

1577 წლის 10 ნოემბერს ვენიდან იმპერატორის ახალი მისია ჩამოვიდა კონსტანტინოპოლში იოაჰიმ ფონ სინცენდორფის მეთაურობით. მასში შედიოდნენ: ავსტრიელები, უნგრელები და ჩეხები. ეროვნული სხვადასხვაობის მიუხედავად ყველა მათგანს უნგრული ტანსაცმელი ეცვა²⁴. ამ მისიის ერთ-ერთი წევრი იყო სალომონ შვაიგერი (1551-1622), რომელმაც საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვა.²⁵ იგი მათში ვრცლად ჩერდება საქართველოსა და ცალკეულ ქართველ პიროვნებებზე.²⁶ შვაიგერი აღწერს სამცხელ, ათაბაგის ქვრივისა და მისი ორი ვაჟიშვილის ჩასვლას კონსტანტინოპოლში. ყურადღებას ამახვილებს მათ მოლაპარაკებაზე თურქეთ-სპარსეთის ომის განახლებასთან დაკავშირებით მაღალ დიპლომატიურ წრებთან.

შვაიგერის განცხადებით 1579 წლის 3 ივნისს კონსტანტინოპოლში ჩასულა ორი ქართველი უფლისწული 150-იანი ამალით. მათი ჩასვლის მიზეზი ყოფილა მუსტაფა ფაშას შეჭახება ქართველებთან სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს. ქართველებს მოუსურვებიათ თურქებთან შერიგება იმ შემთხვევაში თუ სულთანი ივალდებულებდა მათი ქვეყნის ხელშეუხებლობას. მუსტაფა ფაშას თავი აურიდებია ამ საკითხის განხილვაზე და ისინი კონსტანტინოპოლში გაუგზავნია მოსალაპარაკებლად.

ქართველ უფლისწულთა საკმაოდ ხანგრძლივი მოლაპარაკება სულთანთან უშედეგოდ დამთავრებულა. ამ უკანასკნელს გამოუთქვამს საქართველოს თავის სანჯაყად გადაქცევის სურვილი. მაშინ უმცროს უფლისწულს აღუთქვამს სულთნისთვის მაჰმადიანობის მიღება იმ პირობით, თუ თურქეთი ხელს აიღებდა მისი სამშობლოს დალაშქვრაზე. სულთანი დათანხმებულა ამ წინადადებაზე, რისთვისაც ქართველ უფლის-

წულს მისთვის მძევლად თავისი 10 წლის ვაჟი მიუცა. რაც შეეხება უფროს უფლისწულს ყვარყვარეს — მას უარი განუცხადებია რჯულის გამოცვლაზე.

შვაიგერის ცნობით, უმცროსი უფლისწულის მიერ ისლამის საზეიმოდ მიღების შემდეგ სულთანს ხელისუფლება რჯულისმოღალატე უმცროსი ძმისთვის გადაუცია, როგორც ვასალისათვის. ამასთან უფროსისათვის სპეციალური კაცები მიუჩენიათ, რათა მას აჯანყება არ მოეწყო უმცროსი ძმის წინააღმდეგ. მალე სულთნის დავალებით თურქეთის აღმირალს ახალი ვასალური სახელმწიფოს საზღვარზე ციხესიმაგრე აუშენებია და შეიარაღებული ჯარის ნაწილები ჩაუყენებია მოსალოდნელი არეულობის შემთხვევაში გამაჰმადიანებული უფლისწულის დასაცავად. მაგრამ, ერთ დღეს, ქართველები თავს დასხმიან სიმაგრეს და თურქეთის გარნიზონი მოუსპიათ. აღნიშნული ციხესიმაგრის ერთ-ერთ კოშკზე აღმართული ყოფილა ხმალამოწვდილი მებრძოლის ქანდაკება. როგორც სიმბოლო ურჩობის შემთხვევაში ქართველების აწიოკებისა. აჯანყებულთ ეს ქანდაკებაც დაუნგრევიათ. შვაიგერის განმარტებით ამ ციხესიმაგრეს ტიფლისი რქმევია, რადგანაც იგი ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირას ყოფილა აგებული.²⁷

როგორც ჩანს, შვაიგერს ბევრი რამ არ სცოდნია აღწერილი ამბის შესახებ, ბევრზეც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ სხვა მკვლევართა აზრით ზემოდასახელებულ უფლისწულის მიერ მაჰმადიანობის მიღებას შორსგამიზნული განზრახვა სდებია საფუძვლად — მოეგო დრო, მოეკრიფა ძალა და შემდეგ დაერთყა თურქეთისათვის.

ამის შემდეგ შვაიგერი გადმოგვცემს კონსტანტინოპოლში ჩასული ქართველებისა და უნგრეთის საელჩოს წარმომადგენელთა ურთიერთდამოკიდებულებაზე. იგი წერს: „კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს ქართველები ზვდებოდნენ ჩვენი საელჩოს პირად შემადგენლობას. ისინი ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან. თავადმა ყვარყვარემ ჩვენს ელჩს აჩუქა 60 დუკატად ღირებული შესანიშნავი ოქროს ნივთი, ელჩმა კი სამაგიეროდ მისცა იმავე ღირებულების ოსტატური ნაკეთობის საათი.“²⁸

შვაიგერის ცნობით იმპერატორის ელჩი, სარწმუნოებით ლუთერანი დაინტერესებულა ქართველების რელიგიური მრწამსით. ელჩს ყვარყვარესათვის უჩუქებია ლუთერანული ბიბლია ბერძნული წარწერით. ყვარყვარეს ბრძანებით ეს წარწერა ჯერ სალაპარაკო ბერძნულზე უთარგმნიათ, შემდეგ კი — ქართულად, შვაიგერი იქვე განმარტავს, რომ ყვარყვარესა და მისი ამალის წევრებს დიდი ინტერესი არ გამოუჩენიათ დოქტრინებისა და საერთოდ ღვთისმსახურებისადმი.

ყურადღებას იქცევს შვაიგერის ცნობები საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობაზე. მისი განმარტებით ქართველებს ადრე ესპანეთში არსებული მდინარის სახელის მიხედვით იბერებს უწოდებდნენ. მიწების სიმცირის გამო ისინი თითქოს ესპანეთიდან გადასახლდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც დღეს ცხოვრობენ. არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ქართველები კი არ წამოვიდნენ ესპანეთიდან, არამედ ესპანელები წავიდნენ საქართველოდან. ქართველური მოდგმის სამივე ტომი, რომლებიც ესპანეთში გადასახლდა შვაიგერის განცხადებით კუმანებად იწოდებოდა. კოლხებს იგი შეგარელებად იხსენიებს, ხოლო ალბანელებს — ჩერქეზებად. სამივე მათგანი სარწმუნოებით ქრისტიანი ყოფილა. ეკლესიის მეთაურად მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები ყოლიათ. მისდევდნენ სარწმუნოების გერმანულ წესს, რომელსაც ზოგ შემთხვევაში არღვევდნენ. წირვა-ლოცვას ასრულებდნენ თავიანთ ენაზე, ჰქონიათ საკუთარი დამწერლობა.²⁹

შვაიგერის ნაშრომში ცალკე თავად არის გამოყოფილი „იბერიული აღფაბეტი“. აქ თითქმის უშეცდომოდ არის განხილული ხუცური ასოები, რომლებიც მკვლევარისათვის ერთ ქართველ ბერს ჩაუწერიანებია იოსებ დამიზერიას პირველი ფსალმუნის პირველ სამ ლექსთან ერთად.³⁰ იქვე აღწერილია „ქართული დასაფლაგება“. „ქართული დასაფლაგების წესი თავისებურია, — წერს შვაიგერი, — ჩაცმულ ცხედარს ასვენებენ ხალიჩაზე, რომელსაც ჩვენთან და რუსეთში მიღებული ჩვეულების თანახმად აქეთ-იქით ულაგებენ ხმალსა და ისარს. გამოთხოვებისას ხალხი სათითაოდ მიდის მიცვალებულთან და მოთქმით ტირის, ქებით იხსენიებს გარდაცვლილის მამაცობას, პატიოსნებას, საბრძოლო და სხვა თვისებებს“. ბოლოს შვაი-

გერს მოაქვს მიცვალებულთან წარმოთქმული სიტყვები და ყურადღებას ამახვილებს მოტირალთა თავისებურ შეჯიბრზე უკეთესი სიტყვების წარმოთქმაში. ნაშრომში მოთავსებულია ათაბაგ ყვარყვარეს სურათი, რომელშიც იგი წარმოდგენილია წვერ-ულვაშ მოშვებული, ინტელიგენტური მამაკაცის სახით, მისი ტანსაცმელი ძალზე წააგავს XVI საუკუნის უნგრულ ჩაცმულობას.

აღნიშნულ ნაშრომში შვაიგერი შემდეგნაირად ახასიათებს იმ ქართველებს, რომლებსაც იგი პირადად იცნობდა: „ეს ქართველები ტანადი, ფიზიკურად ძლიერნი, შავგვრემანები არიან და ძალიან გვანან როგორც უნგრელებს, ისე პოლონელებს. ისინი უშიშარი, მამაცი მებრძოლები არიან. კონსტანტინოპოლში თავს ისე გრძნობენ, როგორც ამ ქალაქის ძველი მცხოვრებლები. მათ არაფერი არ აღეღებთ, არაფერი არ აკვირვებთ. ამ მხრივ ისინი ჩვენგან განსხვავდებიან, სხვების ზნე-ჩვეულებები არ აოცებთ. მიუხედავად ამისა ყვარყვარეს ჩვენი ქვეყნის შესახებ ბევრი რამის გაგება აინტერესებდა. იგი იყო მაღალი, ჩასუქებული მამაკაცი, რომელსაც 30 წელზე მეტს არ მისცემდით. მათი ტანსაცმელი სამკაულისა და ფეხსაცმელების გარდა. სპარსელებისას გავს. იცვავენ აბრეშუმისაგან შეკერილ ტანსაცმელს“.³¹

„წმინდა მიწის“ აღწერისას შვაიგერი კვლავ უბრუნდება საქართველოს და წერს, რომ „წმინდა მიწის“ სამლოცველო ქართველებს ეკუთვნის და თავადვე იცავენ მას“.³²

მიუხედავად იმისა, რომ შვაიგერი ხშირად იხსენიებს საქართველოსა და აფხაზეთს, ეტყობა, მას სრული წარმოდგენა არა აქვს მთლიანად საქართველოზე. ამას მოწმობს ისიც, რომ შვაიგერის ცნობები ხშირად შეიცავს მცდარ მოსაზრებებს.

თავის დროზე სამეცნიერო წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ცნობილი ექიმი, ბუნებისმეტყველი და გეოგრაფი დიორდ ჰენიში (1549-1618). 1577 წელს მან ცალკე წიგნად გამოსცა გეოგრაფიული ნაშრომი,³³ რომელშიც ანტიკური ხანის მოღვაწეთა მასალებზე დაყრდნობით განიხილავს კოლხეთთან, იბერიასთან და ალბანეთთან დაკავშირებულ საკითხებს. კოლხეთის ზღვის სანაპიროს იგი სამეგრელოს უწოდებს, ხოლო შიდა ტერიტორიას — ლიპსიას. „კოლხეთში, — წერს

ჰენიში, — ოდესღაც ცხოვრობდა „ზალას“ ტომი. დღეს ამ ტომის წარმომადგენლებს მეგრელებს უწოდებენ. მათი ქალაქებია ფასისი, დიოსკურია, ხოლო მდინარეები: ფასისი (რიონი) და ცაინეუსი. იბერიაში მდებარეობს ქალაქები: არმოზიკა, სკუსამორა, პოლიხიუმი, ანუ იდეესა...“³⁴

დიორდ ჰენიშს საკმაოდ აქვს ნასარგებლვეი პომპონიუს მელას (43 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ცნობილი გეოგრაფიული ნაშრომიდან.³⁵

შეუძლებელია დუმილით ავუაროთ გვერდი და აქვე არ მოვიხსენიოთ თავის დროზე საკმაოდ სახელგანმაურებული თეოლოგისა და ისტორიკოსის დავით ჰიტრეუსის ანუ იგივე დავით კოპვაფეს (1531-1600) დამსახურება ქართველების ორგული მასალების შეგროვების საქმეში.³⁶ იგი 1551 წლიდან კათედრას განაგებდა როსტოკის უნივერსიტეტში³⁷ და ახლო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ვენის სამეცნიერო წრეებთან³⁸.

1574 წელს ლათინურად, ხოლო 1581 წელს გერმანულად გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში „აზიური და სხვა ეკლესიების შესახებ“,³⁹ დავით ჰიტრეუსი ეხება ქართული ეკლესიის იერარქიას⁴⁰ და წერს: „უძველეს იბერიაში ცხოვრობდნენ ქართველები, რომლებსაც ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა კავკასიის ქედი, დასავლეთით — კოლხები, სამხრეთით — სომხები. იბერია იყოფოდა ოთხ ეპარქიად, რომლებიც ერთ კათალიკოსს, ანუ პატრიარქს ემორჩილებოდნენ... ისინი, საერთოდ, ბერძნულ დოქტრინას და წესს მისდევენ“.⁴¹ ნაშრომის ავტორს თავის დროზე მიმოწერა ჰქონია სინას მთაზე მოღვაწე ქართველ ბერებთან.⁴²

საგანგებო შესწავლას იმსახურებს პორტუგალიელი ლუის კომონენის „ლუზიადები“. იგი პირველად 1572 წელს დაიბეჭდა და მიეკუთვნება მსოფლიო მნიშვნელობის ეპოსს, რამაც განაპირობა მისი თარგმნა თითქმის ყველა ხალხთა ენებზე.

კომონენი თავის ნაწარმოებს უძღვნის თანამემამულეებს — როგზაურებს, მამაც მეზღვაურებსა და პირველადმოძიებებს. ისტორიულ ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თურქეთის ექსპანსიას მეზობელ ქვეყნებში და დაპყრობილი ხალხის ბრძოლებს ამ მაჰმადიანური სახელმწიფოს აგრესული ზრახვების წინააღმდეგ. მე-7 სიმღერის

მე-12 და მე-13 ლექსებში ნათქვამია: „ეპოქის მიერ დამან-გრეველი მიზნებისათვის შექმნილი იარაღების, ტირანიის, მო-მაკვდინებელი სამხედრო მანქანების შექმნის ნაცვლად უმჯო-ბესი იყო წარმართთა მოსპობა და ბიზანტიის კედლების დან-გრევა. განდევნეთ შორს ველური თურქი ხალხი კასპიის ზღვის პირქუში მთებისაკენ, სკვითიაში! ერთი ნახეთ როგორ იბრძვი-ან ბერძნები, ფრაკიელები, ქართველები და სომხები. ველური წარმართი აიძულებს ამ ხალხს თაყვანი სცეს ყურანს. ნუ აიგ-დებთ კაცობრიობას მასხარად! გამოიჩინეთ მამაცობა და სას-ჯელი მიუზღავით მათ მახვილით, ნუ აჩალებთ ერთმანეთში ძმათა ომს!“⁴³

პორტუგალიელი მოღვაწის ზემოციტირებულმა მოწოდე-ბამ კიდევ უფრო მძლავრი ჟღერადობა მიიღო შაჰ თაჰმასპის სიკვდილის შემდეგ თურქეთ-სპარსეთის ომის ხელახალი აფე-თქებისას, რომლის ხანძარი საქართველოსაც მოედო. ამასთან დაკავშირებით უკვე უამრავ ცნობებს ვხვდებით იმდროინდელ ნაბეჭდ პროლექციასა და დიპლომატიურ მიმოწერებში, მომ-ქმედ არმიებში მყოფი სამხედრო კორესპონდენტების ანგა-რიშებში. საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენები შე-დარებით დაწვრილებით აქვს აღწერილი, მაგალითად, ჯოვანი ტომაზო მინადოის (დაახლოებით 1540—1615).⁴⁴ თურქეთ-სპარსეთის ახალი ომის წარმოებისას იგი ალეპოში ცხოვრო-ბდა, რომელიც დასაბამიდან ახლო და შუა აღმოსავლეთში სამეთვალყურეო პუნქტს წარმოადგენდა. აქ ყოველთვის იყრი-და თავს ახალ-ახალი ცნობები.

ჯოვანის, როგორც ვენეციის საკონსულოს ექიმს შესაძლე-ბლობა ჰქონდა გასცნობოდა მაჰმადიანურ თუ ევროპულ სამ-ყაროში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების ამსახველ მასა-ლებს. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდა ვენეციის სა-კონსულოს ორი მუშაკი თეოდორე ბალბი და ჯოვანი მიგიელი. განსაკუთრებით კი ემადლიერებოდა იგი საკონსულოს მთარგ-მნელს ქრისტოფორე დე ბონის. ჯოვანი ტომაზო მინადოი არ მალავს იმასაც, რომ ორი მეომარი ქვეყნის მაღალი თანამდე-ბობის პირთა მკურნალობისას მისთვის ხელმისაწვდომი გახდა საიდუმლო მასალების გაცნობაც.

აზიაში 7 წლის ცხოვრების მანძილზე მინადოის რამდენ-

ჯერმე დაუტოვებია ალექო, ჩასულა კონსტანტინოპოლში, მაგრამ იმის დადგენა, იყო თუ არა იგი საქართველოში, სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო შეუძლებელი ხდება.

მინაღობი დაგვიტოვა ერთი მეტად საგულისხმო ნაშრომი, რომელიც 4 წიგნისაგან შედგება, რომელიც საფუძვლიანად აქვს განხილული მ. სვანიძეს თავის გამოკვლევაში „თურქეთ-საქართველოს ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეებში“. ნაშრომში თავმოყრილია მდიდარი მასალები საქართველოზე, სპარსეთ-საქართველოს დინასტიურ ურთიერთობაზე, მუსტაფა პირველის სამხედრო ოპერაციებზე, დავითხანის (დაუთხანის) ელჩობაზე, ჩილდირთან გამართული ბრძოლებზე და სხვა. რაკი ნაშრომი ყვარყვარესა და მანუჩარის, აგრეთვე დედისიმედის ორი ვაჟის ისტორიით იწყება, ამიტომ ჩვენც მათ ამბავს გავყვებით და მის გასაშუქებლად სხვა წყაროებსაც მოვიშველიებთ.⁴⁵

1579 წელს გერმანიაში დაიბეჭდა პატარა წიგნი, რომელიც საქართველოს ისტორიულ ფონზეა გაშლილი. მასში საუბარია იმ დიდ გამარჯვებაზე, რომელსაც სპარსეთის შაჰმა და ქართველებმა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მიაღწიეს. ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებას 181 წლის მანძილზე არ ჰქონია ადგილი⁴⁶. წიგნში მოცემულია 1578 წლის 18 სექტემბერს ჩილდირის ბრძოლის ველზე ლალა-მუსტაფა ფაშას მიერ სპარსელ ტყვეთა მხეცურად წამების დეტალური აღწერა. 600 ტყვის წამებას დიდი სიამოვნება გამოუწვევია მუსტაფაში. იმ ადგილას, სადაც დაყრილი ყოფილა დახოცილ ტყვეთა დამახინჩებული გვამები გზად გაუვლია ქართველი ქვრივის ვაჟს, შირკანის ახალგაზრდა თავადს. იგი დიდად აღუშფოთებია მუსტაფას დესპოტიზმს, რადგანაც წამებულთა შორის მისი ქვეშევრდომიც ყოფილან. ქართველი თავადი იმხანად ვერაფერს გამხდარა. ძლიერი ფაშას წინააღმდეგ შურისძიების წადილი გულში ჩაუღია.⁴⁷

წიგნის ავტორის გადმოცემით შურისძიების მომენტიც მალე დამდგარა. ერთ-ერთ შემდგომ ბრძოლაში ქართველ-სპარსელთა გაერთიანებულ ძალებს ფაშა დაუმარცხებიათ და მთელი „შირვანელი ქართველები“ მათ მხარეზე გადასულან. „მუსტაფა უკვე გარშემორტყმული იყო, — ვკითხულობთ ზე-

მოაღნიშნულ წიგნში, — ამბავი მოიტანეს, რომ მტერს დაენ-
გრია თურქებისათვის უკან დასაბრუნებელი ხიდი, მთაში გადა-
სასვლელიც სპარსელების ხელში იყო, აქეთ-იქიდან ქართვე-
ლები და სამდინარო წყლები ქმნიდნენ მუქარას. ყოველივე
ამას ზედ დაერთო სურსათის ნაკლებობა... ამასთან, თურქების
ხაფანგში მომწყვდევის შემდეგ შირვანელმა ქართველებმა
დაარღვიეს უწინდელი სამშვიდობო ხელშეკრულება და მუს-
ტაფას ომი გამოუცხადეს. თურქეთი დამარცხდა. 50 000-ზე
მეტი კაცი თავიანთ მეთაურთან ერთად ბრძოლის ველზე დარ-
ჩა.“⁴⁸ ყოველივე ეს მოწხდარა კასპიის ზღვასა და მდ. ტიგრისს
შორის, სადაც ცბიერმა და გონებაგამჭრიახმა არიშანმა მოტ-
ყუებით დაამარცხა დიდი რომაელი მხედართმთავარი კრასი⁴⁹.

მრავალი საინტერესო ცნობაა შემონახული საქართველოზე
ჰენრიკუს პორსუსის სახელით ცნობილი ჰენრიხ პორშას შრო-
მებში (1556—1610). იგი დაიბადა გერმანიაში, დაბა ვეტერაუ-
სში სწავლობდა გერმანიისა და იტალიის უნივერსიტეტებში.
დიპლომის დაცვის შემდეგ გადასახლდა ვენაში და ჩაიბარა
იქაური უნივერსიტეტის კათედრა. 1583 წ. პორსიუსი ხდება
იმპერატორის მდივანი. ამის შემდეგ იგი ჩადის უნგრეთში და
იკავებს ქვეყნის უმაღლესი საფინანსო ორგანოს კამერის
მდივნის პოსტს.⁵⁰ 1578—1582 წლებში სალომონ შვაიგერთან
ერთად იგი მონაწილეობას იღებს ზინზენდორფის კონსტანტი-
ნოპოლის ელჩობაში და ასრულებს მთელ რიგ სხვა დიპლო-
მატიურ დავალებებსაც.

მოგონებები კონსტანტინოპოლზე, რომელშიც შედის ცნო-
ბები საქართველოს შესახებაც ასახულია პორსიუსის ნაშრომ-
ში „მოგზაურობა ბიზანტიაში“⁵¹. ვენის ჰუმანისტებიდან, რომ-
ლებიც დაინტერესებული იყვნენ საქართველოთი, პორსიუსი
ერთ-ერთი პირველთაგანი იყო⁵². მის ისტორიული ხასიათის ჩა-
ნაწერებს ორიენტალისტებმა ყურადღება ძირითადად უკანა-
სკნელ ათწლეულში მიაქციეს. ც. დ. რულიარდი, მაგალითად,
პორსიუსის მთავარ ნაწარმოებს ასეთ შეფასებას აძლევს: „იგა
სავსეა ახსნა-განმარტებებით, რაც ცხადჰყოფს მის დიდ ცოდ-
ნით მარაგს“.⁵³ წიგნი, რომელიც 1583 წელს გამოიცა ლა-
თინურსა და ფრანგულ ენებზე, შეიცავს 1578 წლის თურქეთ-
სპარსეთის ომის აღწერას.⁵⁴

ზოგადი ხასიათის შესავლის შემდეგ პორსიუსი მაშინვე გადადის საქართველოზე. ნაშრომის ცალკეული ადგილები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი კარგად იცნობდა ამ ქვეყნის წარსულს. „კოლხეთსა და ალბანეთს შორის ცხოვრობს ხალხი, რომელიც იბერების, ანუ ქართველების სახელით არის ცნობილი. ისინი ქრისტიანები არიან და მეომარ ხალხად ითვლებიან, ჰყავთ რამდენიმე მმართველი და თავადი. ომის მთელ მანძილზე ისინი დახმარებას უწევდნენ სპარსეთის შაჰს. ზოგიერთი მათგანი თურქეთის საზღვართან ცხოვრობს და სულთანის ქვეშევრდომობას აღიარებს“⁵⁵.

ამის შემდეგ პორსიუსი გვაწვდის საქართველოსთან დაკავშირებულ სამხედრო ხასიათის რამდენიმე ცნობას. „1578 წელს, — წერს იგი, — თურქებმა ყოვლგვარი სიძნელისა და მნიშვნელოვანი დანაკარგის გარეშე ხელში ჩაიგდეს ქალაქები თბილისი და ჩალადუნგი, რომლებიც საქართველოსა და შირვანს შორის მდებარეობენ. თურქების მხედართმთავარი იყო ოსმან-ფაშა, რომელსაც სპარსელები დემირ-ოღლის, ანუ „რკინის შვილს“ უწოდებენ. აღნიშნული ქალაქების აღების შემდეგ მუსტაფა-ფაშა შეუდგა ყარსის გამაგრებას“⁵⁶.

პორსიუსი სათანადო ფაქტების დამოწმებით მოგვითხრობს სპარსეთის დიდ გამარჯვებას თურქეთზე, თათართა ხანის ძმების ტყვედ ჩავარდნაზე, რომლებიც თურქეთის მხარეზე იბრძოდნენ, ოსმან-ფაშას უკან დახევას და ტარკუნის შამხალისაგან თავშესაფარის მიღებაზე, ამ შამხალის ზოგიერთ ქართველთან ერთად თურქეთის მხარეზე გადასვლაზე,⁵⁷ ოსმან-ფაშას მიერ შამხალის ქალიშვილის ცოლად შერთვაზე და სხვა.

მტერზე გამარჯვების შედეგად სპარსელებმა დაიწყეს ბატონობა მთელ შირვანში, გაძარცვეს და დაანგრირეს მუსტაფას მიერ აგებული ყველა ციხესიმაგრე.⁵⁸

1579 წელს, სულთანმა, რომელსაც მტრისათვის სამაგიეროს გადახდის სურვილი აღრჩობდა, უბრძანა ყველა ბეგლარბეგსა და ფაშას მზადყოფნაში მოეყვანათ თავიანთი სამხედრო ძალები, რათა გაზაფხულზე დაეწყოთ გადამწყვეტი ლაშქრობა სპარსელების წინააღმდეგ. მიღებული ღვალების თანახმად მოლდავეთისა და ვლახეთის მთავრები შეუდგნენ სურსათის დამზადებას შავი ზღვის სანაპიროსაკენ გასაგზავნად.

თარხანს დაეკისრა ახალი ჯარის შეკრება. სალაშქროდ აღჭურვეს უამრავი გალერი. რაც შეეხება სპარსელებს, მათ მრავალრიცხოვანი ჯარით ალყა შემოარტყეს თბილისს, რომლებიც წინა წელს თათრებს ჰქონდათ დაკავებული. სპარსელებმა იმდენად შეავიწროვეს ალყა, რომ სურსათ-სანოვავის გამოღვევის შემდეგ ქალაქის მცხოვრებლებმა ხელი მიჰყვეს ძაღლის, ცხენისა და სახედრის ხორცის ჭამას. ცოტალა იყო საჭირო, რომ ქალაქი მტერს დამორჩილებოდა, მაგრამ მას მხსნელად მოვედინა დამასკოელი ბეგლარ-ბეგი, რომელმაც აიძულა სპარსელები უკან დაეხიათ.⁵⁹

ამის შემდეგ პორსიუსი გადმოგვეცემს თავადის ქალის დედისიმედისა და მისი ვაჟების ზემოთ აღწერილ ისტორიას. მაგრამ მისი ცნობები განსხვავდება ამ ამბის სხვა აღწერთა ვერსიებისაგან. პორსიუსის განმარტებით გამაჰმადიანებული უმცროსი ძმა ყვარყვარე უფროს ძმას მოუწამლავს.⁶⁰

შემდეგ პორსიუსი ეხება ყარსის ციხის გამაგრებას და სხვა სიმაგრეების აგებას სამეგრელოსა და ქართლში, მაგრამ სპარსელები შემოესივნენ საქართველოს და სწრაფად დაანგრიეს ეს სიმაგრეები.⁶¹

აქ გვინდა ყურადღება კიდევ ერთ ცნობაზე შევაჩეროთ.⁶² ეს არის სინან-ფაშას გამგზავრება ქართველებთან საომრად. „1580 წლის 25 აპრილს, — წერს პორსიუსი, — სულთანმა პირადად გააცილა სინან-ფაშა, რომელიც მუსტაფას მაგივრად იყო დანიშნული. სულთანმა აჩუქა მას ძვირფასად მოქედილი ხმალი, გადასცა სახელმწიფო ალაში და ჯიშინი ცხენები. სინანი აზიაში მიემგზავრებოდა და მას დიდი პატივით აცილებდნენ პორტას წარჩინებული პირები და ბეგები. ხმა დადიოდა თითქოს სინან-ფაშას გამგზავრებას ერთად ერთი მიზანი ედო საფუძვლად — ომი ქართველებთან“⁶³. როცა იმავე წლის სექტემბერში მომხდარ ამბებს აღწერს, პორსიუსი აღნიშნავს: „სინან-ფაშამ ამ ომში ვერაფრით ვერ გამოიჩინა თავი. მიუახლოვდა თუ არა საქართველოს, ქართველები შეებნენ მას და მძვინვარე ბრძოლა გაუმართეს. თურქებმა დიდი ზარალი ნახეს“.

სინან-ფაშას ომი მობეზრებია და კონსტანტინოპოლში დაბრუნება გადაუწყვეტია, ამიტომ სულთანისათვის დაზავება ურჩევია.⁶⁴ „ცოტა მოგვიანებით, — გვამცნობს პორსიუსი, —

სპარსელებმა კვლავ შემოართყეს ალყა თბილისს, მაგრამ ბე-
გლარ-ბეგმა, ისევე, როგორც წინა წელს, აიძულა ისინი უკან
დაეხიათ. 1581 წელს სპარსელები ისევ მოადგნენ თბილისს,
მაგრამ სურსათის ნაკლებობის გამო კვლავ უკან დაბრუნდ-
ნენ“.⁶⁵

პორსიუსის ცნობებს სპარსელების მიერ თბილისის აღებაზე
ადასტურებს ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული გერმანულ
ენაზე გამოცემული ბროშურა. მასში ნათქვამია: „სპარსელებ-
მა მეორედ შეუტყეს თურქებს. ოცი ათასი მებრძოლი მოსპეს
და კვლავ დაიკავეს თბილისი თავისი გარეუბნებით. როგორც
ირკვევა, ეს მოახერხა ქართველმა თავადმა მუჰამედმა, რომე-
ლიც დედამ გაგზავნა კონსტანტინოპოლში, სადაც მან მაჰმა-
დიანობა მიიღო. მუჰამედმა გაურკვეველი მიზეზის გამო შემ-
დეგში სულთანის წყალობა დაკარგა და იმისათვის, რომ შური
არ ეძიათ მასზე, სპარსეთში გადავიდა. სულთანმა მუჰამედის
ორგულობა სინან-ფაშას დააბრალა. აქედან მოყოლებული
იგი შერისხულთა შორის მოექცა. განრისხებულმა სულთანმა
ფაშას ყოველგვარი ხარისხი აჰყარა და კინაღამ თავიც მოჰკვე-
თა. ბოლოს ფაშა—კაცი, რომელიც ქრისტიანობის დაუძინებელ
მტრად ითვლებოდა, სასახლიდან გაიქცა. მის აურაცხელ სიმ-
დიდრეს კონფისკაცია გაუკეთდა. მსხვილფეხა საქონელი სია-
ვეუმ-ფაშას ხედა წილად, რომელიც წარმოშობით უნგრელი
ოყო“⁶⁶.

პორსიუსი, ისევე როგორ იმდროინდელი სხვა ისტორიკო-
სი, თავის გამოკვლევებში დიდ ადგილს უთმობს მანუჩარ ათა-
ბაგის მოღვაწეობას, მაშინ როდესაც შემდგომი ხანის ისტო-
რიკოსები მანუჩარისა და მისი ძმის ამბავს დუმილით უვლიან
გვერდს. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეგვიძ-
ლია დავასკვნათ, რომ იმ რთულ სამხედრო გეოგრაფიულ ვი-
თარებაში მანუჩარის მოქმედება დადებით შეფასებას იმსა-
ხურებს. ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაში არ ვიღებთ
პორსიუსის მტკიცებას მანუჩარის მიერ თავისი უმცროსი ძმის
მოკვლის შესახებ, რადგანაც იგი სხვა წყაროებით არ დასტუ-
რდება.

როგორც პორსიუსის ნაშრომიდან ვგებულობთ, იგი სინან-
ფაშას ქართველების წინააღმდეგ საომრად გამგზავრების საზე-

იმო გაცილების მონაწილე ყოფილა. ალბათ ამან აღუძრა სურვილი მკვლევარს დაეწერა ლექსი ლათინურ ენაზე, რომელშიაც თვალნათლივ შეინიშნება მისი ქართველებისადმი სოლიდარული დამოკიდებულება⁶⁷.

საქართველოზე მდიდარ მასალას ვხვდებით ლეუნკლავიუსის შრომებშიც. ამ მხრივ, საყურადღებოა მისი 1578 წლის თურქეთ-სპარსეთის ომის აღწერა. იგი თხრობას იწყებს 1577 წლის როვლენათ მოკლე გადმოცემით. იმ წელს შაჰ-მუჰამედ ხოდაბენდემ „კავშირი დაამყარა იმ ხალხებთან, რომელთა წინააღმდეგ იყო კეზეიჰ ფაშა. ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ მისი წინამორბედნი ამ ხალხებთან განუწყვეტელ ომს აწარმოებდნენ. მართალია, ეს ხალხები მაჰმადიანები იყვნენ, სპარსელებისაგან მაინც განსხვავდებოდნენ. მუჰამედმა ბევრი გამოჩენილი თურქი, რომლებიც რელიგიის გამო ოსმანებს ვერ ეწყობოდნენ, თავისკენ გადაიბირა. ამის შედეგად სპარსელების ლაშქარი კიდევ უფრო გაიზარდა, ხოლო მისი პოზიციები ქართველების დახმარებით საგრძნობლად გაძლიერდა. ქართველებს წინათ იბერებს უწოდებდნენ. ისინი დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ ძველ სარწმუნოებას — ქრისტიანობას, რომელიც განსხვავდება ბერძნული ორთოდოქსალური მიმართულებისა და ჩვენი რწმენისაგან. მათ ბევრი ხელისუფალი ჰყავთ, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს სპარსელებს ამ ომში“.⁶⁸

ლეუნკლავიუსის შრომებში საქართველოზე გამოთქმულ მოსაზრებათაგან ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ შრომებზე, რომლებზეც საისტორიო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს, ანდა ნაწილობრივ ესადაგებიან ერთმანეთს.

როგორც ცნობილია, კვიპროსის ჯალათი მუსტაფა ფაშა სპარსელების წინააღმდეგ სალაშქროდ 1578 წლის 5 აპრილს დაიძრა კონსტანტინოპოლიდან და მტრის საზღვარს აგვისტოს დამდეგისათვის მიაღწია. ფაშას ბრძანებით თურქებმა ააოხრეს და გაძარცვეს საქართველო. ერთ-ერთმა ქართველმა მმართველთაგანმა, რომელიც საისტორიო წყაროებში მოხუცი ქალბატონის სახელით არის ცნობილი, უმცროსი ვაჟი მანუჩარი აახლა ამალით მუსტაფა ფაშას, მორჩილების აღსათქმელად⁶⁹. მანუჩარისა და მისი ძმის ყვარყვარეს ამბავი თურ-

ქეთ-სპარსეთს შორის ახლად გაჩაღებული ომის ისტორიის შესავალ ნაწილს წარმოადგენს. ძმების ურთიერთობას ლეუნ-კლაიუსი ცოტა უფრო სხვანაირად გადმოგვცემს, ვიდრე ეს საერთოდ არის ცნობილი. მისი გადმოცემით ქერივს მუსტაფასთან თავდაპირველად ერთი ვაჟი გაუგზავნია, მაგრამ ამ უკანასკნელის ჩასვლას ფაშაზე არაერთი გავლენა არ მოუხდენია. ამის გამო დედას მეორე შვილიც გაუგზავნია. მანუჩარს რჩული ოსმანთა დაყენებით მოთხოვნისა და მუქარის გამო გამოუცვლია, მათ რისხვას კი ყვარყვარეზე იოტის ოდენა გავლენაც არ მოუხდენია. ლეუნკლაიუსი ამის შემდეგ გადმოგვცემს მანუჩარის სიკვდილს, რაც თურქების მიერ მისთვის მიცემული ნელა მოქმედი საწამლავით ყოფილა გამოწვეული⁷⁰. აქვე აღწერილია ის ზიანი, რომელიც მუსტაფამ საქართველოს მიაყენა⁷¹, სპარსეთის შაჰის საომარ წარმატებებზე⁷²; მოთხოვნილია თბილისის დაცემაზე. აღსანიშნავია, რომ ლეუნკლაიუსი პირველი უცხოური მკვლევარია, რომელიც თბილისის დაცემაზე თხოვნისას იხსენიებს ქართველი მეფის სეიმონის სახელს⁷³. ცეცხლითა და მახვილით დაკავებულ თბილისში მუსტაფას ბეგლარ-ბეგობა შემოულია. ამის შემდეგ გადაულახავს კარა-სუს სახელით ცნობილი მდ. არეში, რომელიც შირვანს საქართველოსგან ყოფს. ლეუნკლაიუსის ცნობით ამ ოპერაციის დროს, ერთ დღეში, მუსტაფას 13.000 ჯარისკაცი დაუკარგავს.⁷⁴ მკვლევარი აგვიწერს საბრძოლო პერიპეტეებს, რომელიც ცვალებადი უპირატესობებით ხასიათდებოდა.

ოსმან ფაშასა და შამახალის ქალიშვილის ქორწინებას ლეუნკლაიუსი მოგვითხრობს ტრადიციული გადმოცემის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ მოსაზრების გამოთქმისას იგი ერთი, რომელიმე წყაროთი კი არ იფარგლება, არამედ იშველიებს სხვადასხვა ავტორებს. კერძოდ, ზემოთ დასახელებულ ქორწინებაზე ყურადღების გამახვილებისას გვაცნობს ერთ-ერთ ვერსიას, რომლის მიხედვითაც შამახალი თითქოს ოსმან ფაშას ცოლმა, ანუ თავისავე ქალიშვილმა მოწამლა. განგვიმარტავს რუსეთის, ინდოეთისა და სპარსეთის დაპყრობასთან დაკავშირებულ ოსმანის ფანტასტიკურ გეგმებს⁷⁵.

1579 წლის ამბების აღწერისას ლეუნკლაიუსი გადმოგ-

ვცემს, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში მუსტაფა მრავალჯერ შებმია ერზერუმის საზღვართან ქართველ-სპარსელთა გაერთიანებულ ძალებს და ყოველთვის დამარცხებულა⁷⁶. სამაგიეროდ ულუზ-ალის, რომელიც სხვა წყაროებში ოკი-ალის სახელით იხსენიება, სულთან მურადის ბრძანების თანახმად მოუხერხებია ფოთში ციხესიმაგრის აგება, რათა „საშუალება მისცემოდა თურქეთის ჯარს ადვილად დასხმოდა თავს ქართველებს“. მაგრამ ამ ციხესიმაგრეს დიდხანს აღარ უარსებია. ქართველთა შეიარაღებული ლაშქარი თავს დასხმია და იგი ერთიანად დაუნგრევია⁷⁷.

ლეუნკლავიუსი საკმაოდ ვრცლად განიხილავს მუსტაფას დამარცხების მიზეზებს და შემდეგ აღწერს სინან-ფაშას ბრძოლებს, სოხუმისა და ბათუმის ალებას და იქ ბეგლარ-ბეგობის დაწესებას⁷⁸. ამის შემდეგ მკვლევარი გადმოგვცემს ქართველების მიერ სინანის დამარცხებას, მისი არტილერიის დიდი ნაწილის მოწინააღმდეგის ხელში გადასვლას.

პორსიუსის მსგავსად ლეუნკლავიუსიც დაწვრილებით აღწერს 1580 წელს თბილისში დაბანაკებულ თურქეთის გარნიზონში ჩამოვარდნილ შიმშილობას. ალყაშემორტყმული ქალაქის საბოლოო დასამორჩილებლად მოსული თურქეთის მაშველი ძალების განადგურებას სპარსელ-ქართველთა მიერ⁷⁹, თურქეთ-სპარსეთის საზავო მოლაპარაკებას, მის უშედეგოდ დამთავრებას, საომარი მოქმედების ხელახლა გაჩაღებას და 1582 წელს სპარსელ-ქართველთაგან თურქების საბოლოო დამარცხებას⁸⁰.

ლეუნკლავიუსი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სპარსელ-ქართველთა წარმატებას თურქებთან ომში საფუძვლად დაედო ქართველი თავადისშვილის მანუჩარის მიერ ფარული დაზვერვის შედეგად შეგროვილი ცნობები. ამ ამბის შეტყობისთანავე თურქეთის სულთანს მურადს მანუჩარის შეპყრობისა და თავის მოკვეთის ბრძანება გაუცია. მანუჩარს უმაღვე აულია ალლო შექმნილი ვითარებისათვის და სპარსეთის ქვეშევრდომობა უღიარებია⁸¹. იმ დროისათვის მანუჩარისათვის აქტიურად დაუჭერიათ მხარი საქართველოს მეფეს სვიმონსა და „ერევნის მბრძანებელს სულთან ტოკმაკს“⁸². ამ უკანასკნელის დასასჯელად თურქეთის მპყრობელს ციხლა-ფაშა გაუგზავნია დიდ-

ძალი ჯარით, მაგრამ მის ლაშქრობას დადებითი შედეგი მა-ნც არ მოჰყოლია. ციკლა-ფაშა ტოკმაქსა და მის მოკავშირეებს კინლამ ტყვედ ჩაეარდნიათ⁸³. შემდეგ ლეუნკლავიუსი ეხება სპარსეთ-საქართველოს ერთიანი ჯარების გამარჯვებას თურქთა ნაწილებზე, რომლებიც თბილისისაკენ მიიწვედნენ⁸⁴.

ლეუნკლავიუსის ნაშრომის შესამე ნაწილი, რომელიც ეკლექტურადაა შედგენილი და გადატვირთულია ტოპოგრაფიული მონაცემებით, უხვად შეიცავს საქართველოს ამსახველ ისტორიულ მასალებს. შირვანის⁸⁵ ამბების თხრობისას მკვლევარი განმარტავს, რომ ეს იყო ქვეყანა, რომელსაც ანტიკური ხანის მოღვაწენი მედიას უწოდებდნენ, ხოლო სამი ასეული წლის წინ — ვასპახანს. ამ შემთხვევაში ლეუნკლავიუსი ემყარება გეორგ ცედრენუსის მიერ შედგენილ კონსტანტინე მონომახის ბიოგრაფიაში შემონახულ ცნობებს⁸⁶. იოვიუსთან კამათისას, რომლის პტიციებითაც „ალბანეთს ახლა შირვანი ეწოდება და მედეას ესაზღვრება“ ლეუნკლავიუსი აცხადებს: „ალბანეთი საქართველოს ეკუთვნის. იგი არასოდეს არ ყოფილა სპარსეთის ქვეშევრდომობაში. მისი მცხოვრებნი ქართველები არიან იმთავითვე და თავიანთ მმართველთა მორჩილებაში იმყოფებიან. სპარსელებთან მათ მხოლოდ სამოკავშირეო ურთიერთობა აქვთ, რაზეც მივუთითებ კიდევაც 189 თავში. შირვანი, ანუ მიდია სხვანაირად რომ ვთქვათ, სპარსეთის შემადგენელი ნაწილია“⁸⁷. ლეუნკლავიუსი აღნიშნული საკითხის ირგვლივ გამოთქმულ სხვა მკვლევართა მოსაზრებას არ იზიარებს. იგი უარყოფს აგრეთვე მინადოს ტოპოგრაფიულ განსაზღვრებებსაც, რაზედაც ამ უკანასკნელმა მოგვიანებით მას თავის ბროშურაში გასცა პასუხი.

ბიოგრაფიული ცნობების თანახმად ირკვევა, რომ ლეუნკლავიუსი თავად იყო მონაწილე კონსტანტინოპოლის ელჩობის, რომელსაც 1584 წელს⁸⁸ ჰენრიხ ფონ ლიპტენშტაინი მეთაურობდა. მას შეუგროვებია და კრიტიკულად დაუმუშავებია დიდძალი მასალა⁸⁹. თავისი ნაშრომის შესავალში იგი გულწრფელად ასახელებს ყველა იმ წყაროს, რომლითაც კი უსარგებლია. ამ „რეგისტრში“ ვხვდებით სომხეთის მეფეების ხაითუნ კილიკიელისა (1226—1269) და ბონფინის სახელებს. ლეუნკლავიუსი მკითხველს აცნობს უნგრული წარმოშობის ორ

წყაროს, რომლებიც იმ დროისათვის არ იყო გამოქვეყნებულა. ერთია უნგრეთის საიმპერატორო კარის მდივნის ფაუსტ ვერანჩიჩის ცნობა, რომელშიც აღწერილია მისი ბიძის ანატოლი ვერანჩიჩის მიერ კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილი წერილობითი მასალები⁹⁰, მეორეა უნგრელი ელჩის მდივნის ფილიპ ჰანივალდ ფონ ეკერსტორფის მიერ მოძიებული პორტას საიდუმლო დოკუმენტები⁹¹.

საინტერესოა, შვეიცარიელი ც. ა. კურონეს (1538—1567)⁹² წიგნი „კრონიკონ სავებრევიარიუმი“⁹³, რომელიც შეიცავს ცნობებს საქართველოზე. მაგრამ ამ ცნობების გარჩევა-გაანალიზებისას ირკვევა, რომ წიგნის ავტორს უხვად უსარგებლია ლეუნკლავიუსის მასალებით⁹⁴.

იმავე ხანებში გამოქვეყნდა პიემონტელი ჯოვანი ბოტეროს (1533—1617) ნაშრომი. აღსანიშნავია, რომ იგი აღმოსავლეთში არასოდეს ყოფილა და არც დამოუკიდებელი კვლევა უწარმოებია. ყოველივე ამან კი მის ნაშრომზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. მასალების უმეტესი ნაწილი ამოკრეფილია სხვა ჰკვლევართა პუბლიკაციებიდან.

ბოტეროს ნაშრომის ერთი თავი მთლიანად საქართველოსადმი მიძღვნილი⁹⁵. ქვეყნის მიმოხილვას იგი როგორც წესი გეოგრაფიული აღწერით იწყებს. მისი განცხადებით ქართველები თაყვანს სცემდნენ წმინდა გიორგის. ამ რელიგიური კულტის მალმერთებლად მიიჩნევს თურქებსაც. მკვლევარი ექვის ქვეშ აყენებს პლინიუსის ცნობას ქართველების კასპიის ზღვისპირა მცხოვრებლებად აღიარებაში და განმარტავს: „საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი პირქუში და მიუვალაია. იგი დაფარულია მთებით, თუმცა ვხვდებით ვაკე ადგილებსა და ლამაზ ველებსაც“. მისი განცხადებით ქვეყანა დაფარულია გაუვალ ტყეებით, ვრცელი და ნაყოფიერი მინდვრებით, რომლებიც ირწყვება ორი მდინარით — არაქსითა და მტკვრით.

პიემონტელის აზრით ქართველები თავიდანვე ცხოვრობდნენ თავიანთი ეროვნული მმართველობის ქვეშ. მათი ერთი ნაწილი, პირადი ინტერესების მიუხედავად, თურქეთის მხარეზე დგას, ხოლო მეორე — სპარსელებისა. უკანსკნელი ომის დროს მათ ბევრი უბედურება დაატყდათ თავს. თურქებმა გაანადგურეს მრავალი ისეთი მნიშვნელოვანი ქართული ქალაქი,

როგორცაა გორი, ახალციხე, ლორე, დმანისი, თბილისი. ამის შემდეგ ბოტერო ჩერდება ქართულ ეკლესიაზე, ცალკე გამოყოფს მიტროპოლიტის სტატუსს, რომელიც ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებაში შედიოდა და აღწერს ქართული სამღვდლოების ჩაცმულობას. იგი ქებადიდებით იხსენიებს ქართველთა მამაცურ საბრძოლო თვისებებს. სამეგრელოზე თხრობისას ბოტერო იმეორებს XVI საუკუნის ევროპელ მკვლევართათვის უკვე კარგად ცნობილ ძველთაგან მომდინარე შაბლონურ მოსაზრებებს. სხვათა მსგავსად ისიც ჩერქეზეთს მამულქთა სამშობლოდ იხსენიებს. ალბანეთს მკვლევარი ზუირის უწოდებს და გვაძლევს მის მოკლე გეოგრაფიულ მიმოხილვას.

ბოტეროს ნაშრომის მეორე ნაწილი⁹⁶ უშუალოდ ეხება თურქეთ-სპარსეთის უკანასკნელ ომს. ავტორი პირველ რიგში გვაცნობს თურქეთის ახალ საომარ მოქმედებას, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს, როგორც სპარსეთის მოკავშირეს, დიდის სიზუსტით აღწერს თურქეთის მიერ თბილისში, ყარსში, ლორესა და დმანისში ციხესიმაგრეების აგებას⁹⁷.

ფუნდამენტალური, სქელტანიანი გამოკვლევების გარდა არსებობს აგრეთვე მცირე მოცულობის ნაშრომები, რომლებშიც ძუნწი, მაგრამ საყურადღებო ცნობებია გაბნეული საქართველოზე. ამ მხრივ აღსანიშნავია პოლონეთის სამეფო კარის ჰიდენის მარტინ ბრინიოვსკის (1550—1593) ნაშრომი. 1578 წელს იგი სათათრეთში იმყოფებოდა, სადაც შეკრიბა მასალები საქართველოზე, რომელთაგან ზოგიერთის კრიტიკულად გაანალიზება შეუძლებელია. ასე ითქმის, მაგალითად, მის მიერ ჩერქეზეთის კოლხეთთან გაიგივებაზე, მაგამ ბრინიოვსკი ამავე დროს საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართველების თავდადებულ ბრძოლებზე სამშობლოს დასაცავად, მათ სტუმართმოყვარულ წეს-ჩვეულებებზე, ამასთან მკაცრად კიცხავს ქართველთა გატაცებას მონათვაჭრობის მიზნით⁹⁸.

1580 წელს გერმანულ ენაზე გამოიცა ბროშურა⁹⁹, რომელშიც მოთხრობილია ყარსის აღებაზე, ავტორის მიზანს წარმოადგენს დაუხასიათოს მკითხველს ის დიდი მარცხი, რომელიც განიცადა თურქეთმა „თბილისის გრანდიოზული ციხესიმაგრის მისადგომებთან“. ბროშურის დასაწყისშივე საქართველო გამოყვანილია სპარსეთის მოკავშირედ. ყურადღება კი უმთა-

ერესად გამახვილებულია თურქეთის ფაშას მუსტაფასა და სპარსეთის სულთან ტოკმაკს შორის გამართულ ბრძოლაზე, ყარსის ალყაზე¹⁰⁰.

დავიდ ჰიტრეუსი თავის ერთ-ერთ ნაშრომში, რომელზეც ზევით გვქონდა საუბარი, მოგვითხრობს მუჰამედ შაჰის მისწრაფებაზე სულთანთან სამშვიდობო ზავის დასამყარებლად, ომანთა მზაკვრობასა და მის წინააღმდეგ ომის დაწყებაზე. ავტორის განცხადებებით თურქებს ხელში ჩაუგდიათ თბილისი, თავს დასხმიან შირვანს და აუგიათ ყარსის სიმაგრე, რომელიც უმემდეგ მტერს ალყაში მოუქცევია¹⁰¹.

1584 წელს გერმანულ და ლათინურ ენებზე გამოქვეყნდა ბროშურა, რომელშიაც მოცემულია ცნობები საქართველოს ორიენტაციასზე თურქეთ-სპარსეთის ომში. ბროშურის ავტორია დავიდ ჰიტრეუსის ნამოწაფარი ფრანც ბოლერბეისი. იგი ერთხანს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, საიდანაც 1559 წელს 9 ივლისს თავისი მასწავლებლისათვის გაუგზავნია წერილი, რომლითაც მიუწოდებია მისთვის ცნობები ომის შესახებ. წერილის დასაწყისში დახასიათებულია ყველა მაღალი თანამდებობის პირი. სიავეშ ფაშაზე, მაგალითად ნათქვამია, რომ იგი წარმოშობით იყო უნგრელი, ხოლო ოკიალი — იტალიელი. ფრანცის განცხადებით ოკიალის საზღვაო ფლოტით გაულაშქრია სამეგრელოზე და მდინარე რიონის ნაპირზე მცხოვრები ხალხი დაუპყრია.¹⁰² წერილის ავტორი მოგვითხრობს აგრეთვე მუსტაფა-ფაშას ლაშქრობაზე სპარსელების წინააღმდეგ, მის შეჯახებაზე ქართველებთან¹⁰³.

საყურადღებოა, აგრეთვე ფრანც ბოლერბეის ზემოთ მოხსენიებული ბროშურა. მასში მოთხრობილია სინან ფაშას დაბრუნება სპარსეთიდან, 10 წარჩინებული ქართველი თავადის მძევლად წამოყვანა ქართველების მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით¹⁰⁴.

გარკვეულ ინტერესს იმსახურებს 1583 წელს გერმანულ ენაზე დაბეჭდილი ბროშურა „სპარსების გამარჯვება და თურქეთის დამარცხება“, რომელშიაც აღწერილია სპარსელ-ქართველთა ლაშქრობა მესოპოტამიაში. ავტორი ისტორიული ფაქტების მოშველიებით აღწერს 40.000 კაცისაგან შემდგარა თურქეთის ჯარის ცდას მდინარე ეფრატის გადასალახავად,

მათ განადგურებას სპარსელ-ქართველთა გაერთიანებული სამხედრო ძალების მიერ, ბაღდადის მახლობლად მდებარე სიმაგრისა და თბილისის აღებას¹⁰⁵.

ბროშურის ავტორის ცნობით, თურქეთის 40 000-იან არმიას 30 000 ქართველი და სპარსელი მხედარი შეჭახებოა. თურქებს განუზრახავთ თბილისში დაბანაკებული ალყაშემორტყმული თავიანთი გარნიზონის გამოხსნა, მაგრამ თურქეთს განზრახვა ვერ განუხორციელებია. სულთანის წინაშე თავის მართლების მიზნით დამარცხების მთელი დანაშაული ოსმან-ფაშას სინან-ფაშასათვის გადაუბრალებია, ეს უკანასკნელი კი დივანის წინაშე წარმდგარა, უარუყვია ოსმან ფაშას ბრალდება და სულთანისადმი ერთგულების დასამტკიცებლად სპარსელ-ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმის ნებართვა უთხოვია. „თურქეთში ხმა დაირხა, — ვკითხულობთ ბროშურაში, — თითქოს სულთანი თავად მონაწილეობდა მოქმედ არმიაში. ზოგიერთ მაღალ თანამდებობის პირთ სურთ, რომ სულთანსა და შაჰს შორის მშვიდობა ჩამოეარდეს. დაე ღმერთმა იხსნას ქრისტიანები ამის აღსრულებისაგან“¹⁰⁶.

შემდეგ აღწერილია თურქებზე გამარჯვებული სპარსეთის არმიის შეჭრა თბილისში და თურქეთის ფაშებს შორის შინაგანი წინააღმდეგობა. მაგრამ საქართველოს შესახებ აქ მასალები არ გვხვდება¹⁰⁷.

1577 წლის თურქეთ-სპარსეთის ომთან დაკავშირებით საქართველოზე ცნობებს ვხვდებით არა მარტო ნაბეჟდ გამოცემებში, არამედ იმდროინდელ დიპლომატიურ მიწერ-მოწერაშიც. ცხადია, ამ მხრივ ყველა დოკუმენტი არ გამოდგება, რადგანაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შემდეგში გატანილი აღმოჩნდა არქივებიდან. ამიტომ უმეტეს შემთხვევებში ციტატებს მოვითმანთ იმ დოკუმენტებიდან, რომლებითაც შეიძლება ჩვენთვის უკვე ცნობილი ფაქტების შევსება, დანარჩენებს კი მოკლედ დავიმოწმებთ. იმპერიის დიპლომატიას თურქეთის ომი სპარსეთ-საქართველოს წინააღმდეგ ზეციითმოვლენილ ბედნიერებად და ღვთისწყალობად მიაჩნდა, რადგანაც იგი დიდ შეღავათს აძლევდა მის სამხედრო ძალებს. ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა აღვნიშნოთ ოსმალების ორი ფრონტის — ევროპულისა და აზიურის ურთიერთგავლენა, რადგანაც პირ-

ველი ფრონტის ძირითადი უბანი იყო უნგრეთი, მეორესი კი — საქართველო.

სწორედ ამით აიხსნება იმპერიის საგარეო პოლიტიკის გაძლიერებული ინტერესი აზიურ სამხედრო მოქმედებათა ასპარეზისადმი ტაჰმასპ-შაჰის სიკვდილის შემდეგ, რადგანაც ამ დროიდან სპარსეთში მღელვარებამ იჩინა თავი. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორმა და უნგრეთის მეფე მაქსიმილიანემ კიდევ რვა წლით გაახანგრძლივეს თურქეთთან ზავი, ეს უკანასკნელი, მართალია, ნაკლებად, მაგრამ მაინც განაგრძობდა უნგრეთის იმ ტერიტორიის რბევა-აწიოკებას, რომელიც არ შედიოდა მათი ოკუპაციის ზონაში. ამიტომ მაქსიმილიანე შეეცადა შეექმნა ევროპის ლიგა. მან სთხოვა ესპანეთის მეფეს ეტვირთა ამ ლიგის მეთაურობა და საქმის უკეთ გაძღოლის მიზნით დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა პაპთან, რუსეთის მეფესთან და სპარსეთის შაჰთან. მაქსიმილიანეს ცდა უშედეგო გამოდგა. რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ უფრო სასტიკი ომი გაჩაღდა, რის შედეგადაც გაწვილებული უნგრეთის მეფე იძულებული გახდა 1576 წელს, იანვარში კიდევ რვა წლით გაეგრძელებინა ზავი თურქეთთან მისთვის ძალზე არახელსაყრელი პირობების გათვალისწინებით. მაგრამ მურად III-ის ტახტზე ასვლისთანავე საზავო ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა. უნგრეთში კვლავ თავი იჩინა დაუსრულებელმა უთანხმოებამ, თუმცა საქმე ნამდვილ საომარ მოქმედებამდე არ მისულა. ამიტომ ჰამსბურგის მონარქისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის შეტყობას, თუ რა ხდებოდა აზიის ფრონტზე, როგორი წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოთ სპარსელებსა და ქართველებს თურქეთის შეიარაღებული ძალებისათვის.

ომის გამწვავებამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ 1576 წლის 3 ოქტომბერს, იმპერიის ელჩმა დავიდ უნგანდმა მაქსიმილიანეს აცნობა, რომ ახალი შაჰი ისმაილი თავს უყრიდა თავრიზში საბრძოლო ჯარებს. თუ ვის წინააღმდეგ ემზადებოდა შაჰი საომრად, სარწმუნო საბუთების უქონლობის გამო ამის შესახებ ელჩი გადაჭრით ვერაფერს ამბობს და მხოლოდ სავარაუდო მოსაზრებას გამოსთქვამს, რომ სამხედრო ძალების თავმოყრა თითქოს მიზნად ისახავდა მეამბოხე შაჰის ძმების მოთოკვას. „ისმაილის ერთ-ერთი ძმა, — წერს უნგანდი, —

იმ ქართველებთან არის გაქცეული, რომლებიც თურქეთის მხარეზე დგანან. თუ ისმაილი მათ დაესხმის თავს, ცხადია, ომი გაჩაღდება. მაგრამ ამჟამად ამის შესახებ რაიმე კონკრეტული ცნობები არ მომეპოვება-ო“¹⁰⁸.

იმის შესახებ, რომ თავის მხრივ სპარსელებიც ემზადებოდნენ საომრად, სკოდნიათ ვენაში. ამას მოწმობს ვენეციელი ელჩის ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათი...¹⁰⁹.

1578 წლის 14 აპრილს იმპერიის ორი ელჩი—დავიდ უნგანდი და იოაჰიმ სინცენდორფი გზავნიან ცნობას არზრუმში სპარსეთის ელჩების ჩასვლის თაობაზე ოცი კაცის შემადგენლობით. რაკი არზრუმის ბეგლარ-ბეგს სულთანისაგან სათანადო განკარგულება არ ჰქონია მიღებული, ელჩებისათვის კონსტანტინოპოლში გამგზავრების ნებართვა არ მიუცია. დაწყებულა გაქიანურებული დიპლომატიური ვაჭრობა ორ მუსულმანურ სახელმწიფოს შორის. იმ მოტივით, რომ დაზავების მიზნით ელჩები ჰყავდათ გაგზავნილი სულთანთან, სპარსელებს თურქეთისათვის საომარი მოქმედების შეწყვეტა მოუთხოვიათ. მუსტაფა ფაშას, რომელიც თავისი საექსპედიციო არმიით უკვე აზიაში ყოფილა შესული, მცირე ხნით შეუწყვეტია ომი სპარსელების წინააღმდეგ და იერიში საქართველოზე მიუტანია. იმ დროს ქართველები ემზადებოდნენ თურქეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დასაწყებად, მაგრამ შექმნილმა ვითარებამ მათ განზრახვაზე ხელი ააღებინათ, რადგანაც არ უნდოდათ, რომ მუსტაფას ჯარებს საქართველოს მიწა-წყალი დაექციათ¹¹⁰.

1578 წლის 10 ივნისის სინცენდორფის ცნობიდან ირკვევა, რომ ქრისტიანული საქართველოდან ჩასულა ჩაუში, რომლის განცხადებითაც საქართველოში სიხარულით მიუღიათ სულთნის მიერ გაგზავნილი დროშები, ხიფთნები, მოოქროვილი ხმლები. ეს კი ნიშნავს, რომ ქართველებს შეუცვლიათ თავიანთი დამოკიდებულება, დათმობაზე წასულან და ვალდებულება უკისრიათ, რომ სპარსეთის თურქეთზე თავდასხმის შემთხვევაში ოსმალების მხარე დაეჭირათ¹¹¹.

1578 წლის 3 სექტემბერს სინცენდორფი თავის წერილში იტყობინება სპარსელი ტყვეების დახოცვის ამბავს ჩილდირგულის მახლობლად და ექვს გამოსთქვამს ამ ცნობის სიზუსტეზე. აქვე იგი დასძინს, რომ თურქების განცხადებით თითქოს

9. ლ. ტარდი

ეს ჩაიღინეს იმ ქართველებმა, რომლებიც ლალი მუსტაფას ბრძანებით მის მხარეზე გადავიდნენ. სინცენდორფი, იმპერიის დიპლომატთა უმრავლესობის მსგავსად, ამ შემთხვევაში თურქების ინფორმაციით სარგებლობს და ამიტომ ექვი შეაქვს მისი სიმართლეში. მან იცის, რომ თურქები თავად თხზავდნენ და ავრცელებდნენ ყალბ ცნობებს მუსტაფას წარმატებათა შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ცნობებს დიდი ვეზირის ექიმი ებრაელი სოლომონიც უარყოფს, რომელსაც დავალებული ჰქონდა სათანადო ინფორმაციის შეგროვება საქართველოზე¹¹².

სინცენდორფის 1578 წლის 7 სექტემბრის მოხსენებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმპერიის დიპლომატთა საქართველოში მომხდარ ამბებს. „ნება მიბოძეთ თქვენ უდიდებულესობას გავახსენო, თუ რაოდენ დიდი წვალეებისა და ღვთის კურთხევით მოვახერხე გაცნობოდი დიდი ვეზირის მეჭმედ-ფაშას მიერ ბუტარს ფაშასადმი გაგზავნილი თურქული წერილის დედანს, რომელიც სპარსელების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს შეეხებოდა, — ვკითხულობთ სინცენდორფის მოხსენებით ბარათში, — როგორც იქნა, მოვახერხე იმ წერილის საიმედო ასლის ხელში ჩაგდება, მაგრამ მისი ჩვეულებრივი წესის თანახმად თარჯიმანის ხელით გამოგზავნა შეუძლებლად ჩავთვალე. ეს მეტად სახიფათო იქნებოდა. ამიტომ ღვთის წყალობას მივეწოდები და სხვა ხერხით გამოგიგზავნი. რაკი ძლიერ ვჩქარობდი, ამ წერილიდან მხოლოდ შემდეგი დავადგინე: ხუთასი სპარსელი დარჩენილა ბრძოლის ველზე მოკლულთა სახით, ათას ოთხასი კი მოწინააღმდეგეს წაუყვანია ტყვედ. ქართველებს თურქებისათვის გაუციათ ორმოცდაათი ქალაქის გასაღები. ბუდაის ფაშასათვის გაუგზავნიათ მკაცრი წერილი და მოუთხოვიათ, რომ საჩქაროდ მოაგვაროს სურსათის მიწოდების საქმე და განმარტოს მისი დავიანების მიზეზები“¹¹³.

1578 წელს 20 სექტემბრის წერილში ვენეციელი ელჩი აღნიშნავს, რომ დავიდ უნგანდისაგან მიღებული ცნობის თანახმად სულთანს განუზრახავს სპარსელებთან ზავის დადება და უნგრეთზე ან ვენეციაზე გალაშქრება. ხოლო იმავე წელს 26 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ნათქვამია, რომ მუსტაფა-ფაშამ „დაიპყრო საქართველოსა და შირვანს შორის მდებ-

ბარე ქალაქი თბილისი, რომელსაც მართავდა სპარსეთის შაჰის ნაცვალ დაუდ-ხანი¹¹⁴.

საქართველოს შესახებ საყურადღებო ცნობას ვხვდებით 1578 წლის 24 ნოემბრით დათარიღებულ იმპერატორისადმი გაგზავნილ მურადის ქედმაღლურ და მუქარით აღსავსე წერილში. ავტორი გამოთქვამს სურვილს, რომ იმპერატორმა აუკრძალოს პოლონეთის მეფეს სტეფან ბატორიის, პროვოკაციული ომის დაწყება ბრწყინვალე პორტას წინააღმდეგ. უკიდურეს შემთხვევაში ოსმალეთი ისეთივე ძალით შეუტევს მას, როგორითაც დამარცხა სპარსეთი, „დაიპყრო ქართველთა მთელი სამეფო, სპარსეთის წილხვედრი შირვანი, ქვრივის სამეფო (რომლის ორი ვაჟიც ომის დროს ტყვედ ჩაიგდეს და მხოლოდ სულთანის წყალობით სანჯაყ-ბეგები გახდნენ დედისეულ სამფლობელოში). ალთუნ-კალე და ა. შ.¹¹⁵ ომის დაწყების შემთხვევაში იგი თავისუფლად გაუმკლავდება ერთს კი არა, სამ პოლონეთს და ტრანსილვანიასაც ცუდ დღეს დააყრის“.¹¹⁶

იმპერატორის მიერ იმავე წლის 25 ნოემბრით დათარიღებულ მეორე წერილში აღნიშნულია მუსტაფა-ფაშას დამკვიდრება შირვანში, ყარსსა და ალთუნ-კალეში, ანუ ოქროს ქალაქში, მისი ვალაენის გამაგრება და იქ დიდი სამხედრო გარნიზონის დაბანაკება; მოთხოვნილია ქართველების დაპყრობა, მათზე ღარაჯის შეწერა და მუსტაფა-ფაშას არზრუმში დაბრუნება.¹¹⁷

დიდ ინტერესს იწვევს 1578 წლის 31 დეკემბრის პატაკი ადრესირებული კვლავ იმპერატორისადმი. აქედან ირკვევა რომ ცნობა ქართველების დაპყრობის შესახებ გაზვიადებული ყოფილა. მტერს მხოლოდ მათი ერთი ნაწილი დაუპყრია, დანარჩენებს კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუგრძელდებით მომხდურთან.¹¹⁸

თურქების პირველი წარმატების შემდეგ აზიაში მდგომარეობა საგრძობლად შეიცვალა. ამის შემდეგ სულ მეტი ცნობები მოდის ევროპაში სპარსელ ქართველთა ოსმანებზე გამარჯვების შესახებ. მრავალმა დამარცხებამ, რომლებიც თურქებმა აზიის ფრონტზე განიცადეს, აიძულა სულთანი უნგრეთთან დათმობაზე წასულიყო. ბუდას ფაშას უცნობებია უნგრეთის მეფისათვის სულთნის გადაწყვეტილება მის ქვეყანასთან კეთილ ურთიერთობის დამყარებისა და განზრახვის დამრღვევთა

მიმართ სასტიკი სასჯელის — თავის მოკვეთის შემოღების შესახებ. ვენეციელი ელჩის განმარტებით სულთნის მიერ ამგვარი ნაბიჯის გადადგმა ნაკარნახევი იყო თურქეთის მძიმე მდგომარეობით სპარსეთთან ომში და შინაგანი არეულობის თავიდან აცილებით¹¹⁹.

1579 წლის 22 იანვრით ცათარღებულ ცნობაში ნათქვამია: „ოსმან ფაშამ, რომელიც იმ დროს ერთ გათურქებულ, შამხალად წოდებულ, ვანიდან გადმოხვეწილ ქართველ დიდებულთან იმყოფებოდა, სპარსელთა ჯარების მოახლოება რომ შეიტყო, ჯიან დაიხია თავისი ზარბაზნებითა და სამხედრო აღჭურვილობით“. სხვა ცნობების მიხედვით, ოსმან-ფაშა სასტიკად დამარცხდა და ტყვეობას ძლივს გადაურჩა. ცნობაში ნათქვამია: ამის შემდეგ „ქართველები სპარსელთა მხარეზე გადავიდნენ“.¹²⁰

შემდგომი პერიოდის წერილებში სინცენდორფი ბევრ რამეს უკვე სხვაგვარად აღიქვამს და სხვაგვარსავე შეფასებას აძლევს. „დღეს ჩემმა შინაურმა თარჯიმანმა ალი-ბეკმა, — ვკითხულობთ ერთ-ერთ წერილში, — მაცნობა, რომ რამოდენიმე საათის წინ სპარსეთიდან მუსტაფა-ფაშას სასწრაფო ფოსტა მოსულა. მასში იგი იუწყება, რომ თურმე სპარსეთის პრინცი 80.000 მეომრით შირვანს ჩასულა, გაუწყვეტია თურქეთის მოკავშირე თათრები და დაპყრობილი რაიონები ზედიზედ გაუნთავისუფლებია. ოსმან-ფაშას შესახებ არაფერი იციან, ვინ იცის შეიძლება დაილუპა ან ტყვედ ჩაიგდეს კიდევაც. სპარსელები ამ ცოტა ხნის წინათ მუსტაფას მიერ დაპყრობილ თბილისისაკენ დაძრულან. ქართველების გადასვლამ სპარსეთის მხარეზე დიდი საზრუნავი გაუჩინა თურქებს. შაჰმედ-ფაშა გოცებულები ყოფილა სად შეაგროვეს სპარსელებმა ამდენი მეომარი პარტიზანული ომის საწარმოებლათო“.¹²¹

საყურადღებო ცნობებს შეიცავს აგრეთვე სინცენდორფის 1579 წლის 21 მარტის მოხსენებითი ბარათი, სადაც ვკითხულობთ: „თბილისის დაპყრობის შემდეგ მუსტაფა-ფაშამ იქ მმართველად ერთი სანჯაყ-ბეგი დააყენა. როდესაც მან შირვანში თურქების დამარცხების ამბავი შეიტყო, შეძრწუნებულმა მიატოვა ქალაქი და არზრუმს შეაფარა თავი. სხვებსაც რომ არ გაემეორებინათ მსგავსი საქციელი, მუსტაფა-ფაშამ ბრძანა

თბილისის ყოფილი სანჯაყ-ბეგი საჯაროდ შეერცხვინათ და თბილისის კარიბჭესთან მარგილზე ჩამოეცვათ.¹²² მომხდარი ფაქტის მიუხედავად თურქები ჭიუტად უარყოფდნენ მათ მიერ თბილისის მიტოვებას¹²³.

საქმის ნამდვილი ვითარებიდან გამომდინარე, თურქებმა მკვეთრად გააცხოველეს პროპაგანდა. 1589 წლის 13 აპრილს პოლონეთში ჩადის სინცენდორფი და თან ჩააქვს ცნობა თურქების გამარჯვებაზე. ვენეციელ ელჩს მაშინვე გამოუთქვამს ეპვი ამ ცნობების საპირისპირო მნიშვნელობის შესაძლებლობაზე. მისი მოსაზრება გამართლებულა. ამას მოწმობს 20 აპრილით დათარიღებული ელჩისავე წერილი, რომელშიაც ლაპარაკია თურქების უმაგალითო დამარცხებაზე.¹²⁴

1579 წლის 2 მაისს იმპერატორისათვის უცნობებით, რომ ჩამოდენიშე დღის წინათ აღმირალ ულუს-ალის მეომრებით, ზარბაზნებითა და თოფ-იარაღით დატვირთული სამოცდაათი გალერით შავ ზღვაში გასვლის შესახებ. ულუს-ალის მიუღია ბრძანება „ქართველებით დასახლებული მიწების ახლოს“ ავანპოსტის აგების შესახებ. ულუს-ალის არ მოსწონებია ეს ღონისძიება და ამ ბრძანების შესრულებისაგან თავის არიდება უცდიდა. „ნდობით აღჭურვილი პირისაგან შევიტყვე, რომ ულუს-ალიმ, როგორც კი სულთნის ბრძანება მიიღო, განრისხებულა და სიბრაზისაგან თავისი ხიფთანის ქამარი მიწაზე დაუნარცხეზა“.¹²⁵ — წერს სინცენდორფი. თუ რა მიზანს ისახავდა სულთნის ბრძანება საქართველოსა და შირვანს შორის ციხესიმაგრის აგების, სანოვაგისა და მაშველი ჭარების მოწოდებების ორგანიზაციაზე, ელჩს ახსნილ-განმარტებული აქვს 13 მაისის მოხსენებით ბარათში¹²⁶.

ცნობა ქართველი ქალის ვაჟების კონსტანტინოპოლში ჩასვლაზე სინცენდორფის მასალებში პირველად გვხვდება 1579 წლის 3 ივნისის პატაქში¹²⁷. 12 ივნისით, დათარიღებულ წერილში იგი აღნიშნავს: „ამ თვის 9-ში, აქ ჩამოდენიშე დღის წინ ჩამოსული ქართველები სულთანს მიჰგვარეს ჩაუშების თანხლებით“. სპარსულ ოქროქსოვილ ტანსაცმელში გამოწყობილი სამი მათგანი წინ მიაჭენებდა ცხენებს. სინცენდორფის ვარაუდით წინ მიმავალი მხედარი ყველასაგან გამორჩეული და მნიშვნელოვანი პირი — მანუჩარ-ბეგი უნდა ყოფილიყო.¹²⁸

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სინცენდორფის 4 ივნი-სის წერილი, რომელშიც აღწერილია ქართველთა საელჩოსთან დაკავშირებული ამბები. ამ დოკუმენტის თანახმად ქართვე-ლებს შორის ჩინით ყველაზე უფროსს, ბეგის მამას — ყვარ-ყვარეს, ისლამი მიუღია და მის საპატივცემოდ გამართულა დიდი ნადიმ-ზეიმი, რომელშიც ადგილობრივ რჩეულ სახელ-მწიფო მოღვაწეებსაც მიუღიათ მონაწილეობა. სულთანს უხვად დაუსაჩუქრებია მანუჩარ-ბეგი და ის სამი ქართველი, რომლებსაც ისლამი მიუღიათ. „სულთანს განზრახული ჰქონდა, ვკითხულობთ წერილში, — მანუჩარ-ბეგი ისევ უკან დაებრუ-ნებინა საქართველოში, რათა ძალით თუ ნებით ახლო-მახლო რაიონებში დაეწესებინა ბეგლარ-ბეგობა. ხმა დადის თითქოს ყვარყვარე-ბეგი ზორტაში ყავთ დაკავებული და შინ არც ასე ადვილად გაუშვებნო. ცნობილია, რომ ულუს-ალიმ ქართვე-ლებს დიდი მარცხი აგემა“. დატყვევებულ ქრისტიანებს შე-პირებია, იმ შემთხვევაში გაგანთავისუფლებთ თუ ქართველებს მამაცურად შეებრძოლებითო. ერთ ქართველ თავადს მუსტა-ფა-ფაშასთვის მოურავი გაუგზავნია ვასალური ერთგულების შესაფიცად, მას კი შუამავალი დაუტყვევებია და წარჩინებუ-ლი ქართველებისათვის უბრძანებია — რაც კი რამ განზრახვა გაქვთ, პირადად მომახსენეთო¹²⁹.

19 ივლისს სინცენდორფი იმპერატორს ახალ, მნიშვნელო-ვან ამბებს ატყობინებს. წერილიდან ჩანს, რომ მუსტაფა-ფაშას მიერ წამოწყებული ყარსის ციხის მშენებლობა. ტექნიკური სირთულეების გამო შეჩერებულა. აქვე საუბარია თურქების მიერ გავრცელებულ ხმაზე სამეგრელოსა და საქართველოს საზღვარზე აგებული ციხესიმაგრის გამოყენების შედეგად ულუს-ალის მიერ იქაური ხალხების დაპყრობის თაობაზე. ახსნილ-განმარტებულა საქმის ფაქტიური ვითარება: ელჩის განცხადებით საქართველოდან ჩამოსულ კაცს მისთვის უთ-ქვამს, რომ ქართველები სასწრაფოდ შეიარაღებულან და სა-გულდაგულოდ მომზადებულან საბრძოლველად, რის გამოც ულუს-ალის ვერ გაუბედავს მათ წინააღმდეგ ომის დაწყება. განზრახვის განხორციელებაში მისთვის ხელი შეუშლია აგრეთ-ვე თურქების ბანაკში გაჩენილ ეპიდემიას. შეუტყვიათ თუ არა ქართველებს ულუს-ალი ჩვენს მიწაზე ციხესიმაგრის აგებას

აპირებსო, ერთიანად გაუზიდიათ ახლო-მახლო ტერიტორიი-დან ვარგისი ქვები, დაუნგრევიათ ძველი ციხის ნაშთები და სა-მშენებლო მასალა ზღვაში გადაუყრიათ. წერილიდან ჩანს, რომ სინცენდორფს თავისი მთარგნელის ალ-ბეგის მეშვეობით შეუტყვია შეიარაღებული ქართველების დაძვრა საომრად ულუს-ალის ლაშქართან ანგარიშის გასასწორებლად, რომელიც რიცხოვრებულ მცირე ყოფილა ქართველებთან შედარებით.¹³⁰ შემდეგ ლაპარაკია ორ ქართველ ძმაზე, რომელთაგან ერთი სულთანს ეახლა, ხოლო მეორე ქრისტიანად დარჩა.¹³¹

თურქებს სპარსელ-ქართველებთან ბრძოლაში ბედი არ სწყალობდათ. ისინი სულ იმის ცდაში იყვნენ ვასალური ქვეყნების ხარჯზე შეევსოთ ომებში დალუპულთა გამო დაზარალებული თავიანთი რაზმები¹³². 1579 წლის 22 ივლისით დათარიღებული ერთ-ერთი ვენეციური ცნობის თანახმად, სულთანის ბრძანებით ვლახეთის მთავარს 400 მეომარი შეუკრებია თურქეთის მხარდაჭერის მიზნით აზიის ფრონტზე გასაგზავნად¹³³.

სინცენდორფის წერილებსა თუ პატაჟებში სულ უფრო მატულობს ცნობები ქართველების თურქებზე გამარჯვებებს შესახებ. 26 სექტემბრის წერილში იგი იმპერატორს ატყობინებს ულუს-ალის კონსტანტინოპოლში ჩასვლის ამბავს. „ულუს-ალიმ, — წერს იგი, — სამეგრელოსა და საქართველოს საზღვარზე აღმართა სათვალთვალო პუნქტი. მისი დამცველების უმრავლესობა ავად გახდა და ისინი გალერებით ჩამოიყვანეს კონსტანტინეპოლში. ორი გალერი ზღვაში ჩაიძირა“.¹³⁴

მეორე წერილით სინცენდორფი იმპერატორს აცნობებდა სარდალ მეჰმედ-ფაშას მკვლელობის ამბავს. „მკვლელობა მოხდა 1579 წლის 11 ოქტომბერს, — ნათქვამია წერილში, — ახალ სარდალად დანიშნეს მუსტაფა-ფაშა, რომელიც სპარსელებს კი არ ებრძვის, არამედ ქართველებს“.¹³⁵

ულუს-ალის მიერ აგებული ციხესიმაგრის ქართველების მიერ დანგრევის ამბავი აღწერილია აგრეთვე ფიუგერების სავაჭრო სახლის ხელნაწერი გაზეთის (შემდეგში მას „ფიუგერების გაზეთი“ ეწოდებოდა. — ლ. ტ.). 1580 წლის 6 ივნისის ნომერში.¹³⁶ საერთოდ, იმდროინდელ წყაროებში ბევრია ნა-

თქვაში ამ ციხის ირგვლივ გავრცელებულ წინააღმდეგობრივ ცნობებზე.

ვენეციელი ელჩის 3 მაისის ცნობით თურქები თავს დასხ-
პიან უნგრეთს, მაგრამ დიდი ზარალიც უნახავთ. მიუხედავად
იმისა, რომ ამ ამბით იმპერატორი გახარებული ყოფილა, მას
იმის შიში მანიც ჰქონია, რომ სულთანს ზავი არ შეეკრა აზ-
იელ მოწინააღმდეგეებთან და მთელი ძალით უნგრეთზე არ
გაელაშქრა¹³⁷. იმავე ელჩის 19 ივლისის წერილიდან ჩანს,
რომ წინა წერილში თურქების ამ დამარცხების ამბავს პორ-
ტაში დიდი აღშფოთება გამოუწვევია, მაგრამ ვენეციელი ელ-
ჩის განმარტებით სპარსელებთან და ქართველებთან ომის
გამო შეუძლებელია თურქეთმა უნგრეთის მიმართ შური
იძიოს.¹³⁸

„ფიუგერების გაზეთი“ ძირითადად ცნობებს საქართველო-
ში მომხდარ ამბებზე აქვეყნებდა, რომლებიც ვენეციის გზით
კონსტანტინოპოლიდან, ზოგჯერ კი პირდაპირ თავად კონს-
ტანტინოპოლიდან მოდიოდა. 1580 წლის 3 ივნისის იგი, მა-
გალითად, იუწყებოდა, რომ სპარსეთის შაჰი ერთ-ერთ თავის
დას საქართველოს მმართველზე ათხოვებდა, რათა განემტკი-
ეებინა ამ ორი ქვეყნის კავშირი თურქეთის წინააღმდეგ. გა-
ზეთის იმავე ნომერში მოთავსებული იყო ცნობა თურქეთის
სერიოზულ მარცხზე თბილისის მისადგომებთან.¹³⁹

1580 წლის 2 ივნისის ვენეციურ ცნობაში ნათქვამია, რომ
სინანი-ფაშა სათავეში ჩადგომია ცხენოსანთა დიდ არმიას და
სპარსელების წინააღმდეგ გაულაშქრია. ამასთანავე მას და-
ვალეებული ჰქონია მოლაპარაკება ეწარმოებინა სპარსეთიდან
ჩასულ ელჩებთან. იქვე აღნიშნულია, რომ სანდო ცნობების
თანახმად ქართველებს დაუმარცხებიათ თურქეთის მოკავშირე
თათრები.¹⁴⁰

ჩვენს ხელთ არსებული მასალების შესწავლა-გაანალიზე-
ბის შედეგად საშუალება გვეძლევა გავარკვიოთ როგორი გავ-
ლენა მოახდინა სპარსელ-ქართველთა წარმატებამ თურქეთ-
თან ომში უნგრეთისა და ტრანსილვანიის მდგომარეობაზე.
ვენეციელი ელჩი ვადოერი 1580 წელს 26 ივლისს პრალიდან
იუწყებოდა: „უნგრეთიდან წერილი მოვიდა. გვატყობინებენ,
რომ თურქებს ნაბრძანები აქვთ განდევნონ ტრანსილვანიიდან

მთავარი და მის ნაცვლად თავიანთი კაცი დანიშნონ. ტრანსილვანია საბრძოლველად ემზადება. თურქები ტრანსილვანიის მთავრისაგან თხოულობენ ორ ციხესიმაგრეს და ცხენოსანთა არმიას. ამ უკანასკნელის სპარსეთის ფრონტზე გასაგზავნად. მთავარმა ყოველივე ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობა თავის ძმას — პოლონეთის მეფეს, რომელმაც დაუყოვნებლივ გამოუგზავნა პასუხი. მასში იგი აუწყებდა მთავარს მიეღო თავდაცვისათვის აუცილებელი ყველა ღონისძიება, თანაც ეცნობებინა თურქეთისათვის მასთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნების სურვილი. ამასთანავე არ დაეთმო ის ორი ციხე და არ გაეგზავნა ჯარი სპარსეთის ფრონტზე“.¹⁴¹

მთავარ კრისტოფორ ვატორის ენერგიული გამოსვლა პორტას არ მოეწონა. სამაგიეროდ მან დადებითი შედეგი გამოიღო: ტრანსილვანიამ არ გაგზავნა ჯარები სპარსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ.

1580 წლის 21 ოქტომბერს ფიუგერბის გაზეთი იუწყებოდა, რომ კონსტანტინოპოლში სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის ჩასულან სპარსეთის ელჩები. ეს კეთილსასურველი საქმე უშედეგოდ დამთავრებულა. იმ დროს საქართველო დაურბევიათ თურქებს, რის გამოც ელჩებს განუცხადებიათ: „ზავს ხელს არ მოვაწერთ, სანამ საქართველოში მშვიდობიანი ატმოსფერო არ შეიქმნება“.¹⁴²

იმავე გაზეთის 4 ნოემბრის ცნობით სინან-ფაშას სპარსეთზე თავდასხმის წინააღმდეგ გაულაშქრია ქართველების ცხენოსან არმიას. მას ხელში ჩაუგდია ერთ-ერთ დიდ მდინარეზე ყველა გადასასვლელი, რითაც თურქებისათვის უკანდასახევი გზა მოუჭრიათ.¹⁴³

11 ნოემბერს გაზეთმა ციფრობრივი მონაცემებით შეავსო ცნობები სპარსელ-ქართველთა გამარჯვებების შესახებ.¹⁴⁴

20 ნოემბერს გაზეთში მოთავსებულ ცნობაში აღნიშნულია სპარსელ-ქართველთა გაერთიანებული ძალების ახალი გამარჯვება, რის შედეგადაც თურქეთის არმია, რომელსაც მრავალი მეომარი დაუკარგავს წინა ბრძოლებში, სურსათის ნაკლებობის გამო იძულებული გამხდარა უკან დაეხია.¹⁴⁵

ვენეციელი ელჩი სინცენდორფი 1581 წლის 31 იანვრის პატაკში კვლავ უბრუნდება აზიაში შექმნილ საომარ ვითარე-

ბას და აღნიშნავს სპარსეთის ფრონტზე თურქეთის დამარცხებით გამოწვეულ დადებით შედეგებს. მისი განცხადებით აქან განაპირობა სულთანის ნაცვლის — ბუდაის, უნგრეთიდან კონსტანტინეპოლს მიმავალი იმპერიის ახალი ელჩის დიდის პატივით მიღება, მის შესახვედრად ცხენოსანთა ამაღლის გაგზავნა: „ეს იყო უჩვეულო მოვლენა, რომელიც სპარსელების საომარი მოქმედებით უნდა აიხსნას“. — დასძენს ვენეციელი დიპლომატი.¹⁴⁶

ფიუგერების გაზეთი მთელი ერთი წლის მანძილზე ათავსებდა ცნობებს საქართველოზე, რომელთაგან ყველაზე მეტად საყურადღებოა 3 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული მასალა. თურქეთის წინააღმდეგ ანხედრებული სპარსელ-ქართველების ბანაკთან რუსეთის შეერთების თაობაზე და ამ გადაწყვეტილების განუხორციელებლობა პოლონეთთან რუსეთის ურთიერთობის გართულების შედეგად.¹⁴⁷ 6 მარტის ნომერში აღწერილია ყარსისათვის ალყის შემორტყმა და თბილისის აღება.¹⁴⁸ ამასთან დაკავშირებით გაზეთში მრავალ ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობებს ვხვდებით.

24 მარტს ფიუგერების ფირმის პატრონისათვის ვენეციიდან შეუტყობინებიათ ესპანეთ-თურქეთის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის, ყარსის ალყის გაგრძელებისა და თბილისში თურქეთისათვის არახელსაყრელი მდგომარეობის შექმნაზე.¹⁴⁹

5 მაისის წერილში ნათქვამია თურქეთის შემდგომ წარუმატებლობაზე აზიის ფრონტზე,¹⁵⁰ მაროკოს გამგებლის უარზე სპარსეთ-საქართველოს მიერ დამარცხებული თურქეთისათვის წლიური ხარჯის გადახდაზე.¹⁵¹

1581 წლის 20 ოქტომბერს ფიუგერების გაზეთი იუწყებოდა იმეამად მიმდინარე თურქეთ-სპარსეთის საზავო მოლაპარაკებაზე და იქვე აღნიშნავდა: „კონსტანტინოპოლიდან კატრიაზე გავლით ვენეციაში გამოგზავნილი 19 სექტემბრის წერილის თანახმად უახლოეს მომავალში ზავის დადებაზე ლაპარაკი არამც თუ მიუღებელია, არამედ აბსოლუტურად გამორიცხულია, რადგანაც სპარსეთსა და ერთ ქართველ მეფეს შორის მტკიცე კავშირი არსებობს. ეს შეთანხმება ითვალისწინებს, რომ ორივე ქვეყანას — როგორც სპარსეთს, ისე საქართველოს ეკრძალებოდა საზავო ხელშეკრულების დადება,

სანამ რომელიმე მათგანის ტერიტორია მთლიანად ან მისი ნაწილი ოსმალთა ხელში იმყოფებოდა.¹⁵²

გაზეთის ცნობით სპარსელებისა და ქართველების სამხედრო ძალები იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თურქეთის სარდალს პორტასაგან დამხმარე ჯარების მიშველება მოუთხოვია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საომარი მოქმედების შეწყვეტითა და უკან დახევით იმუქრებოდა.¹⁵³

უნგრეთში კვლავ იგრძნობოდა აზიაში მიმზდარ მოვლენათა ზეგავლენა. 1581 წლის 4 ივლისს ვენეციის ელჩი პრაღიდან იტყობინებოდა იმ შეშფოთებაზე, რომელსაც იწვევდა სპარსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულებისათვის მზადება იმპერიის დიპლომატებში, რადგანაც სჯეროდათ, რომ მათ შორის ჩამოვარდნილი მშვიდობის შემდეგ თურქები იერიშს მიიტანდნენ უნგრეთზე.¹⁵⁴ სამი კვირის შემდეგ ვენეციელი ელჩი იმოწმებდა ბუდას ფაშას მიერ პორტაში გაგზავნილ წერილებს, რომელშიც იგი იუწყებოდა უნგრეთში მყოფი თურქეთის ჯარისკაცების სპარსეთის ფრონტზე გაგზავნას, უნგრელების მოქმედების გააქტიურებას. ამასთან აღნიშნავდა, რომ თუ ბუდას ფაშას მაშველ ძალებს არ მიაწვდიდნენ, სულთანი უნგრეთს დაკარგავდა.¹⁵⁵

ვენეციელი ელჩის შემდგომ წერილებში გაშუქებულია სპარსეთ-საქართველოს საომარ წარმატებათა გავლენა უნგრეთის მდგომარეობაზე. 1582 წლის 30 ნოემბერს იგი ვენიდან იწერებოდა სხვა უნგრელ დიპლომატებთან ერთად დივერზინის ჩამოსვლაზე ეროვნული კრების საქმეების გამო. მოყავდა მისი განცხადება კონსტანტინოპოლიდან მიღებული ბრძანების თანახმად თურქების მიერ უნგრელი გლეხების ჯარში ძალით გაწვევის შესახებ სპარსელებთან ომის გაგრძელების მიზნით.¹⁵⁶ 1582 წლის 7 დეკემბერს იგივე ელჩი იტყობინებოდა აგრეთვე ხორვატების თავდასხმების შესახებ მათ მახლობლად მდებარე თურქეთის რაიონებზე, თურქების წინააღმდეგობის გაუწევლობაზე საომრად გამოუსადეგარი ჯარისკაცებით დაკომპლექტებული შეიარაღებული ძალების გამო.¹⁵⁷

1585 წელს გამოქვეყნდა პოლონეთის მეფის სტეფანე ბატორის (1525—1584) მოწინააღმდეგისა და ხელქვეითის თავად სამუელს ზბოროვსკის ნაშრომი ყირიმისა და პერეკოპის თაათ-

რების ისტორიაზე¹⁵⁸. მასში მოტანილია რამოდენიმე ცნობა 1582—1583 წწ. საქართველოზე. ზბოროვსკის განცხადებით თათრები სულთანის მოკავშირედ გამოდიოდნენ სპარსეთ-ქართველების წინააღმდეგ ომში. მათ დიდი დამარცხება განუცლიათ თბილისის ახლოს, უკან დაუხევიათ ჩერქეზ-სამეგრელოს გავლით და სერიოზული ზიანი მიუყენებიათ ამ ორივე ქვეყნის მოსახლეობისათვის.¹⁵⁹

ზევით მოხსენებულ რეიზნერის¹⁶⁰ ნაშრომში უნგრეთთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას ვხვდებით ცნობებს საქართველოზეც. იმპერატორსა და სულთანს 1593 წ. დადებული ფორმალური ზავი სინამდვილეში აშკარა „გაქიანურებულ ომად“ გადაიქცა, რომელიც 15 წელს გაგრძელდა. მან უნგრეთს ბევრჯერ სერიოზული ზიანი მიაყენა. ოპტიმისტებმა კვლავ ოსმალთა იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარს მიაპყრეს იმედის თვალი, სადაც ერთი შეხედვით ვენასა და სტამბოლის მსგავსად თითქოს მშვიდობა სუფევდა, ფაქტიურად კი ქვემეხების გრიალის ხმა არც იქ შეწყვეტილა, რადგანაც ქართველები 1590 წლის საზავო ხელშეკრულებას ვერ შერიგებოდნენ მათი სამშობლოს თურქეთის მორჩილებაში შესვლის გამო.

1593 წლის 19 ნოემბერს კონსტანტინოპოლიდან გაიგზავნა ანონიმი ავტორის წერილი, რომელიც უნგრეთში მყოფი ქრისტიანული ჯარების სარდლობისადმი მიმართვას წარმოადგენდა. „ღმერთმა თქვენ საკმაოდ დაგაჯილდოვათ გონებითა და წინდახედულობით, — ნათქვამი იყო მასში, — თქვენ გყავთ კარგი ჯაშუშები და შეგიძლიათ საფუძვლიანად შეაფასოთ შექმნილი მდგომარეობა. ახლა მთავარი ამოცანაა სინანულ-ფაშას ჯარების დამარცხება. თუ ამას შეძლებთ, საშუალება მოგეცემათ მშვიდად განაგრძოთ გზა თვით კონსტანტინოპოლამდე. თურქეთს უმნიშვნელო რეზერვები ჰყავს. სინანულ-ფაშა, რომელიც ჩვენზე აპირებს გამოლაშქრებას, თავად არის გაბმული ომისათვის მზადების მახეში. ქართველები და ჩერქეზებიც ემზადებიან თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. სარწმუნო წყაროებით დასტურდება, რომ თურქებს მათი ეშინიათ“.

აღნიშნული წერილიდან გამომდინარე მისი ანონიმი ავტო-

რი ვარაუდობს, რომ დრო იყო უნგრეთში დაბანაკებულ ჯარებს სასწრაფოდ დაეწყით ფართო საომარი მოქმედება, თავიანთი ქვეყნისა და ქრისტიანული კონსტანტინოპოლის განთავისუფლების მიზნით.¹⁶¹ იგივე აზრია გამოთქმული იერემიარეიზნერისათვის გაგზავნილ იოანე კელარიუსის დაუთარილებელ წერილშიც¹⁶². ამ მოსაზრებიდან შორს არც უნგრეთის ჯარების სარდალი იდგა. 1594 წლის 27 ივნისს პერცოგ მატრასისადმი გაგზავნილ წერილში იგი პროტესტს აცხადებდა ესტერგომის ციხის უომრად ჩაბარების ბრძანების შესახებ. «გაოცებული ვართ, რაკი ვხედავთ, რომ ის, რაც ადრე ქრისტიანებისათვის სასარგებლოდ და სასიკეთოდ თურქებს ჩამოერთვათ, ახლა ჩვენდა სამარცხვინოდ უკან უნდა დავუბრუნოთ, — ნათქვამია წერილში, — თუ სპარსეთის შაჰი, რომელიც ღმერთის შემდეგ ყველაზე მეტ ზიანს აყენებს ოსმანებს და ბოჭავს მათ ჯარებს ჩვენზე თავდასხმისაგან, გაიგებს სიძნელად გამოწვეულ ამ სამარცხვინო დათმობის ამბავს. იძულებული გახდება ხელახლა დადოს ზავი თურქებთან. ამით იგი ადვილად გადაიბირებს სხვა სახელმწიფოთ, კერძოდ, ტრანსილვანიისა და რუსეთის მმართველებს».¹⁶³

უშუალოდ დაინტერესებულ აზიურ სახელმწიფოსთან სამხედრო კავშირის დამყარების აზრი სულ უფრო ფართო მხარდაჭერას პოულობდა შუაევროპის ქვეყნებში. ტრანსილვანიის მლავრის ნდობით ალჟურვილი პირის მიერ მომზადებულ მოხსენებაში ჩამოთვლილია 130—1570 წლებში თურქეთის გამგებლობაში მოხვედრილი მიწები. მათ შორის დასახელებულია „ორი საქართველო“, რომელთაგან ერთი დამოუკიდებელ ერთეულადაა მოხსენიებული.¹⁶⁴ როცა მატრასს მიუმართავს უნგრელ დიდებულთათვის წამოეყენებინათ წინადადება თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების შესახებ, მათ მოუთხოვიათ დასავლეთის სახელმწიფოებთან ერთად კოალიციაში შეეყვანათ პოლონეთი, რუსეთი და სპარსეთი, რათა კაზაკებთან შეთანხმებით ერთობლივი ძალით გაელაშქრათ თურქეთისა და მათი მოკავშირე ყირიმის თათრების წინააღმდეგ.¹⁶⁵

ამრიგად, ზევით განხილული დიპლომატიური დოკუმენტები, ფიუგერების გაზეთი და სტამბურად გამოცემული მეც-

ნიერთული გამოკვლევები, საკმაოდ საყურადღებო, საინტერესო ცნობებს შეიცავენ მანუჩარზე, ყვარყვარესა და იმდროინდელ სხვა გამორჩენილ ქართველ პირებზე. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათში ძალზე მცირე ადგილი აქვს დათმობილი ზე-ის საუკუნის საქართველოს ისტორიაში ყველაზე მეტად ცნობილ მოღვაწეს—მეფე სიმონ I-ს. მართალია, იმ წლებისათვის მას ჯერ კიდევ არ მიეღწია დიდების მწვერვალისათვის, მაგრამ მაინც გაუგებარი რჩება იმპერიის დიპლომატიებისა და ფიუგერების გაზეთის კორესპონდენტების მიერ დუმლით გვერდის ავლა ამ მეტად ღინამიური და ბედის უკუღმართობით განაწამები შესანიშნავი პიროვნებისადმი.

სიმონ I, რომელმაც ადრევე ისახელა თავი ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებით, ქართლის სამეფო ტახტზე 1558 წელს, გარისის ომში ლუარსაბ I-ის გამირულად დაღუპვის შემდეგ ავიდა. იგი თანმიმდევრულად ატარებდა მამამისის პოლიტიკას. მან მეფედ აღზევების დღიდანვე დაიწყო ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ამ მიზნის განხორციელებაში ხელს უშლიდა საკუთარ ძმასთან — დავითთან ტახტის თაობაზე ჩამოვარდნილი შფოთი და უთანხმოება. ბრძოლის პირველ ეტაპზე ლალატის შედეგად სიმონ I დამარცხდა და ტყვეთ ჩაუვარდა სპარსელებს. სულთანს იგი დიდხანს ყავდა დატყვევებული აღმუთის ციხეში, რადგანაც არ განაცხადა თანხმობა ისლამის მიღებაზე.

1578 წელს თურქეთ-სპარსეთის ომის დროს შაჰმა სიმონი ტყვეობიდან გაანთავისუფლა და თავის მოკავშირედ გაიხადა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე სიმონი კვლავ ენერგიულად ჩება ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოცი წლის განმავლობაში ეოძებოდა ქართლი მისი წინამძღოლობით მტერს და ამ ხნის მანძილზე არ მისცა მომხდურს საქართველოში შემოჭრის საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ 1590 წელს თურქეთ-სპარსეთს შორის დადებული შეთანხმების შედეგად სიმონი თურქეთის ქვეშევრდომად იქნა აღიარებული, ქართველ ხალხი ერთი წუთითაც არ შერიგებია ვასალურ დამოკიდებულებას. უფრო მეტიც, 1598 წელს მათ ახალი ლაშქრობა წამოიწყეს თურქების წინააღმდეგ. ამ გაბრძოლებას დასაწყისში სასიკეთო პირი უჩანდა, მაგრამ მისი მარცხიანი დასასრულ-

ლი გამანადგურებელი აღმოჩნდა მთელი საქართველოსათვის.

სიმონში საოცარი სინქრონიულობით იყო შერწყმული ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი და დიპლომატიური გონიერება. ამის ნათელსაყოფად უფლებას ვიტოვებთ ქვევით მოვიტანოთ ამონაწერები სხვადასხვა დოკუმენტური მასალებიდან. ფიუგერების გაზეთიდან და საერთოდ შუაევროპულ წყაროებიდან, რომელთა გაცნობაც მოწმობს თუ რაოდენ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სიმონი თავისი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც, როგორი ინტერესით ადევნებდა თვალს ევროპა ამ გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის წარმატებასა თუ წარუმატებლობას ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ესპანეთის სახელმწიფო არქივში ინახება კონსტანტინოპოლიდან მიღებული 1585 წლის 12 მარტით დათარიღებული წერილი, რომლითაც მისი ავტორის. ან ადრესატის ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება. მასში ვხვდებით ცნობას 1585 წლის 26 თებერვალს სიმონ I კონსტანტინოპოლში ჩასვლაზე. იქვე აღნიშნულია ამ ცნობის უსაფუძვლობა.¹⁶⁶ სარწმუნო წყაროებიდან ვგებულობთ და დოკუმენტურადაც დასტურდება, რომ ხმა სიმონის კონსტანტინოპოლში ჩასვლაზე თურქებს გაუვრცელებიათ გარკვეული მიზნით, რასაც ერთგვარად მოწმობს 1585 წლის 19 იანვარს ფიუგერების გაზეთის მიერ კონსტანტინოპოლიდან მიღებული ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „ამ ბოლო ხანებში სპარსეთსა და ოსმან-ფაშაზე აქ ცოტას ლაპარაკობენ. როგორც ჩანს, თავად ოსმან-ფაშა მეთაურობს საზავო ხელშეკრულების დასადებად მოვლინებულ ელჩებს, თუმცა ამის დასამტკიცებელი საბუთები არ გაგვაჩნია. სამაგიეროდ უტყუარი ფაქტია, რომ სარდალი ფერჰარდ-ფაშა, დერბენდის ფაშა გენუჰ-ქანეერი და ტრაპეზუნდის ბეგლარ-ბეგი ჩერქეზეთ-სამეგრელოს გავლით ომს განაგრძობენ ქართველების წინააღმდეგ.“¹⁶⁷ ცხადია, ამ დროს სიმონს არ ეცლებოდა კონსტანტინოპოლში ჩასასვლელად.

მართალია, ცნობა ქართველი მეფის კონსტანტინოპოლში ჩასვლაზე ყალბი გამოდგა, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად მასში სიმართლის მარცვალი მაინც ერია. სწორედ იმ დროს კონსტანტინოპოლში ჩავიდა სიმონ მეფის ოჯახის უახლოესი

წევრი, მისი ძმა დავითი, ანუ დაუდ-ხანი, როგორც მას შემდეგ სპარსელებმა შეარქვეს ლალატის გამო. ამის შესახებ 28 იანვარს ფიუგერების გაზეთი წერდა: „2 იანვარს ოცი კაცის თანხლებით კონსტანტინოპოლში ჩავიდა ქართველი თავადი დაუდ-ხანი — ღვიძლი ძმა ჩვენი დროის შესანიშნავი ქართველი მეფის სიმონისა, რომელიც ამჟამად ყველაზე მეტ ზიანს აყენებს თურქებს. დაუდ-ხანი და მისი თანმხლები პირები აქ სკუტარიდან ორი გალერით ჩამოიყვანეს და მათთვის საგანგებოდ განკუთვნილ ადგილას მოათავსეს. იმპერიის ყველა დიდმა მოღვაწემ და წარჩინებულმა პირმა ინახულა დაუდ-ხანი, რომელიც მეორე დღეს საპასუხო ვიზიტით ესტუმრა მათ. ამასთან დაკავშირებით ის და მისი თანმხლები პირები უხვად დაასაჩუქრეს ოქროს სამკაულებითა და სხვა ძვირფასეულობით. გუშინ დაუდი სულთანმა მიიღო, რომელსაც იგი ხიფთა-ნზე ემთხვია. მიღებაზე მან სულთანს გადასცა შვიდი მონა კაბუკი, რამოდენიმე ცალი ე. წ. „ბეზუარი“ (იმდროინდელი „სასწაულმოქმედი სამკაული წამალი“ — ლ. ტ.) და ყურანი.

სპარსეთის ომის დაწყებისას დაუდ-ხანი თბილისის გუბერნატორი, ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ. ნაცვალი იყო. როცა მუსტაფა-ფაშამ თბილისი აიღო, მან სპარსელებთან ერთად დატოვა ქალაქი, რის შემდეგაც უარყო ქრისტიანობა, ისლამი მიიღო და სპარსელებს მიეკედლა. ომის დროს იგი წარმატებით იბრძოდა ოსმან-ფაშას წინააღმდეგ შირვანის მისადგომებთან. მაგრამ ზოგიერთი დაახლოებული პირისა და ერთი წარჩინებული სპარსელის ლალატის გამო, რომელიც დაუდს განხეთქილების მოთავეთა და რენეგატად სთვლიდა, იგი დემირკაპის მახლობლად გამართულ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. სპარსელმა დიდებულმა დაუდი შაჰთან ორგულობაში დაასმინა, რამაც თითქოს განაპირობა მისი დამარცხება.

ყოველივე ამის გამო, დაუდმა ველარ გაბედა შაჰს ხლებოდა, აღარ ენდობოდა სპარსელებს და მათთან გამოჩენას ერიდებოდა. საზღვარზე მყოფი მარჯვედ იბრძოდა მტრის წინააღმდეგ, მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე ხან იქ, ხან აქ. მან გარკვეულ შეთანხმებას მიადგინა ფერჰარდ-ფაშასთან და ახლა კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა, რათა მოახერხოს სულთანის წყალობით თბილისის ბეგლარ-ბეგობის ხელში ჩაგდება.

ამის სანაცვლოდ იგი პირობას იძლეოდა, რომ თუ ამ ზაფხულს არა, ახლო მომავალში მაინც დარწმუნებით, მოტყუებით ანდა ძალით ქართველებს სულთანის ქვეშევრდომობას ჩაიღებინებდა. პირობის შესრულების თავდებად მან სერალში მძევლად დატოვა თავისი ვაჟი.

თბილისის ბეგლარ-ბეგობის მისაღწევად დაუდ-ხანი არაფერს თაკილობდა. ერთგულების დამტკიცების მიზნით მან სულთანს აცნობა სპარსეთში ჩამოვარდნილი შინაური მტრობა და განხეთქილება, შაჰსა და მის ვაჟს შორის არსებული უთანხმოება, ამ უკანასკნელის განზრახვა იყო შებრძოლებოდა მამას გაზაფხულზე თათრების დახმარებით. დაუდმა ურჩია სულთანს აემხედრებინა ზაფხულში ომან-ფაშა თავრიზის წინააღმდეგ, რადგანაც მას ან მხარს დაუჭერდნენ სპარსეთის შაჰი და თათრები, ანდა დაიდებოდა სულთანისათვის ხელსაყრელი საზავო ხელშეკრულება.

კიდევ ბევრი რამ ურჩევ-უთხოვნია დაუდ-ხანს სულთანი-სათვის, მაგრამ ყოველივე ამას შედეგი არ მოჰყოლია, რადგანაც თურქეთის მპყრობელი ჯერ კიდევ მას მაინცდამაინც არ ენდობოდა. მიუხედავად ამისა, დაუდს აქ დიდის პატივით ღებულობენ და აპირებენ სულ მალე ოსმან-ფაშასთან გაგზავნონ, რათა მასთან ერთად ომში მონაწილეობა მიიღოს.¹⁶⁸

ფიუგერების გაზეთის კონსტანტინოპოლელი კორესპონდენტის ამ ცნობებში აღწერილი ამბები ძალიან წააგავს იმ შემთხვევას, რომელიც სამცხელ ათაბაგს მანუჩარს გადახდა თავს.¹⁶⁹

1585 წლის 19 აპრილს ფიუგერების გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა ნათელს ჰფენს, თუ რაოდენ დამამცირებელი როლი უნდა შეესრულებინა სიმონ მეფის უღირს ძმას დაუდ-ხანს. „ოსმან-ფაშამ 10 აპრილს კასტემუნი დატოვა, სადაც საზამთროდ იყო თავის ჯართან ერთად დაბანაკებული და არზრუმს მიაშურა. აქედან მას ზაფხულში ერევანზე ანდა თავრიზზე უნდა მიეტანა იერიში, რათა შეძლებისდაგვარად აღეკვეთა სპარსელების დაუსრულებელი თავდასხმები. ამავე დროს ქართველებზე გასალაშქრებლად ემზადება ბებერი მეჰმედ-ფაშას ვაჟი ჰასან-ფაშა, რომელიც თავისი ჯარით ფრონტის ამ უბანზე — ტომიცაში იდგა. საომრად არიან განწყობილნი ალი-
10. ლ. ტარღი

ბეგი — ახალციხის ყოფილი სანჯაყ-ბეგი, ხოლო ახლანდელი ლორის ბეგლარ-ბეგი და არზრუმის ბეგლარ-ბეგი მრავალრიცხოვანი ჯარით მათ დასახმარებლად მიავლინეს ქართველი მეფის სიმონის ძმა დაუდ-ხანი სხვა წარჩინებულ მრჩეველებთან ერთად“¹⁷⁰.

საინტერესო ცნობას ვხვდებით ზემოაღნიშნულ გაზეთში კონსტანტინეპოლელი კორესპონდენტის 1585 წლის 28 აპრილის მიმოხილვაში ჩერქეზების შესახებაც, რომლებიც თურქების მხარეზე იბრძოდნენ. „ოსმან-ფაშა არზრუმში იმყოფება, — ვკითხულობთ მასში, — მან სულთანს შეიკრიკი აახლა და რამდენიმე მეთაურის გამოგზავნა სთხოვა, მაგრამ მისი სურვილი მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. სამაგიეროდ, ოსმან-ფაშას თხოვნის შედეგად სულთანმა ოქროს ნივთები, სადღესასწაულო ტანსაცმელი, ხმლები და სხვ. გაუგზავნა საჩუქრად იმ ჩერქეზებს, რომლებიც ომის დროს თურქებს მიემხრნენ“¹⁷¹.

ფიუგერების გაზეთის კონსტანტინოპოლელი კორესპონდენტისაგან 1585 წლის 14 მაისს მიღებული ინფორმაცია კვლავ შეიცავს ცნობებს საქართველოზე, სადაც ვკითხულობთ: „ოსმან-ფაშა არზრუმს ჩამოვიდა და სერიოზულად ემზადება შემდგომი საომარი მოქმედებისათვის. სპარსეთის საზღვრიდან მოვიდა ცნობები, რომ ალეპოელი ბეგლარ-ბეგი ჰასან-ფაშა და ახალციხის ყოფილი სანჯაყ-ბეგი, ალი-ბეგი ამ ზამთარს ქართველებს შეებრძოლნენ ლორესა და დემანისის მახლობლად, რომლის დროსაც ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს. ამ ბრძოლაში ქართველებმაც დიდი ზარალი განიცადეს.“¹⁷²

ქართველ-სპარსელთა გამარჯვებაზე ხმამ უნგრეთშიაც მიადწია. ვენეციელი ელჩი პრალაში მოკლედ, მაგრამ ენამახვილურად შენიშნავდა: „გუშინ, თექვსმეტი დღის მოგზაურობის შემდეგ სტამბოლიდან აქ ჩამოვიდა თურქეთის ელჩი, რათა მოსთხოვოს პასუხი უნგრეთის სასაზღვრო ციხეების დამცველ ჯარისკაცებს, რომლებსაც ბრალად ედებათ თვითნებური თარეში. ამის გაკეთება ახლა ადვილია, რადგანაც თურქეთის სასაზღვრო ციხეებში სპარსეთთან ომის გამო ცოტა ჯარისკაცები არიან ჩაყენებული“¹⁷³.

1585 წლის 31 მაისს „ფიუგერების გაზეთში“ გამოქვეყნებულ კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობაში კვლავ აღნიშნულია ქართველების ახალი წარმატებები. „თურქებზე ქართველების გამარჯვების შესახებ ახალი ცნობები მივიღეთ, — გვამცნობს გაზეთი, — მათზე 14 მაისსაც გატყობინებდით. ოსმან-ფაშა არზრუმში იმყოფება, ერევანსა და ერევნის გარეუბნებში დაბანაკებული მისი ჯარები კი სურსათის ნაკლებობას განიცდიან. ფაშა მოუთმენლად ელოდება სურსათის მიღებას. მას იგი ესაჭიროება შემდგომი საომარი მოქმედების გაგრძელებისა და ახლად აგებულ სასაზღვრო ციხეებში ჩაყენებული გარნიზონისათვის. ამ მიზნით მან კონსტანტინოპოლში გამოგზავნა რამდენიმე კაცი, რადგანაც თუ სურსათის მიწოდება დაუგვიანეს თურქეთის წარმატება ფრონტზე საეჭვო გახდება“¹⁷⁴

ციტირებული ცნობის შედგენისას კორესპონდენტს დამატებითი ფაქტები ჩავარდნია ხელთ, რომლებიც მინაწერების სახით დაურთავს ბოლოს, „ცნობები ქართველების მიერ თურქების დამარცხებაზე უკვე დადასტურდა, — ვკითხულობთ ერთ-ერთ მინაწერში, — ახალციხის ყოფილი სანჯაყ-ბეგი ალი-ფაშა და ლორეს ბეგლარ-ბეგი ბრძოლაში დაღუპულან. ბრძოლის ველიდან მარტო ალეპოელ ბეგლარ-ბეგს ჰასან-ფაშას (ბებერი, ლიპიანი მეჰმედ-ფაშას ვაჟი) გაულწევია ცოცხალი თავით, რამოდენიმე კაცთან ერთად“¹⁷⁵.

ამ ცნობაში საქართველო გამოყვანილია თურქეთის წინააღმდეგ დამოუკიდებელი მებრძოლი მხარე და არა როგორც სპარსეთზე დამოკიდებული მაშველი სახელმწიფო.

ფიუგერების გაზეთისათვის კონსტანტინოპოლიდან ინფორმაციების გამოგზავნა დროებით შეწყდა და 1585 წლის 4 სექტემბრიდან ისევ განახლდა. პირველსავე კორესპონდენციაში საუბარი იყო ახლადდაწყებულ საზავო მოლაპარაკების პერსპექტივაზე. „ოსმან-ფაშასაგან მრავალი მეომარი ბრუნდება უკან, — ნათქვამია მასში, — ესენი უმთავრესად სპარსელები არიან. მათგან შევიტყვეთ, რომ ოსმან-ფაშა ხუთი კვირის წინათ არზრუმში ყოფილა ჩასული, რადგანაც სპარსებს იქ სურსათის მთელი მარაგი დაუტაციათ. ოსმანს უნდოდა ზამთარი არზრუმში გაეტარებინა, ხოლო არმიის ცალკეული ნაწილე-

ბი მესოპოტამიის რაიონებში დაებანაკებინა. არზრუმში სპარსეთის საელჩო მოლაპარაკებას აწარმოებდა საზავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მოლაპარაკების გასაგრძელებლად ოსმან-ფაშამ ორი წარჩინებული პირი გაუგზავნა სპარსეთის შაჰს ჩაუშის თანხლებით. მძიმე მდგომარეობის გამო სულთანის ბრძანებით ოსმან-ფაშა იძულებული გახდა არზრუმში დეტოვებინა და საზამთროდ ყარსსა და თბილისს შორის მდებარე ჰასან-კალაში დაბანაკებულყო, რათა იქ მოლაპარაკება ეწარმოებინა სპარსეთის დელეგაციასთან.

ოსმან-ფაშასთან ჩამოვიდა წარჩინებულ პირთაგან შემდგარი ქართველების დელეგაცია მღვდელ-მთავრის მეთაურობით, რათა დაარწმუნონ იგი კეთილ მეზობლურ დამოკიდებულებაში, თუკი მისცემენ თავიანთი ქვეყნის თავისუფლად მართვის საშუალებას. ოსმან-ფაშამ მთავრები დიდი პატივით მიიღო და თხოვნის შესრულება აღუთქვა იმ პირობით, თუ გამოჩენილი ქართველი მეფე სიმონ I თავის ორ ვაჟს მძევლად გამოგზავნიდა პორტაში სულთანთან კეთილმეზობლობის ნიშნად, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ პატივისცემით მოეკიდებოდა მათ სუვერენულ უფლებებს¹⁷⁶.

ამ წინასწარ საზავო მოლაპარაკებას დადებითი შედეგი არ გამოუღია. 1585 წლის 2 ოქტომბერს ფიუგერების გაზნეთის კონსტანტინოპოლელი კორესპონდენტი ავლავ იუწყებოდა თურქეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედების განახლებაზე. „სპარსეთიდან შიკრიკი ჩამოვიდა, — იწერებოდა კორესპონდენტი, — მან გვაცნობა, რომ ოსმან-ფაშა არზრუმშიდან თავრიზში აპირებს გამგზავრებასო. ყოველ წუთში ელოდებიან მის მიერ ომის დაწყებას. ცნობილი გახდა, რომ სპარსეთის მპყრობელს სულთან ტოკმაკს ქართველების დახმარებით რამდენიმე ათასი თურქი აუჩეხავს და დიდი ზარალი მიუყენებია ოსმან-ფაშას არმიისათვის, განსაკუთრებით კი მისი აღალისა და არიერგარდისათვის“¹⁷⁷.

1585 წლის 24 დეკემბერს ვენეციის ელჩი ჰაბსბურგების იმდროინდელი დედაქალაქიდან — პრაღიდან იტყობინებოდა: „სულთანმა თურქეთის ჯარებს უბრძანა დაზვერვა ეწარმოებინათ უნგრეთის სასაზღვრო რაიონებში. ეს ბრძანება უმაღლეს შესრულდა. მიუხედავად იმისა, რომ იციან თურქების შეი-

რალეული ძალების დაბანაკება აღმოსავლეთ საზღვრებზე, იციან ისიც, რომ სულთან ახლა დიდი სამხედრო ფლოტის შექმნითაა გატაცებული¹⁷⁸.

რამოდენიმე დღის შემდეგ, 1586 წლის 6 იანვარს, ვენეციელი ელჩი კვლავ იუწყებოდა ბუდადან, რომელიც ოდესღაც უნგრეთის დედაქალაქი იყო და ახლა კი თურქეთის ნაცვლის რეზიდენციას წარმოადგენს, ახალი ცნობები მოვიდა. სპარსეთზე თურქების გამარჯვების აღსანიშნავად შუშუნებითა და საარტილერიო ზალპებით გამართული ზეიმის შესახებ. მართალია, ომში ოსმან-ფაშა დაიღუპა, მაგრამ, სამაგიეროდ თურქებმა ტყვედ ჩაიგდეს სპარსეთის შაჰის ვაჟი“.

ზემოაღნიშნულის შესახებ გამოცდილი ვენეციელი დიპლომატი შენიშნავს, რომ ზეიმი თვალისახვევის მიზნით იყო მოწყობილი, რადგანაც სინამდვილეში გაიმარჯვეს არა თურქებმა, არამედ სპარსელებმა. ამას დიდად გაუხარებია როგორც კათოლიკები, ისე პროტესტანტები. ეს უკანასკნელნი იმ იმედით ცხოვრობდნენ, რომ თურქეთის აზიელი მოწინააღმდეგენი წარმატებებს მიაღწევდნენ და ხანგრძლივი დროით გაუფუჭებდნენ მას გუნებაგანწყობილებას.¹⁷⁹

ფიუგერების გაზეთის კონსტანტინოპოლელი კორესპონდენტის 1586 წლის 15 მარტის წერილში ისევ ვხვდებით ცნობებს საქართველოზე. მასში აღნიშნულია თურქეთის ადმირალის მიერ სამი საბრძოლო გალერის საგულდაგულოდ მომზადება იარაღისა და ამონიციის გადასაზიდად. ელჩის განცხადებით გალერები პირველად ტრაპიზონში შევიდოდნენ, შემდეგ კი მისი აზრით ალბათ სამეგრელოსკენ გაემგზავრებოდნენ, სადაც თურქებს მრავალი წლის წინათ თავიანთი ციხე ჰქონდათ აგებული.¹⁸⁰

აზიის ფრონტზე თურქების დამარცხებამ თავისი გამოძახილი ჰპოვა უნგრეთსა და ჰამბურგში. ამას ნათლად მოწმობს ვენეციელი ელჩის წერილი. „იმპერატორის საგანგებო ელჩი, — წერს იგი, — ჩავიდა კონსტანტინოპოლში, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მის ქვეყანას დაფარული არ ჰქონდა ბრწყინვალე პორტასათვის გადასახდელი ხარჯი, იგი მაინც კარგად მიიღეს, საყვედურიც კი არ უთქვამთ“. ამის მიზეზათ

ვენეციელი ელჩი თავის 1586 წლის 11 მარტისა და 6 მაისის წერილებში ასახელებს სპარსეთის ომს.¹⁸¹

1586 წლის 27 მაისის ცნობას სასტიკი ბრძოლის შემდეგ ბეგლარ-ბეგის თბილისში ტყვედ ჩავარდნისა და სიმონ მეფის მიერ ციხის აღების შესახებ დიდად გაუხარებია ევროპა.

1586 წლის 14 აგვისტოდან „ფიუგერების გაზეთისათვის“ გამოგზავნილი კონსტანტინოპოლელი კორესპონდენტის ცნობაში აღნიშნულია ფერჰარდ-ფაშას დაბანაკება არზრუმსა და ვანს შორის, მოთხოვნილია მის არმიაში გავრცელებულ სიკვდილიანობისა და სურსათის ნაკლებობაზე. იქვე ნათქვამია: „არზრუმში ხმები დადის, რომ თბილისის, გორის, ყარსისა და სხვა ციხეები, რომლებიც სულ ახლახან გაამაგრეს თურქებმა, მძიმე მდგომარეობაშია. მათში დაბანაკებული გარნიზონები ისეთ შიმშილობას განიცდიან, რომ ჭარისკაცები ტოვებენ საგუშაგოებს და სპარსელებთან გარბიან“.¹⁸²

1586 წლის 15 ოქტომბერს ზამოაღნიშნული გაზეთი თავის მკითხველებს ატყობინებდა: ოსმან-ფაშას მიერ სიკვდილმისჯილი, თათრების ხანის ვაჟის შამხალთან გაქცევასა და თავშესაფარის თხოვნას, დერბენდში მყოფი ჯაფარ-ფაშას დაჟინებით მოთხოვნას თათართა ხანის შვილის განთავისუფლების შესახებ, შამხალის უარს ამ თხოვნის შესრულებაზე. ამავ ჯაფარ-ფაშამ სულთანს მოახსენა.¹⁸³

1586 წლის 17 ოქტომბერს იმავე გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობაში, რომელსაც ვენეციაზე გავლით მიეღწია კონსტანტინოპოლამდე, აღნიშნული იყო სპარსეთ-საქართველოს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების შესახებ. „კონსტანტინოპოლიდან მიღებულია ცნობა, რომ ფერჰარდ-ფაშას არმია, რომელიც შავმა ჰერმამ დიდად დააზარალა, არზრუმში დაბანაკდა. ამასთან გვატყობინებენ, რომ ქართველებს შეუძლებლად უცვნიათ სპარსელებთან შემდგომში თანამშრომლობა და მათში გახიზნულან. სპარსელებსაც გაცლა უმჯობინებიათ და თავრებისათვის ალყა მოუხსნიათ“.¹⁸⁴

ამ ახალ ამბავს ადასტურებს კონსტანტინოპოლიდან მიღებული მეორე ცნობა, რომელიც გაზეთმა 31 ოქტომბერს გამოაქვეყნა, აღნიშნული ცნობის თანახმად დაწყებულია მოლა-

პარაკება საქართველოსა და ბრწყინვალე პორტას შორის სეპარატული ზავის დადების თაობაზე. „აქ ჩამოვიდა საქართველოს პატრიარქი, — ვკითხულობთ ამ ცნობაში, — თურქებთან მოსალაპარაკებლად. ქართველთა რაზმებსა და სპარსეთის შაჰს შორის დიდი განხეთქილება მომხდარა“.185

სეპერატულ ზავთან დაკავშირებით ამ ორი ინფორმაციის გარდა გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე სხვა ცნობებიც საქართველოზე. 29 ოქტომბერს კონსტანტინოპოლიდან ვენეციაში მიუღიათ წერილი. მასში აღნიშნული ყოფილა: „ფერპარდ-ფაშამ თავისი არმიით, რომელმაც შიმშილისა და ხანგრძლივი ლაშქრობის გამო ნახევარზე მეტი ჯარისკაცები დაკარგა, თავრიზს მიაღწია. იგი სპარსელებისაგან ორი დღის სავალზე დგას. ქართველები მას ჩამოსცილდნენ“.186

1597 წლის 26 ნოემბერს კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობაში ნათქვამია: ფერპარდ-ფაშას მსახურთუხუცესის იქ ჩასვლისა და სპარსეთის შაჰისა და მისი ვაჟის წერილების ჩატანაზე თურქებთან ზავის დადების თაობაზე. ცნობაში აღნიშნულია, რომ ჯერ არ არის ცნობილი სულთნის გადაწყვეტილება სპარსეთის შაჰისა და მისი ვაჟის წინადადებაზე. ამავე წყაროდან ვგებულობთ, რომ ფერპარდ-ფაშას მსახურთუხუცესს აღნიშნულის გარდა ჩამოუტანია, აგრეთვე ცნობა ქართველობის მიერ თბილისის განთავისუფლების შესახებ.187

ამავე პერიოდშია მიღებული ვენეციიდან ცნობა სპარსელ-ქართველთა შორის თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც კონსტანტინოპოლიდან გაზეთისათვის გამოგზავნილი 18 ოქტომბრით დათარიღებული წერილი უღევს საფუძვლად. მასში ვკითხულობთ: „საომარი ასპარეზიდან მოვიდა ცნობა, რომ უკანდახევის შემდეგ მთიდან ძირს დაშვებულებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს თურქებს და დაამარცხეს ფერპარდ-ფაშას არმია. ბეწვზე გადარჩენილი ფაშა მცირერიცხოვანი ჯარით არზრუმს გაიქცა. მიუხედავად ამისა, თურქებმა, როგორც ყოველთვის, ახლაც ხმა გაავრცელეს თითქოს მოეხერხებინოთ თავრიზის ციხის აღება“.188

1586 წლის 26 მარტს კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი ზემოაღნიშნული წერილის ავტორს საიდუმლო წყაროების საშუალებით შეუტყვია, რომ ფერპარდ-ფაშას საქციელს

თავრიზში სულთანის საშინელი გულისწყრომა გამოუწვევია.

იგივე ავტორი იუწყება კონსტანტინოპოლში დარხეული ხმების შესახებ, რომელთა თანახმადაც სპარსეთის შაჰს თითქოს ელჩები გაეგზავნოს თურქეთისათვის საზავო მოლაპარაკებების მიზნით. სხვა ცნობებში კი ნათქვამია, რომ ძალების მისაღებად ემზადებოდნენ ფერჰარდ-ფაშას ბანაკში. წერილის ავტორი გვამცნობს, აგრეთვე ფერჰარდ-ფაშას მოთხოვნას თავრიზსა და დერბენდს შორის მდებარე ორი მდიდარი რაიონის — ყარაბაღისა და განჯის უკან დაბრუნების შესახებ, რომლებმაც ორი წლის წინათ დიდი უსიამოვნება მიაყენეს თურქებს, ბოლოს მისსავე ცნობაში ნათქვამია: „ქართველებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს ფერჰარდის ლაშქარს, რის გამოც ფაშას განზრახული აქვს შური იძიოს“.¹⁸⁹

1586 წლის 7 დეკემბერს გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ თავრიზის იერიშის დროს ოსმან-ფაშა სპარსელ-ქართველების მხრიდან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, რის შემდეგაც თურქებმა დიდი ზარალი ნახეს¹⁹⁰. მათ შორის ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა და ბოლოს სპარსელ-ქართველების გამარჯვებით დამთავრდა. ამ ცნობისავე თანახმად აღნიშნულ ბრძოლაში ოსმან-ფაშა და ციკალა-ფაშა დაღუპულან. ცნობის ავტორი აქვე აღნიშნავს: „ყოველივეს შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ გავვაჩნიაო“.¹⁹¹

საინტერესოა 1586 წლის უკანასკნელი დღით დათარიღებული კონსტანტინოპოლიდან გაზეთისათვის გამოგზავნილი კიდევ ერთი ცნობა. იგი ნაწილობრივ აზუსტებს და ნაწილობრივ კი უარყოფს 21 დეკემბრის ინფორმაციას. მასში აღნიშნულია, რომ ოსმან-ფაშა იერიშის დროს მიღებული ჭრილობებისაგან კი არ გარდაცვლილა, არამედ დეზინტერიისაგან. თავის შემცვლელად მას ციკალა-ფაშა დაუნიშნავს. ინფორმაციაში თურქ ხელმძღვანელებს შორის დაუდ-ხანიც არის მოხსენიებული¹⁹².

1586 წლის 27 დეკემბრის ცნობით მეფე სიმონმა შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწია.¹⁹³

მომდევნო წელს კონსტანტინოპოლიდან მიღებულ პირველსავე ცნობაში, რომელიც 1587 წ. 22 იანვრითაა დათარიღ-

ბული გამოთქმულია ფრთხილი, სავარაუდო მოსაზრება სიმონის გამარჯვებაზე. მასში ვკითხულობთ: „ვინც კი ამ ბოლო ხანებში თბილისიდან ჩამოვიდა, ყველა ამბობს, რომ ქართველმა მეფემ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა თურქებსო. სიმონისათვის მოსკოვიდან გამოუგზავნიათ 7 ათასი მსროლელი და მათი დახმარებით გადაუღობავს მტრისათვის თბილისისაკენ მიმავალი გზა. ამის გამო ომარ-ფაშა, რომელიც ამ დროს ციხეს იცავდა, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა“.¹⁹⁴ დამოწმებულ ცნობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთ-საქართველოს საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. როგორც აქედან ჩანს, რუსეთს დიდი დახმარება გაუწევია სისხლისაგან დაცილლ ქართველთა ჯარის ნაწილებისათვის ოსმანთ წინააღმდეგ ბრძოლაში.

1587 წლის 2 ოქტომბერს კონსტანტინოპოლიდან მიღებული ცნობა შეიცავს ვარაუდს თურქეთ-სპარსეთის საზავო ხელშეკრულების დადებაზე. მასში გამოთქმულია აგრეთვე ექვი ფერჰარდ-ფაშას საქართველოზე მცირერიცხოვანი ჯარით თავდასხმის შესახებ, ციკალა-ფაშას ყაზვინზე გალაშქრებისათვის მზადების გამო¹⁹⁵.

კონსტანტინოპოლიდან 1587 წლის 20 ოქტომბერს გამოგზავნილი ცნობა მოწმობს, რომ ქართველებს კვლავ დაუპარცხებიან თურქები. „აღრე ფერჰარდ-ფაშამ ციხე ააგო დმანისში, — სათქვამია მასში, — როდესაც მასში ჩასაყენებლად დამატებითი ჯარი გაუგზავნია, ქართველები თავს დასხმიან მათ და ერთიანად გაუჟღეტიანთ. მოკლულთა სახით ათასი თურქი დარჩენილა ბრძოლის ველზე“¹⁹⁶.

ჩვენთვის უკვე ცნობილი, ქართველი ქვრივი ქალის ვაჟების — მანუჩარისა და ყვარყვარეს ისტორიაა აღწერილი 1587 წლის 28 ნოემბრით დათარიღებულ ერთ მეტად საგულისხმო ცნობაში. მასში მოთხრობილია ნდობით აღჭურვილ პირთა ჩასვლა კონსტანტინოპოლში საზავო მოლაპარაკების მიზნით სამხრეთ-სათათრეთიდან. აღნიშნულია დიდგვაროვანი ქართველი ქალისა და სხვა წარჩინებულ პირთა დახმარება თურქებისადმი საქართველოში ციხესიმაგრის ასაგებად. ამის შემდეგ მხილებულია ფერჰარდ-ფაშას განზრახვა ქართველ გავლენიან

პირთა თავიანთ ქვეყნიდან განდევნის შესახებ და ამ მიზნით მის მიერ სულთანისაგან სამი ათასი იანიჩარის მოთხოვნა.

ცნობის თანახმად თურქეთის სახელმწიფო სათათბიროს განუხილავს ფერჰარდ-ფაშას თხოვნა. მხედველობაში მიუღიათ შექმნილი საერთაშორისო ვითარება და დაუვალეობით ფაშასათვის ძალით ანდა შთაგონებით სულთანის გამგებლობისათვის დაემორჩილებინა მთელი საქართველო. ამასთანავე სათათბიროს დაუდგენია: „განდევნოს ის ორი ქართველი მთავარი (იგულისხმებიან მანუჩარი და ყვარყვარე. — ლ. ტ.), რომლებმაც გასულ წელს თურქებს დიდი ზარალი მიაყენეს და მათ ადგილას დაინიშნონ სხვები. დაეკისროთ მათ ჯარების სურსათით მომარაგება და სხვა სავასალო სამსახური, 40.000 ღუკატის გადახდა სავასალო ხარკის სახით ბრწყინვალე პორტის სასარგებლოდ“.

სათათბიროსავე დადგენილებით უნგრეთის ფაშებს მიეთითათ ეუწყებინათ ხალხისათვის თურქეთის გამარჯვება ოქში და ზემოთ აღენიშნათ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა. ეს მითითება უცნობეობით ტრანსილვანიის, მოლდავეთისა და ვალახიის მთავრებისათვის¹⁹⁷.

1587 წლის 5 ნოემბერს კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილ ცნობაში იმპერიის ელჩი ბართლომეო პაცეკი მოურიდებლად ამხელს თურქეთის ამ პროპაგანდისტულ მანევრს. მისი განცხადებით, მას შემდეგ, რაც ქართველებმა დაამარცხეს თურქები, ეს უკანასკნელნი „ჩაუშ მუსტაფას გზავნიან ტრანსილვანიაში, მოლდავეთსა და ვლახეთში ყალბი ცნობის გაავრცელებლად თითქოს თურქეთს დაემორჩილებინოს საქართველო, ხოლო სპარსეთს გამოეთქვას ზავის დადების სურვილი. პაცეკი თავის ცნობაში იქვე დასძენს: რუსეთის მეფე მზად არის დიდი ჯარით გაილაშქროს თურქეთის წინააღმდეგ, რათა დაეხმაროს საქართველოს მტერზე საბოლოო გამარჯვებაში.“

ასევე ამხელს თურქების მიერ გავრცელებული ცნობის სიყალბეს ფიუგერების გაზეთის კონსტანტინოპოლელი კორესპონდენტი. იგი თავის წერილში წერს: „ქართველების მიერ თურქების დამარცხება უმაგალითოა. მათ 15.000 ჯარისკაცი დაკარგეს. დაღუპულთა შორის არიან სინან-ფაშას ვაჟი, ხუსრევ-ფაშა და არზრუმის ბეგლარ-ბეგი“.

1590 წელს თურქეთ-სპარსეთის საზავო ხელშეკრულების დადების პერიოდში ზემოაღნიშნული კორესპონდენტიანვე ცნობით ქართველებს კიდევ ერთი დამარცხება მიუყენებოდათ თურქეთისათვის.

ამგვარად, საქართველოს შემდგომი ბედი გადაწყვიტა არა საომარმა მოქმედებამ, არამედ 1590 წლის თურქეთ-სპარსეთს შორის დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ.

ქართლის მეფის სიმონ I-ის საგარეო პოლიტიკა

1590 წელს თურქეთსა და სპარსეთს შორის დადებული ზავი მყარი არ გამოდგა. დროთა განმავლობაში ამ ორ მუსულმანურ სახელმწიფოს შორის ცალკეულ შეჯახებებს მაინც ჰქონდა ადგილი. ყოველივე ეს კი 1603 წელს დიდ საომარ მოქმედებაში გადაიზარდა. ბრძოლაში ჩაება ანტითურქული კოალიციის თავკაცი, ქართლის მეფე სიმონ I, რომლის სამხედრო ნიჭი ჯა საომარი გამოცდილება დიდ იმედებს აძლევდა შუა ევროპის სახელმწიფოებს, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი ოტომანთა იმპერიის დასუსტებით. ეს აშკარად ჩანს დიპლომატიურ მიმოწერებიდან, ხელნაწერ გაზეთებიდან და სხვადასხვა სახის დაბეჭდილ მასალებიდან.

ევროპას, რომელმაც აღიარა სიმონ I-ის მხედართმთავრული ნიჭი, მხედველობიდან გამორჩა ისიც ელიარებინა, რომ იგი ამავე დროს იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ შაჰ-აბასი, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ პროქართულ პოლიტიკას ანხორციელებდა, ყურადღებით ადევნებდა თვალს სიმონის გეგმებს.

1593 წლის თებერვალში ფიუგერების გაზეთი წერდა: „შირვანელი ფაშის ჰასანის კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს, ქართველები სპარსეთის ჯარის უმნიშვნელო ნაწილების მხარდაჭერით თავს დაესხნენ მის სამფლობელოს და კაპი-დერბენტს. ამის გამო სულთანმა უბრძანა ჰასან-ფაშას უკანვე დაბრუნებულიყო და განედევნა მტერი შირვანიდან. დაავალა აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მიემართა ტრაპიზონის ყარსის, ერევნისა და შემახის ბეგლარ-ბეგებისათვის.“ იქვე გაზეთში მოთავსებული ამ კორესპონდენციის ავტორი და-

სძენდა: „ღმერთმა ინებოს, განხეთქილება ამ ორ ხალხს შორის კიდევ უფრო გაღრმავდესო“¹.

ფიუგერების გაზეთში 1593 წლის 8 აპრილს გამოქვეყნდა ორი მეტად საინტერესო ცნობა. ერთ მათგანში ნათქვამი იყო: „ყირიმის ხანის დესპანი მოითხოვს, რომ ბრწყინვალე პორტამ მიიღოს გადამკრელი ზომები კაპი-დერბენტში რუსების მიერ აგებული ციხესიმაგრის დასანგრევად“², ხოლო მეორეში ეწერა: „ჩვენს მიერ აღრე მოხსენიებული ქართველების შეტევა გრძელდება. ჰასან-ფაშის კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს შირვანში დაბანაკებული თურქების სამხედრო ძალები საგრძნობლად განადგურებულიყვნენ“³.

იმავე წლის 13 ნოემბერს აღნიშნულ გაზეთში გამოჩნდა ახალი ცნობა. „თურქებმა ქართველ-სპარსელთა შემოტევების მოგერიების მიზნით თავიანთ საზღვარზე დაიწყეს სიმაგრეების აშენება, — ვკითხულობთ მასში, — სპარსელები ყურადღებას ამახვილებენ დადებულ საზავო ხელშეკრულებაზე და მოითხოვენ მათ დაუყოვნებლივ დანგრევას“⁴. იქვე ნათქვამია: „რადგანაც სულთანმა ახალი სიმაგრეების აგება დაიწყო სპარსეთ-საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების გაჩაღების მიზნით. ამ ორმა მოწინააღმდეგე სახელმწიფომ პროტესტი გაუგზავნეს პორტას არსებული საზავო ხელშეკრულების შესაბამისი მუხლების დარღვევის გამო. მოელიან, რომ უახლოეს ხანში სულთანი გასცემს ბრძანებას სიმაგრეების აგების შესაწყვეტად და მთელ თავის ძალებს დაძრავს ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ“⁵.

აღსანიშნავია, რომ 1590 წლის თურქეთ-სპარსეთის საზავო ხელშეკრულების არსებობის მიუხედავად ფიუგერების გაზეთში, იმპერიის დიპლომატიურ მიწერ-მოწერებსა და საერთოდ ყოველგვარ დოკუმენტებში, საერთაშორისო სამართლის წესის თანახმად საქართველო იხსენიება, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

1593 წლის 10 დეკემბერს ფიუგერების გაზეთი აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს ესპანეთის მეფეს შეეთავაზოს სპარსეთის შაჰისათვის უარი ეთქვა ამ უკანასკნელს თურქეთთან დადებულ ზავზე. ცნობის ავტორი გამოთქვამს იმედს, რომ ამ შემთხვევაში სულთანი იძულებული გახდება შეწყვი-

ტოს საომარი გამოხდომები ევროპის ქვეყნების მიმართ, გადადოს უნგრეთზე თავდასხმა⁶.

1594 წლის 1 იანვრის ცნობაში გაზეთი უკვე იტყობინებოდა ქართლის მეფის სიმონისა და ტრანსილვანიის მთავრის ჟიგმონდ ბატორის დაახლოვების თაობაზე. ამავე ცნობაში ნათქვამი იყო, რომ სპარსეთის შაჰმა „გაწყვიტა საზავო ხელშეკრულება სულთანთან და მოუწოდებდა იმპერატორს მიებაძა მისი მაგალითისათვის“⁷.

იმევე წლის 17 მარტს გაზეთმა გამოაქვეყნა ვროცლავიდან მიღებული ცნობა, იმის შესახებ, რომ იმპერატორ რუდოლფის მოსკოველი ელჩი მიკლო შვარკოჩი მნიშვნელოვან მოლაპარაკებას ეწეოდა სამოკავშირეო ხელშეკრულების დასადებად რუსებთან და იმ დროს იქ მყოფ სპარსეთის ელჩთან⁸.

ფიუგერების გაზეთის 1594 წლის 7 აპრილის ცნობაში აღნიშნული იყო სულთანის მიერ ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად 200 გალერის მომზადებისა და მძლავრი შეიარაღებული არმიის საომრად გაგზავნა ოსმან-ფაშას მეთაურობით.⁹ 10 ივნისს კი ვენეციელი კორესპონდენტი კონსტანტინოპოლიდან იტყობინებოდა: „სპარსელების წაქეზებით ქართველებს შორის მღელვარება იგრძნობა. შეთანხმდნენ, რომ გაერთიანებული ძალებით თავს დაესხნენ თურქებს“¹⁰.

1594 წლის 18 აგვისტოს ვენეციელი კორესპონდენტი კონსტანტინოპოლიდან მიღებული ცნობების საფუძველზე იუწყებოდა ოსმალთა დედაქალაქში ხალხის დასანახად დახოცილ მტრის ჯარისკაცთა მოკვეთილი თავების დიდი რაოდენობით გამოტანის შესახებ. აქედან გამომდინარე ცნობაში აღნიშნული იყო კონსტანტინოპოლელთა ვარაუდი თურქეთსა და სპარსეთსაქართველოს შორის საომარი მოქმედების ახალი ძალით გაჩაღებაზე.¹¹

ვენეციელი კორესპონდენტის 5 ნოემბრის ცნობაში ნათქვამია: კონსტანტინოპოლში შავი ჭირის გავრცელებასა და მღელვარებაზე, რომელშიც ქართველებსაც მიუღიათ მონაწილეობა¹².

ტრანსილვანიის მთავრის ჟიგმონდ ბატორის ნდობით აღჭურვილი პირის 5 ნოემბრის ცნობაში კვლავ იყო გამახვილებული ყურადღება ქართველების საომარ მოქმედებაზე. მასში

ვკითხულობთ: „ქართველებმა ისევ მოკიდეს ხელი იარაღს თურქეთის სულთნის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელმაც შეუსია მათ თავისი არმია ალექსოს ფაშის მეთაურობით.“¹³

ამ დროს, უნგრეთის დასავლეთით საზღვარზე მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობდა იმპერიისა და სულთნის ჯარებს შორის.¹⁴ ტყვედ ჩავარდნილ ერთი თურქი მთავრისთვის უკითხავთ: აპირებდა თუ არა სულთანი ლაშქრობის დაწყებას საქართველოს წინააღმდეგ?¹⁵ ეს ფაქტი მოწმობს რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდნენ უნგრელები ქართველების მდგომარეობას ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც მას გარკვეული გავლენის მოხდენა შეეძლო თურქეთ-უნგრეთის ფრონტზე.

1595 წლის 21 ივლისის ერთ-ერთ კორესპონდენციაში ლაპარაკი იყო იმ მტკიცე კავშირზე, რომელიც შეეკრათ სპარსელებს, ქართველებსა და რუსებს თურქების წინააღმდეგ.¹⁶ 21 დეკემბრის ცნობა კი იუწყებოდა რუსეთ-საქართველოს კავშირის შექმნაზე, როგორც უკვე მომხდარ ფაქტზე. ერთი მხრივ, ქართველების მიერ თურქებისათვის ძლიერი დამარცხების მიყენებაზე, ხოლო მეორე მხრივ, რუსების მიერ სულთნის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილის დატყვევებაზე.¹⁷

1595 წლის 12 ნოემბერსა და 20 დეკემბერს გამოქვეყნებულ კორესპონდენციებში ფიუგერების გაზეთი აღნიშნავდა თურქების სერიოზულ სამხედრო მზადებას მომავალი წლისათვის, აქვე ნათქვამი იყო, რომ ამ მხრივ არც სპარსეთის შაჰი იჯდა გულხელდაკრეფილი და ისიც დიდის გულისყურით იკრებდა გარშემო თავის შეიარაღებულ ძალებს სულთნის შემოსევების მოსაგერიებლად. აქვე კორესპონდენციებში ვხვდებით აგრეთვე ცნობებს საქართველოზე. ერთ მათგანში ნათქვამია, რომ „თავისი ქვეყნის ძლიევამოსილი მმართველი, ქართველი მეფე სიმონი გაცხოველებით ემზადება თურქებზე თავდასასხმელად სპარსეთის მოსაზღვრე რაიონებში“¹⁸, მეორეში კი ვკითხულობთ: „ქართველებმა ომი გამოუცხადეს თურქეთის სულთანს, რის გამოც ტრაპიზონის ფაშამ სასწრაფო დახმარების გაწევა სთხოვა პორტას“¹⁹.

ამ ხანმოკლე დროით კვლავ წყდება აღმოსავლეთიდან ევროპისათვის სამხედრო ხასიათის ცნობების მიწოდება საქართველოზე.

1597 წლის 16 აგვისტოს ფიუგერების გაზეთი ყურადღებას ამახვილებდა სპარსეთ-საქართველოს შორის შეთანხმების შესაძლებლობაზე და თურქების წინააღმდეგ სპარსელების გამოცლაზე²⁰.

აღნიშნული წლის 17 ოქტომბერს ვენეციელი კორესპონდენტი იტყობინებოდა: „თათრების ხანი გადავიდა ქართველების მხარეზე. მან მოსთხოვა სპარსელებს უზრუნველყონ მისი გამგზავრება მექაში... მართალია ხანმა სამი ოლქი წაართვა სპარსელებს, მაგრამ იმედოვნებენ, რომ იგი სპარსელებთან მიიწვევს გამონახავს საერთო ენას თურქეთის წინააღმდეგ²¹.“

ვენეციელი კორესპონდენტის 1599 წლის 15 იანვრის ცნობით „ქართველებმა კვლავ შეუტეეს თურქებს და ბრძოლაში ჩასაბმელად დაიყოლიეს სპარსეთის შაჰიც“. დასახელებული კორესპონდენტის²² იმავე წლის 18 აპრილის ინფორმაციაში კი ნათქვამია: „ქართველები სრულ მზადყოფნაში არიან დაიბრუნონ ყოველივე ის, რაც დაკარგეს. მათი ბელადი სიმონი 45 დღის განმავლობაში იღვა თბილისთან თავისი ჯარებით, მაგრამ უშედეგოდ უკან დაიხია.“²³

ევროპის იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობა დიდი იმედით შეხვდა ფიუგერების გაზეთის ცნობას, რომ „საქართველოს მმართველი, გამგებელი, მეფე სიმონი სპარსეთის შაჰთან შეთანხმების შედეგად დიდძალი ჯარით დაიძრა, უკანასკნელი ომის დროს თურქეთის მიერ სპარსელების წინააღმდეგ მოხერხებულად გამოყენებული ფერპარ-ფაშას ინიციატივით გებული ციხესიმაგრისაკენ. სიმონმა იგი აიღო, ხელთ იგდო თურქების სხვა სიმაგრენიც და ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სპარსეთთან ერთად ომს იწყებდა სულთანის წინააღმდეგ.“ დასასრულს ცნობაში ნათქვამი იყო: „რამდენადაც არაბების აჯანყება ჯერ კიდევ გრძელდება, შეიძლება კარგი იმედები გვექონდეს.“²⁴

ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებულ ცნობაში სიმონის მიერ თურქეთთან აგებული ციხესიმაგრის აღებინს გარდა აღნიშნულია აგრეთვე ქართველების შემდგომი საომარი წარმატებები. მასში, კერძოდ ნათქვამია: „სიმონი სპარსეთის შაჰის მხარდაპირით წინ მიიწევს. მან დაიკავა არზრუმი და არსებობს აზიური ოლქების აღების იმედიც, რადგანაც ფაშას ჯარებს არ უნ-

დათ ბრძოლა“.²⁵ 15 ოქტომბრის ცნობაში კი უკვე ლაპარაკია ჰუსეინ-ფაშას წარმატებით შეტევაზე.²⁶

იმ დროს ევროპაში გავრცელდა ცნობა თურქების მიერ სიმონის ტყვედ ჩაგდებაზე. 1600 წლის 14 იანვარს ვენეციელი კორესპონდენტი იტყობინებოდა: „კონსტანტინოპოლში ხმა დაირხა თითქოს შირვანის ფაშამ სიმონი ტყვედ ჩაიგდო და გაძლიერებული დაცვის თანხლებით კონსტანტინოპოლში გააგზავნა. მაგრამ ეს ხმა სინამდვილეს არ შეესაბამება“.²⁷ ამასვე ადასტურებს 23 მარტით დათარიღებული მეორე ვენეციური ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „ხმები სიმონის დატყვევებაზე სწორი არ არის. პირიქით, ქართველმა მეფემ თავად მიაყენა დიდი დამარცხება თურქებს“²⁸.

თურქების მიერ კონსტანტინოპოლში გავრცელებულ ყალბ ცნობას სიმონის დატყვევების თაობაზე გარკვეული უარყოფითი გავლენა მოუხდენია სპარსეთის ზოგიერთ დიპლომატზე. 31 მარტს ფიუგერების გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად აღნიშნული ცნობით შეშფოთებულ სპარსეთის ელჩს კონსტანტინოპოლიდან სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოუთქვამს.²⁹

1600 წლის 13 ივნისს გაზეთის ცნობით ქართველი მეფის სიმონის ვაჟი სათავეში ჩადგომია ძლიერ არმიას და თურქების წინააღმდეგ შეტევა დაუწყიათ³⁰. 16 ივნისის ინფორმაციაში კი აღნიშნულია სპარსეთის ელჩის მოლაპარაკება სულთანთან თავრიზის დაბრუნებისა და სიმონ მეფის განთავისუფლების შესახებ, რომელიც უშედეგოდ დამთავრებულა.³¹

ფიუგერების გაზეთში გამოქვეყნებული 1600 წლის 16 აგვისტოს ცნობით სპარსელ-ქართველთა გაერთიანებულ ჯარებს ხელში ჩაუგდიათ თურქეთის შეიარაღებული ორი ზომალდი.³² იქვე აღნიშნულია ქართველი მეფის სიმონის ტყვეობიდან გაუნთავისუფლებლობის შედეგად სპარსეთის საზღვარზე მომხდარ მღელვარებაზე, სულთანის მიერ იმ მხარეს ჯარების გაგზავნის შესახებ.³³

ასეთი იყო ფიუგერების ხელნაწერ გაზეთში საქართველოზე გამოქვეყნებული ცნობები. ახლა კი განვიხილოთ სტამბურად გამოცემული ნაბეჭდი მასალები.³⁴

გერმანული ერთ-ერთი გაზეთი 1595 წლის თებერვალში

წერდა: „სპარსელები შეიჭრნენ თურქეთის ტერიტორიაზე. ეს ჩვენთვის სასარგებლო და უპირატესობის მომცემი უნდა იყოს“.³⁵

იტალიელი ისტორიკოსი ჯიროლამო ფრაკეტა (1560—1620)³⁶ ქართლის მეფის სიმონის მოკავშირესადმი, ტრანსილვანიის მთავრის ჟიგმონდ ბატორისადმი მიძღვნილ ნაშრომში 1595 წლის სექტემბერში აღნიშნავდა: თურქეთის არმიის დიდი ნაწილი ინდოეთის ვრცელ მინდვრებსა და საქართველოს მთებში დაიღუპა³⁷. უფრო გვიანდელ გამოკვლევებში³⁸ კი იგი განმარტავდა: თურქეთი დაასუსტა არა მარტო სპარსეთის შაჰმა, იბერიის მეფეებმაცო.³⁹

1596 წელს ნიურნბერგის გაზეთში დაიბეჭდა თურქეთის ტყვეობიდან გამოქცეული აშტვან ტომპას ნაამბობი.⁴⁰ მასში აღნიშნულია სპარსეთის შაჰის მიერ თურქეთის წინააღმდეგ ქართველებთან დადებულ ხელშეკრულებაზე⁴¹. ამ ცნობის საფუძვლიანობას ადასტურებს ვენის სახელმწიფო არქივში დაცული მასალები⁴² და სხვა გაზეთები.⁴³ თავის ნაამბობში ტომპა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე თურქ-ქართველთა ბრძოლაზე მდინარე ტიგროსთან⁴⁴ და გულისტკივილით აღნიშნავს ამ შეტაკებაში თურქეთის გამარჯვებას.⁴⁵

პოლონელი სახელმწიფო მოღვაწე ქრისტეფორე ვარშევიცი (1543—1603)⁴⁶ თავის გამოკვლევაში დიდი სიმპათიით იხსენებს ქართველებს, რაც აშკარად მიგვანიშნებს ამიერკავკასიისა და ევროპელი ხალხების ურთიერთდამოკიდებულებაზე.⁴⁷

საინტერესო ცნობებს გვაწვდის სიმონის შესახებ იტალიელი ჟურნალისტი ბერნაიდინო ბეკარი. იგი თავის გაზეთში მოთავსებულ წერილში აღწერს ქართლის მეფის განმათავისუფლებელ ბრძოლებს⁴⁸ და დასძენს: „სიმონმა დაიკავა თურქეთის ოთხი პროვინცია და ხელთ იგდო რამდენიმე ზარბაზანი. გვჯერა, რომ მიმდინარე წელს ქრისტიანები კიდევ მთელ რიგ გამარჯვებებს მოიპოვებენო“.⁴⁹

1599 წლის 18 აპრილს საგანგებოდ გამოსულ გაზეთში ბ. ბეკარი ბეჭდავს წერილს, რომელშიც დეტალურად აღწერს მეფე სიმონთან და საერთოდ საქართველოსთან დაკავშირებულ ამბებს.⁵⁰ იგი გატაცებით ლაპარაკობს არაბებისა და ქართველების საბრძოლო წარმატებებზე.⁵¹ „სპარსეთის ყურე-

ში თურქეთის წინააღმდეგ არაბების საომარი მოქმედების გაძლიერების პერიოდში, — წერს ბ. ბეკარი, — საქართველოს მეფემ, რომელიც სპარსეთის შაჰის სიმამრია, დაიწყო ომი თურქების წინააღმდეგ. ამიტომ სულთანს საშუალება არა აქვს დიდი რაოდენობით გამოგზავნოს ჯარები უნგრეთში“.⁵² წერილის ავტორი სიმონს უწოდებს „გმირთა გმირს“.

ბ. ბეკარი ნოემბრის ნომერში იტყობინება სიმონის მიერ მოპოვებულ ახალ გამარჯვებებს.⁵³ მისი განცხადებით იმ ხანებში მთელი აზია იბრძოდა თურქების წინააღმდეგ.⁵⁴ იგი გამოსთქვამდა სურვილს გაგრძელებულიყო თურქეთზე შეტევა ქრისტიანული ქვეყნების ინტერესებისათვის.⁵⁵

1600 წელს გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ერთი ბროშურა,⁵⁶ რომელიც შეიცავს საყურადღებო მასალებს უნგრეთსა და საქართველოზე, მათ საომარ მოქმედებაზე თურქეთის წინააღმდეგ.⁵⁷ მასში ვკითხულობთ: „სიმონმა აიღო დიდი ქალაქი არჯრუმი. ამასთან დაკავშირებით სულთანმა აახლა ელჩები სპარსეთის შაჰს, რათა დაითანხმოს იგი, რომ მხარი არ დაუჭიროს სიმონს საომარ მოქმედებაში“.⁵⁸ მეტი რაოდენობით მოდიოდა ცნობები სიმონის ბრწყინვალე გამარჯვებებზე.⁵⁹

სიმონის საგარეო პოლიტიკა მარტო აზიით არ განისაზღვრებოდა. იგი წვდებოდა ევროპის სახელმწიფოებს, მათ შორის ტრანსილვანიასაც.

1580 წელს ტრანსილვანიის მმართველმა უარი განუცხადა სულთანს ჯარის გაგზავნაზე სპარსელ-ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მაშინ სულთანი დაემუქრა მას ტრანსილვანიაში თავისი კაცის დანიშვნით, რათა ამ ქვეყნის მცხოვრებნიც ქართველების მსგავსად არ მოქცეულიყვნენ თურქეთის მიმართ.⁶⁰

ასევე მტრულად იყო განწყობილი თურქეთისადმი ტრანსილვანიის მმართველის მამა, პოლონეთის მეფე სტეფანე ბატორი. იგი ყოველმხრივ ცდილობდა ოტომანთა იმპერიის ძლიერების შეერყევას⁶¹. ამას ნათლად მოწმობს პოლონეთში მყოფი რომის პაპის წარმომადგენლის ანტონიო პოსევინოს ცნობები სტეფანე ბატორის გეგმებზე სპარსელებთან, ქართველებთან, და ჩერქეზებთან კავშირზე⁶². 1581 წელს პოსევინო აღნიშნავდა პოლონეთის მეფის სიმპათიებს ჩერქეზებისადმი.⁶³ ამაზე

მეტყველებს ის ფაქტი, რომ პოსევინოს გადმოცემით სტეფანეს კარგად სცოდნია, რომ იმდროისათვის ჩერქეზეთს სათავეში ედგა 7 ბელადი, ხოლო ჩერქეზული ენა აშკარად განსხვავდებოდა სხვა ხალხების ენებისაგან; რომ იმ ქვეყნის სახელმწიფო წყობა წააგავდა შვეიცარიულ კანტონებს⁶⁴ და სხვა. ამასვე მოწმობს პოლონეთის მეფის დამოკიდებულება თავიანთი ერთგული ხელქვეითების, ეროვნებით ჩერქეზ აურელოსა⁶⁵ და უნგრელ იანოშ ბენდიერისადმი⁶⁶, რომელიც რამდენჯერმე იყო ჩერქეზეთში⁶⁷.

1583 წელს პოლონეთის მეფეს უკვე შემუშავებული ჰქონდა ქართველებთან და ჩერქეზებთან სამხედრო თანამშრომლობის გეგმა.⁶⁸ მაგრამ როცა „კახელებთან, ყაბარდოელებთან და ქართველებთან“ ახლო ურთიერთობის დამყარებაზე ფიქრობდა,⁶⁹ მან ვერ გაითვალისწინა, რომ ის ხალხები ამ დროს თურქეთის წინააღმდეგ სულიერ მოკავშირეს მოსკოვში ხედავდნენ⁷⁰ ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ მოკავშირეს გამოხაზვით სტეფანეს უნდა აღედგინა მეფე მათივე კორეინის ტრადიციები.⁷¹ 1584 წლის აგვისტოს ბოლოსათვის სტეფანეს უკვე მზად ჰქონდა ანტითურქული ომის გეგმა, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსებთან, ქართველებთან და სპარსელებთან ერთობლივ მოქმედებას.⁷² მაგრამ მისმა მოულოდნელად სიკვდილმა ჩაშალა ეს გეგმა.

პოლონეთის მეფის ჩანაფიქრი შემდგომში კიდევ უფრო გააღრმავეს მისმა ძმისწულმა ჟიგმონდ ბატორმა და ჰამსბურგის იმპერიის იმპერატორმა რუდოლფმა. მათ ახალი ნაბიჯები გადადგეს ქართველებთან კავშირის დასამყარებლად. თავიანთ მხრივ ქართლის მეფე სიმონ I და კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574—1605) მზად იყვნენ სპარსელებთან და ევროპელებთან ერთად ბოლო მოეღოთ ოტომანთა იმპერიის ბატონობისათვის.

ჟიგმონდ ბატორი, ჯერ კიდევ 15 წლის იყო (1582 წელს), როცა შეიტყო ქართველების მამაცური ბრძოლის თვისებები. ამან იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ 10 წლის შემდეგ იგი უკვე ქართლის მეფის მოკავშირე გახდა. სწორედ ჟიგმონდს მისწერა წერილი სულთანმა მურად III, რომ თითქოს სპარსელების წინააღმდეგ მებრძოლ ფერპარდ-

ფაშას სერიოზული დარტყმა მიეყენებინოს ქართველებისათვის და ავალბედა მასაც ზემოთ აღვნიშნა თურქების ეს გამარჯვება.⁷³ მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულთნის ცნობა ყალბი გამოდგა, თურქებს ვერ დაემარცხებინათ ქართველები.⁷⁴

ესპანეთის სახელმწიფო არქივში დაცულია 1589 წლის 3 ივლისით დათარიღებული საბუთი იმპერატორისა და უნგრეთის მეფის რუდოლფის ელჩის მიკლოშ ბარკოჩის მოლაპარაკებაზე. აქედან ჩანს, რომ ამ უკანასკნელს მოსკოვში ყოფნისას გაუცვნია რუსეთის მეფისათვის სპარსეთის შაჰის გადაწყვეტილება თურქეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელებაზე და ესპანეთის მეფის მზადყოფნა ანტითურქულ კავშირში შესასვლელად. ამავე საბუთშია მოთხრობილი, აგრეთვე ქართველი ელჩების ჩასვლა მოსკოვში რუსეთის მეფისათვის თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების სათხოვნელად. აღნიშნულია რუსეთის მეფის ვალდებულება მათთვის 18.000-იანი არმიისა და არტილერიის მიცემაზე იმ პირობით, თუ საქართველო აღიარებდა რუსეთის ქვეშევრდომობასა და უარს არ იტყოდა ხარკის გადახდაზე.

ქართველი მეფეები მოსკოვის გარდა კავშირის დამყარებას ცდილობდნენ რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან⁷⁵.

1593 წლის ზაფხულში თურქებმა ომი გამოუცხადეს იმპერატორ რუდოლფს. სულთანმა უბრძანა ტრანსილვანიის მთავარს მზადყოფნაში ყოფილიყო და საჭიროებისთანავე შეერთებოდა თურქეთის არმიას. ასეთ ვითარებაში იმავე წლის 21 ნოემბერს, პაპმა კლიმენტ VIII არქიეპისკოპოსი ალექსანდრე კუმულოვიჩი (კუმულეო) გაგზავნა დიპლომატიური მისიით რამდენიმე ქვეყანაში.⁷⁶ იგი ჯერ ტრანსილვანიის მთავარს უნდა სწვევოდა, შემდეგ მოლდავეთისა და ვლახეთის ვოევოდებს, მოენახულებინა აგრეთვე პოლონეთისა და რუსეთის იეფეები, ჩასულიყო სამეგრელოსა და ჩერქეზეთში, რათა დაეყოლიებინა ყველა ესენი იმპერატორთან შეკავშირებაზე.

რწმუნების სიგელში, რომელიც პაპმა კუმულოვიჩს მისცა. აღნიშნული იყო არა მარტო სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების აუცილებლობა ჩერქეზებს, ვლახელებსა და მოლდა-

ველებს შორის, არამედ კავშირის შეკვრა პერეკოპის თათრებთან და მეგრელებთან⁷⁷.

1594 წლის 23 თებერვალს კუმულოვიჩი ტრანსილვანიიდან უკვე ატყობინებდა პაპს ამ ქვეყნებს შორის კავშირის დამყარების შესაძლებლობაზე.⁷⁸ იმავე წლის 14 ოქტომბერს⁷⁹ იგი იწერებოდა, რომ მოსკოვში ჩასვლის შემდეგ წერილობაჲთ კავშირს დაამყარებდა როგორც ჩერქეზებთან, ისე ქართველებთან და სპარსელებთან.⁸⁰ პაპის ელჩი იმედოვნებდა, რომ ამაში მას დახმარებას გაუწევდა რუსეთის მეფე.⁸¹ კუმულოვიჩი ფიქრობდა შექმნილიყო ერთობლივი დიდი კავშირი ესპანეთიდან სპარსეთამდე და საქართველომდე.⁸²

1595 წლის 29 აპრილს მოსკოვში ყოფნისას კუმულოვიჩმა მიიღო რომის პაპის განკარგულება ჩერქეზეთში გამგზავრების შესახებ,⁸³ რათა იქიდან დაემყარებინა კავშირი ამიერკავკასიის მთავრებთან. ელჩის ამ გამგზავრების შესახებ არაფერი არ ვიცით, იმის თქმაც კი დანამდვილებით შეგვიძლია, რომ ტრანსილვანიის 'ბიავარს და ქართლის მეფეს სიმოხს შორის სასურველი კავშირი დამყარებულა.⁸⁴

ვენეციელი ელჩი ტომაზო კონტარინი 1594 წლის 18 აგვისტოს იტყობინებოდა, რომ ქართველ-სპარსელთა გაერთიანებული ჯარები ძლიერ უტევდნენ თურქებს.⁸⁵ ამის გამო იგი იმედს გამოთქვამდა, რომ თურქეთი ვერ შეძლებდა თავისი საუკეთესო სამხედრო ნაწილების უნგრეთის წინააღმდეგ ვაზოგზავნას.⁸⁶

1595 წლის 10 ივნისს, რომში მიღებული ცნობიდან ჩანდა, რომ კონსტანტინოპოლში შიმშილი დაიწყო. თურქების მდგომარეობას ართულებდა ქართველების თურქებზე გამუდმებული თავდასხმა⁸⁷. ასეთივე ცნობები მიიღეს პაპის ნუნციამ პოლონეთში⁸⁸ და პაპის ნუნციამ პრალაში⁸⁹. ნამდვილად თურქეთის მძიმე მდგომარეობით იყო გამოწვეული სულთნის მუქარა ტრანსილვანიის მთავრისადმი ამ უკანასკნელის განდგომის შეზღუდვაში მისი ქვეყნის საქართველოს მსგავსად აოხრების შესახებ⁹⁰. მიუხედავად ამისა ყივმონდ ბატორი მაინც თურქების მიერ შევიწროვებული ხალხების, მათ შორის ქართველების მხარეზე იყო⁹¹.

რომაელი ელჩის ალექსანდრე კომულოვიჩის მოსკოვში

ყოფნის დროს რუსეთის მეფეს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნია პაპ კლიმენტ VIII-სათვის: „შენ გთხოვე, რომ წერილები მიგეწერა სპარსეთის შაჰისა და საქართველოს მეფისათვის თავს დასხმოდნენ თურქებს... გასულ წელს, მართლაც, გავუგზავნე ასეთი წერილი სპარსეთის შაჰს, რათა არ დაედო ზავი თურქეთთან და მის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო... ახლა დესპანის გაგზავნას ვაპირებ მასთან იმისათვის, რომ შევატყობინოთ ყოველივე ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ. ამავე დროს, ვაპირებ ქართველ მეფეს ალექსანდრეს ვურჩიო, ისიც ისევე მოიქცეს და სპარსეთის შაჰთან ერთად იმოქმედოს“⁹².

სპარსეთის, საქართველოსა და რუსეთის შეკავშირებამ დადებითი შედეგი გამოიღო. საქართველოს და ესპანეთის მეფეებმა შაჰს დაპირდნენ ზარბაზნების გაგზავნას, ხოლო რუსეთი — არტილერისტების გაგზავნას⁹³ მაგრამ თურქები მეტ ძალებს აღმოსავლეთისაკენ აგზავნიან⁹⁴.

1596 წლის მიწურულსა და 1597 წლის დამდეგს ტრანსილვანიის მთავრის დესპანები — ა. კარილო, მ. დობოკაი და ფ. კარანშებეში⁹⁵ ესპანეთში ჩავიდნენ. ამასთანავე ესპანეთს ეწვია ქართველი ელჩი დონ ჯაკომო, რომელმაც თან ჩაიტანა ქართლის მეფის სიმონისა და მისი ძმისწულის, კახეთის გამგებლის ალექსანდრე II-ის წერილები მეფე ფილიპე II-სათვის გადასაცემად. აღსანიშნავია, რომ ორივე წერილი დღემდე შემონახულია. სიმონის წერილში კერძოდ ნათქვამია: „ნება მომეცით თქვენო უდიდებულესობავ მოგახსენოთ თუ რამდენი ტანჯვა-წამება გადავიტანე მე სიმონმა ქართველთა მეფემ 14 წლის განმავლობაში თურქეთის სულთნისაგან. აქამდე არ მქონდა საშუალება მომემართა თქვენთვის რათა დამხმარებოდით ოსმალებთან საბრძოლველად. ახლა მე და ჩემმა ძმისწულმა, ქართველთა მეფემ ალექსანდრემ სპარსეთის შაჰ-აბასთან შეთანხმებით დავამყარეთ სამთა კავშირი სულთნის წინააღმდეგ. უმორჩილესად ვთხოვ თქვენს უდიდებულესობას — დაიდოს ხელშეკრულება წმინდა მამასთან და იმპერატორთან, რადგანაც ტრანსილვანიის მთავარმა შემოგვთავაზა დავიწყო ომი ოსმანთა წინააღმდეგ ჩემი ტერიტორიიდან. ამრიგად, მან თავის მხრავ, ჩვენ ჩვენი და თქვენ თქვენი მხრივ თუ შევეუტევთ შევძლებთ თურქთა ტირანიის დაძლევას. გთხოვთ, თქვენო უდიდებულე-

სობავ არ დაუშვავთ იმპერატორმა და ტრანსილვანიის მთავარ-
მა ზავი დადონ სულთანთან. დადგა დრო, როდესაც მოგვეყა
საშუალება წავართვათ წმინდა სახლი (იერუსალიმი — ლ. ტ)
ქრისტიანობის მტრებს.

ჩვენ, სამმა მეფემ — ორმა ქართველმა და ერთმა სპარ-
სელმა შაჰ-აბასმა დავიფიცეთ სიცოცხლე შევეწიროთ იესო
ქრისტეს სარწმუნოების დაცვას, რათა საკუთარი თვალთ ვი-
ხილოთ წმინდა სახლი... თქვენი უდიდებულესობა ყოველთვის
მხარში ედგა ტრანსილვანიის იმპერატორს როგორც კათოლი-
კე. გვინდა იცოდეთ, რომ ტრანსილვანიის იმპერატორმა წე-
რილი მოგვეწერა და დახმარება აღგვეთქვა. ამრიგად, იგი ერთი
მხრიდან დაიწყებს ომს, ჩვენ კი მეორე მხრიდან...

მე გამოგიგზავნეთ წერილი რათა გამეგო თქვენი აზრი
ჩვენს შორის კავშირის დამყარებაზე. ტრანსილვანიის მთავრის
პოზიცია ამ მხრივ ჩვენთვის ცნობილია და გეჭერა, რომ დაპი-
რების თანახმად დახმარებას გაგვიწევს... წერილები მივეწერეთ
აგრეთვე წმინდა მამასა და გერმანიის იმპერატორს. ღვთის გუ-
ლისათვის თქვენი გადაწყვეტილება გვაცნობეთ. ის, რომ წერი-
ლებს ვაგზავნით და პასუხს ვლებულობთ, ეს ალბათ ღვთის
ნებაა. სპარსეთის შაჰსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაე-
ხმაროს ქრისტიან მეფეებს...

მე ვწერ თქვენს უდიდებულესობას, ჭეშმარიტ კათოლიკე
მეფეს, რომელიც თავისი დიდებით, სიძლიერითა და პატივით
ყველა ქრისტიან მეფეზე მაღლა დგას..."

სიმონ მეფის ეს წერილი დათარიღებულია 1596 წლის 25
აგვისტოთი.⁹⁶

ამ წერილიდან ჩანს, რომ სიმონს ნამდვილად დაუმყარებია
კავშირი ტრანსილვანიის მმართველ ჟიგმონდ ბატორისთან.
ალბათ რომაელმა ელჩმა კუმულოვიჩმა მოსკოვში ყოფნის
დროს ჟიგმონდ ბატორის საპასუხო წერილი ქართველ ელჩს
დონ ჯაკომოს მისცა სიმონ მეფისათვის გადასაცემად. 1597 წ.
აპრილში სპარსეთის შაჰის ელჩი ჩავიდა თურქეთში⁹⁷.

მოსკოვის შემდეგ დონ ჯაკომო ანუ მამა იაკობი ევროპაში
გამეგზავრა და თან წაიღო სიმონის წერილი დანიშნულებისა-
ზებრ ჩასაბარებლად. 1597 წლის 20 ივნისს ჯაკომო ეწვია ვე-
ნეციის რესპუბლიკის დიდ საბჭოს და გადასცა მას ქართლის

მეფის წერილი: „მე, — კვითხულობთ მასში, — ლეთის წყალობით აღზევებული მეფე ქართლისა და მთელი იბერიისა — სიმონი, მოგმართავთ თქვენ უძლიერეს და სახელგანთქმულ ქალაქის ვენეციის გამგებელთ თხოვნით, რომ წმინდა მამის — რომის პაპის მიერ ჩვენთან გამოგზავნილ სასულიერო პირს, ეროვნებით სომეხს, მამა იაკობს პატივისცემით ვისტუმრებთ უკან რომში დასაბრუნებლად, მოგმართავთ თხოვნით, რათა დახმარება აღმოუჩინოთ მას და მისცეთ მეგზური რომში გასაცოლებლად.

1596 წელი, 6 მაისი, მმართველი ქართლისა და მთელი იბერიისა სიმონი“.⁹⁸

ამ წერილის ორიგინალს, რომელიც ბერძნულად არის დაწერილი, აქვს სიმონ მეფის პირადი ხელისმოწერა და ბეჭედი.⁹⁹ თარგმანზე, რომელიც ვენეციაში შეუხსრულებიათ, მიწერილია: „მე, ანდრია ნეგრელიმ ვთარგმნე ბერძნულიდან მისი უმაღლესობის ვენეციის დოჟისათვის“¹⁰⁰.

წერილიდან ჩანს, რომ სიმონი თავს მთელი საქართველოს მეფედ თვლიდა.

1597 წლის 21 ივნისს ხელმეორედ შეიკრიბა ვენეციის დიდი საბჭო, რომელმაც განიხილა სიმონ მეფის წერილი და დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ქართლის მეფისადმი პატივისცემის ნიშნად ჯაკომოსათვის (იგივე იაკობი) მიუციათ ფული რომისაკენ გზის გასაგრძელებლად¹⁰¹.

როგორც მამა იაკობის მიერ საბჭოზე განცხადებულ სიტყვებიდან ჩანს, მას თან მიჰქონდა სპარსეთის შაჰის, სიმონისა და ალექსანდრე II წერილები რომის პაპისა და იმპერატორის ელჩისათვის გადასაცემად.

ყურადღებას იქცევს მამა იაკობის საუბარი ვენეციის საბჭოს მდივანთან — მარკო ოტობონისთან, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოეკითხა მისთვის აღმოსავლეთის ამბები. „სპარსეთის შაჰი ახალგაზრდაა, 26 წლის თუ იქნება. — უთქვამს იაკობს მასპინძლისათვის, — ჰყავს 6 წლის ვაჟი და ერთი ქალიშვილი, 80-ათასიანი ცხენოსანთა არმია, მაგრამ არ გააჩნია არტილერია. რაც შეეხება ქართველების მეფეს სიმონს, იგი 75 წლისაა და გულად მებრძოლად ითვლება. მისი შვილი 25 წლისაა და შესანიშნავი თვისებებით ხასიათდება.

ქართველებს ჰყავთ დაახლოვებით 40 ათასი ქვეითი ჯარისკაცი და მრავალი მსროლელი. არ გააჩნიათ ცხენოსანი არმია. ეს გასაგებიცაა, რადგანაც მათი ქვეყანა მთაგორიანია და არ იძლევა ცხენოსნების გამოყენების საშუალებას. სპარსეთის შაჰი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ქართველთა დამცველი ჯარი რომ არ ყავდეს. მართალია, ქართველი მეფეები თავზე დოღბანდს ატარებენ სპარსული ყაიდის მიხედვით, მაგრამ ყელზე ყველას ჯვარი ჰკიდია. ეს კი მოწმობს, რომ ისინი ქრისტიანები არიან“.

მამა იაკობს ალექოში გავლისას სიმონის წერილი გადაუცია ვენეციის კონსულისათვის¹⁰². აქედან იგი ვენეციის, ვენისა და პრაღის გავლით რომში ჩასულა. სიმონს რომის პაპთან უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1572—1585 წლებში ჰქონია მიმოწერა. 1578 წელს იგი, მაგალითად, „უწმინდეს მამას“ ატყობინებდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ბოლოს, დასძენდა: „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ ქრისტიანული საქართველოსათვის“¹⁰³.

რომში ადრე ყოფნისას მამა იაკობს მეგობრული კავშირი დაუმყარებია კარდინალ სანტა სევერინოსთან (1523—1602) ანუ იგივე ჭულიო ანტონიო სანტოსთან, რომელიც ერთ-ერთი მთავარი მრჩეველი იყო პაპისა პოლიტიკურ საკითხებში, კერძოდ კი აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან ურთიერთობაში.¹⁰⁴ მკიდრო კონტაქტი ჰქონდა მასთან სიმონსაც იაკობს მემუეობით.

ნიურნბერგის გაზეთის 10 ივლისის ცნობით მამა იაკობი ვენეციიდან ვენაში ჩასულა. იქიდან გრაცში შეუვლია, სადაც იგი ჰერცოგ მაქსიმილიანეს მიუღია¹⁰⁵. იგივე ცნობა გამოაქვეყნა 11 ივლისის ფიუგერების გაზეთმა.¹⁰⁶ ნიურნბერგისავე გაზეთის განცხადებით იაკობი 17 ივლისს პრაღაში ჩასულა და თან ჩაუტანია სპარსეთის შაჰისა და სიმონის წერილები.¹⁰⁷ იქვე ლაპარაკია სპარსეთის ელჩების კონსტანტინოპოლში გაგზავნაზე, მათ მიზანზე — შეეტყოთ თურქეთის ზრახვები სპარსეთ-საქართველოს მიმართ.¹⁰⁸

ზემოაღნიშნული გაზეთები ერთხმად იუწყებოდნენ, რომ თუ თურქეთი თავს დაესხმოდა უნგრეთს, სპარსელები, ქართველები და სომხები მაშინვე იარაღს შემართავდნენ მომხდურის წინააღმდეგ.¹⁰⁹

ქართლის მეფის სიმონის ელჩის ჩასვლას პრალაში კომენტარს უკეთებდა შვეიცარული გაზეთიც.¹¹⁰ საერთოდ, ამ საკითხს ბევრი იმდროინდელი ევროპული გაზეთი შეეხო¹¹¹. მას განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო ვენეციის პრალელმა ელჩმა 1597 წლის 31 ივლისით დათარიღებულ თავის წერილში¹¹². იმავე წლის 28 ივლისის ცნობაში იგი აღწერს მამა იაკობის აუდენციას იმპერატორ რუდოლფთან და მისთვის სპარსეთის შაჰისა და სიმონის წერილების გადაცემას.¹¹³ 1597 წლის 20 სექტემბერს დონ ჯაკომო კვლავ პრალაშია და ელოდება განკარგულებას რომისაკენ გასამგზავრებლად.¹¹⁴

1600 წელს ერთ-ერთი გაზეთი წერდა სპარსეთის შაჰის ძიერ ევროპის ქვეყნებში გაგზავნილ შეტყობინებაზე, რომ იგი თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო არ არის — მისი მოკავშირეები არიან სიმონი და რუსეთის მეფე, რომლებსაც წესწევთ ძალა საჭიროების შემთხვევაში იარაღით ხელში ჩაეზნენ საერთო მტერთან ბრძოლაში.¹¹⁵

მამა იაკობის ელჩობის შემდეგ მისია იმპერატორ რუდოლფსა და ქართველ მეფეებს შორის ხორციელდებოდა მოსკოვის გავლით. პრალელი ელჩი მოსკოვში გრაფი აბრაჰამ დონი იტყობინებოდა იმპერატორ რუდოლფისა და რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძეს შორის თურქეთის წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულების დადებაზე და მათ კავშირში სპარსეთის, ბუხარასა და საქართველოს მეფეების შესვლაზე.¹¹⁶

1599 წელს პრალაში მოლაპარაკებას აწარმოებდა ბორის გოდუნოვის ელჩი აფანასე ვლასოვი.¹¹⁷ ცოტა მოგვიანებით მას შეხვედრები ჰქონია იმპერატორ რუდოლფის მრჩეველებთან, მათ ა. ვლასოვს გააცნეს იმპერატორის ურთიერთობა სიზონთან და ალექსანდრესთან.¹¹⁸ თავიანთი მხრივ რუდოლფის მრჩეველებს განუმარტავთ ელჩისათვის¹¹⁹ იმპერატორის გადაწყვეტილება — თურქეთთან ომში სპარსეთ-საქართველოსათვის დახმარების გაწევაზე.¹²⁰

